

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ერთა შორის ურთიერთობის კვლევის ცენტრი

ფრიდონ სიხარულიძე

მოსკოვის ქართული ასაღმენის ინტორიიდან



თბილისი
„მეცნიერება“
1991

ახლადგამოვლენილი საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე, გამოკვლევაში დასაბუთებულია რუსეთის დედაქალაქში ქართველთა დასახლების ჩამოყალიბების დრო და პირობები; აღწერილია მოსკოვის ქართული ახალშენის განშტობები; დახასიათებულია უცხოეთში მყოფი ქართველი მეფეების კარის განრიგება, ქართველთა საეკლესიო-იდეური ცხოვრება, საადგილმამულო ურთიერთობა; აღდგენილია რუსეთში ქართველ მოღვაწეთა პანთეონების ისტორია; შეჯამებულია 1965—1982 წლებში მოწეობილი ექსპედიციების შედეგები, აგრეთვე, 1983—1984 წლებში დონის მონასტერში გაწეული კომპლექსურ-არქეოლოგიური ძიებისა და ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ერთი ნაწილი. მოთხრობილია უცხოეთში არსებულ ქართულ რელიკვიებზე, წმინდა ქეთევან დედოფლის ახლად გამოვლენილ ხატსა და სხვ.

ხაზრომში ხაზგასმულია ქართველთა ემიგრაციის შედეგად სამშობლოსათვის მიყენებული ზიანი; მითითებულია ახალშენში მცხოვრები ქართველებისაგან გაწეული დიდი კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის მნიშვნელობაზე.

წიგნი გამოადგებათ მეცნიერებს, სტუდენტებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, უცხოეთში არსებული ქართული სიძველეებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

რედაქტორი — აკად. გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები:

ისტ. მეცნ. დოქტორი მ. გონიკიშვილი

ფილოლოგიის მეცნ. კანდ. ვ. სალია

0503020905

ს M 607 (06)—91 196—91

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991

ISBN 5—520—01007—2

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საზოგადოების პროგრესი ბევრად არის დამოკიდებული საერთაშორისო კავშირურობის განვითარებაზე.

მსოფლიო ცივილიზაციის განვითარება ემყარება ინფორმაციის გაცვლის სიხშირესა და მის სწრაფად გადამუშავება-ათვისებას.

თანამშრომლობა-ურთიერთობის ისტორიიდან ფართოდ ცნობილია სავაჭრო-ეკონომიკური თუ იდეურ-კულტურული ნაყოფიერი მოღვაწეობის არაერთი ხალხმრავალი კერა, რომელიც სხვადასხვა დროს იქმნებოდა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის მოხერხებულ ადგილებში, ამა თუ იმ დაწინაურებულ სახელმწიფოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცენტრებში.

ხალხთა ურთიერთობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კულტურულ სფეროს განეკუთვნება.

კულტურა საზოგადოების განმსაზღვრელი ნიშანთაგანია.

როგორც სხვა ასპექტის, ისე კულტურული ურთიერთობის შესასწავლად აუცილებელია ქვეყნებს შორის დამოკიდებულების ხარისხის შეცნობა, რადგან სხვადასხვა ეპოქაში ურთიერთობის ხასიათი იცვლება იმ როლით, რომელთაც კონტრაგენტები ასრულებენ საერთაშორისო სარბიელზე. კულტურული თანამშრომლობა ხელს უწყობს სახელმწიფოთა ურთიერთობის გაღრმავებას.

მსოფლიო კულტურის პერმანენტულ ფერისცვალებაში აქტიურ მონაწილეთა შორის არიან ქართველებიც, რომლებიც უძველესი დროიდან მრავალ ხალხთან თანამშრომლობდნენ.

ქართველთა მრავალსაუკუნოვანმა ფართო სამწერლო მოღვაწეობამ, ჯერ ძველი მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებში, ხოლო შემდეგ ბიზანტია-ბულგარეთში და სხვაგან, დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთო აღმავლობას, მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებას, ქართული ენის განვითარებას.

გვიან შუა საუკუნეებში, როცა ბიზანტია დაეცა, ხოლო ოსმალები და ირანელი ყიზილბაშები აღზევდნენ, ჩვენი ერთიანი ფეოდალუ-

რი მონარქიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი „საქართველოები“ ყოველი ღონით ეძიებდნენ მოკავშირეს დასავლეთსა თუ ჩრდილოეთში.

მძიმე პირობების მიუხედავად, ჩვენი წინაპრები ენერგიულად ცდილობდნენ თანამშრომლობის გაგრძელებას ტექნიკურად და კულტურულად დაწინაურებულ ევროპის სახელმწიფოებთან.

თავის მხრივ, ევროპის სახელმწიფოებიც დიდ სააღმოსავლეთო გეგმებს სახავდნენ.

ქრისტიანულ სამყაროში მოპოვებულმა ავტორიტეტმა ვერ უშველა რომის პაპს შეექმნა კოალიცია (იტალია, საქართველო, მცირე სომხეთი, ტრაპიზონის საკეისრო და სხვ.) კონსტანტინოპოლის გასათავისუფლებლად!

სასურველი შედეგი არც ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა აქტიურ მოქმედებას მოჰყოლია ევროპის სახელმწიფოებისაგან თურქეთის იზოლაციისათვის. ამოდ იღვაწეს ქართველებმა ერთმორწმუნე ქვეყნებთან ანტითურქული და ანტიირანული კოალიციისათვისაც.

ასეთ პირობებში მოსკოვის სახელმწიფოს ზრდა და სამხრეთით წინსვლა თვალსაჩინოდ აღვივებდა მოქიშპე ირანისა და ოსმალეთის იმპერიის ბატონობით განაწამებ ხალხთა იმედს.

ქართველები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობას. XVI საუკუნის 80-იან წლებში გაფორმდა მოსკოვის სახელმწიფოსთან საქართველოს (კახეთის) კავშირი.

მომდევნო წანაში საქართველო-რუსეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, ამას საეკლესიო-იდურო სფეროში სიახლოვე უწყობდა ხელს.

ერთმორწმუნე რუსეთთან, მოღვაწეთთან, ვლახეთთან და კონფესიონალურად მახლობელ სხვა სახელმწიფოებთან კავშირის გათვალისწინებით მუშავდებოდა საქართველოს განვითარების, მტერთაგან მიტაცებული ტერიტორიების განთავისუფლების ერთობლივი გეგმები.

რუსი პოლიტიკოსები ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიურ სარბიელზე მხარს უჭერდნენ ქართველთა კანონიერ მოთხოვნებს.

მოსკოვში ჩასულ ქართველებს სახელმწიფო კარი აღრიდანვე საქართველო-რუსეთის მომავალი სამხედრო-პოლიტიკური კავშირით

1 მ. თ ა მ ა რ ი შ ვ ი ლ ი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილი-ბი, 1902, გვ. 86—98.

აიხედებდა და ხელდებულ ქვეყანასთან ეკონომიკურ თუ კულტურულ თანამშრომლობას აფართოებდა; რუსი მოღვაწეები დაინტერესებულნი იყვნენ დიპლომატიურ, სამხედრო თუ სხვა სამსახურში ქართველთა შესვლით.

ამ მოვლენათა საფუძველზე, რუსეთში ქართველების კოლონიზაცია თანდათან მნიშვნელოვნად განვითარდა და XVII საუკუნეში მოსკოვში კიდევ ჩამოყალიბდა ქართველთა ახალშენი.

ბევრი რამ იყო იმ დროს იქ საინტერესო ქართველებისათვის: ისინი ეცნობოდნენ რუსული კულტურის ახლობელ თუ შორეულ კერებს, მსახურობდნენ რუსეთის სახელმწიფო უწყებებში, ფართო ურთიერთობაში იყვნენ რუს და უცხოელ მოღვაწეებთან და სხვ.

მოსკოვის ქართული კულტურის კერის მეოხებით, შესაძლებელი შეიქმნა დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებთან კავშირურობის გაცხოველება, წარმატებული ბრძოლა ქართული მწერლობის, მეცნიერების ევროპულ დონეზე ასაყვანად.

XVIII ს-ის 20-იან წლებში მოსკოვში თავი მოიყარა ქართველი განათლებული საზოგადოების ნაღებმა.

ქართველთა ერთმა ნაწილმა სამშობლოშივე გამოიჩინა თავი პოლიტიკურსა და კულტურულ სარბიელზე. რუსეთში გადასვლის შემდეგ მათ გააგრძელეს საქართველოში წამოწყებული მრავალმხრივი საქმიანობა, დაუახლოვდნენ რუს, გერმანელ, ფრანგ მოღვაწეებს და წვლილი შეიტანეს საქართველოს რუსეთთან და დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში. დროთა განმავლობაში უფროსი თაობის კვალს დაადგნენ რუსეთში სწავლამიღებული მათი მემკვიდრეებიც. მოსკოვში მცხოვრები ქართველი სახელმწიფო, სამხედრო-საეკლესიო მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერების, მესტამბეების, დიპლომატების წარმატებანი ხელს უწყობდა თანამშრომლობის გაღრმავებას, ქართული მწერლობის, მეცნიერების აღმავლობას.

მოსკოვის ქართული ახალშენი აღრევე იქცა ქართული კულტურისა და მეცნიერების მძლავრ კერად. ახალ ეპოქაში ქართველთა ამ ახალშენს კულტურის სფეროში თითქმის ისეთივე როლი დაეკისრა, როგორც ადრე — ათონს. მოსკოვის ახალშენი ხელს უწყობდა სამშობლოს შეფერხებული განვითარების აღდგენას.

XVIII ს-ის I ნახევარში მოსკოვის ქართულ სამწერლო-სამეცნიერო ცენტრს, სიდიდითა და მნიშვნელობით, უცხოეთში არსებული

ვერც ერთი იმდროინდელი ქართული კულტურის კერა ვერ შეედრებოდა. მოსკოველმა ქართველებმა ფართოდ გაშალეს სამშობლოს საკეთილდღეო მოღვაწეობა ვრცელ იმპერიაში: ასტრახანს, ვლადიმირს, ნოვგოროდს, პეტერბურგს, ყიზლარსა და სხვაგან. აღნიშნულ ქალაქებში ჩამოყალიბებული ქართული კულტურის კერები, არსებითად, მოსკოვის ქართული კოლონიის განშტოებანია.

რუსეთში მცხოვრებ ქართველებს დიდი დამსახურება მიუძღვით მშობელი ხალხის წინაშე სამწერლო, სამეცნიერო, საგამომცემლო, საგანმანათლებლო მოღვაწეობით. მათ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია, მრავალმხრივი, ხანგრძლივი მასშტაბური კვლევა-ძიებით გამოკვეთილი ახალი სამეცნიერო მიმართულება კავკასიათმცოდნეობა და, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი — ქართველთმცოდნეობა.

ორიენტალისტიკის ამ დარგის განვითარებით ქართველმა სწავლულებმა სახელმძღვანელოები მოუშაადეს აღმოსავლეთით ცხოვლად დაინტერესებულ ევროპული ქვეყნების, კერძოდ, რუსეთის სწავლულებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს.

ევროპელი მეცნიერები სწორად მიუთითებდნენ კავკასიათმცოდნეობის დაწინაურებაზე რუსეთში. ეს, ძირითადად, ქართველ სწავლულთა და სახელმწიფო მოღვაწეთა დამსახურება იყო.

როგორ ღრმავდებოდა საქართველო-რუსეთის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა მოსკოველ ქართველთა მიზანმიმართული, მრავალმხრივი მოღვაწეობით, როგორ ვითარდებოდა მოსკოველი ქართველი სწავლულების რუს და სხვა მეცნიერებთან თანამშრომლობა, რა როლს ასრულებდა ეს ახალშენი ქართული კულტურის გამდიდრებაში, რუს, გერმანელ, ფრანგ, შვედ და ქართველ ხალხთა დაახლოებაში, ამ საკითხების მეცნიერულ წარმოჩენას ესწრაფვის ეს გამოკვლევა.

რუსეთს მყოფ ქართველ მოღვაწეთა მდიდარი მემკვიდრეობა დიდი ხანია იტყვის ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპელ მეცნიერთა ყურადღებას. მათ ნარკვევებსა და პუბლიკაციებში მრავალ ღირებულ ფაქტს იპოვის თანამედროვე მკვლევარი.

მოსკოვში მცხოვრებ მეფე არჩილს, ალექსანდრე ბატონიშვილს, ვახტანგ VI, მეფე ბაქარს, გიორგი და ვახუშტი ბატონიშვილებს, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ უცხოელ მეცნიერებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

პოლანდიელი მეცნიერის ნ. ვიტსენის შრომაში მოცემულია საინტერესო ცნობები მის თანამედროვე რუსეთს მყოფ გამოჩენილ ქარ-

თველ მოღვაწეებზე. აღმოსავლეთით დაინტერესებულმა მკვლევარმა შეკრიბა მდიდარი ქართველ-ოლოგიურ-კავკასიოლოგიური მასალა (გეოგრაფიული, ლინგვისტური, ისტორიული)?

საყურადღებოა შვედი მეცნიერის ი.-გ. შპარვენფელდის ჩანაწერები, რომელიც ძირითადად მეფე არჩილს, ალექსანდრე ბატონიშვილსა და მათ ოჯახებს შეეხება³.

ქართველ და გერმანელ მეცნიერთა ნაყოფიერი ურთიერთობა ასახულია გ. მესერშმიდტის⁴, გ. კერისა⁵ და სხვათა შრომებში.

მეფე ბაქარზე, იმდროინდელი ქართული კარტოგრაფიის განვითარებაზე მნიშვნელოვან ცნობა-ჩვენებებს გვაწვდის ფრანგი მეცნიერი ი. დელილინ⁶.

მოსკოვს მყოფ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება-შემოქმედების ცალკეულ საკითხებს ეხებიან ბატონიშვილები: დავითი, თეიმურაზი, იოანე. მათ ხელი შეუწყეს წინაპრების მიერ რუსეთში შექმნილი; თარგმნილი თუ გადაწერილი ძეგლების დაცვას, გამრავლებასა და პოპულარიზაციას. ქართველ ბატონიშვილებს ამ საქმეში ჩაბმული ჰყავდათ მათ კარზე მყოფი მწიგნობრები, კალიგრაფები, მხატვრები.

მიტროპოლიტ ვარლამისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა დახმარებით შეკრებილი მასალები გამოაქვეყნა ე. ბოლხოვიტინოვმა⁷. ეს რუსი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი საინტერესო ცნობებს იძლევა მოსკოვში „დაბადების“ დაბეჭდვასა და ა. შ.

³ N. W i t z e n. Nord en Ost Tartarje. ამსტერჰამი, 1692.

⁴ G. W. I a c o b o w s k j. I.—G. Sparwenfeld. Stokholm, 1932.

⁵ ფრ. სიხარულიძე. მეცნიერული კავკასიოლოგიის სათავეებთან. მეცნიერება და ტექნიკა. 1979, № 4, გვ. 36—38.

⁶ იხ. Neue zeitungen Gelernten Sachen des lahrs. Leipzig MDCC XXVII. S. 857—859. ფრ. სიხარულიძე. გ. კერის კავკასიოლოგიური შექველდრობა. მეცნიერება და ტექნიკა. 1987, № 5; გვ. 48—51.

⁷ I. N. De L' i s l e. Avertissement sur la Carte générale de la Géorgie et la Arménie. Paris. 1766. Пр. С и х а р у л и д з е. Карты Кахетского царства в Географическом департаменте.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯანუშტის სახელობის გეოგრ. ინსტიტუტი, მთიან მხარეთა სისტემური კვლევის საქართველოს სამეცნიერო საბჭო, შემავაზებელი სამეცნიერო სესია მიძღვნილი დიდ სამამულო ომში ვაჰარცხებიან 40 წლისთავისადმი. მუშაობის გეგმა და თეზისები, 1985 წლის 6—7 მაისი, გვ. 71—72.

⁸ Э. Болховитинов. Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном состоянии. СПб, 1802.

თეიმურაზ ბატონიშვილთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან თანამშრომლობით მრავალი ნარკვევი და პუბლიკაცია მოამზადა ფრანგმა ორიენტალისტმა მარი ბროსემ.

აკადემიკოს მ. ბროსეს მოხსენებებმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში დიდად შეუწყეს ხელი ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

ამ დიდად ნაყოფიერი მეცნიერის გამოკვლევებმა ვახუშტი ბატონიშვილსა და რუსეთში მოღვაწე სხვა ქართველ სწავლულთა შესახებ, წინ წასწიეს მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის შესწავლის საქმე.

მ. ბროსეს მიერ ფრანგულ, რუსულ, ქართულ ენებზე მომზადებულმა ქართულ ძეგლთა და დოკუმენტთა პუბლიკაციებმა⁸ მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ევროპულ ქართველოლოგია-კავკასიოლოგიას.

მოსკოველ ქართველთა კულტურულ, სამეცნიერო, პოლიტიკურ, სამხედრო მოღვაწეობაზე მრავალ საინტერესო ფაქტს ვპოულობთ ნ. გოლოვინის, ლ. მაქსიმოვიჩის, ი. ზაბელინის, ნ. ნოვიკოვის, ს. სოლოვიოვის, პ. ბუტკოვის, მ. პლოხინსკის, ნ. უსტრიალოვის, თ. ტოკმაკოვისა და სხვა რუს ისტორიკოსთა, მხარეთმცოდნეთა და განმანათლებელთა შრომებში, პუბლიკაციებში, მეგზურებში⁹.

რევოლუციამდელ პერიოდში არჩილ II-ის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ვახტანგ VI-ის, იოსებ სამებელის, ვახუშტი ბატონიშვილის, დავით გურამიშვილისა და სხვა მოღვაწეთა შემოქმედების კვლევაში წვლილი შეიტანეს ქართველმა ისტორიკოსებმა: დ. ბაქრაძემ, ე. თაყაიშვილმა, თ. ყორღანიამ, პ. უმიკაშვილმა, ა. ცაგარელმა, მ. ჯანაშვილმა, ალ. ხახანაშვილმა, ბ. ესაძემ, კ. თათარიშვილმა, ს. კაკაბაძემ, პ. ყვიცარიძემ და სხვებმა.

მოსკოვის ქართული ახალშენის ღრმამეცნიერული შესწავლა ჩვენს დროში დაიწყო.

რუსეთში ქართველთა ნაყოფიერი მოღვაწეობის მნიშვნელობის გათვალისწინებით ცალკეული ემიგრანტი მწერლისა და მეცნიერის ცხოვრება-შემოქმედების შესწავლა 30-იან წლებში გამოცოცხლდა¹⁰.

⁸ ევროპელთათვის საქართველოს გასაცნობად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახუშტის ძირითადი შრომის ბროსესეულ გამოცემებს: Description géographique de la Georgie par le tsarevitch Wakoucht. SPB. 1842.

⁹ დასახელებულ და სხვა მკვლევართა ცალკეულ ნაშრომებს ჩვენს გამოკვლევაში ვიმოწმებთ შესაბამის ადგილზე.

¹⁰ არჩილიანი. ალ. პარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. I, თბ., 1936. ტ. II, თბ., 1937. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941.

40-იანი წლების დამდეგს მოსკოვის ქართული ახალშენის შეფასება მოგვცა ნ. ბერძენიშვილმა¹¹.

იმავე დროს, მოსკოვის ქართულმა კოლონიამ ფართო საზოგადოებოს ყურადღება მიიქცია. ქართველთა ამ დასახლებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ვლ. ტატიშვილის წიგნში „ქართველები მოსკოვში“, რომელიც პირველად მოსკოვის იუბილეს წინ გამოიცა¹². ამ მხატვრულ ნარკვევს ისეთი მნიშვნელობა არ აქვს, რასაც ზოგჯერ მას მიაწერენ.

საფიქრებელი იყო, რომ მოსკოვის კოლონიის მნიშვნელობას ავტორი ღრმად გააშუქებდა 1953 წელს დაბეჭდილ წერილში¹³, მაგრამ ეს ვეღარ მოუხერხებია.

მოსკოვის ქართულ ახალშენზე 40-იანი წლების დამდეგს გამოთქმული შეხედულებანი ნ. ბერძენიშვილმა, შემდგომ, განავითარა 1953 წელს¹⁴ და ამით ქართული ისტორიოგრაფია თემის მონოგრაფიული შესწავლის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ზოგიერთი მომენტის წარმოჩენა სცადა გ. პაპავამ წერილში: „ქართველების დასახლება რუსეთსა და უკრაინაში (XVIII ს.)“, რომელიც 1957 წელს დაიბეჭდა¹⁵.

მკვლევარმა სწორად დაუკავშირა მოსკოველ ქართველთა უძრავი საკუთრების გაჩენა არჩილ მეფესა და ალექსანდრე ბატონიშვილს¹⁶. თუმცა ვერ განსაზღვრა მოსკოვში ქართველთა ახალშენის ჩამოყალიბების თარიღი. მიუღებელია ამ კერასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხის ავტორისეული ინტერპრეტაცია¹⁷.

¹¹ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავჭავაძის, ს. ჭანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1946.

¹² ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში. თბ., 1959.

¹³ История Москвы. т. II, Период феодализма. XVIII в., М., 1953, с. 164—166.

¹⁴ Н. А. Бердзенишвили. Путеводитель к выставке „Грузинская колония в Москве.“ Момხილველი ტ. III, 1953, 221—285.

¹⁵ გ. პაპავა. ქართველების დასახლება რუსეთსა და უკრაინაში (XVIII ს.) ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომათა ტ. III, 1957.

¹⁶ იქვე, გვ. 118.

¹⁷ იქვე, გვ. 119—120.

XVII საუკუნის II ნახევარში რუსეთის დედაქალაქში ქართველების ჩასვლა-დასახლებას შეეხო ლ. შეპელიოვა¹⁸. ის ნარატიული წყაროები, რომელსაც ავტორი ემყარება, სრულყოფილ სურათს არ იძლევა. მკვლევარი ახალშენის რაობაში ვერ იჩენს გარკვეულობას და ვერც მისი ჩამოყალიბების თარიღს მიუთითებს მართებულად.

მოსკოვის კულტურის კერის მოღვაწეთა საგამომცემლო საქმიანობაში შიიპყრო შვედი ბიბლიოთეკრის კ. ბიორკომის ყურადღება. სტოკჰოლმში აღმოჩენილი ქართული ნაბეჭდი პროდუქციით დაინტერესებული ეს შვედი მკვლევარი თბილისში დაუკავშირდა მკვლევარ ქრ. შარაშიძეს. მიმოწერისა და შვედი ბიბლიოთეკრის ნაშრომის ქართულად თარგმნილი რეზიუმეს საშუალებით ქრ. შარაშიძემ გამოაქვეყნა წერილი ქართული შრიფტის შესახებ¹⁹.

ჩვენ ქართულად გამოვეცით ს. ბიორკომის ნაშრომი და ვავარკვეით მის შექმნასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც²⁰.

უცხოეთში ქართული წიგნის გამოცემას ეძღვნება ა. აბრამიშვილის ნაშრომიც, რომელიც 1960 წელს გამოქვეყნდა²¹.

მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა სამწერლო მთარგმნელობითი მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ტრ. რუხაძის წიგნში: „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XV—XVIII სს.)“.

ნაშრომში აღძრულ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ავტორისეულ მოსაზრებათა დიდი ნაწილი, წყაროების გულდასმით შესწავლის შედეგად, არ მტკიცდება²².

¹⁸ Л. С. Шепелёва. К вопросу о истоках грузинской драматургии XVII века. Из истории русско-грузинских культурных связей Автореферат. Л. 1955.

¹⁹ ქრ. შარაშიძე. ქართული შრიფტი ამსტერდამში. კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები. ტ. III. 1937.

²⁰ ფრ. სიხარულიძე. დოკუმენტები საქართველო-შვედეთის ურთიერთობის ისტორიისათვის. კრებ. „მეგობრობა“, ტ. II, 1960, გვ. 275—323.

²¹ А. З. Абрамишвили. Из истории Грузинского книгопечатания за пределами Грузии. Книга. Исследования и материалы. сб. III, М., 1960, с. 268—274.

²² ტრ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVII სს.). თბ., 1960. წიგნში დახასიათებულ ძეგლებს ჩვენ შევეხებით ცალკეული საკითხების განხილვის დროს.

ავტორის ზოგიერთი მოსაზრება თავის დროზე არც სამეცნიერო კრიტიკამ გაიზიარა²³.

მოსკოვის ქართული ახალშენის წარმოქმნისა და იქ გაწეული კულტურული მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხს შეეხო ლ. მენაბდე²⁴.

ავტორმა წარმატებით გამოიკვლია მოსკოვში შექმნილი არჩილის ორიგინალური ლექსები, კერძულ „არჩილიანის“ შედგენილობა. სამწუხაროდ, ასე არ ითქმის ახალშენის ისტორიულ თავგადასავალთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ახალი საარქივო მასალების გამოყენებით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მრავალ საკითხს შუქი მოჰფინა გ. პაიჭაძემ. მკვლევარი ადრევე დაინტერესებულა ქართული ახალშენის შექმნის საკითხით.

1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში გ. პაიჭაძემ მოსკოვის ქართული ახალშენის შექმნა სამართლიანად დაუკავშირა მეფე არჩილის სახელს²⁵.

მომდევნო ნაშრომში იმავე მკვლევარმა მიუთითა, რომ ახალშენის ჩამოყალიბება ქართველი მეფის მოსკოვში დამკვიდრებას უკავშირდება²⁶.

1967 წელს მან სპეციალური წერილი მიუძღვნა რუსეთში ქართული ახალშენების ჩამოყალიბების საკითხს²⁷.

23 ა. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ახალი ნაშრომი ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV, თბ., 1964, გვ. 348; ე. ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ტ. რ. რ უ ხ ა ძ ე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.). საქართველოა სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. V, თბ., 1966, გვ. 231—232.

24 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში). თსუ შრომები, 1963, № 96, გვ. 185—223.

25 Г. П а и ч а д з е. Исторические корни дружбы русского и грузинского народов. თსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული № 7, თბ., 1955, გვ. 66.

√ 26 გ. პ ა ი ჭ ა ძ ე. მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. მნათობი, № 10, 1956, გვ. 148.

27 Г. Г. П а и ч а д з е. К истории грузинской колонии в России. Литературная Грузия, № 8, 1968 с. 88—92.

მკვლევრის შეხედულებანი ამავე საკითხებზე გადმოცემულია სხვა შრომებშიც, მაგრამ მოსკოვის ქართულ ახალშენზე გ. პაიჭაძის კვლევის შედეგები დაბეჭდილია 1982 წელს გამოცემულ მის წიგნში²⁸.

დასახლებულ ნაშრომში მკვლევარი იყენებს სხვადასხვა წყაროს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრესნიაზე დასახლებულ ქართველთა სია²⁹.

იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული წიგნი ეძღვნება მოსკოვის ქართულ ახალშენს XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის I ნახევარში, გ. პაიჭაძე მასში იძლევა აყვავებული ქართული კულტურის კერის პერიოდიზაციას³⁰.

მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიასა და რუსეთში მოღვაწე ქართველებზე მრავალფეროვან დოკუმენტებს წარმატებით ეძიებს და აქვეყნებს ვ. მაჭარაძე.

მკვლევარმა ჯერ კიდევ 1958 წელს გამოცემულ ნაშრომში³¹ გააშუქა ქართული კოლონიის ისტორიის რამდენიმე საკითხი XVIII საუკუნის 50—60-იანი წლების მიჯნაზე.

ვ. მაჭარაძე ყურადღებას აქცევს ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასვლის შემდეგ ქართველთა ჩრდილო კავკასიაში, ასტრახანში, მოსკოვში, ემიგრაციის პროცესს, ახალი საარქივო მასალების გულდასმით შესწავლის საფუძველზე, მკვლევარმა შეიცნო კოლონიტთა საქართველოსთან დამოკიდებულების განწყობილება და დაპყრობის იმინი წყვებად.

ახლად გამოვლენილი დოკუმენტების საფუძველზე, მკვლევარი განზოგადოებს XVIII ს-ის 60—70-იანი წლების მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიის საკითხებს³².

ვ. მაჭარაძე დაინტერესებულია ალექსანდრე ბაქარის ძის, ვახუშტი და პაატა ბატონიშვილების პოლიტიკური მოღვაწეობით.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მრავალი საკითხი ქართველთა მოღვაწეობის რუსეთის საზოგადოებრივ-კულტურულ სარბიელზე

²⁸ Г. Г. Паицадзе. К истории грузинской колонии в Москве в XVII—XVIII веках. Тб., 1982.

²⁹ გ. პაიჭაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 48—56.

³⁰ იქვე, გვ. 16—18.

³¹ ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ., 1968, გვ. 138—142.

³² ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I, თბ., 1989.

გაშუქებულია ც. კალანდაძის წიგნებში³³. მოსკოვში ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობას ყურადღებას უთმობს თ. ტივაძე. რუსეთის ირანთან ურთიერთობის ფონდში მკვლევარმა საინტერესო დოკუმენტები გამოაგლინა და გამოაქვეყნა³⁴.

რუსეთში ქართველი მეცნიერების მოღვაწეობის საგულისხმო ფაქტები გაშუქებულია მ. ქიქოძისა და ქ. ჩხატარაიშვილის გამოკვლევებში³⁵.

წლების მანძილზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებს წარმატებით იკვლევს ჯ. ვათეიშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთის არქივების მოხილვის გზით, მკვლევარმა გააფართოვა და გაამდიდრა საკვლევი თემის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

ჯ. ვათეიშვილმა უცხოეთში გამოავლინა და გამოაქვეყნა უნიკალური დოკუმენტები. მათგან ამჟამად განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქართული შრიფტის შექმნასთან დაკავშირებული ალექსანდრე ბატონიშვილის მშობლებისადმი გაგზავნილი წერილი³⁶.

მკვლევარმა წვლილი შეიტანა „დაბადების“ პირველი (მოსკოვური) გამოცემის შესწავლაში³⁷, ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის კვლევაში³⁸.

მოსკოვის ქართული დასახლების ზოგიერთი საკითხი მიმოხილულია აბ. სურგულაძის წიგნში³⁹, ნ. ჯალღუგიშვილის შრომებში⁴⁰ და სხვ.

³³ Ц. П. К а л а н д а д з е. Участие грузин в культурной и политической жизни России, Тб. 1979, 1984.

³⁴ თ. ტ ი ვ ა ძ ე. რუსული ორიენტაციის გზით — მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიის მასალები (XVII ს-ის II ნახევარი), საისტორიო მოამბე, 1983 წ. № 47—48, გვ. 166—205.

³⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. თბ., 1973, გვ. 476—488

³⁶ ჯ. ვ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი. ამაგდარი მამულიშვილები. საბჭოთა ხელოვნება, 1973 წ. № 4, გვ. 58.

³⁷ ჯ. ვ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი. ნარკვევი ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიიდან. მნათობი, 1975, № 11, გვ. 186—187 მეცნიერული ჰეშმარტებისა და პაექროზის ეთიკის დასაცავად. ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ. 1978, გვ. 452—459. К изданию грузинской библии. Федоровское чтение, 1983, М., 1985.

³⁸ Д ж. В а т е й ш в и л и. Из истории грузинско-русского научного и культурного сотрудничества в XVIII веке. Мацне. Серия истории... 1975, № 4. с. 62—73.

³⁹ აბ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ეამს მოყვარე მოყვარისათვის. ბათუმი, 1983.

⁴⁰ ნ. ჯ ა ლ დ უ გ ი შ ვ ი ლ ი. ვახტანგ VI ემიგრაცია მოსკოვს, ქართული კოლონია. ხიმთო ქიშია, 1983 წ. 20 ივლისი.

მოსკოვის ქართული ახალშენის მონოგრაფიულად შესწავლის ამოცანა ნ. ბერძენიშვილმა დააყენა.

აღნიშნული დასახლების კვლევის მთავარი პირობაა ჩვენში და უცხოეთში დატული მრავალფეროვანი დოკუმენტებისა და ხელნაწერი მასალების მოპოვება-გაანალიზება.

დოკუმენტებისა და მასალების სიმდიდრის მხრივ მოსკოვის ქართული ახალშენი ბედნიერ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. უცხოეთში არსებულ ქართულ ახალშენთა შორის მოსკოვის ქართული დასახლების ისტორიისა და კულტურული საქმიანობის წარმოსაჩენად მრავალნაირი წყაროს გამოყენება შეიძლება. მრავალფეროვანი საარქივო დოკუმენტების, ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების, ნარატიული წყაროების გვერდით მნიშვნელოვან ცნობა-ჩვენებებს შეიცავს ტოპონომიკა, ეთნოგრაფიკული, მატერიალური კულტურის ძეგლები, მასთან დაკავშირებული წერილობითი საბუთები და სხვა მასალა.

ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე არსებული დოკუმენტების, ხელნაწერი მასალების, ექსპონატების, მატერიალური კულტურის მიწისზედა ძეგლებს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების, მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა-გადამუშავების საფუძველზე შემუშავებული გეგმის მიხედვით შევუდგეთ მოსკოვში არსებული ქართული კულტურის დიდი კერის ისტორიისა და იქ გაწეული სამწერლო, სამეცნიერო, საგამომცემლო, საგანმანათლებლო და სხვა მოღვაწეობის შესწავლას.

მუშაობა თანდათან ფართოვდებოდა მოსკოვის ქართული კულტურის კერისადმი, რუსეთში მცხოვრები დიდი ქართველი მოღვაწეებისადმი სამეცნიერო წრეების, საზოგადოების ცხოველ ინტერესთა შეუნელებელი ზრდის გამო.

სამეცნიერო დაწესებულებათა დადგენილებების შესასრულებლად, საზოგადოების სულიერ მოთხოვნათა საპასუხოდ გზადაგზა გვიხდებოდა საძიებო არეალის გაფართოება, საარქივო, სამუზეუმო და სხვა კვლევის გაღრმავება.

სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელების დახმარებით, ქართველ, რუს და სხვა საზოგადოების მხარდაჭერით საშუალება მოგვეცა შეგვესწავლა მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში არსებული სახელმწიფო არქივებისა და მუზეუმების მდიდარი ფონდები, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, სასწავლებლებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან არსებული საცავების მასალები.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მოვიხილეთ მოსკოვის ქართული ახალშენის რუსეთში არსებული თითქმის ყველა განშტოება (ასტრახანი, მოსკოვი, მირაგოროდი, ყიზლარი, კალუგა, სარანსკი, ტულა, ჩებოქსარი, ყაზანი და ა. შ.). საჭირო დოკუმენტებისა და ექსპონატთა აღების მისაღებად დავეუკავშარდით უცხოეთის სიძველეთა საცავების ხელმძღვანელებს, უცხოელ მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს.

მიზანმიმართულმა მრავალმხრივმა, სანგრძლივმა მუშაობამ შედეგებიც მოგვცა.

კვლევის შედეგების ერთ ნაწილს გზადაგზა ვაქვეყნებდით ქართულსა და რუსულ პრესაში, ჟურნალებში, სამეცნიერო კრებულებში, მოხსენებებით ვაცნობდით საკავშირო და რესპუბლიკური კონგრესების მონაწილეებს⁴¹, იბეჭდებოდა ცალკე გამოცემებად.

მოსკოვის ქართულ ახალშენზე მდიდარი წყაროები მოგვეპოვება. აღნიშნულ ახალშენთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მიმოწერის გამოცემა ადრე დაიწყო.

1692 წელს გამოქვეყნდა არჩილის წერილი ნ. ვიტსენისადმი⁴². რამდენიმე საარქივო დოკუმენტი დაბეჭდა ნ. ნოვიკოვმა⁴³. არჩილის

⁴¹ ფ. რ. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე. ქართული მესტამბეები რუსეთს. დროშა, 1978, № 10, გვ. 17; მეცნიერული კავისიოლოგიის სათავეებთან. მეცნიერება და ტექნიკა, 1979, № 4, გვ. 36—38; საქართველო-რუსეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის I ნახევარში. კრებ. მეგობრობა. ტ. 2. თბ. 1979, გვ. 44—56; ბაქარის ნაპირსახელევი. საბჭოთა ხელოვნება. 1980, № 8, გვ. 88—93, დონის შონასტრის სულთა მატინე, საბჭოთა ხელოვნება, 1981, № 12, გვ. 79—82. საქართველო-რუსეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, მეგობრობა, ტ. II, 1981; У истоков. Вечерний Тбилиси, 18 мая, 1982 г.; სეპტენწკა—ქართული კულტურის კერა. ცისკარი, 1982, № 6, გვ. 123—129; პრესნია-ქართველთა უბანი. მნათობი, 1983, № 7, გვ. 129—135. ვახუშტი ბაგრატიონის ბიოგრაფიისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. I, 1983; სიჩაუქე. შემართება, ვაჟაყობა. სახალხო განათლება, 1984 წლის 14 ნოემბერი, გვ. 4.

Грузинская первопечатная книга, Литературная Грузия, 1985, № 4, с. 200—205; Грузины в Новгороде. Сб. Новгородский край. Л. 1984;

მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან. თბ., 1989; ვახუშტი ბაგრატიონი. ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1990; Царевич Вахушти—патриот и ученый. Литературная Грузия, 1990, № 12, с. 145—154 და სხვ.

⁴² N. Witzener. Nerd en Oost Tartarje. ამსტერდამი, 1692, გვ. 327.

⁴³ Н. Новиков. Древняя Российская вивлиоика. Часть V, СПб 1788. с. 195—251 ч. х, СПб, 1775, с. 337—352.

ანდერძზე პირველმა მიუთითა გ. ჰალემმა⁴⁴, ხოლო ანდერძის ტექსტი გამოსცა პ. ბუტკოვმა⁴⁵. არჩილის 13 წერილი გამოაქვეყნა ნ. გოლოვინმა⁴⁶.

ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტების ნაწილი შესულია დოკუმენტებისა და აღწერილობების შემდეგ სერიაებში: „Полное собрание законов Российской империи“, „Описание документов и дел, хранящихся в архиве святейшего правительствующего Синода“, Сборник исторического общества“, არქეოგრაფიული კომისიის კრებულებში და ა. შ.

საინტერესო ცნობებს ვხვდებით რუსეთის ხელმწიფეებისადმი ქართველი მეფეების წერილებში, რომელიც მ. ბროსემ გამოაქვეყნა⁴⁷.

გასულ საუკუნეში რუსმა მხარეთმცოდნეებმა და ისტორიკოსებმა ერთგვარი წვლილი შეიტანეს მოსკოველ ქართველთა მამულების და პანთეონების შესწავლის საქმეში. თავიანთი მიმოხილვა მათ ააგეს დოკუმენტებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია: ლ. მაქსიმოვიჩის, ი. ტოკმაკოვის⁴⁸, ი. ზაბელინის⁴⁹ გზამკვლევები.

ლონის მონასტრის წარწერების ფოტოები დაბეჭდილია ბ. ესაძის „Летопись Грузии“-ში, რომელიც 1913 წელს გამოიცა.

მოსკოვის ქართულ ახალშენის ისტორიისათვის საკირო წყაროებისა და დოკუმენტების გამოცემის საქმეში გარდატეხა უკანასკნელ წლებში მოხდა. ეს დიდი საქმე უკავშირდება: ვ. მაქარაძის⁵⁰, გ. პაიჭა-

⁴⁴ Жизнь Петра Великого. Описанная Г. Галлемом. Часть III. СПб. 1813, с. 9.

⁴⁵ П. Бутков. О духовном завещании имеретинского царя Арчила. Северный архив. 1824, декабрь, №№ 23—24, с. 203—213.

⁴⁶ Н. Головин. Письма имеритского царя Арчила Ф. А. Головину, Раут на 1852, М., 1852, с. 320—314.

⁴⁷ Перелиска на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639—1770 гг. СПб, 1898.

⁴⁸ И. Ф. Токмаков. Историко-статистическое и археологическое описание села Всехсвятского Московской губернии и уезда. М., 1898.

⁴⁹ И. Забелли. Историческое описание Московского ставропигиального Донского монастыря. М., 1893.

⁵⁰ დასახ. ნაშრომი.

ძის⁵¹, ვ. გამრეკელის⁵², ჯ. ვათეიშვილის⁵³, ნ. ტარსაიძის⁵⁴, დ. ლომიძის⁵⁵, ლ. ძოწენიძის⁵⁶, ვ. სილოგავასა⁵⁷ და სხვათა სახელებს.

ქართულ, რუსულ, უცხოურ ენებზე არსებული დოკუმენტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. გამოსაცემია დონის მონასტერში სარესტავრაციო სამუშაოების და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული საინტერესო მასალები.

მოსკოვის ქართულ ახალშენს უკავშირდება ის გამოკვლევები, რომლებიც რუსეთში მყოფ ცალკეულ ქართველ მოღვაწეებზე გამოაქვეყნეს ფილოლოგებმა, ისტორიკოსებმა, გეოგრაფებმა, მეცნიერების ისტორიის მკვლევრებმა და სხვ.

ამ მხრივ აღსანიშნავია ლ. მარუაშვილის მრავალწლოვანი ნაყოფიერი კვლევის შედეგად შექმნილი ნარკვევები ვახუშტი ბატონიშვილზე⁵⁸; კ. ხარაძის⁵⁹ წერილები.

⁵¹ Материалы по истории русско-грузинских отношений. Документы к печати подготовил, предисловиями, комментариями снабдил Г. Г. Пайчадзе, т. I, Тб., 1974, т. II, 1979, т. III, 1983.

⁵² Г а м р е к е л и В. Документы по взаимоотношению Грузии с Северным Кавказом, Тб., 1968.

⁵³ Дж. В а т е н ш в и л и. Из истории грузинско-русского научного и культурного сотрудничества, „ზაცე“, 1975, № 4, с. 68—73; Грузинские оттиски из Амстердама. Литературная Грузия, 1981, № 4, с. 170—178.

⁵⁴ Н. Г. Т а р с а и д з е. Исторические этюды, Тб., 1972; Материалы по истории поселения грузин в России, Тб., 1981.

⁵⁵ დ. ლომიძე. ვ. ამილახორის პოლიტიკური მოღვაწეობის დოკუმენტები. საისტორიო შრომები, 1984, № 49—50; გვ. 227—241.; XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. მრავალთავი XIII, თბ., 1986, გვ. 26—49.

⁵⁶ ლ. ძოწენიძე, ანტონ კათალიკოსის წერილები. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები IV, თბ., 1973, გვ. 62—89.

⁵⁷ ვ. სილოგავა. მასალები მოსკოვის ქართული დასახლების ისტორიისათვის. დონის მონასტრის ორენოვანი ეპიტაფიები. მატე, ისტორიის სერია, 1983, № 3, გვ. 162—179.

⁵⁸ ლ. მარუაშვილი. მე-18 საუკუნის ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები. თბ., 1956; Вахушти Багратиони, его предшественники и современники. М. 1956.

⁵⁹ კ. ხარაძე, ვახუშტის მიერ თარგმნილ გეოგრაფიულ შრომათა წყაროების დადგენისათვის. მატე. ისტორიის... სერია, 1977, № 4, გვ. 131—136. 1981 წლის

ისტორიკოსმა ნ. ნაკაშიძემ რუსულად თარგმნა, შესავალი წერილითა და კომენტარებით გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“⁶⁰.

მ. გონიკიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი რუსეთში მოღვაწე ბაგრატიონებზე⁶¹. ავტორს საინტერესო ცნობები მოეპოვება მეფე ბაქარის, გიორგი ბატონიშვილისა და სხვათა მოღვაწეობაზე.

კავკასიის მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხები განხილულია ა. შაფხელიშვილის შრომებში⁶².

მნიშვნელოვანია ქართველი ფილოლოგების დ. ბრეგაძის⁶³, ს. ცაიშვილის⁶⁴, რ. ბარამიძის⁶⁵, ნ. მახათაძის⁶⁶, ლ. ძოწენიძის⁶⁷, ნ. ნალიბაძის, მ. ქავთარიას⁶⁸, რ. ნაკაშიძის, გ. შარაძის, ს. ყუბანეიშვილის, ბ. დარჩიასა⁶⁹ და სხვათა ნაშრომები მოსკოვში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებზე.

ნაცოფიერად იშრომეს მეცნიერების ისტორიის მკვლევრებმა. ამ მხრივ, აღსანიშნავია რ. ჩაგუნავას⁷⁰, ნ. ნევსკაიას⁷¹, თ. ენუქიძის,

მსოფლიო ატლასის ქართული მინაწერები. მაცნე. ისტორიის ... სერია. 1986, № 3, გვ. 87—92

⁶⁰ Н. Накашидзе. Вахушти Багратиони. Описание царства грузинского, Тб., 1973.

⁶¹ მ. გონიკიშვილი. ბაგრატიონები რუსეთში. თბ., 1987 წ.

⁶² А. Шавхелишвили. Из истории горцев Восточной Грузии. Тб., 1983.

⁶³ ქართველი მწერლები რუსეთში. თბ., 1958. ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში. თბ., 1973; მეგობრობის მეკვლე, თბ., 1986.

⁶⁴ ს. ცაიშვილი. დავით გურამიშვილი, თბ., 1986, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1984, წინამორბედნი და თანამედროვენი. თბ., 1986.

⁶⁵ რ. ბარამიძე. არჩილ ბაგრატიონი. თბ., 1983.

⁶⁶ ნ. მახათაძე. მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან (ბაქარ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა) ლიტერატურული ძიებანი. 3, 1989, გვ. 334—370.

⁶⁷ ლ. ძოწენიძე. რუსული „აპოთეგმატას“ ქართული რედაქციები. თბ., 1959.

⁶⁸ მ. ქავთარია. XVIII საუკუნის ქართული სიზოგადობრივი აზრის ისტორიიდან. თბ., 1977.

⁶⁹ ბ. დარჩია. ეხსტანგ მეექვსის პოეტური სამყარო. თბ., 1988.

⁷⁰ Р. В. Чагунава. Вахтанг Багратиони и его труд по химии, Тб., 1984. ეხსტანგ ბაგრატიონის სამეცნიერო მოღვაწეობა. თბ., 1988.

⁷¹ Н. И. Невская я. Петербургская астрономическая школа. XVIII в. Л. 1984.

ვ. კოკოჩაშვილის⁷², მ. შენგელიას⁷³, მ. გიორგობიანის და სხვათა ღვაწლი.

ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის, რუსეთში ქართულ დასახლებათა აღმოცენების ისტორიის შესწავლისა და პროპაგანდისადმი უკანასკნელ წლებში გამოჩენილი ყურადღების შედეგად მოსკოვში ქართველთა ძველ დასახლებაში შეიქმნა მუზეუმი.

ხანგრძლივი დრო შეიწირა აღნიშნული მუზეუმისათვის საჭირო ექსპონატების ძიებამ, საექსპოზიციო გეგმის შედგენამ, გამოფენის გამართვამ.

საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დონის მონასტერში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში სარესტავრაციო სამუშაოებისა და არქეოლოგიური თხრების დაწყებამ.

მოსკოვში აღორძინებული ქართული კულტურის ცენტრის (მუზეუმი, „მზიური“, „ძალისა“, ქართველთა სათვისტომო, სალოცავი) პროპაგანდისათვის ისტორიკოსებთან და ფილოლოგებთან ერთად ენერგიულად იღვაწეს მწერლებმა და ჟურნალისტებმა: ბ. ანდრონიკაშვილმა, კ. აბრამიამ, ფ. დანელიამ, მ. კეკელიძემ, თ. მამალაძემ, ე. მალრაძემ, დ. მაკავარიანმა, გ. მერკვილიშვილმა, გ. პაპუაშვილმა, ვლ. ტატიშვილმა, თ. ქიქავამ, რ. ხანთაძემ ნ. შენგელიამ, ვ. წერეთელმა და სხვებმა.

ვალში არც ხელოვნების მუშაკები დარჩენილან. მათ შექმნეს ფილმები: „დ. გურამიშვილი“, „ვახტანგ VI“, „გზა“ და სხვ. კინოფირზე აღიბეჭდა სახლ-მემორიალში მოწყობილი გამოფენა, დონის მონასტერში მიმდინარე სამუშაოები; მრავალი ტილო, ჰედურობის ნიმუში მიეძღვნა მოსკოვის ქართველ მოღვაწეებს.



დიდი ხანია იგრძნობა რუსეთში არსებული ქართული კულტურის ამ მძლავრ კერაზე მონოგრაფიის საჭიროება. ეს ნაშრომი ამ მოთხოვნით შესრულებული ასეთი გამოკვლევის ერთი ნაწილია. იგი დაფუძნებულია რუსულ, ქართულ და უცხოურ საარქივო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე. მასში მცირე ნაწილს

⁷² ვ ა ხ ტ ა ნ გ VI. წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, კომენტარი, ტერმინთა სიძიებლები და ლექსიკონი დაურთეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა. თბ., 1981.

⁷³ მ. შენგელია. ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბ., 1983.

როდი შეადგენს ჩვენგან პირველად მიკვლეული და მეცნიერებაში შემოტანილი დოკუმენტები, ხელნაწერი (ნათარგმნი თუ ორიგინალური) ძეგლები, ექსპონატები, რუსეთში არსებული ქართული სტამბების სხვადასხვა პროდუქცია და ა. შ.

ასეთი გამოკვლევის მომზადებისას, ახალი ფაქტების დადგენასთან ერთად, ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო რუსეთში მყოფ ქართველთა მიზნების გარკვევა, იმ ფაქტორების შეცნობა, რომელიც სტიმულს აძლევდა მათ სამშობლოდან შორს ღრმა და ფართო შემოქმედებითი მოღვაწეობისას.

არ შეიძლება მადლობით არ მოვიხსენიოთ ასტრახანის, ნიჟნი ნოვგოროდის, ვლადიმირის, ნოვგოროდის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალების, საოლქო არქივებისა და საჯარო ბიბლიოთეკების, სსრ კავშირის სახელმწიფო საისტორიო, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო, გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმების, სახელმწიფო ერმიტაჟის, სსრ კავშირის ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და არქეოლოგიის ინსტიტუტების, ძველ საბუთთა ცენტრალური სახელმწიფო, რუსეთის საგარეო პოლიტიკის, სსრ კავშირის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო საოლქო, საქართველოს ცენტრალური საისტორიო და სხვა არქივების, აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, ი. სეჩენის სახელობის უნგრეთის ეროვნული, ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის, მ. ვ.სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო საჯარო, მოლდავეთის, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკების, აგრეთვე სხვა სიძველეთ-საცაეების ხელმძღვანელები და თანამშრომლები, რომელთა გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება მუშაობისას გვაძლევდა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII
საუკუნეში და მოსკოვში ქართული ახალშენის
ჩამოყალიბება

§ 1. საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა XVII ს-ის 30—70-იან წლებში

რუსეთისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მანძილზე ორივე ქვეყნის საერთაშორისო პოზიციები და საშინაო მდგომარეობა თანდათანობით მნიშვნელოვნად შეიცვალა.

XV საუკუნიდან მოყოლებული მოსკოვის სახელმწიფოს აღმავლობა დაეტყო, ხოლო პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. ქვეყნის პროგრესული ნაწილი დასავლეთსა და ჩრდილოეთში ეძებდა მოკავშირეს. მას შემდეგ კი, რაც მოსკოვი „მესამე რომად“ გამოცხადდა, ჩრდილოეთმა მეტი მიმზიდველობა შეიძინა და მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკაც თავისებური გახდა.

ასეთ ვითარებაში ამ ქვეყნების თანამშრომლობის ახალი პერიოდი დაიწყო¹, რაც მალე დიპლომატიური და სამხედრო კავშირით დაგვირგვინდა (XVI ს-ის 80-იანი წლები).

XVI საუკუნეში გაითვალისწინეს ერთმორწმუნე კახეთის მნიშვნელობა რუსეთთან ურთიერთობაში მყოფ სახელმწიფოთა შორის და სახელმწიფო კარის დიპლომატიურ განრიგებაში განსაზღვრეს კახეთის სამეფოს ადგილი, ჩამოყალიბდა მოსკოვში ჩასულ ქართველ ელჩთა

¹ С. Белокуров. Сношения России с Кавказом т. I., М., 1889, с. 150—160; Б. Б е р д и е в и л и. Рუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. IV, თბ., 1967, გვ. 10—28; ი. ც ი ნ ც ა ძ ე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.). თბ., 1956, გვ. 293.

საზეიმო ეტაპობრივი შეხვედრის, აუდიენციის, სკამზე ჯდომის („ლიტვის ელჩების მსგავსად“) წესი თუ გამოთხოვების შესაფერისი ცერემონიალი. საზეიმო მიღების, დარბაზობის, გასტუმრების წესთა სტაბილურობა, რუსეთის მხრივ საპასუხო დიპლომატიური თუ სამხედრო აქტიურობა ამ ერთმორწმუნე სახელმწიფოთა აღნიშნულ კავშირს მამავალ გეგმებს უსახავდა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის განვითარება XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე დიდად შეაფერხა ირანმა. ძეგამის ტრაგედიის შემდეგ შეწყდა კახეთ-რუსეთის ურთიერთობა. მალე რუსეთში ინტერვენცია დაიწყო. გამარჯვების შემდეგ ქვეყნის სათავეში მიხეილ რომანოვის ჩადგომით საფუძველი ჩაეყარა ახალ დინასტიას.

საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად იქცა ახალ ხელმწიფესთან კახეთის მფარველობა-ხელდებულების აღდგენილი კავშირი.

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის თეიმურაზ I-ის 1639 წლის 23 აპრილს საზეიმოდ ხელმოწერილი საფიცრის წიგნი² და მის საფუძველზე გაცემული ოქროს ბეჭედდასმული რუსხელმწიფის წყალობის სიგელი განხდა კახეთ-რუსეთის მომავალი მრავალმხრივი ურთიერთობის იურიდიული საფუძველი.

სამშობლოს გაერთიანებისათვის დაუღალავად მებრძოლი თეიმურაზ I მხურვალედ ესწრაფოდა შეექმნა რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირი, რომელზედაც დაყრდნობით ქართველ მეფეს დიდი ამოცანების გადაჭრა სურდა.


იმ პოლიტიკურ სვლებს შორის, რომელიც კახეთის სამეფო კარმა მფარველობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ რუსეთთან დამოკიდებულებაში განახორციელა, უპირველესად აღსანიშნავია, რუსეთში მცხოვრებ ქართველების სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნა, რაც თეიმურაზ I-მა ელჩ მიტროპოლიტ ნიკიფორეს პირით წაუყენა რუსეთის სახელმწიფო კარს.

ქართველთა კოლონიზაცია იმ დროს რუსეთში საკმაოდ ფართო იყო. რუსულენოვანი საარქივო დოკუმენტების მოწმობით, ქართველები იმხანად ცხოვრობდნენ: ასტრახანში, მოსკოვში, ყაზანსა და სხვაგან³.

² М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, Тбилиси, 1937, с. 369; Н. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тб., 1968, с. 122.

³ ЦГАДА Ф. 110, 1640 г. кн. 3. Л. с. 631—633.

საინტერესოა, რომ რუსეთში მყოფ ქართველთა ნაწილი ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ზოგი ქართველი რუსეთში კლასობრივი ბრძოლის შედეგად უნდა მოხვედრილიყო. ნაწილი — ტყვეობას



სურ. 1. საჩუქრებს ნუსხა

თავდაღწეული გადასულა რუსეთში. საყურადღებოა, რომ ქართველებს იმ დროს ვხედავთ მოსკოვში ჩასულ ვაჭრებთან, რუსეთის სამ-

ხედრო სამსახურში, ზოგს — რუსეთის თუ უცხოეთის დიპლომატიურ სარბიელზე და ა. შ.

სახელმწიფო კარზე უხალისოდ მოეკიდნენ ქართველი ელჩის მოთხოვნას და ფორმალურად დააუღეს ასტრახანისა და თერგის მენაპირეებს მათ საგამგეოში მცხოვრებ ქართველებზე ცნობების შევსება. ჩანს, მიტროპოლიტმა ნიკიფორემ თვითონ შეადგინა საჭირო სია და დანიშნულებისამებრ წარადგინა კიდევ.

ქართველთა სამშობლოში დაბრუნებაზე ზრუნვას ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად, პოლიტიკურიც განსაზღვრავდა.

ამის საპირისპიროა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი — ქართველი ბატონიშვილის მოსკოვში მიწვევა. ეს საკითხი 1641 წელს საქართველოში გამომგზავრებულ ე. მიშეცკის უნდა დაესვა⁴.

საამისო მოთხოვნაზე კახეთში მყოფი ე. მიშეცკი დაუიმედებით იმ უფლისწულის გაგზავნით, რომელიც გაჩნდებოდა.

მიხეილ თეოდორეს ძის გარდაცვალების შემდეგ ქართველი ბატონიშვილის საკითხი რუსეთის სახელმწიფო კარმა „დაივიწყა“. თეიმურაზ I იძულებული გახდა რუსი დიპლომატები კვლავ დაეინტერესებინა ქართველი ბატონიშვილით.

რუსეთის სახელმწიფო ტახტზე აყვანილ ალექსი მიხეილის ძემ ქართველმა მეფემ ელჩებთან გაუგზავნა თავისი გეგმების მოსახსენებლად. თეიმურაზ I ახლა არა მარტო მიუთითებდა ქართველი ბატონიშვილის (გიორგის) მოსკოვს წაყვანაზე, არამედ დინასტიურ კავშირსაც (ხელმწიფის დაზე ლუარსაბ ბატონიშვილის დაქორწინება) სთავაზობდა.

ქართველი მეფე ახლად აღმოჩენილ მადნეულის დამუშავებითაც ცდილობდა რუსეთის სახელმწიფოს დანტერესებას, მაგრამ რუსმა დიპლომატებმა ყურადღება ქართველ ბატონიშვილზე შეაჩერეს (რადგან ეს იყო მათთვის სასურველი), საპასუხო ელჩებს ევალეობდათ გიორგი ბატონიშვილის ხელმწიფის კარზე წაყვანა. ქორწინების სა-

⁴ Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643 гг. Документы издан и введением снабдил М. Поляевков. Тифликс, 1928, с. 145.

⁵ ქართველთა ეს მისია ჯეროვნად შესწავლილი არ არის. მკვლევრები კმყოფილდებიან ელჩობის მეთაურის დასახელებით და ამაოდ ცდილობენ ახსნან დოკუმენტებში მისი „უცნაურად“ მოხსენიება. იხ. ნ. ნაკაშიძის დასახ. ნაშრომი. გვ. 135. ელჩი გ. ჩოლოყაშვილი სახლთუხუცესია. რუსულად ჩაწერისას, დამახინჯებულია მისი სახელის ქართული სახელწოდება.

კითხზე მოლაპარაკების განახლება, რისთვისაც ლუარსაბ ბატონიშვილსაც ხელმწიფე მოსკოვს იწვევდა⁶.

რუსი ელჩების საქართველოში ჩამოსვლამ დაიგვიანა და თეიმურაზ მეფეც იძულებული შეიქნა შეეხსენებინა მფარველისათვის ურთიერთობის შემდგომი გაფართოების აუცილებლობა.

ახლა თეიმურაზ I-ის მისიას სათავეში ედგა ივ. სააკაძე, რომელსაც იმერეთის სამეფოდან აღექსანდრე III-ის ელჩებიც გააყოლეს. მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემდეგ ქართველ დიპლომატებს საქართველოში მოჰყვნენ ნ. ტოლოჩანოვი და ა. იველევი, კახელი ბატონიშვილის მოსკოვს წასაყვანად და სხვა საკითხთა გადასაწყვეტად.

რუსეთის სახელმწიფო კარის წარმომადგენლებს თეიმურაზ I-მა გაუმელავენა მიზანი — მოითხოვა სამხედრო კავშირის შეკვრა, ჯარით დახმარება, მაგრამ ამაზე ელჩებმა საიმედო ვერაფერი მოახსენეს. ამიტომ, თეიმურაზმა ბატონიშვილების გაგზავნაზე თავი შეიკავა⁷.

მოგვიანებით, მან მაინც საჭიროდ ცნო თავისი წარმომადგენლის ყოფნა რუსეთის სახელმწიფო კარზე და ამ მისიით შვილიშვილი ნიკოლოზი წარგზავნა⁸.

ქართველი ბატონიშვილი ადრეც ჩასულა მოსკოვს, მაგრამ ნიკოლოზ ბაგრატიონის გაგზავნა უფრო მნიშვნელოვან მოვლენად აღიქვეს და საამისოდ ქართველი მეფეც, საკმაოდ მოემზადა.

⁶ საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში ღუნაის გადავლით მოსკოვს მივიდა „ხოზისა და ალანეთის“ მიტროპოლიტი გერმანე, რომელმაც რუსეთის სახელმწიფო კარს რამდენიმე ქვეყნის (საქართველო-მოლდავეთი-უნგრეთი-რუსეთი) მომხიზნელეი კავშირის იდეა შესთავაზა, მაგრამ ხელმწიფის დიპლომატებმა ქართველ მიტროპოლიტს ამაზე პირდაპირი პასუხი არ გასცეს, თუმცა ის პატივით მიიღეს და რუსეთს შეუფერხებლად კვლავ მისვლის საგარანტიო სიგელით აღქურცილი, დასაჩუქრებული სამშობლოში გამოისტუმრეს. დაწერილებით, აღნიშნულ ელჩობას, ვეგებით სხვა ნაშრომში.

⁷ Посольство столтника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию (1650—1652). Документы издал и введеннем снабдил М. Полиевктов. Тифлис, 1926, с. 67; ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იველევის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650—1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970. გვ. 27.

⁸ ქართველი ბატონიშვილის რუსეთს მიწვევის საკითხს სხვადასხვა კუთხით ეგებთან შეკვლევები: ნ. ასათიანი, თ. ბოცვაძე, ი. კაპარავა, ნ. ნაკაშიძე, ვ. მაჭარაძე, გ. პაიჭაძე, თ. ტიფაძე, ი. ცინცაძე და სხვ. მათგან ი. ცინცაძემ გაითვალისწინა საკითხის იურიდიული მხარე (იხ. ი. ცინცაძე, შქველის საკითხი „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 15—16) და სხვა მნიშვნელოვანი მომენტები (იხ. ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან. საქართველოს

თეიმურაზ I და მისი თანამებრძოლნი ქართული სამეფო სახლის წევრის რუსეთში მიწვევის ფაქტს, უპირველესად, ნიკოლოზ ბატონიშვილის მომავლის (ბედის) ახლებურ განსაზღვრად მიიჩნევდნენ. ამიტომ, მას სახელი ნიკოლოზი ერეკლეთი შეუცვალეს. მათვე საჭიროდ ცნეს ბატონიშვილის განსაკუთრებული პატივით გასტუმრება დედასთან, გამზრდელთან და მრავალრიცხოვან ამაღასთან ერთად.

ამალაში დედოფალს უმთავრესი მისია ეკისრებოდა. საქართველოს მისიონს გზაში დიდ დაბრკოლებათა გადალახვა მოუხდა (ყუმუქთა თავდასხმები), მაგრამ ნაწილმა მიინც ჩააღწია მოსკოვს (27. XII. 1653 წ.) დედოფლითა და ბატონიშვილით.

რუსეთის დედაქალაქში ქართველები სიხარულითა და პატივით მიიღეს⁹. მათთვის გამოყვეს საცხოვრებლები¹⁰, დააწესეს მომარაგება და სხვ.

მოსკოვს ადრე დამკვიდრებულ, რუსეთის სამსახურში შესულ ქართველებისა და ერეკლე ბაგრატიონის (ამალითურთ) ცხოვრების წესი ძირეულად განსხვავდებოდა. ქართველ ბატონიშვილს რუსეთს დარჩენა, ჩანს არ გადაეწყვიტა და არც უზრუნია უძრავი საკუთრების შექენაზე¹¹.

ერ. ბაგრატიონი მონაწილეობდა რუსეთის სახელმწიფო კარის ზეიმებში, ხელმწიფის ქალაქგარეთ გასვლებსა თუ ლაშქრობებში, რაც იღნიშნულია იმდროინდელ ჩანაწერებში.

პატივით ღებულობდნენ სახელმწიფო კარზე ქართველ დედოფალსაც, რომლის დიპლომატიურ ნიჭსა და წარმატებებში თეიმურაზ I ეჭვი არ ეპარებოდა.

თავისი დიდი გეგმის განსახორციელებლად. ქართველმა მეფემ კიდევ უფრო მჩქეფარე მოღვაწეობა გაშალა შვილიშვილის დედიტა და ამალით მოსკოვში გასტუმრების შემდეგ.

ფეოდალური დიპლომატიის პრაქტიკა მწირად აისახებოდა ხოლმე წყაროებში. საარქივო დოკუმენტებში მიკვლეული ცნობებით შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ თეიმურაზ I-ის მიერ იმ დროისათვის გა-

სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1956, გვ. 356).

⁹ ძსკა. ფონდი 110, 1653, საქმე № 3, ფურც. 64, ტ. III, 1852, გვ. 386—387.

¹⁰ ქართველი ბატონიშვილის ამაღა მოსკოვის სხვადასხვა უბანში ცხოვრობდა.

¹¹ სამწუხაროდ, მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ მოსკოვში ქართული კოლონია დაარსდა ერ. ბაგრატიონისა და მისი ამაღის რუსეთის დედაქალაქში ჩასვლით. საარქივო დოკუმენტების შესწავლით ეს არ დასტურდება.



სურ. 2. ნეკოლოზ ბატონიშვილი (ერეკლე I)

დადგმულ ორიოდე მნიშვნელოვან ნაბიჯზე. ერთ-ერთია თუშეთ-ქისტეთის¹² რუსეთის მფარველობაში შესვლა¹³. ეს იყო ქართველი ძეგისათვის მეტად საკირო ფაქტი რუს დიპლომატთა იმაში დასარწმუნებლად, რომ კახეთის დასაბრუნებლად თეიმურაზ I კელაე ფლობს სტრატეგიულ მხარეს. ამასთან, ეს მოვლენა თეიმურაზის დიდ გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო.

ქართველი მეფე მრავალმხრივ იღვწოდა სამხედრო კავშირის პირობების შესამზადებლად. ერთ-ერთ წერილში ის ხელმწიფეს მიუთითებდა შაჰის მოთხოვნაზე, გაეგზავნა მასთან უფროსი ბატონიშვილი, რადგან როგორც შაჰი მას წერდა: „უმცროსი შვილიშვილი ხელმწიფესთან გყავს“¹⁴. თეიმურაზ I აქედან გამოსავალს სახავედა ხელმწიფის დაზე ლუარსაბ ბატონიშვილის დაქორწინებაში და სიძე-დედოფლის თერგზე შეხვედრის წინადადებას მოხერხებულად აყენებდა. ქართველ მეფეს მიაჩნდა, რომ ამით მტკიცე კავშირის პირობები შემზადებული იყო და ითხოვდა ქართლ-კახეთის დასაბრუნებლად სამხედრო ძალის მოშველიებას. ამასთან, ყუმუქების დასჯასა და იმიერკავკასიის დაქვრას.

ერთი ქართველი ბატონიშვილის რუსეთის სახელმწიფო კარზე ყოფნა, მეორე ბატონიშვილის ხელმწიფესთან დამოყვრება, იმიერკავკასიაში ზურგის გამაგრება და საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლა მტრული გარემოცვის გარღვევის საშუალებად ესახებოდა ქართველ მეფეს, მაგრამ რუსი დიპლომატები მაშინ აღმოსავლეთში ასე გაბედულ გამოსვლას არ გეგმავდნენ.

თეიმურაზ I ჩქარობდა, წამოყენებულ წინადადებებზე პასუხის მიღებამდე მომდევნო ელჩობას¹⁵ (დ. არეშიძე, ბ. დავითაშვილი და სხვ.). დაავალა: თუ რუსეთის სახელმწიფო კარი ჯარით ვერ დაეხმარებოდა მას, მაშინ მოეხსენებინათ, რომ ქართველ მეფეს მოსკოვს მისვლა აქვს

¹² რუსეთში თუშთა პირველი ელჩობის თარიღი დააზუსტა თ. ტივაძემ. (თ. ტივაძე, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის (XVII ს-ის 50—60-იანი წლები) კრებ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან თბ., 1976, გვ. 221).

¹³ А. И. Ш а в х е л и ш в и л и. Из истории горцев Восточной Грузии. Тб. 1983, с. 183.

¹⁴ ისტა. ფონდი 110, 1655, საქმე № 3, ფურც. 2—6. Н. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII в. Тбилиси, 1968: с. 182.

¹⁵ სხვათა შორის, მეფე თეიმურაზმა ელჩებს გაატანა ქართველთა ტრაგედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნივთიერი მტკიცება — წამებული დედის ნაწილები.

მტკიცედ გადაწყვეტილი. თეიმურაზ I ხელმწიფეს სთხოვდა: მისი და ამაღლის მისაღებად თადარიგის დაჭერას, საამისოდ თერგზე ჭარის გამოგზავნას.

რუსეთის სახელმწიფო კარზე გამოუკითხავთ ქართველი მეფის ამაღლის შემადგენლობა და მგზავრობის სხვა დეტალები.

ქართველ დიპლომატთა გაწეული მრავალმხრივი მუშაობა, ხელდებულის უნუგეშო მდგომარეობა, მფარველის ვალდებულებანი ორი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის რეალურ საფუძველს ქმნიდა. ამიტომ თეიმურაზ I უმთავრესად სამხედრო კავშირის შეკვრის მიზნით გაემგზავრა რუსეთში¹⁶.

სამწუხაროდ, ქართველი მეფის ამ პირველ მნიშვნელოვან ვიზიტს მოსკოვში, (1657—1659 წწ.) თანამშრომლობის განვითარება არ მოჰყოლია. მაგრამ მას რუსეთზე გული მაინც არ გასტეხია. თეიმურაზ I სჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან ეს მზარდი სახელმწიფო საქართველოს მჭიდროდ დაუკავშირდებოდა¹⁷. ეს რწმენა მას არც ლუარსაბ ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ შეცვლია, როცა იძულებული შეიქნა ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ერეკლე ბატონიშვილი რუსეთიდან გამოეწვია.

რუსეთიდან თეიმურაზ I დაბრუნებასა და ქართველი ბატონიშვილის გამოწვევას შედეგად მოჰყვა მთიანეთის მკვიდრთა და კახელთა გმირული ეპოპეა ბახტრიონთან, რაც მეხისტეხად გაისმა სპარსეთში და საერთაშორისო ასპარეზზეც გამომხმაურება ჰპოვა.

ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში დასაბრუნებლად მოსკოვში ჩავიდნენ ელჩები, რომლებმაც ჩაიტანეს თეიმურაზ I წერილიც შვილიშვილის სამშობლოში გამომგზავრების წინადადებით. მოლაპა-

16 ფ რ. ს ი ხ ა რ ლ ი ძ ე. თეიმურაზ პირველი რუსეთში. ი. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და შობსენებათა თეზისები. თბ., 1970, გვ. 41—43.

17 ვ. მ ა ქ ა რ ა ძ ე, ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წელს. თსუს-ის შრომები, ტ. 115, 1951, გვ. 215; Г. Г. П а и ч а д з е. Документы русско-грузинских отношений, „Исторический вестник“ Архивного управления при Совете Министров ГССР. т. 19—20, Тб., 1966. с. 439—469.

რაკებათა შედეგად¹⁸ მალე გადაწყდა ერეკლე ბაგრატიონის დედითა და ამალით ჭეროვნად გასტუმრება¹⁹.

1660 წლის 18 მაისს მოეწყო გამოსათხოვარი დარბაზობა ქართველ ბატონიშვილთან, ხოლო 3 ივნისს ქართველები მოსკოვიდან გამოემგზავრნენ²⁰.

ამჟერად ერეკლე ბატონიშვილმა საქართველოში გამეფება ვერ შეძლო, ტახტისათვის ბრძოლაში ხელმოცარული ე. ბაგრატიონი იძულებული შეიქნა კვლავ რუსეთს გამგზავრებულიყო. 1665 წლის 19 მაისს მოსკოვში დაბრუნებულ ქართველ ბატონიშვილს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს²¹.

ე. ბაგრატიონს საქართველოში მის გასამეფებლად რუსეთის სახელმწიფო კარის გააქტიურების იმედი ჰქონდა²². ამიტომ, დედა აღარ გაიყოლა და ამალის ნაწილითურთ ასტრახანს დატოვა.

თავისი მიზნის განსახორციელებლად ქართველმა ბატონიშვილმა მოსკოვს დიპლომატიურად ბევრი რამ იღონა²³, მაგრამ, როცა დაინახა, რომ აღარაფერი გამოდიოდა, დროებით კვლავ რუსეთში დარჩენას დათანხმდა.

¹⁸ რუს დიპლომატებს როდი სურდათ ერეკლე ბატონიშვილი ხელიდან გასხლტოძოდათ, მაგრამ იძულებული შეიქნენ დათანხმებოდნენ მის დედას, დედოფალ ელენეს, თვით თეიმურაზ I-სა და ალექსანდრე იმერთა მეფის საამისო მისიის წარმოადგენლებს.

¹⁹ Дворцовые разряды. т. 3, СПб, 1855, с. 517.

²⁰ ე. ბაგრატიონისა და მისი ამალის მოსკოვიდან გამოგზავრების შემდეგ, ქართველთა კვალი მათ დროებით საცხოვრებელ ადგილებს არ შერჩენიათ, რადგან ქართველებს საკუთრების უფლებით არაფერი მიუღიათ. მკვლევართა ერთი ნაწილი ამოღდ ვიკარდობს მოსკოვის ქართული ახალშენის შექმნას ე. ბაგრატიონის იქ ჩასვლის დროიდან.

²¹ ი. ი. კ ა კ ა რ ა ვ ა. ვახტანგ მეხუთის საგარეო პოლიტიკის საკითხებისათვის, კრებ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. თბ., 1970, ტ. I, გვ. 123—159; თ. ტ ი ვ ა ძ ე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1977, გვ. 110; მ ი ს ი ვ ე, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, XVII ს-ის მეორე ნახევარში. „საისტორიო მოამბე“, 45—46, თბ., 1982, გვ. 47—48.

²² ე. ბაგრატიონის ამალითურთ საცხოვრებლად ი. გრამოტიონის სსახლე მიუჩინეს. რსპა. ფონდი 110, 1728, საქმე № 7, ფურც. 47.

²³ ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძემ ქართველი ბატონიშვილი 1665 წ. 20 ივნისს მიიღო. იხ. Дворцовые разряды. т. III. с. 625.

ასეთ პირობებში აზრი აღარ ჰქონდა დედოფლის ასტრახანში ლოდინს და ისიც მოსკოვს, შვილთან დაბრუნდა. რუსეთის დედაქალაქში ისიც ჯეროვნად მიიღეს 1667 წლის 27 აგვისტოს²⁴.

კახეთის სამეფო კარისადმი რუსეთის სახელმწიფოს ამგვარი დამოკიდებულება დროის სირთულით იყო ნაკარნახევი. ამიტომაც, რუსთა დაკარგული პოზიციების აღდგენა მომავლისათვის გადაიდო, ხოლო მანამდე ამ ქართული სამეფოს წარმომადგენლის მოსკოვში დარჩენა მიზანშეწონილად ცნეს. მეფე თეიმურაზის დიდი წამოწყება მოიშალა. საქართველო-რუსეთის ცხოველი დიპლომატიური ურთიერთობა თანდათან მინელდა²⁵.

ერეკლე ბატონიშვილს გული მაინც სამშობლოსაკენ მოუწევდა და ამიტომ არც ამიერიდან უცდია რუსეთში ფეხის მოსაკიდებლად პირობების შემზადება. ჩვეული ენერგიით განაგრძობდა თავისი პოლიტიკური მიზნისაკენ სვლას.

ამის ერთ-ერთი მოწმობაა ბაგრატ იმერთა მეფის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებანი — მისი რუსეთისაგან დროებით ჩამოშორების მიზნით, ევდემონ მიტროპოლიტის (ბაგრატ მეფის ელჩობის მეთაურის) კირილე ბელოოზერსკის მონასტერში გადასახლება²⁶.

ერეკლე ბატონიშვილი დიდი დაუინებით სთხოვდა ალექსი ხელმწიფეს თავის საწადელს, უშუალოდ თავის მოხსენებათა საფუძველზე და ბოლოს, როგორც იქნა, 1673 წლის მიწურულს დაითანხმა იგი.

24 თუშ-ფშავ-ხევისურთა ელჩები შუამდგომლობდნენ ქართველ ბატონიშვილს, რომ ხელმწიფეს შაჰისათვის ეთხოვნა ნიკოლოზის კახეთში გამეფება, იხ. ძსცა. ფონდი 110, 1665 წ. საქმე № 1, ფურც. 246—247. რუსი დიპლომატები ნიკოლოზ ბატონიშვილის საქართველოში გამეფების ხალისს ორ იჩენდნენ. სახელმწიფო კარს დასტური არც დედოფალ დარეჯანის ელჩისთვის ი. კიკინაძისათვის (1666 წლის 4 ნოემბერი) მიუცია ნ. ბაგრატიონის იმერეთში გამეფებისათვის. იხ. ძსცა. ფონდი 110, წიგნი 15. ფ. 368.

²⁵ Дворцовые разряды, т. III. с. 660.

26 უდანაშაულო ქართველი ელჩი შორიდან ევედრებოდა რუს დიპლომატებს შისი საქმის განხილვასა და განთავისუფლებას. მიტროპოლიტ ევდემონის ერთ წერილში ა. ს. მატევეისადმი წერია: „ქ. მეფის ბაგრატის ელჩი მიტროპოლიტი მოგახსენებთ მაღალსა და ცამდის ამაღლებულის ხელმწიფის ვეზირო, ბატონო არტემონ სერაგიევიჩო გეხეწები და შეგვიხეწნით იესო ქრისტესა და ყოვლად წმიდას ამ საკვირველთმოქმედის კირილას გულისათვის მომგზმარე ცათა სწორს ხელმწიფესთან, ჩემი საქმე გააშინჯვეი ღმერთმან იცის: აბ ვეცი რა დაეაშავეი გამიციოხეთ... ძსცა; ფონდი 110, 1675, წ. საქმე 4. ფურც. 23.

ვინაიდან რუსეთის სახელმწიფო კარი ამიერიდან კახეთის სამეფოს ერთადერთ მემკვიდრედ ერეკლეს სცნობდა, წყალობის სიგელიც მის სახელზე გააახლეს.

1674 წლის 27 თებერვალს ქართველი ბატონიშვილი ამალით მოსკოვიდან სამშობლოში გამოისტუმრეს²⁷, მაგრამ არა დედითურთ. დედოფალი კვლავ მოსკოვს დაიტოვეს თავისი ამალით.

ელენე დედოფალი რუსეთის დედაქალაქში 1678 წლის შუა ხანებამდე დარჩა. მისი დაბრუნების მოახლოვება დიდად განიცადეს სახელმწიფო კარზე, რადგან ამიერიდან იქ დიპლომატიურ სამსახურში საპირო ხალხი აღარ რჩებოდა. ამის გამო აუცილებელი შეიქნა დედოფლის მსლებლებიდან რამდენიმე კაცის გადაბირება, რაც წარმატებით დამთავრდა.

დედოფალი ელენე საელჩოს ხელმძღვანელისადმი ფორმალურ პროტესტს დასჯერდა და ისიც სამხრეთისაკენ გამოემგზავრა.

ქართველი დედოფლის ამალის წევრებიდან მოსკოვში დარჩნენ დავითაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები და ზოგიერთი სხვა²⁸. 1679 წლის თებერვალში მოსკოვში დაბრუნდა დედოფალ ელენეს ელჩი დიმიტრი ივანეს ძე „პილიაევი“. ქართველი დედოფლის ხაზინადარმაც მოსკოვში ცხოვრების სურვილი გამოთქვა და სამსახური ითხოვა²⁹. იმავე წლის ივლისში მათ შეემატა პოლონეთის ელჩის ფარსადან ყანდარალაშვილის ყოფილი მსახური პაატა ნინიას ძე³⁰.

მართალია, ეს ხალხი ჯერ ახალშენს ვერ უდებს საფუძველს, მაგრამ მათ რუსეთში დარჩენას მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა. ისინი თანდათან გაეცნენ რუსულ ზნესა და ხასიათს. თავიანთ თავზე გამოცადეს რუსეთის სახელმწიფო კარის ცხოველი დანტერესება ერთმორწმუნე საქართველოთი.

ქართველების ერთ ნაწილს მოსკოვს მშვიდად ცხოვრებით კულტურული მოღვაწეობის სურვილი გაუჩნდა და შესაძლებლობის მიხედვით სამშობლოს საკეთილდღეოდ გაისარჯა, ზოგმა რუსული ენა ისე შეიტვისა, რომ იქ სამსახური შეიძლო (მაგ. ბოსტოლანაშვილი, ძმები დავითაშვილები და სხვ.)³¹.

²⁷ ნ. ა. ს. ა. თ. ა. ნ. ი, გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ. თბ., 1983, გვ. 89.

²⁸ ძსცა. ფონდი 110, 1678 წ. საქმე № 1, ფ. 134—135.

²⁹ იქვე. 1694, საქმე № 1, ტ. 22.

³⁰ იქვე. 1687, წიგნი № 12, ფურც. 356.

³¹ ძსცა. ფონდი 110, წიგნი 9. ფურც. 18, 30, 37. Материалы по истории русско-грузинских отношений. Документы к печати подготовил, предисловием и комментариями снабдил Г. Г. Пайчадзе. I, Тб., 1974, с. 17, 31.

ყოველივე ეს საქართველოზეც ახდენდა კეთილმყოფელ გავლენას და ზრდიდა რუსეთით დაინტერესებას.

მალე რუსეთის ორიენტაციის ქართველ მოღვაწეთა დასს საქართველოში სათავეში ჩაუდგა მეფე არჩილი, რომელსაც წინამორბედთაგან ბადალი არ უჩანს რუსეთთან ურთიერთობის განვითარებაში.



სურ. 3. პეტრე I

ჟ 2. მოსკოვის კართული ახალშენის ჩამოყალიბება

მეფე არჩილი და მისი თანამებრძოლნი დაუღალავად იღვწოდნენ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ქვეყნის კულტურული

განვითარებისათვის. კახეთში თორმეტწლიანი წარმატებული მეფობით არჩილმა დაამტკიცა, რომ ის იყო ფეოდალური საქართველოს მშენებელი, ქვეყნის გამოჩენილი იდეური ხელმძღვანელი.

რადგან არჩილის დასმა მართოდენ საკუთარი ძალებით ვერ შეძლო დასახული მიზნის განხორციელება, XVII ს-ის 70-იანი წლების მიწურულიდან, სამშობლოს წინაშე მდგარი კულტურულ-პოლიტიკური ამოცანების გადასაქრელად, ბრძოლა მან რუსეთის მეშვეობით გააფართოვა.

არჩილ II ღრმად ჩაწვდა თეიმურაზ I-ის იდეებს და ახალ პირობებში ღირსეულად აგრძელებდა მის პოლიტიკურ ხაზს.

კახეთის შემდეგ არჩილი კვლავ იმერეთში გამეფდა, მაგრამ მისი ზეობა იქ დიდხანს არ გაგრძელებულა. ტახტდაკარგული მეფე დვალეთს გადავიდა და იქიდან დაიწყო რუსეთის სახელმწიფო კართან მოლაპარაკება.

XVII ს-ის 80-იან წლებში კვლავ გამოცოცხლდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. ეს საქმე წილად ხედათ მეფე არჩილის თანამებრძოლებს მაკარის, გაბრიელსა და სხვებს.

იმედების აღმძვრელი გამოდგა არჩილ მეფის პირველი წარგზავნილის არქიმანდრიტ მაკარის მისიის წარმატება. ელჩობის პოლიტიკური ნაყოფი იყო 1680 წლის 12 დეკემბერს თეოდორე ხელმწიფის თანხმობა იმერთა მეფე არჩილის მფარველობაში მიღებაზე, თავის კარზე მისი მიწვევა და მგზავრობის უზრუნველყოფის თერგის მენაპირეზე მინდობა³².

რუსი ხელმწიფისაგან ბოძებული სიგელის საფუძველზე ოსეთს მდგარი მეფე ცოლ-შვილითა და მხლებლებით 1682 წლის 30 ივლისს თერგზე მივიდა, საიდანაც ასტრახანში გაემგზავრა (22. VIII), ხოლო პირველ სექტემბერს ზეიმით მიიღეს რუსეთის ამ სამხრეთ სანაპიროს ერმრავალ ქალაქში³³.

მგზავრობა წარმატებით მიდიოდა და ამ ტემპით არჩილიც მალე უნდა ჩასულიყო მოსკოვში, მაგრამ მცირეწლოვანთა—პეტრესა და ივანეს—ტახტზე ასვლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და ახალ ხელმწიფეთა 1683 წლის 9 მარტის დადგენილებით, ქართველ მეფეს რუ-

³² ფ. რ. სიხარულიძე. რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 1967, გვ. 41.

³³ იქვე, გვ. 43—44.

სეთის დედაქალაქისაკენ გზის განგრძობის ნაცვლად, თერგზე დაბრუნება ებრძანა³⁴.

დიდი პოლიტიკური პერსპექტივების საქმის ერთბაშად ასე შეფერხება ბუნებრივია, მცირე ფსიქოლოგიურ ტრამვას როდი აღძრავდა არჩილისა და მისი ამაღლის სულიერ განწყობილებაში. ეს ნათლად ჩანს კიდევ მეფის ერთი წერილიდან, რომლის აღრესატიც ვ. ვ. გოლიცინია „... ჩვენი თერგზე გასვლა ჩვენი სიკვდილის დღე იქნება“³⁵ — სწორად შენიშნავედა არჩილი.

ვინ იცის კიდევ რა მოელოდა მეფეს, მაგრამ ხელმწიფეთა კარი მფარველობაში მიღებაზე უარს მაინც არ ფიქრობდა და შექმნილ სიტუაციაში ქართველებს საცხოვრებლად სამხრეთ ფორპოსტს — თერგს მიუჩენდა. ასეთი სიგელიც მალე გაფორმდა (1683 წლის 20 აპრილს), თუმცა არჩილი მაინც არ ცხრებოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა მოსკოვში მისაწვევად.

გამოცდილმა პოლიტიკოსმა კარგად აწონ-დაწონა ვითარება და არქიმანდრიტ გაბრიელის მეშვეობით რუსეთის სამეფო კარი თავისი ვაჟიშვილების (ალექსანდრესა და მამუკას) მოსკოვში მიწვევაზე დაითანხმა³⁶.

ამის შედეგი იყო ასტრახანში ხელმწიფეთა წარმომადგენლის (თ. ვოლკონსკის) მისვლა 1680 წლის 20 აპრილს და ბატონიშვილების მოსკოვში გასამგზავრებლად თადარიგის დაქერა³⁷.

ქართველმა მეფემ გადაწყვიტა ბატონიშვილები შესაფერისი პატივით გაესტუმრებინა რუსეთის დედაქალაქში. შეარჩიეს ამაღა (48 კაცის რაოდენობით), რომლის მეთაურობა მიენდო დედოფალ ქეთევანის სახლთუხუცესს ნ. ჯორჯაძეს. 28 აპრილს მეფემ შვილებსა და მათ ამაღას გზა დაულოცა.

გრძელი და ძნელი გზის გავლას ბატონიშვილები სამ თვეზე მეტი მოუნდნენ და 1684 წლის 10 აგვისტოს მოსკოვს მიაღწიეს, სადაც

³⁴ Полное собрание законов Российской империи. Т. 2, СПб. 1830, с. 517-№ 1006.

³⁵ Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, СПб, 1861, с. 123.

³⁶ მეფე არჩილის შვილების მოსკოვს მისვლის თხოვნას 1684 წლის 7 იანვარს გაეცნენ. რუსეთის სახელმწიფო კარზე გამოიკითხეს ქართველი მეფის შვილების წლოვანება და ბრძანეს: მეფე არჩილის ორი უფროსი ვაჟის მოსკოვს მიეყვანა. იხ. ძსცა. ფონდი 110, წიგნი 10, ფურც. 192—197.

³⁷ ძსცა, ფონდი 110, წიგნი 10. ფ. 198.

დიდი პატივით მიიღეს. საცხოვრებლად მიუჩინეს პოკროვკაზე „დავით ნიკოლაევის“ ყოფილი სასახლე³⁸. ამასთან ერთად დაუნიშნეს: საზრდო, თარჯიმანი, მცველები და მომსახურეები³⁹.

ბატონიშვილები დროის კვალობაზე ბრწყინვალედ იყვნენ აღზრდილნი, ჩინებულად ფლობდნენ ფეოდალურ ქართულ ზნეობას, რომელიც სწავლა-აღზრდის მთელ კომპლექსს მოიცავდა, მათ შორის საბუნდრო საქმესაც (ცხენოსნობა, ბურთაობა, მშვილდოსნობა, ფარიკაობა და სხვ.).

ქართველი ბატონიშვილებისადმი სამეფო კარის ინტერესს მოწმობს კრემლში მათი ჩქარა და დიდი პატივით მიღება. პირველად მათ ხელმწიფეებმა გაუშართეს აუდიენცია და გულითადი მისალმების შემდეგ საჩუქრებიც უხვად უბოძეს. ეს იყო ქართველთა მოსკოვში ჩასვლის მეექვსე დღეს — 16 აგვისტოს.

ცოტა მოგვიანებით (29 აგვისტოს) ბატონიშვილები მიიღეს: დედოფალმა ნატალიამ და მმართველმა სოფიომაც⁴⁰.

ბატონიშვილების გარეგნობამ, საზრიანობამ, ქცევამ, სიმარჯვემ სახელმწიფო კარზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რასაც მათი მომავლისათვის მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა. ყმაწვილი ხელმწიფეები პეტრე და ივანე მალე დაუმეგობრდნენ მომავალ თანამებრძოლებს. განსაკუთრებით მიუწევდა ვული მათკენ პეტრეს, რომელსაც ბატონიშვილების ღირსებათა შორის ყველაზე უფრო მხედრული სიქველე და გონიერება ხიბლავდა. ვინც კარვად იცნობს მათ ურთიერთობას მისთვის ნათელი იქნება ისიც, თუ რამდენი რამ აიღო რუსეთის მომავალმა სწორუპოვარმა ხელმწიფემ თავისი ჭაბუკობის ხანის ამ მართლაც ყოველმხრივ ჩინებულად აღზრდილი მეგობრებისაგან.

თავისი ვაჟების მოსკოვში ჩასვლის ეს შედეგები ნაწილობრივ მაინც არ შეიძლება არ განეჭვრიტა არჩილს. ის, უეჭველია, იმას ითვალისწინებდა, რომ ღირსეული შვილებისადმი სამეფო კარზე დასადგურებული სიმპათიები მის მოსკოვში გამგზავრების დაჩქარებაშიც შეიტანდა ერთგვარ წვლილს. მართალია, იგი მარტოოდენ ამის მოი-

³⁸ Записка о принятии в покровительство царя Арчила в 1683 году. Древняя российская библиолика, часть X. СПб. 1775. с. 362.

³⁹ ქართველ ბატონიშვილებთან თარჯიმნობა ბ. ს. დავითაშვილს მიანდეს. სახლს, რომელშიც ქართველი ბატონიშვილები ცხოვრობდნენ, 10 მეთოფე იცავდა. გამოუყვეს აგრეთვე ცხენის წყლის მზიდაე და 4 მოსამსახურე. იხ. ძსცა. ფონდი 110, წიგნი 10, ფურც. 335.

⁴⁰ ძსცა. ფონდი 110, წიგნი 10, ფურც. 236, 238, 277.

მედე არ იყო და სხვა მხრივაც ენერგიულად იღვწოდა, მაგრამ ამ სა-
ნუკვარი საქმის წარმატებაში ბატონიშვილების როლიც მალე თვალ-
საჩინო შეიქნა. ასე იშვა 1685 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება და
მეფე არჩილი ოჯახითა და ამალით 1685 წლის 19 ივლისს მოსკოვში
გაემგზავრა⁴¹.

ხუთ თვეზე მეტი ხნის მძიმე მოგზაურობის შემდეგ არჩილს ხა-
ლისით შეეგებნენ რუსეთის დედაქალაქში (9 დეკემბერს). ქართველი
მეფე იმავე სახლში დააბინავეს, სადაც ადრე ჩასული მისი შვილები
ცხოვრობდნენ⁴².

საცხოვრებლების გამოყოფასთან ერთად, მეფესა და მისი ამალის
წევრებს დაუწესეს ფულადი შემოსავალი, საზრდო⁴³, მომსახურება და
სხვ.

1685 წლის 14 დეკემბერს არჩილი კრემლში ზეიძით მიიღეს. მე-
ფის საეალ მთელ გზაზე ჩამწკრივებული იყვნენ მეთოფენი. მიღებაზე
ქართველ მეფეს მიაცილებდნენ სათათბიროს წევრი თ. შახოვსკი და
მდივანი ი. კაზარინოვი. არჩილი ეტლით შევიდა კრემლში, რაც პატი-
ვად ითვლებოდა. მას ცხენებით მიაცილებდნენ ამალის წევრები, ქარ-
თველებს წინ მიუძღოდათ საზეიმოდ მორთული რუსეთის სახელმწი-
ფო უწყებათა მოხელეები. წახნაგოვან სასახლემდე ქართველ მეფეს
სამი შეხვედრა გაუმართეს. ხელმწიფეებს პეტრესა და ივანეს მეფე
სათათბიროს მდივანმა ე. უკრაინცოვმა წარუდგინა და სიტყვითაც მი-
მართა. ვრცელი, ღრმაშინაარსიანი საპასუხო სიტყვა წარმოთქვა არ-
ჩილმა⁴⁴.

41 იქვე, ფურც. 313. ხანგრძლივი მგზავრობა მოსკოვისაკენ მეტად ძნელი გა-
შოდდა. ამ გრძელ გზაზე ცხენოსნობას ჩვეული ქართველი ქალები სიმაპაციითა და
ამტანობით მხარს უმშვენებდნენ მამაკაცებს, რაც ქართული აღზრდის შედეგი იყო.

42 ქართველებს სასახლის 20 ოთახი ეკირათ. აქედან 7 ოთახში მეფე არჩილის
ოჯახი ცხოვრობდა. დანარჩენ 13 ოთახში კი — 30 ქართველი წარჩინებული. მახ-
ლობლად იყვნენ დაბინავებულნი ქართველი მეფის ამალის 53 წევრი, ხოლო 16
სულს — გარეუბანში გაუჩინეს საცხოვრებელი. იხ. ძსცა. ფონდი 110, 1685—
1688 წწ. წიგნი II, ფურც. 198—199.

43 1685 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით: ქართველ მეფესა და ბატონიშვი-
ლებს მათთან მყოფ ამალასთან ერთად, დაუნიშნეს სამი ათასი მანეთი წლიურად და
მომარაგება ნატურით. შემდეგ ქართველებზე გასაცემ თანხას ათასი მანეთი დაუ-
მატეს და წლიურად მათი ფულადი შემოსავალი ოთხი ათასი მანეთით განსაზღვრეს.
იხ. ძსცა. ფონდი 110, 1685, საქმე № 2, ფურც. 413—414.

44 რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ე. უკრაინცოვმა ქართველ დარ-
ბაისლებსაც მიმართა სიტყვით და ისინი ხელმწიფეებს წარუდგინა. სათათბირო წევ-

ხელმწიფეთა გულითადობამ და კრემლში დიდი პატივით მიღებამ ძალები შემატა არჩილს და ისიც მოსკოვში მისვლისთანავე მჩქეფარე პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას შეუდგა⁴⁵. მეფე კარგად ითვისალისწინებდა ამ საქმიანობაში დავითაშვილების ჩაბმის სარგებლიანობას და ამიტომ ენერგიულად მიისწრაფოდა მათ შემოსაერთებლად⁴⁶. მაგრამ ქედფიცხელი დავითაშვილები ქართველი მეფის ნებას არ დაყვნენ. თუმცა არჩილი მაინც არ ჰყრიდა ფარხმალს და განაგრძობდა მათთან მოლაპარაკებას. მეფემ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ბოლოს ეს კარგი წამოწყება მნიშვნელოვანი კონფლიქტით დასრულდა.

დავითაშვილებთან დამოკიდებულების ერთი ეტაპის ასე დამთავრებას არჩილის სულიერ განწყობილებაზე დიდი გავლენა მაინც არ შოუხდენია, მეფე ჩვეული ენერგიით განაგრძობდა მუშაობას, რაც თითქმის ყოველდღე სძენდა წარმატებას, იზრდებოდა მისი ავტორიტეტიც ხელმწიფეთა კარზე. ამას მოწმობდა მისი ჩაწერა საგვარეულო წიგნში (ხელმწიფეების 1686 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულება)⁴⁷.

აქტიურობდნენ რუსი დიპლომატები, რომელთა უმთავრესი ამოცანაც ამ ეტაპზე ქართველი ბატონიშვილების მოსკოვში დასამკვიდრებლად საჭირო პირობების შემზადება იყო.

ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვიდან გამგზავრებით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, რუსი დიპლომატები მიუთითებდნენ ქართველი ბატონიშვილების რუს დიდებულთა ოჯახებთან დამოყვრებაზე. პირველად ასე ალექსანდრე ბაგრატიონი დააქორწინეს. 1686 წლის

რმა ს. ტლოჩანოვმა გამოაცხადა არჩილ მეფისა და დავით ბატონიშვილის საჩუქრები.

45 ფ. რ. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ქართული კულტურის კერის შექმნა მოსკოვში. ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში. 1968 წ. № 2, გვ. 31—36.

46 ჭერ კიდევ თედორე ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილით ითხოვდა არჩილი ერთ-ერთი დავითაშვილის მის შესახვედრად გაგზავნას. შემდეგ ნ. ჭორჭაძის დავითაშვილებთან დამოყვრებით იყო განზრახული მათი შემოერთება. მოსკოვში მისულმა ქართველმა ბატონიშვილებმა ხელმწიფეს სთხოვეს ნ. ჭორჭაძისათვის ხ. დავითაშვილის ქალიშვილზე ჭერის დაწერის ნება დაერთოთ. მოსკოვში მყოფმა მეფე არჩილმა თავისი კაცი მიუგზავნა დავითაშვილებს. შემორჩენილია ამ მოლაპარაკების ნაკლები ქართული დოკუმენტი. მოსკოვში მცხოვრები ეს ქართველები მეფე არჩილს პირობის წიგნს სთხოვდნენ. იხ. ძსტა. ფონდი 110, 1686 წ. საქმე № 1, ფურც. 126.

47 ძსტა. ფონდი 110, წიგნი 11, ფურც. 330.

ნომებერში მას ჯვარი დასწერეს ბოიარინი ი. მილოსლავსკის ქალი-
შვილზე⁴⁸.

ასეთ ნაბიჯს არჩილიც სასიკეთოდ მიიჩნევდა. ეს ღონისძიებანი
მას მომავალი სამხედრო-პოლიტიკური კავშირისა და რუსეთის დე-
დაქალაქში ფეხის მოკიდების წინაპირობად ესახებოდა.

ბედნიერად ერწყმოდა ერთმანეთს სიუზერენხელდებულის ინტე-
რესები. მალე არჩილის პოლიტიკურ გეგმებსაც საიმედო პერსპექტი-
ვა გამოუჩნდა.

1687 წლის 19 დეკემბერს მოსკოვში ჩავიდა ქართლის მეფის გი-
ორგი XI-ის ელჩობა არქიმანდრიტ ლავრენტის მეთაურობით⁴⁹.

იმერეთისა და ქართლის სამეფოს წარმომადგენელთა რუსეთის
სახელმწიფო კართან დიალოგის შედეგად მეფე არჩილს აღუთქვეს:
ოსმალეთთან და ყირიმთან საზავო პირობების მომზადებისას იმერეთის
საკითხის დაყენება. მოსკოვში დარჩენის შემთხვევაში ქართველ მეფეს
პირდებოდნენ წყალობით შენახვას, ხოლო სამშობლოში გამგზავრე-
ბისას — პატივით გასტუმრებას.

ამ ეტაპზე ესეც კარგი მონაპოვარი იყო, მაგრამ მუშაობა მარ-
ტოდენ ამით არ დამთავრებულა. ეს არჩილმა მცირედ როდი განი-
ცადა. ჯარის მიცემაზე ხელმწიფეთა უარი, დროის ვითარებით იყო
განპირობებული, მაგრამ არც ის სანაცვლო საზღაური (ფინანსური)
იყო უმნიშვნელო, რომელიც რუსეთის ხელმწიფეთა კარმა მიაღო არ-
ჩილს და მასთან ერთად ზოგიერთი თხოვნაც შეუსრულა.

ხელმწიფენი წინ არ აღდგომიან არჩილის სამშობლოში დაბრუ-
ნების წადილს, მაგრამ, წინანდელთან შედარებით, თვალსაჩინო კო-
რექტივებით. მეფე საქართველოში მხოლოდ ალექსანდრე და მამუკა
ბატონიშვილებისა და ამაღის ნაწილით ბრუნდებოდა, ოჯახს კი იქ
ტოვებდა. ამასთან, არც ბატონიშვილები იყვნენ მის სრულ განკარგუ-
ლებაში და მათი სწრაფად დაბრუნების პირობას დებდა მეფე.

⁴⁸ ასეთი ნაბიჯით კმაყოფილი იყო მთელი სახელმწიფო კარი. ხელმწიფეებმა
პეტრემ და ივანემ 1686 წლის 16 ნომებერს ალექსანდრეს საქორწილო საჩუქრები
გაუგზავნეს. ქართველი ბატონიშვილი დასაჩუქრა მმართველმა სოფიომ და სხვ.
ქართული სამეფო სახლის წევრის რუს ბოიარინთან დაკავშირება აუცილებელი არ
იყო მოსკოვის დასამკვიდრებლად, მაგრამ ქართველი მეფე და ბატონიშვილი აჩქარ-
დნენ.

⁴⁹ ქართული მისიის ამ წარმომადგენლებს საცხოვრებლად ი. თ. ბუტურლინის
სახლი გამოუყვეს. იხ. ძსცა, ფონდი 110, 1687, წიგნი მე-12. ფურც. 35;
Г. Г. Папаян. Материалы... III, Тб., 1979, с. 22.

ეს უკვე ურთიერთობის სრულიად ახალი და მრავლისმეტყველო ფორმა იყო, რომელიც არჩილსაც აძლევდა ხელს და, რადგანაც ამით ხელმწიფენიც იყვნენ დაინტერესებულნი, წარმატება უფრო ეიმედებოდა.

არც თუ ისე დიდხანს დარჩა ამჯერად არჩილი მოსკოვს, მაგრამ ბევრი იშრომა და სამშობლოში კმაცოფილი ბრუნდებოდა. გრძელ გზასა და უძილო ღამეებში ის გულმოდგინედ უკეთებდა ანალიზს იმასაც, რაც უკვე შეიძლებოდა მომავალში მოემოქმედა.

1688 წლის ზაფხულში მოსკოვიდან წამოსული არჩილი შემოდგომაზე უკვე ოსეთს იყო. იქიდან აცნობა მან დაბრუნება თავის ძმას მეფე გიორგის და იმიერკავკასიაში მოღვაწეობაზე გააჩაღა. შემდეგ ზრამაგას დატოვა ბატონიშვილები, თვით კი ღრმად მოფიქრებული გეგმის სარეალიზაციოდ საქართველოში გამოემგზავრა.

ქართველი ბატონიშვილები უქმად არც ოსეთში იდგნენ. მათ იქაც ნაყოფიერი პოლიტიკური და კულტურული საქმეები წამოიწყეს, დაუმოყვრდნენ გავლენიან წრეებს და ა. შ.

ამან კეთილი ნაყოფი გამოიღო, რაც მათ მოსკოვისაკენ მგზავრობაშიც აისახა და შემდგომ პერიოდშიც.

მათ ადრევე შეიტყვეს სასახლის გადატრიალება, რომლის შედეგად სათავეში დადგა ბატონიშვილების ახლო მეგობარი — პეტრე. ამიტომ ისინი მიიჩქაროდნენ მოსკოვისაკენ.

ქართველი ბატონიშვილები დიდი წვალებით დაბრუნდნენ მოსკოვში 1690 წლის 30 სექტემბერს⁵¹.

რუსეთის ეს ხელმწიფე ახლა მეტი გულისხმიერებით მოეკიდა დედაქალაქში მცხოვრებ ქართველებს. მოსკოვში ქართველთა ახალი ნაკადის ჩასვლის გამო მათთვის გასაცემ თანხას ათასი მანეთი დაუმატეს, მაგრამ მოსკოვს ცხოვრებისათვის მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად არც ეს და არც აწამდე გატარებული ღონისძიებანი საკმარისი არ იყო. ამაში ღრმად დარწმუნდნენ ამ საკათხზე მომუშავენი და ამ გზით მოვიდნენ ქართველთათვის უძრავი საკუთრების ბოძების აუცილებლობამდე.

⁵⁰ იმ დროს და მომდევნო ხანაში არჩილსა და გიორგის იმიერკავკასიაში გაწეულ მოღვაწეობაზე მდიდარი მასალა მოიპოვება. იხ. ვ. გამრეკელი. მასალები დეკლეთისა და ქართლის ურთიერთობის ისტორიიდან. „ქეგლის მეგობარი“, 1968 წ. № 14, გვ. 14.

⁵¹ Н. Г. Надина и др. Жизнь и деятельность Александра Арчиловича Багратиони. Автореферат. Тб., 1975, с. 7.

ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა 1689 წლიდან, როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე გარდაიცვალა და წარმატებით დაგვირგვინდა 1691 წლის 21 მარტის აქტით.

პეტრე I-ის ბრძანებით, ამ დროს ალექსანდრესა და მამუკა ბატონიშვილებს საკუთრების უფლებით ებოძათ რუსეთის სახელმწიფოს ყოფილ ფაქტიურ გამგებლის ვ. გოლიცინის საზამთრო სასახლე, რომელიც ტვერისა და დიმიტრიევის ქუჩების გზაჯვარედინზე იყო აშენებული.

სასახლესთან ერთად, ქართველ ბატონიშვილებს იმავე დიდმოხელის კარის ეკლესიაც ებოძათ.

მოგვიანებით, მათ სახასო მამულებიდანაც ყმა-მამული გამოეყოთ — სოფელი ვსეცსვიატსკოე და სხვა (მოსკოვის შაზრა), ეს ქალაქგარე საქონებელი იმავე ატრიბუტებით (სასახლე, კარის საყდარი) იყო მოწყობილი, როგორც მოსკოვში⁶²

1691 წელს ქართველ ბატონიშვილთა მფლობელობა მოსკოვსა და შემოგარენში უკვე საქმოდ იყო განმტკიცებული.

300 წლის წინათ ასე ჩამოყალიბდა რუსეთის დედაქალაქში ქართველთა ახალშენი, რომელიც მოწოდებული იყო მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

§ 3. ახალშენის განმტკიცება

საქართველოში დაბრუნებული არჩილ II ათ წელზე მეტი ენერგიულად ცდილობდა სანუკვარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. იმ ხანად, გიორგი XI-სთან ერთად, მან ბევრი რამ გააკეთა იმიერკავკასიის ხალხებთან ქართველთა კულტურული ურთიერთობისა და საბრძოლო თანამეგობრობის განსამტკიცებლად, მაგრამ რთული საშინაო და საგარეო პირობების ურთიერთგადაჯაჭვის შედეგად მაინც დაკარგა რამდენჯერმე ბრძოლით მოპოვებული იმერეთის სამეფო.

დამოუკიდებლად ვერც გიორგი XI-მ შესძლო ქართლის ტახტზე განმტკიცება და იძულებული შეიქნა შაჰთან ეთანამშრომლა.

ასეთ პირობებში არჩილმა გადაწყვიტა ძალაუფლების საკითხი, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების გეგმა მომავლისათვის გადაედო და კვლავ რუსეთს მიმართა მოსკოვს დასაბრუნებლად.

⁶² ფ. რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. „სვესენწკა“ — ქართული კულტურის კერა მოსკოვში. ცისკარი, 1982, № 6, გვ. 124—125.

ამ დიდი ერუდირებული მოღვაწისა და მისი თანამებრძოლების წასვლამ ზიანი მოუტანა საქართველოს. ვ. ბაგრატიონის სამართლიანი თქმით: „მოაკლდა მიერთ ნიქნი ესე ღუთისანი ქართლს“⁵³. უფრო მეტი ზიანი მოჰქონდა გიორგი XI-ის უცხოეთში ყოფნას. ავღანეთში და სხვაგან ქართველები ეწირებოდნენ უცხო სახელმწიფოთა ბრძანებების ნებას.

ასეთი მოვლენები საქართველოს ტრაგიკულმა მდგომარეობამ განსაზღვრა.

ეპოქის სულისკვეთების კვლად ქართველები ცდილობდნენ იმდროინდელი დიდი სახელმწიფოებისაგან სიკეთით აღვსებას.

1699 წელს მეფე არჩილი დაბრუნდა მოსკოვში. მან გონების თვალი მიმოავლო იმ დიდ ცვლილებებს, რაც მისი წასვლის შემდეგ განხორციელებულიყო მოსკოველ ქართველთა ცხოვრებაში, ღრმად შეაფხსა ამ სიახლეთა მნიშვნელობა და იმედიანად შეუდგა მისი შემდგომი განვითარების საქმეს.

მეფისა და მთელი ახლადჩამოყალიბებული ახალშენის ბედისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ ევროპიდან იმ ხანად დაბრუნებული ღრმადგანსწავლული ალექსანდრე ბატონიშვილის რუსეთის არმიის გენერალფელდციოხმამისტრად დაწინაურებას.

რუსეთის სახელმწიფო კარის, ქართველი მეფისა და ბატონიშვილის ახალშენის განმტკიცებაზე ზრუნვის შედეგი იყო ქართული სახლის მოთხოვნილებების ხაზინით დაკმაყოფილების ძველი წესის შეცვლა. წლიური ფულადი და ნატურალური სარგოს ნაცვლად 1700 წელს რუსეთის ხელმწიფემ მეფე არჩილსა და ბატონიშვილ ალექსანდრეს ნიჟნინოვგოროდის სახასო⁵⁴ მამულებიდან უბოძა ბელგოგოროდის, ლისკოვოსა და ტერიუშევის თემები („ვოლოსტები“)⁵⁵.

53 ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973, გვ. 458.

54 ლისკოვო იმ დროს სახასო მამული იყო. ეს თემი, რომელშიც ორი მონასტერიც (დედათა და მამათა) შედიოდა, ადრე ბ. მოროზოვს ეკუთვნოდა იხ. И. Д. З а в е л и н. Большой дворник в своем вотчинном хозяйстве. „Вестник Европы“, Т. 1—2. СПб. 1871.

55 იმ მდიდარი დოკუმენტებიდან, რომლებიც მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო და საოლქო არქივებში მოვიპოვეთ რუსეთში ქართველთა საადგილმამულო ურთიერთობაზე, აქ მხოლოდ ზოგიერთ საგულისხმო ფაქტს მოვიტანთ. ლისკოვოში 1700 წლის აღწერით იყო 6 თემი („სელო“), 11 სოფელი — 672 კომლით. ტერიუშევი — 8 თემი, 45 სოფელი — 1714 კომლით, ხოლო ბელგოგოროდში — დაბა, 4 თემი, 402 სოფელი — 1245 კომლით. სსრ კავშირის ისტორიის წარკვევებში

ეს ადგილები მეფე არჩილსა და ბატონიშვილ ალექსანდრეს უბოძეს მემკვიდრეობის უფლებით⁵⁶. ამასთან, მათ ნაწილობრივი საგადასახადო შეუვალობაც მიენიჭა⁵⁷.


ვრცელ ტერიტორიაზე გადაჭიმულ ქართველთა ახალშენის ცენტრი მოსკოვში იყო.

ქართველთა სამეურნეო საქმიანობა რუსული სამართლით წესრიგდებოდა. იმავე სამართლის ნორმებით იყო განსაზღვრული ქართველთა ურთიერთობა რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებებთან და სხვ. 1704 წელს პეტრე I-ისაგან ბოძებულ სიგელთა საფუძველზე, ქართველთა გაფართოებული ახალშენისათვის რუსეთში ეკონომიკური ბაზის განმტკიცება მრავალმხრივი მოღვაწეობის გაშლის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

(Очерки истории СССР. Период феодализма. Россия в первой четверти XVIII в.). Москва 1954, გვ. 189). ნ. უსტრიალოვის მონაცემების მიხედვით ქართ. ყმათა რაოდენობა მითითებულია 3184 კომლი. (იხ. Н. Устрялов. История царствования Петра Великого. т. I, с. 2., 1858, დამატება VII, გვ. 330—339). ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით მოსკოვის ქართული ახალშენის მეთაურებისათვის ბოძებულ მამულებში მცხოვრები ყმები 3779 კომლი იყო. ჩანს, იოანე ბატონიშვილი გვიანდელ ცნობებს ეყრდნობა, როცა წერს „არჩილმა მიიღო რუსთაგან პატივი და ოცდაოთხი ათასი სული ყმა რუსეთსა შინა“ (იხ. კალმასობა კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტ. II, თბ., 1948, გვ. 187).

⁵⁶ ქართველებს მამულები ნიჟნი-ნოვგოროდში 1700 წელს გადაეცათ. დიდი სასახლის უწყებიდან საამისო სიგელები 1704 წელს 14 დეკემბერს გასცეს (შდრ. გ. პაპაეა. ქართველთა დასახლებანი რუსეთსა და უკრაინაში. ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1957, გვ. 223), ამ დოკუმენტებში ქართველებზე მამულის გადაცემა მორტიკრებულია; განსაზღვრულია თემებში შემავალი სოფლები, კომლთა რაოდენობა, სახნავ-სათესი ფართობი და ა. შ. სიგელი მთავრდებოდა პირობით, რომ მამული მეფე არჩილსა, და ბატონიშვილ ალექსანდრეს და მათ მემკვიდრეთა ხელში გადადიოდა საშვილიშვილოდ, გაყიდვისა და დაჯირაების უფლებით. მათვე შეეძლოთ მამულის უკანვე გამოსყიდვა. აკრძალული იყო სამფლობელოს მონასტრისათვის გადაცემა. მემკვიდრეთა უყოლობის შემთხვევაში მამული სასახლეს უბრუნდებოდა. (შეადარე: გ. პაპაეას ნაშრომს ქართველების დასახლება რუსეთსა და უკრაინაში (XVIII ს.) ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. II. 1957. გვ. 224).

⁵⁷ მამულის ბოძების პეტრე I სიტყვიერად შეპირდა მეფე არჩილს, რომ მეთოფეთა პურის გარდა, არას გადაახდევინებდა, მაგრამ ხანგრძლივი ომიანობის პირობებში არ მოხერხდა აღთქმულის მთლიანად შესრულება. ამის გამო ქართველი მეფე სახელმწიფო მოხელეებს შეახსენებდა ხოლმე შეპირებული საგადასახადო შეუვალობის დაცვას.



სურ. მოსკოვის სტამბა-გამოცემლობა, სადაც 1705 წ. დაიბეჭდა
ქართული წიგნი „დავითნი“

ამიერიდან არც ქართველი მეფე შეიძლება ჩაითვალოს ემიგრანტად, რადგან ის სამეურნეო მოღვაწეობითაც რუსული ფეოდალიზმის განვითარების პროცესში ჩაერთო.

უცხო საზოგადოებრივ ურთიერთობაში ქართველთა კერის თავისებურება გამოიხატა იმით, რომ მოსკოვის ქართული ახალშენი ქართული ფეოდალური სახლის რიგზე ჩამოყალიბდა. ამ დიდ ფეოდალურ ორგანიზაციას სათავეში ედგნენ მეფე და ბატონიშვილი.

ალექსანდრე ბატონიშვილსა და მეფე არჩილს სასახლეებისა და მამულის მმართველებად განწესებული ჰყავდათ კარისმდგენი და საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი. მათ უმრავლესობას ქართული სამოხელეო თანამდებობები ჰქონდათ, ზოგსაც — რუსული. ქართული სამოხელეო ინსტიტუტების ნაწილი ახალი შინაარსითაც შეივსო.

კარისმდგე მოხელეთა შორის ვხედავთ ალექსანდრე ბატონიშვილის გამზრდელთ: (მამამძღუძესა და გადიას). მამუკა ბატონიშვილის განზრდელს. „დედოფალთ დედოფლის“ სახლთუხუცესს, კარის წინამძღვარს, დეკანოზს, სუფრაჯებს (მესუფრეებს), მოლარეთუხუცესს, ჭაზინადარს, მდივნებს (ქართველებს, რუსებს)⁵⁸.

ქართველთა სახლსა და საელჩოს შორის ურთიერთობა ხორციელდებოდა ორი რუსი მოხელის მეშვეობით.

რუს მდივანს მინდობილი ჰქონდა ქართველთა ყოველი საჭიროების მოხსენება საელჩოში და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედება.

ქართველ მოახალშენეთა დაცვა, აგარაკზე წასვლის ორგანიზაცია ევალებოდა რუს ბოქაულს.

ქართველი მეფის კარზე მრავალი მსახურა (მოჯალაბე, შინაყმა) იყო.

საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შორის მოსკოველ ქართველებს ჰყავდათ ბოქაულთხუცესი.

მამულებს მოსკოვის მაზრასა და ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში მთელი შტატით (გადასახადის ამკრეფნი, ტყის მცველები, მებაღეები) მართავდა მოურავი.

მამულების მართვის, დიპლომატიური და სხვა ურთიერთობისათვის ქართველთა სასახლეში იყვნენ შიკრიკები, თარჯიმანი. ელჩობის საჭიროების დროს მისიის შემსრულებელს გამოარჩევდნენ კარისმდგე თუ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შორის.

⁵⁸ სასახლეში დიდ სამწერლო საქმიანობას ეწეოდნენ. საამისოდ არჩილ II-ს შემოკრებილი ჰყავდა კულტურულ მოღვაწეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი დასი მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები, მხატვარი და ა. შ.).

მამულებში არსებულ რუსულ საყდრებსა და მონასტრებში მოსამსახურე სასულიერო პირები ქართველთა სახლს ემორჩილებოდნენ.

ახალშენის მეთაური, რომელიც ჩვეულებრივ ცენტრში ცხოვრობდა, ერთგულ მოხელეთა მეშვეობით წარმართავდა ვრცელი მამულე-



სურ. 5. ალექსანდრე შატრანიშვილი—ქართული ახალშენის მეთაური, რუსეთის არმიის გენერალ-ფელდციხიზმასტერი.

ზის მრავალდარგოვან მეურნეობას, ურთიერთობა-ყოფის იურიდიულ მხარეებს, მოახალშენეთა ეკონომიკურ ცხოვრებას, სათავეში ედგა მათ კულტურულ მოღვაწეობას, საჭიროების მიხედვით ახორციელებდა იგი კავშირს სამშობლოსთან. (პატრონს საამისოდ სპეციალური წარმომადგენელი ჰყავდა ასტრახანში) და ა. შ.

ქართველი მეფის თხოვნის საფუძველზე, საგადასახადო და სასამართლო საკითხები მამულებსა თუ ყმებზე საელჩოში უნდა განხილულიყო, მაგრამ ცენტრალიზაციის ეს წესი ხშირად ირღვეოდა.

ქართველთა ახალშენი ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილების მეთაურობით ჩამოყალიბდა. დედასთან ერთად ისინი უძღვებოდნენ მას 1693 წლამდე, ვიდრე მამუკა ბატონიშვილი გარდაიცვლებოდა. შემდეგ კი ახალშენს ერთპიროვნულად ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ბაგრატიონი.

ასე გაგრძელდა 1700 წლამდე, ალექსანდრე ბაგრატიონის ტყვედ ჩაეარდნამდე. ამის შემდეგ ახალშენის ფაქტიური მეთაური არჩილი გახდა. თუმცა არც მისი ვაჟი იყო დავიწყებული. ამას მოწმობს პეტრე I-ის 1704 წლის სიგელი, რომელშიაც მამულების მფლობელად მამა და შვილი ერთად იხსენიება. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ტყვეობაშიაც რუსეთის არმიის გენერალ-ფელდციოხმამისტერად ითვლებოდა⁵⁹.

§ 4. ახალშენის სტატუსი

მოსკოვის ქართული ახალშენის მდგომარეობა იცვლება 1711 წლიდან, როდესაც ალექსანდრე ბაგრატიონი გარდაიცვალა უცხოეთში. ამიერიდან ახალშენის ერთპიროვნული მეთაური არჩილი გახდა, თუმცა არც არჩილის ზეობა გამოდგა ხანიერი (გარდაიცვალა 1713 წელს). ამ მოკლე დროშიც მან ბევრის გაკეთება მოასწრო (ახალშენის იურიდიული სტატუსის განმტკიცება და სხვ.).

გარდაცვალების მოახლოების წინ არჩილს სპეციალური არზით მიუმართავს პეტრე I-ისათვის. ამ დოკუმენტის⁶⁰ შესავალ ნაწილში

⁵⁹ არჩილ II-ემ ბებრი რამ იღონა უფროსი ვაჟის ტყვეობიდან დასახსნელად. აღსანიშნავია, რომ მან შვედეთის მპყრობლის წინაშე თურქეთთან დაახლოებულ ავსტრიის საიმპერატორო კარის შუამდგომლობასაც მიაღწია, მაგრამ ქართველი ბატონიშვილის დაბრუნება მინც არ მოხერხდა.

⁶⁰ პეტრე I-ისათვის გადაცემული ამ საბუთის უმთავრესი ტექსტი ნაწერია შავი მელნით, რუსულად, რუსეთის სახელმწიფოს გერბიან ქალაღზე (ორ ფურ-

მეფე არჩილი რუსეთის ხელმწიფეს შეახსენებს თავისი მოღვაწეობის მთავარ აზრს, მრავალ ქირთა გადატანას აღმოსავლური მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის. ასეთმა იდეურმა მიზანდასახულობამ — ამბობდა არჩილი — „არა თუ ოდენ ქრისტიანეთა სარწმუნოებისათვის, რომლისთვისცა, არა თუ ოდენ ქუცყნიერსა სამეფოსა ჩემსა, საყვარელსა მამულსა ჩემსა, ტკბილთა შვილთა ჩემთა, ყოველთავე ქონებათა და დიდებათა, არამედ მრავალგზის თვით ცხოვრებასცა ჩემსა, ქირსა შინა მთავარდნითა, განვეშორებოდი და აწ, აჰა ესერა შეისმინა უფალმან ვმა ტირილისა ჩემისა და წარმიყუანს ამოსა ამის სოფლისაგან სანუგეშინისცემისა განსუჭნებისა ნავთსაყუდელსა, ცხოვრებასა ჩემსა, თვითთა მით მისითა ჩემდა მომართ სახიერებითა“⁶¹.

ქართველი მეფე რუს ხელმწიფეს წერდა იდეისათვის დაცემულთა უკვდავებაზე, თავისი ჭირვეული ცხოვრების დასასრულის მოახლოებაზე. ამასთანავე იგი პეტრეს ყურადღებას მიაქცევდა მის უკანასკნელ სავედრებლებზე და თხოვდა: სულგრძელად შეენდო ცოდვანი; სათნოება-მოწყალებით მოპყრობოდა მის ასულს (დარეჯანს) და ერთობლივ მის სახლში მყოფთ: მამულების მემკვიდრედ ელიარებინა ბატონიშვილი დარეჯანი, რომლის გათხოვების შემთხვევაში მის შვილებს დაუმტკიცდებოდათ მემკვიდრეობის უფლება⁶².

გ. ავალიშვილის დავთარში მითითებულ საბუთს ეწოდება: „საქართველოს მეფის არჩილის მიერ მირთმეული სათხოვარი, როსიის მეფის დიდისა პეტრე პირველისადმი“ და იქვე ცალკე, ჩაწერილია „არჩილის ანდერძი“⁶³.

ზემოთ მოტანილ დოკუმენტსაც არჩილ მეფის ანდერძს უწოდებენ⁶⁴.


ცლზე). ძირითადი რუსული ტექსტის ბოლოს ჩანს, არჩილის ხელითვე, ქართულად მიწერილია: „უკანასკნელის ჩემის აღმოუშვნის მწარის სიბერის და სიკვდილის წინ) დიდს ხელმწიფესთან ვედრება და თავის დაკვრა ეს არს, რომელიც ამას ზეით მომიხსენებია. ღვთისათვის შეისმინე თვითმპყრობელო!“ იქვე, ფურცლის პარაგრაფს მხარეს, დასმულია ქართული ბეჭედი და ხელჩართულია: „მეფე არჩილ“. უეჭველია, ეს დოკუმენტი დედანია. გ. ავალიშვილს მოეპოვება აღწერილი საბუთის ქართული ტექსტი. XIX საუკუნის ამ ქართველი მწერლის და მოგზაურ-დიპლომატის გადაწერილი ეს „ანდერძი“ თარგმანი უნდა იყოს.

⁶¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი H, ხელნაწერი 1103. ფურც. 79₂.

⁶² იქვე, 79₂.

⁶³ ხელნაწერი H — 1103, ფურც. 81z-v.


⁶⁴ П. Г. Б у т к о в. О духовном влещении Имперетинского царя Арчиза. Ж. „Северный архив“, 1824, № 23—24 с: 203—213.



სურ. 6. ნაზანი ილქსანდრე ბატონიშვილას ხელნაწერი წიგნიდან — „საარტალერია
სახელმძღვანელო“

უფრო მართებული იქნება არჩილ II-ის პეტრე I-სათვის გაგზავნილ წერილობით მოთხოვნებს მოსკოვის ქართული ახალშენის საწესდებო პირობები ეწოდოს.

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართული კულტურის კერის მეთაურები თვით უდგენდნენ წესდებას კულტურულ ცენტრებს. მათ მსგავსადვე, მეფე არჩილმა მოსკოვის ახალშენს განუსაზღვრა მომავალი, ეს დოკუმენტი რუსეთის ხელმწიფემ უმაღლესად დაამტკიცა.



სურ. 7. არტილერისტ გიორგი თარხანის წარწერა ალექსანდრე ბატონიშვილის „საარტილერო სახელმძღვანელოზე“

აღნიშნული წესდება-ანდერძით კარგად ჩანს ის მნიშვნელობა, რასაც ქართველი მეფე ანიჭებდა რუსეთში არსებულ ქართული კულტურის ამ კერას საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში.

1713 წლის 13 მაისს პეტრე I-მა მოისმინა მეფე არჩილის სათხოვარი და ბრძანა: მამულები, ყმები, მოძრავი ქონებაც დარჩენოდა ქართველი მეფის ქალიშვილსა და მემკვიდრეებს⁶⁵.

მეფე არჩილის შორსმჭვრეტელობით განსაზღვრულ ქართველთა ახალშენის მოშავლით შესაძლებელი შეიქმნა მემკვიდრეობითი უფლების შედარებით უმტკივნეულოდ დაცვა, რამაც მცირე როლი როდი შეასრულა ქართული ახალშენისა და საერთოდ, საქართველო-რუსეთის მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებაში.

§ 5. ქართველ მოახალშენეთა სალოცავები და აკლდამა

ქართველთა ახალშენის კომპონენტია სალოცავი და აკლდამა.

ჩამოყალიბებისთანავე ქართველთა ახალშენში რამდენიმე სალოცავი იყო. ერთი — ქალაქში, საზამთრო სასახლესთან, ხოლო მეორე: — აგარაკზე⁶⁶.

მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა საკუთარი საძვალის შექმნა. ამას იმ გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ მოსკოველი ქართველები ბერძენთა მონასტრის (ნიკოლსკის ქუჩაზე)⁶⁷ ნეკროპოლს იყენებდნენ, იქვე ჩამოყალიბდა მათი აღრინდელი სასაფლაო.

გამოვლენილი ეპიტაფიების მიხედვით, აღნიშნულ მონასტერში XVII საუკუნესა და XVIII ს-ის I მესამედში რამდენიმე ქართველი: წარჩინებული დაუქრძალავთ.

რაც შეეხება მოსკოვში მცხოვრებ დაბალი სოციალური წრის ქართველებს, ჩანს, მათ სხვადასხვა სალოცავების (მონასტრების) ეზოებში მარხავდნენ⁶⁸.

XVII საუკუნის 90-იან წლებში ქართველები დაუსაფლავებიან ქალაქის გარეთ არსებულ დონისა და ნოვოდევიჩის მონასტრებშიც.

⁶⁵ გ. ავალიშვილის თარგმანში მოცემულია ვრცელი რეზოლუცია, რომელშიაც ბატონიშვილ დარეჯანთან ერთად მამულების სარგებლობის უფლებამოსილად აღნიშნულია ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლიც. იქვე მითითებულია ბრძანებულებაზე ხელმოწერა. იხ. ხელნაწერი Н—1103, ფურც. 80.

⁶⁶ И. Ф. Токмаков. Историко-статистическое и археологическое описание села Всехсвятского Московской губернии и уезда. М., 1898 с. 147, ფ რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. სვესენწკა — ქართული კულტურის კერა მოსკოვში. „ცისკარი“, 1982 წ. № 6, გვ. 131.

⁶⁷ Греческий Николаевский монастырь.

⁶⁸ ფ რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. ქართველ მოღვაწეთა მოსკოვის პანთეონის ისტორიისათვის. „საბჭოთა ხელოვნება“, 1981 წ. № 12, გვ. 97—99.

დონის მონასტერში ამ დროს დაკრძალული ჩანს ალექსანდრე ბატონიშვილის აღმზრდელი ა. ყორღანაშვილი, ხოლო ნოვოდევიჩის მონასტერში ჯერ ალ. ბაგრატიონის მეუღლე ფ. მილოსლავსკაია უნდა დაეკრძალათ, შემდეგ კი უდროოდ გარდაცვლილი დავითი და მამუკა ბატონიშვილები.



სურ 8. ქართველთა სალოცავი აგარაკ სუე-ენწყაში და ყოფილი სასაფლაო მის ეზოში.

დონის მონასტერში ქართველთა დაკრძალვა ფართოვდება არქიმანდრიტ ლავრენტის (გაბაშვილი) წინამძღვრობის (1705 წ.) დროიდან, ცნობილი მწიგნობრის, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის ლ. გა-

ბაშვილის რჩევით, ამავე მონასტერში გაიჩინა აკლდამა არჩილ მეფე-მაც.

1712 წელს დონის მონასტრის მთავარი ტაძრის ქვედა სართულში დიდი პატივით დაკრძალეს რუსეთის არმიის ქართველი გენერალ-ფელ-დციონზაისტერი ალექსანდრე ბაგრატიონი⁶⁹.

დონის მონასტრის მთავარი ტაძრის ქვემო სართულში ქართველი მეფის ოჯახისათვის აკლდამის მოწყობის განზრახვისთანავე ნოვოდე-ვიჩის მონასტრიდან გადმოსვენეს დავით და მამუკა ბატონიშვილების, ფ. მილოსლავსკაიას ნეშტები⁷⁰.

1712 წელსვე ქართველი მეფის საგვარეულო აკლდამასთან ააშე-ნეს უფლის მირქმის სახელობის საყდარი, რომელიც აკურთხეს.

1713 წელს მირქმისავე საყდრის ცენტრში დაკრძალეს არჩილიც. მოგვიანებით დედოფალი ქეთევანი, მათგან დაშორებით გაუთხარეს საფლავი არჩიმანდრიტ ლავრენტის 1720 წელს, იმავე წელს ალექსან-დრე ბაგრატიონის გვერდით დაკრძალეს მისი მეუღლე გ. დავითაშვი-ლი. ბატონიშვილმა დარეჯანმა უხვი შესაწირავებით გაამდიდრა დო-ნის მონასტრის საქონებელი⁷¹, გააფართოვა სალოცავი და სხვ⁷².

1729 წელს დარეჯანმა სპეციალური სიგელით დონის მონასტრის ძმობას მირქმის საყდარში ღვთისმსახურებისათვის, ყოველწლიური ნა-ტურალური უღუღა და ფულადი ჯილდო დაუწესა⁷³.

სიგელით დაწესებულს გარდა, ქართველები აღრიდანვე უხვი შე-წირულობებით (ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, ოქროქედური ხატე-ბით, ჰედურყდიანი წიგნებით, ძვირფასი ქსოვილებით) ამდიდრებდნენ დონის მონასტრის საგანძურს, რასაც მოწმობს მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტი.

⁶⁹ Пр. Спхарулидзе, У истоков дружбы, „Вечерний Тбилиси“ 18 мая, 1982, № 117, с. 3.

⁷⁰ Путешествие к древностям и достопамятностям Московским. М., 1792, с. 91—92. И. Забелин. Историческое описание Московского Ставропигнального Донского монастыря. М., 1893; Б. С. Эсадзе. Летопись Грузии. вып. I (Тифлис), 1913, с. 301; ვ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 244.

⁷¹ ფ რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. დონის მონასტრის ქართველი მშენებლები. „სახალ-ხო განათლება“, 1983, 20 მაისი, № 40, გვ. 4.

⁷² ფ რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. პოი, დედანო, მარად ნეტარო „დროშა“. 1983, № 8, გვ. 8.

⁷³ ქართულ და რუსულ ენაზე დაწერილი ეს დოკუმენტ-დაულო საფუძვლად ქმობის შემდეგდროინდელ სამსახურს აღნიშნულ ტაძარში.

ამრიგად, XVIII ს-ის 20-იანი წლებისათვის მოსკოვის ქართული ახალშენის მესვეურთა ზრუნვის შედეგად დონის მონასტრის მირქმის საყდარში ჩამოყალიბდა მეფე არჩილის საგვარეულო აკლდამა, სადაც მეფისა და მისი ოჯახის წევრებს გარდა, დაკრძალეს მხოლოდ არჩილის უახლოესი თანამებრძოლნი და ბატონიშვილების აღმზრდელნი.

დიდ რუსულ მონასტერში მოახალშენეთა ძვალშესალაგის შექმნა ქართველთა ძლიერებასა და მათი ამ ახალი კერის სიმტკიცეს მოწმობდა.

მომდევნო ხანაში არჩილ მეფის საგვარეულო აკლდამა თანდათან ფართოვდებოდა: ჯერ დონის მონასტრის ქართველი წინამძღვრის ბრძანებით, ხოლო შემდეგ დაბრუნებულ ბატონიშვილის ინიციატივით უფლის მირქმის საყდარზე სხვადასხვა მინაშენის შედეგად ეს სალოცავი და მასში არსებული სასაფლაო გაიზარდა.

პარალელურად ქართველთა სასაფლაოდ ყალიბდება სვესენწკაში არსებული საყდარიც.

1725 წელს ქართველთა აღნიშნული მამულის სალოცავში დაკრძალეს ს. ს.-ორბელიანი. ამ გამოჩენილი მწერლის, მეცნიერისა და დიპლომატის სვესენწკაში დასაფლავებით საფუძველი ჩაეყარა მოსკოვში ქართველ მოღვაწეთა მესამე პანთეონს. გვიან, ამავე სალოცავის შემოგარენი იქცა ქართველთა ძირითად სასაფლაოდაც⁷⁴.

XVIII ს-ის ოციან წლებში გაზრდილ მოსკოვში ქართველთა ახალშენს ჰქონდა უმთავრესი კომპონენტები (საზამთრო და საზაფხულო სასახლეები, კარის საყრდენები, აკლდამა-სასაფლაოები). რუსეთის ხელმწიფისაგან გაცემულ სიგელთა (1704 წ. 1713 წ.) საფუძველზე, ქართველთა დასახლებამ განიმტკიცა შიდა სამეურნეო, სამმართველო ორგანიზაცია და რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებებთან კავშირურთიერთობის მოპოვებული სტატუსი.

მოპოვებული უფლებები, ეკონომიკური შესაძლებლობა ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს დედამშობლოსთან მოახალშენთა კულტურულ-პოლიტიკური კავშირის კიდევ უფრო გასაფართოებლად.

⁷⁴ ფ. რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. სვესენწკა — ქართული კულტურის კერა მოსკოვში „ციცქარი“, 1982, № 6, გვ. 125.

თ ა ვ ი II

ქართველებით დასახლებული ახალი უბანი

§ 1. საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი

მოსკოვის ქართველთა ახალშენი შეიქმნა საქართველო-რუსეთის მრავალმხრივი ურთიერთობის ხელშესაწყობად.

მოსკოვში მყოფი ქართველი მოღვაწეები იბრძოდნენ რუსეთთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩამოსაყალიბებლად, მტრული გარემოცვის გასარღვევად. ამ მხრივ არჩილ II-ის მეთაურობით გაწეულ ენერგიულ მეცადინეობას, იმთავითვე, შედეგად სამხედრო კავშირი არ მოპყვლია.

მცემს რასმ იმედსა, სიტკბოთ იმედსა
იქნებამც მრავალთ კარგ შემსწრობელი.

წერდა პოეტი მეფე არჩილი პეტრე I-ის დანაპირებზე. ქართველ მეფეს შეურყევლად სჯეროდა, რომ ჩრდილოეთის საკითხის გადაწყვეტისთანავე რუსეთის სახელმწიფო კარი აღმოსავლეთშიაც ქმედით ღონისძიებებს განახორციელებდა.

საამისო წინაპირობები რუსეთში მომზადებული იყო. არჩილ მეფემ XVIII საუკუნის პირველ წლებში შეადგინა რუკა და სახელმძღვანელო ცნობები მიაწოდა რუს დიპლომატებს. განსაკუთრებით ნაყოფიერად თანამშრომლობდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურებთან ქართველი მეფე მაშინ, როცა ისრაელ ორი იმყოფებოდა მოსკოვს. ქართველი და სომეხი მოღვაწეები ერთსულოვნად ითხოვდნენ კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ხელშეწყობას, ჯარით დახმარებას¹.

¹ В. К. Восканян. Русско-армянские отношения в XV — начале XVIII вв и формирование русской ориентации армянского освободительного движения. В сб. „Из истории вековой дружбы“. Ереван, 1983, с. 19—23.

სამწუხაროდ, რუსეთთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირის შექმნა მაშინ არ მოხერხდა.



სურ. 9. ქართველთა ახალშენის შეთაური ვახტანგ VI

პეტრე I მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს და მათ მეთაურს არჩილ II-ს ყურადღებას არ აკლებდა, აიმედებდა:

ჩემსა რგებასა, ვარიგებასა
ბრძანებს, მე საღლა შევესწრებია

წერდა რუსეთს მცხოვრები მეფე არჩილი.

თვითონ არჩილი მართლაც ვერ მოესწრო საქართველოს მომავლის გარკვევას, მაგრამ ამ უამს არც ისე შემოგვიანებია.

რუსეთ-შვედეთის ომის დაშთავრებამდე პეტრე I აღმოსავლეთში უახლოეს ხანში მოქმედებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კავკასიაში დასაყრდენის გასამტკიცებლად, მოკავშირეთა შესაძენად.


ოსმალთა და სპარსთა წინააღმდეგ კავკასიის ხალხები აღსდგნენ. ამ საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ვახტანგ VI, მეფე ბაქარმა, დავით ბეგმა² და სხვებმა.

რუსეთის სახელმწიფო კარი კარგად ითვალისწინებდა საქართველოსთან კავშირის გასაძლიერებლად მოსკოველ ქართველთა როლს. ამას მოწმობს პეტრე ჰირველის საამისო მითითება ასტრახანის გუბერნატორ ა. ვოლინსკისადმი.

² Очерки истории СССР. Т. VIII М. 1967; Е. Зевакин, М. Полиевктов. К истории Прикаспийского вопроса. Тифлис, 1934; В. П. Лысцов, Персидский поход Петра I (1722--1723). МГУ 1951; О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в. М., 1966; А. В. Фадеев. Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960.

³ Армяно-русские отношения в XVIII веке. Сб. документов Т. П., Ч. I, Ереван, 1964; П. Г. Арутюнян. Освободительное движение армянского народа первой четверти XVIII века. М., 1954; Документы по истории совместной борьбы народов Закавказья против Турецких агрессоров в первой четверти XVIII века. Историко-филологический журнал АН АССР. 1964, № 2, с. 243—248; В. М. Мартиросян. Россия и сотрудничество армянского и Грузинского народов в освободительной борьбе в 20-х годах XVIII столетия. Ереван. 1966 С. А. Тер-Авакимова. Армяно-русские отношения в период подготовки Персидского похода. Известия АН Армянской ССР/общественные науки/, № 7, 1959, г. მაისურაძე. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII საუკუნეებში, თბ., 1982, გვ. 193—299; გ. პაიქაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ., 1960; Г. Г. Паичадзе. Русско-грузинские политические отношения I половины XVIII века. Тб., 1970; გ. პაიქაძე. ვახტანგ მეექვსე. თბ., 1981.

ასტრახანის გუბერნატორს ენერგია არ დაუშურებია ხელმწიფის დავალების განსახორციელებლად, საქართველოს რუსეთთან დასაკავშირებლად.



სურ. 10. ქართველი სალოცავი—შაჰაიროშაჰე წმინდა გიორგი

ამ საკითხის გარკვევას დიდი ხანია ესწრაფოდნენ რუსი და ქართველი მკვლევარები⁴.

როგორც ახლადგამოვლენილი დოკუმენტებიდან⁵ ჩანს. ნებართვის მიღების შემდეგ ა. ვოლინსკი ჩავიდა მოსკოვში ბატონიშვილ დარეჯანთან და სანდო, რუსული და ქართული ენის მცოდნე ახალგაზრდები სთხოვა საქართველოში გასაგზავნად.

დიპლომატიურ მოღვაწეობაში გამოცდილ გუბერნატორს საამისოდ განსაკუთრებით მოსწონებია არტილერისტი გ. დადიანი, მაგრამ მისი საშსახურიდან განთავისუფლება გაძნელებულა. შემდეგ ა. ვოლინსკის საქართველოში გაუგზავნია მამუკა (ბარათაშვილი) და გ. მეტრეველი, ეს უკანასკნელი 6 თვე დარჩენილა თბილისში. მოსკოველმა ქართველმა დიპლომატებმა ვახტანგ VI-ს გააცნეს რუსეთთან საიდუმლო კავშირის პირობები⁶.

ქართველი მეფის რუსეთის იმპერატორისადმი მხურვალე მხარდაჭერაზე რუსეთში დაბრუნებულმა გ. მეტრეველმა ა. ვოლინსკის მოახსენა. გუბერნატორმა ახალგაზრდა ქართველი დიპლომატი ასტრახანში ჩასულ პეტრე I-ს წარუდგინა. იმპერატორმა ყურადღებით მოისმინა გ. მეტრეველის მოხსენება.

რუსეთის იმპერატორმა ქართლის მეფეს აცნობა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პირობები⁷.

საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის გაფართოებისათვის, დიპლომატიურ სარბიელზე ადრევე ენერგიულად იღვწოდნენ სხვა მოსკოველი ქართველებიც⁷. ერთ-ერთი მათგანი (ეზისკოპოსი ანტონი) მოსკოვიდან შემახამდე გამოჰყვა ჯერ კიდევ სპარსეთს წარგზავნილ ა. ვო-

⁴ История СССР Т. I, М. 1941 с. 621 — 622. სახელმწიფოებრივად გათვალისწინებული იყო ამავე საკითხზე რუს ისტორიკოსთა (ბ. ბუტკოვი, ა. ვოლოვიცი) მონაპოვარც. იხ. С. Н. Джанашия. Историография. 1940, XII, с. 145. ი. ცინცაძე. რუსეთ-საქართველოს ისტორიოგრაფიიდან. „მომომხილველი“. III, თბ., 1953, გვ. 91—95.

⁵ ვ. პაიქაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ., 1960, გვ. 74; ფრ. სიხარულიძე. მოსკოვის ქართული ახალშენის როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. კრებ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. I, თბ., 1968, გვ. 154—160;

⁶ ფრ. სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 155—159; М. Папашвили. Внешне-политические взаимоотношения Грузии в пертой четверти XVII века... Автореф. Тб., 1986 с. 7. 1986, (რუს. ენაზე) გვ. 7.

⁷ მოსკოვის ქართული ახალშენის მკვიდრი იყვნენ რუსეთის არმიისა და ფლოტის იმ ნაწილებში, რომლებიც კასპისპირეთში წამოვიდნენ.

ლინსკის. მოსკოველი ბ. თურქისტანიშვილი ახლდა გამოგზავნილ რუსეთის ელჩს არტილერისტ ი. ტოლსტოის, რომელიც თბილისში ჩამოვიდა 1722 წელს.

რუსეთის დესპანს ქართლის გამგებლად მყოფი, ბატონიშვილი ვახუშტი შეხვდა⁸. მან პირველმა შეიტყო თავზარდამცემი ამბავი — რუსთა საომარი მოქმედების მომავლისათვის გადადება, რომელიც სასწრაფოდ აცნობა რუსეთის ჯართან შესახვედრად განჯაში ლაშქრით მდგარ ვახტანგ VI-ს.

ქართველი მეფე მალე გამოეშურა თბილისისაკენ. რუს ელჩთან შეხვედრისას მან გამოთქვა სინანული ლაშქრობის მოშლის გამო და ამასთანავე დაადსტურა აღთქმული პირობებისადმი ერთგულება⁹.

შექმნილ სიტუაციაში ვახტანგ VI-მ ოჯახითა და თანამებრძოლებით დროებით რუსეთს გადასვლა გადაწყვიტა. იმპერატორმა მიიღო მისი წინადადება და რუსეთს მიიწვია ერთგული მოკავშირე.

ბატონიშვილი დარეჯანი ქართველი მეფის ამ ვიზიტს რუსეთის საიმპერატორო კარზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. რუს დიპლომატთა საქმიანობაში გარკვეული მოსკოვის ქართული ახალშენის მეთაური ქართლის მეფეს ურჩევდა გამოცდილ მოღვაწეთა მრავლად წაყვანასაც¹⁰.

აქ მოკლედ განხილული ფაქტების საფუძველზედაც ნათლად ჩანს, რომ მოსკოვის ქართულმა ახალშენმა საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის (XVIII ს-ის I მეოთხედი) ჩამოყალიბებაში შუამავლას როლი შეასრულა. ქართველთა ამ ახალშენის მრავალმხრივად გამოყენების შესაძლებლობა რუსი დიპლომატების მიერ იმთავითვე იყო ნაგულისხმები.

§ 2. ჰართველთა 1724 წლის მიზრდაცნა და მისი შედეგები

საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის საფუძველზე ვახტანგ VI დიდი ამალით 1724 წლის 15 ივლისს რუსეთს გამგზავრა.

⁸ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1973, გვ. 500.

⁹ Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями, СПб. 1861 С. L XXXVII, 148—150.

¹⁰ იქვე.

ამდენი განათლებული პირის, სახელმწიფო, სამხედრო და კულტურული მოღვაწის ერთბაშად სამშობლოდან წასვლა უდიდესი დანაკლისი იყო ქვეყნისათვის. საქართველოს მოაკლდნენ: სახელმწიფოს წარმმართველნი, იდეური და სამხედრო წინამძღოლები, მწერლები, პოეტები, ქართული ეკლესიის მაღალი და დაბალი რანგის მოღვაწენი.

ეს მოხდა ქვეყნის, ხალხის დიდი გასაჭირის დროს, როცა უმეფოდ დარჩენილ სამეფოში დამპყრობლები თარეშობდნენ.

ასეთ ვითარებაში ქართლის მეფეს მნიშვნელოვანი გეგმა ჰქონდა. აწით იყო განპირობებული მისი ამალის მრავალრიცხოვნება¹¹.

დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, კულტურული რეფორმატორის ვახტანგ VI-ის თითქმის მთელი თავისი სკოლით რუსეთში გადასვლა ახალ ეტაპს ქმნიდა საქართველო-რუსეთის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებაში.

მძიმე და ხანგრძლივი მგზავრობის¹² შემდეგ ქართველები საწილ-საწილ¹³ ჩავიდნენ მოსკოვს.

¹¹ ვახტანგ VI-ის ემიგრაცია ვ. დონდუამ შეაღარა პეტრე I-ის „დიდ ელჩობას“. შვედევარი სამართლიანად წერდა, რომ რუსეთს წასულ ქართველებს პოლიტიკურთან ერთად კულტურული მიზნები ჰქონდათ დასახული. იხ. ვ. დონდუა. ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. „მომთხროველა“ III, თბ., 1953, გვ. 147.

¹² ქართველთა მგზავრობის დოკუმენტების შესწავლით ნათელი ხდება თუ რა მხნედ ვადაიტანა ამ გრძელი გზის გავლის გასაჭირი არა მარტო ლაშქრობებში გაწვრთნილთა მამაკაცებმა, არამედ ქალებმა, ბავშვებმა, მოხუცებმა, რასაც განპირობებდა წინაპართა ცნენობის ტრადიცია, საბანკო-სალაშქრო განყოფილება და, სავთოდ, მარად ჭირბეული ცხოვრების ჩვეულება.

¹³ რაქის გავლით ქართველებმა ზაფხულში შედარებით ადვილად გადალახეს კავკასიის უღელტეხილი და ინიერკავკასიაში გავიდნენ. ჩერქეზეთს მიხვლი ქართველები ვახტანგ VI-ის მოყვარე ბაყაშვილებმა მიიპარევენ და პატივით გაისტუმრეს. 31 აგვისტოს ემიგრანტები წმინდა ვერის ციხე-სიმაგრეში მივიდნენ. აქედან ქართველი მეფე რუსეთის დედაქალაქში ელჩად გზავნის ზემო ქართლის სარდალ ვ. ამილახვარს. 12 სექტემბერს ვახტანგ VI-ის დასტურით მოსკოვისაკენ გაემართა ს. ს. ორბელიანი. (იხ. ს. ყუბანეიშვილი. ს.-ს. ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში. ლიტერატურული ძიებანი ტ. VI. 1958. გვ. 69). სიტყუ-წყულობის გასაჭირის შეუხედავად, ქართველებმა უვნებლად განვლეს იმიერკავკასიის გრძელი ველები. 1724 წლის 8 ნოემბერს ქართველი მეფე და მისი ამაღა ზეიშით მიიღეს სამხრეთ რუსეთის სანაპირო უდიდეს ქალაქ ასტრახანს. 1725 წ. 2 თებერვალს ვახტანგ VI, შვილის, მეფე ბაქარის, ძმის სიმონისა და 9! კაცისი ამაღით ასტრახანიდან პეტერბურგს გაემართა. სხვა მხლებლები ასტრახანს დარჩნენ დედოფალ რუსუდანისა და ვახუშტი ბატონიშვილის მეთაურობით. 9 თებერვალს ვახტანგ VI ჩორჩი იარში მივიდა, 13 თებერვალს — ცარიცინში. 10 მარტს ქართველი მეფე და მისი ამაღა ჩა-



სურ. 11. შერეობლივი რომანოვს ერისთავი

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით მოსკოვში მყოფი ქართველები დროებით ჩაასახლეს მოქალაქეთა ბინებში, ხოლო შემდეგ მათ დასასახლებლად გამოყვეს პრესნიის ნაწილი. პრესნიაზე სასახლის, ბალისა¹⁴ და მამულის ბოძების (1729 წლის 26 დეკემბერი) შემდეგ რუსეთის მთავრობამ ქართველთა სადამშენებლო საქიროებისათვის ერთდროულად გასცა 10000 მანეთი. ამ თანხის ურთიერთშორის განაწილების საფუძველზე ქართველთა ოჯახების მეთაურებმა 1730 წლიდან დაიწყეს სახლების მშენებლობა დაწესებული ნორმის მიხედვით გამოყოფილ ნაკვეთებზე.

1730 წლის ზაფხულში ასზე მეტი სახლი აშენდა¹⁵, მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო საქმარისი, რადგან ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ¹⁶ საკარმიდამო ნაკვეთების მსურველნი (46 ოჯახი).

პრესნიის ეს ნაწილი თანდათან მკიდროდ დასახლდა და ამ ახალწარმოქმნილ საცხოვრებელ უბანს მალე „გრუზინი“ უწოდეს¹⁷. მოგვიანებით, გრუზინიზე მცხოვრებმა ქართველებმა საერთო სალოცავიც (მთავარმოწამე წმინდა გიორგის სახელობის საყდარი) აიშენეს¹⁸.

ვიდნენ მოსკოვში, ხოლო 30 მაისს, ვახტანგ VI მსლებლებით რუსეთის დედაქალაქში მიიღეს.

დღოფალ რუსუდანის მეთაურობით ქართველთა ერთი ნაწილი ასტრახანიდან 1726 წლის 30 იანვარს გაემართა მოსკოვისაკენ ა. ლაპუხინის წინამძღოლობით. შემდეგ ჩრდილოეთისაკენ გზას დაადგა ასტრახანში დარჩენილ ქართველთა ჯგუფი ვახუშტი ბატონიშვილის მეთაურობით,

¹⁴ ქართველთა დასასახლებლად გამოყოფილ უბანში არსებული სასახლე და ეზო (სიგრძით 302, სიგანით 185 საეენი) და ბაღი (365×255 საეენზე), ვახტანგ VI-მ მიიღო.

¹⁵ მეფე ბაქარიდან მოკიდებული საკარმიდამოები განაწილებით ერგოთ. ყველაზე დიდი ფართობი სასახლეთა ასაშენებლად ბატონიშვილებმა მიიღეს. სიდიდით მას ცოტათი ჩამორჩებოდა თავადთა საკარმიდამოები, ხოლო აზნაურთა სამოსახლო ფართობი, შედარებით, მცირე იყო.

¹⁶ ქართველთა სამეფო სახლიდან ამ დროს რუსეთში გაემგზავრა 23 სული (12 კაცი და 11 ქალი) მათი კარისმდგენი და მოსამსახურენი — 428 (420 კაცი, 68 ქალი), სამხედროები — 13, სამხედროთა ოჯახები 27 სულს ითვლიდა (18 კაცი და 9 ქალი), სამხედროებთანვე ირიცხებოდა 140 კაცი და 39 ქალი და ა. შ. სასულიეროებს 42-ს ანგარიშობდნენ (38 კაცსა და 4 ქალს). მათ 98 მსახური ახლდათ. პოლიანად ვახტანგ VI-ის ამაღლაში 1286 სრულასაკოვანი ადამიანი შედიოდა (1086 ჰამაკაცი და 200 ქალი). მათ მცირეწლოვან ბავშვებსაც თუ გავითვალისწინებთ ამაღლა დიდად გაიზრდებან.

¹⁷ ფ. რ. სიხარულიძე. პრესნია — ქართველთა უბანი მოსკოვს. „მნათობი“, 1982, № 7, გვ. 127—134.

¹⁸ იქვე. გვ. 133.

ასე ჩამოყალიბდა ქართველთა ახალი მრავალრიცხოვანი დასახლება მაშინდელი მოსკოვის გარეუბანში¹⁹.

მრავალრიცხოვან განათლებულ ქართველთა უცხოეთში ცხოვრება დიდი დანაკლისი იყო სამშობლოსათვის. ქვეყანაში წლები იყო საჭირო ასეთი მაღალი რანგის გონებრივ მუშაკთა აღსაზრდელად.

სამაგიეროდ, უცხოეთში მყოფი ქართველები ენერგიულად იღვწოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

§ 3. ქართველი მეფის სასახლის რიგი

ისევე, როგორც ადრე „ოხოტრი რიადზე“ ახლა „გრუზინიშიც“ ქართველი მეფის კარი შეიქმნა.

ვახტანგ VI-ს რუსეთში გაპყვა თითქმის მთელი სამეფო სახლი, ქართლისა და სხვა სამეფო-სამთავროების მკვიდრნი, გამოჩენილი სათავადო სახლის შვილები.

მეფეს, დედოფალს, ბატონიშვილებსა და თავადებს ახლდნენ სასულიერო მოღვაწენი, კარისმღეენი და საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი, მსახურები.

რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართველ მეფესთან ადრევე დანიშნა თავისი წარმომადგენელი. ჯერ ა. ლოპუხინი, შემდეგ — პ. აქსაკოვი, მოგვიანებით საიმპერატორო კარმა თავისი წარმომადგენელი კვლავ შეცვალა. აქედანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოახალშენებთან ურთიერთობას.

„გრუზინის“ ცენტრში იყო ვახტანგ VI-ის სასახლე და ბაღი. ვახტანგ VI-ის სასახლეს განაგებდა კარისმღეე მოხელეთა მთელი შტატი: სახლთუხუცესი, მდივანმწიგნობარი, მოლარეთუხუცესი, საღაროს თავლიდარი, „შედის ვლმის მკერელი“, მესტურეთუხუცესი, მეჩინიბეთუხუცესი, მუჯირი, ჯაბადარბაში, ყალიონყორჩი, მერიჩიფეთუხუცესი და სხვა. მრავალი შინაგმა ტრიალებდა სასახლის კარზე.

სამეფო სახლის იდეურ ცხოვრებას უძღვებოდნენ: მეფის მოძღვარი და თბილელი. იქვე მოღვაწეობდნენ: დეკანოზი, დიაკვანი, მგალობლები და სხვები.

მოსკოველ ქართველთა შორის მღვდელთმთავრები იყვნენ: ქრისტეფორე სამთავრელი და პავლე თბილელი. ეს უკანასკნელი მალე

¹⁹ სვესენწკას მსგავსად ეს დასახლება მალე გადაიქცა ქართული კულტურის მძლავრ კერად. ხელნაწერ თუ ნაბეჭდ ძეგლებში. ამა თუ იმ თანულების შექმნისა თუ გადაწერის ადგილად დასახლებულია: „პრესნა“, „მოსკოვს, პრესნას“. ზოგჯერ რუსული გავლენით: „ნაპრესნას“ და ა. შ.

გარდაიცვალა. ვახტანგ VI-მ თბილელის ხარისხში აამაღლა ნიკოლოზ ბროველი²⁰.

1732 წელს ქართველი მღვდელთმთავრები გარდაიცვალნენ. იმავე წელს ქართველ სასულიეროთა ერთი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო მეორე ჯგუფი — იერუსალიმს გაემგზავრა.

იმავე პერიოდში მოსკოვში მივიდა სასულიეროთა კრებული არქიეპისკოპოს იოსებ სამებელის მეთაურობით²¹.

ვახტანგ VI-ის სასახლის სახლთხუცესი და სხვებიც უძღვებოდნენ საქვეყნო საქმეებს. ქართველ მეფესთან დანიშნული რუსი მოხელის მეშვეობით ისინი უკავშირდებოდნენ საელჩოს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებას. საქიროების შემთხვევაში მეფე თვითონ გამოპყოფდა სპეციალურ დავალებათა შემსრულებელ მოხელეებს.

მეფის მსგავსად კარისმდებ მოხელეთა დიდი შტატი (უმთავრესად ქალები) ეხვია გარს დედოფალ რუსუდანს. გამდელის, სახლთხუცესის, მოლარეთხუცესის, მდივნის, მოძღვრის, დეკანოზის გარდა ქართველ დედოფალთან იყვნენ: მერაქიფენი, თუშმალნი და სხვა მრავალი მომსახურე.

„გრუზინის“ ცენტრში დასახლებული იყვნენ ბატონიშვილებიც და მეფის ძმა სიმონი. მათგან მოშორებით — თავადები²².

ვახტანგ VI-ის კარის მსგავსად იყო მოწყობილი მეფე ბაქარის სასახლეც. მეფე ბაქარის ხელთ იყვნენ: სახლთხუცესი, მსახურები, ნა-

²⁰ ვახტანგ VI-ის სიგელში ნათქვამია: თბილელის ხარისხს გწყალობ ბროველ ეპისკოპოს ნიკოლოზს. აქ, ჩვენს სახლში იმსახურებს. თუ ღმერთა საქართველოში დაგვაბრუნებს ის თბილისის მიტროპოლიტი იქნებაო. სამუწუნაროდ, სახელოვან მოღვაწეს ნ. ორბელიანს არ ეღივსა რეალურად თბილელობის თანამდებობის შესრულება.

²¹ ეს მოღვაწე თანამებრძოლებით მალე პეტერბურგს გაიწვიეს, საიდანაც არქიეპისკოპოსი იოსები ნოვოროდის კათედრაზე დანიშნეს.

²² ძსცა-ში დაცულია პრესნაზე ქართველთა დასახლების გვიან შედგენილი ვეგმა. ეს ვეგმა საქართველოს სსრ წარმომადგენლობის კულტურის განყოფილების ზელმძღვანელის ა. სეყვარელიძის თხოვნით, ფირზე გადავადებინეთ. მისი ფოტო დავურთეთ ქართველთა ყოფილ საცხოვრებელ უბანში შემორჩენილ სასლ-შემორიძის საქართველოს სსრ წარმომადგენლობისათვის გადაცემის მოსკოვის საქალაქო საბჭოში წარსადგენ მოხსენებას. ჩვენი კონსულტაციით არქიტექტორმა არქივში გადაიღო ამ ვეგმის ასლი, რომელიც მოთავსებულია გამოფენაზე: „ქართველთა ახალშენი მოსკოვს XVII—XVIII საუკუნეებში“, აღნიშნულ ვეგმაზე დატანილი ქართველთა უბანში მცხოვრები ოჯახების საა განოქვეყნა ე. პაპუაჩე. რ. Г. Г. Папучадзе, К истории грузинской колонии в Москве в XVII — XVIII веках. Тб., 1982, с. 48—56.

ზირი, ეშიკალასი, მეჭინბეთხუცესი და სხვა თავადები და აზნაურები. მეფის სულიერ ცხოვრებას წარმოადგენდა კარის წინამძღვარი.

მეფე ბაქარის სასახლის რიგს ჩამორჩებოდა სვიმონ და ვახუშტი ბატონიშვილების სასახლის რიგი.

მეფესა და ბატონიშვილებს სასახლეშივე ჰქონდათ კარის სალოცავი.

ქართველ თავადთა ერთი ნაწილი, აზნაურები და მსახურები ღვთისმსახურებისათვის იყენებდნენ მახლობელ რუსულ სალოცავებს²³.

გრუზინიზე, ქართველი მეფის სასახლეში ხშირად იკრიბებოდნენ წარჩინებულნი, განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში. საზეიმო შეხვედრებში დიდ ყურადღებას უთმობდნენ იმპროვიზაციას, პოეტთა თუ ხუმარათა შეჯიბრებას. ასევე არ ივიწყებდნენ ხალხურ გასართობებს.

მუდმივი სამხედრო მზადყოფნის, მოზარდთა აღზრდისა და სხვა საჭიროებანი განაპირობებდა ყმაწვილთა ხშირ წვრთნას, შეჯიბრს ბურთობაში, ჯირითში და ა. შ.

გვიან ვახტანგ VI-ს არბატზე გადაეცა ვ. დოღგორუკოვის ყოფილი სასახლე, სადაც აგრეთვე იმართებოდა სადღესასწაულო შეხვედრები.

§ 4. ახალშენის გაერთიანება და მისი მემკვიდრენი

ვახტანგ VI-მ გადაწყვიტა ღარეჯან ბატონიშვილის მემკვიდრეობის საკითხი.

ქართველმა მეფემ ადრევე მოითხოვა ალექსანდრე ბატონიშვილისა და არჩილ II-ის ქონების მემკვიდრედ თავისი აღიარება. 1727 წლის 20 აგვისტოს ღარეჯან ბატონიშვილმა მემკვიდრედ ბაქარის დამტკიცება ითხოვა და მიზანსაც მიაღწია. ამ აქტით ქართველთა ახალშენი ქონებითაც ერთიანდებოდა.

²³ საქართველოდან ემიგრირებულთა შორის იყვნენ სომხებიც, რომლებიც პრესნიაზე ქართველთა გვერდით დასახლდნენ ვახტანგ VI-ისაგან ნაბოძებ ნაკვეთებში. უცხოეთში ისინი იღვწოდნენ იდეური ცხოვრების მოსაწესრიგებლად. 1731 წლის ივნისში ვახტანგ VI-მ სიველით სომხებს პრესნიაზე სალოცავის აშენების უფლება მიანიჭა ქართველი მეფისათვის ნაბოძები მამულიდან სომხებისათვის გამოყოფილ ადგილში. ამასთან, თუ რუსეთის სახელმწიფოს სომხურ სალოცავებისადმი დამოკიდებულებას გაითვალისწინებთ, უფრო ნათლად წარმოჩნდება ქართველი მეფის გაბედულება, დიდბუნებოვნობა მეგობარი სომეხი ხალხის წარმომადგენლებთან დამოკიდებულებაში.

მოგვიანებით, 1734 წლის 17 ივნისს, ვახტანგ VI-მ ოჯახისათვის შეადგინა ანდერძი, რომლის გამოცხადება გიორგი ბატონიშვილს ევალებოდა. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია რუსეთში მცხოვრები ქართველი მეფის ქონება.

ვახტანგ VI ხელისუფლებასა და ბეჰედს უანდერძებდა უფროს ვაჟს, მეფე ბაქარს.

უმცროს ვაჟს გიორგი ბატონიშვილს უნდა გადასცემოდა დედის, დედოფალ რუსუდანის, ძვირფასეულობა.

სამეფო საქონებელი ორ თანატოლ ნაწილად უნდა გაყოფილიყო. ერთი ნახევარი უნდა მიეღო გიორგი ბატონიშვილს, ხოლო მეორე — თანაბრად უნდა განაწილებულიყო ვახუშტი, მარიამ და პაატა ბატონიშვილებზე.

ვახტანგ VI თავის ზელფასიდან ხუთას-ხუთას მანეთს უმატებდა ვახუშტი და პაატა ბატონიშვილების შემოსავალს.


ანდერძითვე გათვალისწინებული იყო მარიამ ბატონიშვილის პაპუნა ციციშვილის ვაჟზე (დიმიტრი) გათხოვება.

ვახტანგმა ყოველივე იღონა, რათა არავინ დარჩენილიყო უკმაყოფილო და თავის შემკვიდრეთა შორის უთანხმოება არ წარმოქმნილიყო, მაგრამ ბაქარსა და გიორგის შორის გვიან მაინც იჩინა თავი დავამ.

როცა სამშობლოსკენ გამომგზავრებული (1734 წელს) ვახტანგ VI ნადირ შაჰის წარმატებათა გამო ქართლს ვერ დაეპატრონა, მოსკოვს აღარ დაბრუნებულა. მან „სამშობლოსთან ახლოს“, ასტრახანს, ისურვა დარჩენა. იქ ვახტანგ VI შეიძინა საზაფხულო და საზამთრო სასახლეები. ქართველ მეფესთან შეიკრიბა ამაღლის ერთი ნაწილი და ასტრახანს ადრევე დამკვიდრებული ქართველებიც. რუსეთის სანაპირო ამ ქალაქში ასე ჩამოყალიბდა მოსკოვის ქართული ახალშენის განშტოება, ქართველთა მძლავრი დასახლება, რომელიც კულტურის მნიშვნელოვანი კერაც იყო.


ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ²⁴ მოსკოვის ქართული ახალშენისადმი რუსეთის საიმპერატორო კარის დამოკიდებულება შე-

²⁴ ასტრახანს დამკვიდრებული ქართველი მეფე 1737 წლის 27 მარტს გარდაიცვალა. ის ქალაქის გამორჩეულ ადგილას, კრემლში, მიძინების ტაძრის ქვემო სართულში დაკრძალეს. მოგვიანებით იქვე მიუჩინეს განსასვენებელი ოსნებ სამეხელს, რომანოვ ერისთავს, თეიმურაზ II-სა და სხვებს, ასე იქცა მიძინების ტაძარი ქართველ მოღვაწეთა პანთეონად და სალოცავად. საარქივო დოკუმენტების მოწმობით ეს პანთეონი რევოლუციამდე დაცული იყო პერიოდული აღწერების მონაცე-



სურ. 12. ღონის მონასტრის უფლას მირქმის საყდარზე დაკრძალული არტელერის მარიონის შ. დადიანის ეპიტაფია

მეზით, ძვირფასი გადასაფარებლებით, ხატებითა და სხვა დამშვენებულ აკლამათა გარეგანი მორთულობა, პანთონის საერთო მდგომარეობა მოწმობდა მის დაცულობას. დიდი სამაბულო ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო მორთულობათა სხვაგან გადატანა. უნებართოდ გავსსნათ ვასტანგ VI-ის საფლავიც. ეს დადასტურდა 1971 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით. მაშინ სხვა ქართველ ზოლვაწეა საფლავების შესწავლამ მნიშვნელოვანი, საინტერესო ცნობები შესძინა ექსპედიციას.



სურ. 13. ქართველოა იკლამების გახსნა უფლის მირკმის საყდარში—ღონის
მონასტრის ქარ თველ ზოღეაწეთა პინთონში

იცვალა, რადგან ემიგრანტთა პოლიტიკური მისია ამოწურულად მიიჩნეეს. დაიწყო ქართველ ემიგრანტთა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებად გადაქცევის პროცესი²⁵.

ამავე პერიოდიდან დაიწყო გიორგი ბატონიშვილის დავა მეფე ბაქართან მამულისა და ქონების მეტი ნაწილის მისაღებად. გაღრმავდა მათი იდეური უთანხმოებაც.

1730 წლიდან მოსკოვში ქართველთა მეორე დიდი ახალშენიც ჩამოყალიბდა. სამართლებრივად ძველი და ახალი დასახლება გაერთიანებული იყო, მაგრამ ჭერ კიდევ თითოეულს ცალკე მეთაური ჰყავდა და სხვადასხვაგვარადაც იყო მოწყობილი.

ქართველთა ძველი დასახლების ცენტრი (სასახლით, სალოცავით) „მონადირეთა უბანში“ იყო, ხოლო აგარაკი („სვესენწყა“ და სხვა) — ქალაქგარეთ. მოსკოვიდან საკმაოდ დაშორებული იყო აღნიშნული დასახლების მამული. ალექსანდრე ბატონიშვილისა და არჩილ მეფისადმი 1700 წელს გადაცემული ვრცელი და შემოსავლიანი მამულები ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში შედიოდა.

მოსკოვში თავდაპირველად ჩამოყალიბებულ ქართველთა ახალშენს 1713 წლიდან მოკიდებულ დარეჯან ბატონიშვილი მეთაურობდა. მართალია, ქართველმა ბატონიშვილმა 1727 წლიდან მემკვიდრედ მეფე ბაქარი გამოაცხადა, მაგრამ თავის სამფლობელოს მართვაზე ხელი არ აუღლია. ანდერძით მეფე ბაქარი მემკვიდრეობას მხოლოდ დარეჯან ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ მიიღებდა.

25 რუსეთის სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით ქართველებს სამხედრო სამსახური და მამულებით დაჯილდოება აღუთქვეს. შემოთავაზებულმა პირობებმა ახალშენის მრავალ ახალგაზრდას გადაწყვეტინა რუსეთისადმი მხედრული სამსახური. ამის შედეგად მოსკოვის ქართულ ახალშენს გამოეყო და უკრაინაში დასახლდა თანამოქმეთა დიდი ჯგუფი. „გრუნინში“ მათი ყოფილი სასლების ერთი ნაწილი დაიკავეს (სხვა ერისანი ჩასახლდნენ). ცოლშვილიანებმა და უცოლო ქართველმა ახალგაზრდებმა მამულები მიგრაციის მიდამოებში მიიღეს. უკრაინაში საცხოვრებლად გადასულ თანამოქმეთაგან რუსეთის არმიისაში ჩამოყალიბდა ქართული სამხედრო ნაწილი, ჰუსართა პოლკი.

თავდაზნაუერებთან ერთად უკრაინაში (პოლტავის, მირგოროდის, ლუბენსკის, პრისულსკის მიდამოებში) მამულები გაიჩინეს დედოფალმა რუსუდანმა, მეფე ბაქარმა, გიორგი ბატონიშვილმა; მეფის შვილებმა: ათანასემ, ვახუშტიმ, მარიამმა, პაატამ.

მაღალ სახელმწიფოებრივ დონეზე განიხილეს ქართველების სხვაგანაც (ორენბურგის შემოგარენში) დასახლების საკითხი, მაგრამ აღმოსავლეთ რუსეთის სტეპებში მამულებად გამოსადეგი და ქართველებზე გასაცემი სოფლები მცირე აღმოჩნდა და იმიტომ მათი უკრალთან დასახლების საკითხი მოიხსნა.



სურ. 14. რუსეთის არმიის ანშეფის გიორგი ბატონაშვილის გახსნილი აკლდამა უფლას შირკმის საყდარში

დარეჯან ბატონიშვილმა მრავალმხრივ შეუწყო ხელი მოსკოვში მისულ ვახტანგ VI-ის ამაღლას და თავის მამულში ფართო მშენებლო-ბაც წამოიწყო.

დარეჯან ბატონიშვილს საცხოვრებლად ორი სასახლე ჰქონდა: ერთი, ქვის დიდი სასახლე, მოსკოვის ცენტრში. (ტვერისა და დიმიტრი-ევის ქუჩათა გადაკვეთაზე) მდებარეობდა. აქვე იყო დედოფლის სალოცავი და სხვა შენობაც, ხოლო მეორე სასახლე — „სევსენწკაში“. ქართველთა აგარაკზე არსებული სალოცავი (ყველა წმიდანის სახელობისა) შედარებით მცირე იყო. გვიან, დარეჯანმა მისი რეკონსტრუქცია განიზრახა ქართველთა დასახლების არა თუ იმდროინდელი მდგომარეობის შესაბამისად, არამედ მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით. როგორც დარეჯან ბატონიშვილის ანა იმპერატორისადმი გაგზავნილი განცხადებიდან (1733 წლის 22 მაისი) ჩანს, მას სურდა ძველი შენობის დაშლა და დამატებით ორი ეგვტრით ხელახლა აშენება²⁶. საკულტო მშენებლობის პრაქტიკაში ეგვტრის რაობაზე დაკვირვებაც კარგად გვიჩვენებს ასალშენის მეთაურის მიზნებს.

იმპერატორმა სწრაფად დართო დარეჯანს განზრახული მშენებლობის ნება (11 ივნისს).

დარეჯანმა ძველი საყდარი დააშლევინა, დროებითი სალოცავი გაამართვინა²⁷ და ენერგიულად შეუდგა დიდი ქართული ტაძრის აგებას.

მშენებლობა თითქმის სამ წელს გაგრძელდა. დასრულდა 1736 წელს. ტაძარი საკმაოდ დიდი და მშვენიერი იყო სამი მოზრდილი სალოცავით (ორი ეგვტრით).

დარეჯან ბატონიშვილმა ხანგრძლივი მშენებლობის პროცესში საკმაო ფხიანობა, ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა. გრანდიოზული ტაძრის აგებას მან დიდძალი დანაზოგი მოახმარა.

ქართველთა ამ სალოცავის აგების დრო და მისი ორგანიზატორის დარეჯან (მარიამ) ბატონიშვილის ღვაწლი ფიქსირებულია საკურთხეველში, მარცხენა მხარეს, კედელზე მიკრულ ქვაზე ამოკვეთილ სააღმწეწებლო წარწერაში²⁸

²⁶ ერთი ეგვტერი შენდებოდა ყოვლად მწუხარე ღვთისმშობლისა და წმინდა სიმონ მიმრქმელის სახელზე, ხოლო მეორე — ანა წინასწარმეტყველის სახელზე.

²⁷ დაშლილი სალოცავის ნაცულად ქართველმა დედოფალმა თავის სასახლესთან „წმიდა ქრისტე ღმერთის“ გამოცხადების სახელზე გაამართვინა ტილოს კარავოს საყდარი.

²⁸ ეს სააღმწეწებლო წარწერა დადხანს ეძიეს მოსკოვის ქართული სიძველეებით დაინტერესებულმა. ზოგმა მისი დაკარგვისა და განადგურების ლეგენდებიც

დარეჯან ბატონიშვილმა სალოცავი უხვი შეწირულობებით გაამდიდრა. მრავალ ჰელურ ხატთან, წიგნთან ერთად, ჩანს, იმავე დროს შეიქმნა ტაძრის მშენებელ დარეჯან ბატონიშვილის, წმინდა ნინოსა და თამარის ხატი. ეს წმინდა სამება გვიხილავს მაღალი ოსტატობით, ფერთა სიუხვით.

ახლადაგებული ორეგეტრიანი სალოცავი „სვესენწყას“ ქართველთა დასახლების შესაფერისი ქართული ტაძარი იყო. დიდი იყო მისი იდეური როლი. სალოცავ-ეგეტერში ემსახურებოდნენ არა მარტო ქართული ახალშენის მკვიდრთ, არამედ იქ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ სამშობლოდან ჩამოსულებისადმი.

1740 წელს დაუძღვრებული დარეჯან ბატონიშვილი გარდაიცვალა. მარიამ არჩილის ასული მშობლების გვერდით დაკრძალეს დონის მონასტრის შირქმის საყდარში.

დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ მისივე ანდერძის მიხედვით ქართველთა ახალშენები გაერთიანდა. გაფართოებული დასახლების მეთაური ბაქარი გახდა. ახალმა ხელმძღვანელმა მჩქეფარე კულტურულ-სამეურნეო მუშაობა გააჩაღა ახალშენში, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე (1742 წლიდან) მას აქ უჩნდება მოზიარე უმცროსი ძმა (გიორგი).

გიორგი ბატონიშვილის ასეთი პრეტენზიულობა მისმა წარმატებულმა სამხედრო კარიერამაც განსაზღვრა.

1744 წლიდან მოკიდებული გიორგი ბატონიშვილი თანდათანობით ოღწევს საწადელს. იგი ღებულობს წილს ნიენი-ნოვგოროდსა და სვესენწყას მამულებიდან. 1748 წელს კი მან საბოლოოდ განამტკიცა თავისი მდგომარეობა — მიიღო სასახლეები, ძვირფასეულობა და სხვ.

ამის შემდეგ ბაქარსაც დიდხანს აღარ უცოცხლია, 1750 წელს გარდაიცვალა.

შექმნა. დაფა მშვენივრად არის დაცული. ძველი წარწერისთვის 1946 წელს დაუმატებიათ ამ ტაძარში ლეთისმსახურების აღდგენის ცნობა. მთლიანად ეს ძეგლი გვამცნობს: „По указу ея императорского величества и по благословению св[я]тейша[го] пр[ав]ительстваующа[го] Синода, построена с[я] каменная церковь во имя всех святых и проведных Симеона Богоприница и Анны Пророчицы, его верую имперетниского царевною Мариею Арчиловною для здравия ее в(еличест)ва и для вечного поминования царских родителей.

Освящена с[я] каменная церковь в 1736 году сентября 19 дня, преосвященным Беннамином епископом Коломенским и Каширским.

1. ჟინალი 1737-2017 წლის 12 იანვარი შინა საქმეების
 უწყებამ უცხოეთში გასული ქართველი მკვლევარის
 ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი წერილობრივი
 მხარდასაჭერის მოთხოვნის დასაბუთებასთან დაკავშირებით
 საგარეო უწყებებს მიმართული წერილობრივი მხარდასაჭერის
 მოთხოვნის დასაბუთებასთან დაკავშირებით

2. ჟინალი 1738-2017 წლის 12 იანვარი შინა საქმეების
 უწყებამ უცხოეთში გასული ქართველი მკვლევარის
 ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი წერილობრივი
 მხარდასაჭერის მოთხოვნის დასაბუთებასთან დაკავშირებით

3. ჟინალი 1739-2017 წლის 12 იანვარი შინა საქმეების
 უწყებამ უცხოეთში გასული ქართველი მკვლევარის
 ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი წერილობრივი
 მხარდასაჭერის მოთხოვნის დასაბუთებასთან დაკავშირებით

4. ჟინალი 1741-2017 წლის 12 იანვარი შინა საქმეების
 უწყებამ უცხოეთში გასული ქართველი მკვლევარის
 ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი წერილობრივი
 მხარდასაჭერის მოთხოვნის დასაბუთებასთან დაკავშირებით

5. ჟინალი 1742-2017 წლის 12 იანვარი შინა საქმეების
 უწყებამ უცხოეთში გასული ქართველი მკვლევარის
 ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი წერილობრივი
 მხარდასაჭერის მოთხოვნის დასაბუთებასთან დაკავშირებით

6. ჟინალი 1743-2017 წლის 12 იანვარი შინა საქმეების
 უწყებამ უცხოეთში გასული ქართველი მკვლევარის
 ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი წერილობრივი
 მხარდასაჭერის მოთხოვნის დასაბუთებასთან დაკავშირებით

სურ. 15. არქივებისთვის იოსებ სამებლოს ცნობა მოსკოვის ქართულ სტამბაში
 დაბეჭდილი წიგნებისა

გიორგი ბატონიშვილმა მშენებლობა წამოიწყო. მის შემონა-
ქმედთა შორისაა ქართველთა საერთო სალოცავის საფუძვლის ჩაყრა
(პრესნიაზე).

ახლადჩამოყალიბებულ „გრუზინი“-ში, საკუთრივ ქართულ სა-
ლოცავთა ისტორია 1730 წლიდან იწყება, ქართველთა დასახლების
წარმოქმნისთანავე კარის ეკლესიები მოეწყო მეფისა და ბატონიშვი-
ლების სასახლეებთანაც.

1734 წელს რომანოზ მიტროპოლიტმა თავის სასახლესთან მოა-
წყობინა ხის საყდარი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გარემოებამაც შეასრულა ერთგვარი
როლი დასახლებისათვის საერთო სალოცავის შექმნის დაგვიანებაში.

1749 წლის ოქტომბერში გიორგი ბატონიშვილმა შეარჩია სალო-
ცავის ასაშენებლად მოედანი და ოფიციალურად ითხოვა პრესნიაზე
მთავარმოწამე წმინდა გიორგის სახელობის საყდრის აგებისა და სამ-
ღვდელოთმსახურო მოწყობილობებით მისი მორთვის ნებართვა.

ქართველ ბატონიშვილს საყდრის აშენების ნება დართეს და დაა-
ვალეს საკულტო მშენებლობის რუსეთში დამკვიდრებული წესის გა-
თვალისწინება.

1750 წლის 3 აპრილს კომისიამ მოიწონა პრესნიაზე მცხოვრებ
ქართველთა საერთო ხის სალოცავის გეგმა, მოხატულობა, სამღვდე-
ლოთმსახურო საქონებელი.

მეორე დღეს ქართველმა ბატონიშვილმა წერილობით მოითხოვა
ახლადაგებული საყდრის 23 აპრილს (წმინდა მთავარმოწამე გიორგის
დღეს) კურთხება, რომლის ნებაც მალე მიიღო.

საყდრისათვის შეარჩიეს მღვდელი, დიაკონი და კანდელაკი, რო-
მელთაც გადაეკვეთათ წლიური ფულადი გასამრჯელო და ასე, 1750
წლის 23 აპრილს, (კურთხების შემდეგ) ქართველებს საერთო სალო-
ცავი ოფიციალურად დაუმტკიცდათ.

ბრესნიის ქართველთათვის საერთო სალოცავის შექმნა მრავალ-
მხრივ მნიშვნელოვანი იყო. გრუზინიზე აშენებული საყდრით თვალ-
საჩინოდ ჩნდებოდა ქართველთა დასახლების გარეგანი მხარე. ქარ-
თველთა იდეური ცენტრის ჩამოყალიბება აგვირგვინებდა იმდროინ-
დელ ახალშენს²⁹.

²⁹ მომდევნო პერიოდში „გრუზინის“ ცენტრში დაფუძნებულმა საყდარმა სახე
იცვალა. ხის შენობის ნაცვლად შემდეგ მთლიანად აკურითა და ქვით ააგეს წმ. მთა-
ვარმოწამე გიორგის სახელობაზე არსებული ქართველთა სალოცავი, რომელიც გვიან,
დიდი შინაშენით გააფართოვეს. ტაძრის გაფართოებას აპირობებდა მრევლის სიმ-

თვალსაჩინო ადგილას აშენებული ქართველთა ლაშაზი საყდარი მალე გადაიქცა კულტურის მნიშვნელოვან კერად. შეწირულობებითა და სხვა შემოსავლით იგი თანდათან ერთ-ერთი მდიდარი და აღიარებული სალოცავი გახდა მოსკოვში მცხოვრებ უცხოელთა საყდრებს შორის.

ამ ტაძარს კარგად იცნობდნენ საქართველოში და მრავალ შეწირულობებს უგზავნიდნენ. მოსკოვში მისული ქართველებიც დიდ პატივად მიიჩნევდნენ „პრესნიის მთავარმოწამე წმინდა გიორგისადმი“ თაყვანისცემას და მისი საქონების თავიანთი შესაწირავებით გაზრდას³⁰.

ტაძრისა და სხვა მშენებლობათა შედეგად, გიორგი ბაგრატიონის დროს „გრუზინი“ კიდევ უფრო დამშვენდა და გაფართოვდა. დასახლება ქუჩებად (ხაზებად) დაიყო³¹. მოგვიანებით, ეს უბანი თანდათან შეიცვალა და ქალაქის ერთ-ერთ მშვენიერ კუთხედ იქცა.

გიორგი ბაგრატიონის მმართველობის პერიოდში გაფართოვდა და დამშვენდა „სვესენწყაც“. დარგეს დეკორატიული მცენარეები, შეიქმნა დიდი და ლაშაზი ბაღი, აიგო სასახლეები და სხვა. გიორგი ბატონიშვილის უნარიანი სამეურნეო საქმიანობის გვირგვინია სოფელი „გიორგივესკოე“, რომელიც მან „სვესენწყას“ მახლობლად გააშენა.

რავლე. XVIII ს-ის 70-იან წლებში პრესნიაზე 80-მდე ქართველი კომლი ცხოვრობდა. იქვე სწრაფად იზრდებოდა: რუსი, სომეხი და სხვა მოსახლეობა.

³⁰ სალოცავის ქართველ შემწირველთაგან გამოირჩევა პავლე ახალციხელი, რომელმაც XVIII ს-ის II ნახევარში მთავარმოწამე წმ. გიორგის ტაძარს შესწირა 1709 წელს თბილისში დაბეჭდილი „სახარება“. წიგნი უმდიდრესად (ოქრო-ვერცხლი) არის შემოსილი. ჩასმულია მაღალი გემოვნებით შემკულ ქედურ ყდაში, რაც მოსკოვში უნდა იყოს გაკეთებული.

მოციქულების პორტრეტებით, ათორმეტი დღესასწაულის სცენებითა და სხვა დამშვენებულ, მაღალ ოსტატობით ნაქედი შესამოსელით შემკულ ამ სვეტთაგანზ განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ პრესნიაზე მცხოვრებ ქართველთა მომდევნო თაობები; როგორც ეროვნულ რელიკვიას, ამ წიგნს სიამაყით უჩვენებდნენ უცხოელებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეს წიგნი მოსკოვში ქართული კულტურის სასახლეში ჰქონდათ. გვიან კი სახელმწიფო საისტორიო მუზეუმის იშვიათი ლითონების განყოფილებას შეემატა. *იხ. ფ. რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე*. 273 წლის წიგნი. „დროშა“ 1982, № 1, გვ. 17; მ. ი. ს. ი. ვ. ე. დღევრძელი კავშირი „საბჭოთა ხელოვნება“, 1984, № 3, გვ. 78—81.

³¹ ქართველთა საცხოვრისის ასეთი დაგეგმვა საფუძვლად დაედო შემდეგ იქ წარმოქმნილ ქუჩებს: „ბოლშაია გრუზინსკაია“, „მალია გრუზინსკაია“, „გრუზინსკო-ბერეულოკ“ და ა. შ.

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ახალშენს რამდენიმე ჰირისუფალი ჰყავდა. ქალაქის ცენტრში, ჯერ კიდევ ალექსანდრე ბატონიშვილისა და არჩილ მეფისათვის გადაცემულ სასახლეს, კარის საყდრით, ფლობდა ქართველი დედოფალი ანა, რომელმაც ქონება და მამული ადრევე გაუნაწილა შვილებს ლევან და ალექსანდრე ბატონიშვილებს.

მამულის ერთი ნაწილი ბაგრატიონთა სახლთან მოყვრობით მიიღო გ. დადიანმა და სხვებმა. მაგრამ ახალშენში არსებული საუკეთესო სასახლეებსა და მამულის დიდ ნაწილს მეფე ვახტანგის მემკვიდრეები ფლობდნენ.

მემკვიდრეობის გადაცემის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ამავე ქართველი მეფის შთამომავლობის განსასვენებლად იქცა დონის მონასტრის უფლის მირქმის ტაძარიც. დარეჯან ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართველთა პანთეონის ჰირისუფლობა მეფე ბაქარმა იტვირთა.

დონის მონასტრის მირქმის ტაძრის მეფე ბაქარის მემკვიდრეობაში გადასვლის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტია ბაქარისაგან განახლებული დარეჯან ბატონიშვილის შეწირულობის სიგელი, რომლითაც იგი მოწესებებს აღუთქვამდა გადაკვეთილი ფულადი და ნატურალური ულუფის მოუშლელობას. სიგელით განსაზღვრულის გარდა, მეფე ბაქარი, ქართველი ბატონიშვილები და წარჩინებულნი უხვად ასაჩუქრებდნენ მოწესებებს. წინაპართა საფლავების მომსახურებისათვის, როგორც წესი, დამატებით უხვი შეწირულობა-საჩუქრები გაიცემოდა დღესასწაულებისა და დაკრძალულთა მოხსენიების დღეებში³².

მეფე ბაქარის გარდაცვალების შემდეგ ბერ-მონაზვნებზე შეწირულობათა გაცემა და განსაზღვრული რაოდენობის თანხის ყოველწლიურად გადახდა ანა დედოფალმა იკისრა.

თანდათან გაფართოვდა დონის მონასტერში არსებული ქართველთა ძვალთშესალაგი. არჩილის ოჯახის აკლდამიდან იგი იქცა ბაგრატიონთა სხვადასხვა სახლისა და რჩეულ ქართულ საგვარეულოთა წარმომადგენლების პანთეონად.

XVIII ს-ის 20-იან წლებში მთავარი ტაძრის ქვემოთ დაკრძალეს ბარათაშვილთა, გაბაშვილთა, დავითაშვილთა სახლის შვილებაც. შემდეგ მოქმედი სალოცავის ახლოს აკლდამა გაიჩინეს ბაგრატიონებთან დამოყვრებულმა, გავლენიანმა დადიანებმა და სხვ. საყდრის წინ, მირ-

³² მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალური არქივის ფონდი 421. საქ. 3671, ფურც. 15.

ქმის ტაძრის მახლობლად არსებულ ტერიტორიაზე მარხავდნენ ქართული ახალშენის სხვა გამოჩენილ საგვარეულოს წარმომადგენლებსაც³³.

განუწყვეტლივ მშენებლობდა და მდიდრდებობდა ძვირფასი ჯვარხატებით სხვა შესაწირავებით მირქმის საყდარი. ქართველთა მეცადინეობით იცვლებოდა და ფართოვდებოდა წინაპართა ეს განსასვენებელიც.

მოსკოვის ქართველთა ახალშენის მოღვაწეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დონის მონასტრის განვითარებაში. მათი დახმარებითა და მითითებით ამ კულტურის კერაში რამდენიმე შესანიშნავი შენობა აშენდა, გადაკეთდა, გადაიხურა და მოიხატა მთავარი ტაძარი, შეკეთდა გალავანი, სამრეკლო და სხვ. ქართველთა მიზანმიმართული საქმიანობის კვალი აღნიშნულ მონასტერში აღბეჭდილია: „სულთა მატიაანის“ დიდ წიგნში, უამრავ სხვა ხელნაწერში, დონის მონასტრისადმი შეწირული ნივთების წარწერებში, ეპიტაფიებში და სხვ. სამწუხაროდ, მხარეთმცოდნეობით და სამეცნიერო ლიტერატურაში³⁴ ჯეროვნად არ არის წარმოჩენილი დონის მონასტრისადმი ქართველთა დამოკიდებულება, ის დიდი სიყვარული, გულისხმიერება, რასაც ისინი იჩენდნენ რუსული კულტურის ამ დიდი კერისადმი, ქართულ-რუსული კულტურული თანამშრომლობის განვითარებისადმი.

დონის მონასტრისადმი ქართველთა ინტერესი ღვივდება XIX ს-ის დასასრულიდან, როცა ეროვნული თვითშეგნება ამაღლდა და მოსკოვში ახალ საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართველთა სათვისტომო.

მოსკოვში მყოფი ქართველი სტუდენტები ყურადღებას აქცევდნენ წინაპართა დიდი მოღვაწეობის ნაკვალევს. მიმოწერებსა და სა-

³³ ჩვენამდე მოღწეული მრავალფეროვანი დოკუმენტებით შესაძლებელი ხდება იქ დაკრძალულ მრავალრიცხოვან ქართველთა ვინაობის დადგენა, თითოეული საგვარეულოს (ოჯახის) მირქმის საყდრისადმი პერიოდულ შეწირულობათა რაოდენობის გამოანგარიშება, ერთი სიტყვით, მირქმის საყდრის დოკუმენტირებული ისტორიის აღდგენა.

³⁴ Путеводитель к древностям и достопамяностям Московским, руководствующий любопытствующего по четырем частям сея столицы к деес-место-описательному познанию всех заслуживающих примечание мест и сданий как-то: соборов, монастырей, церквей, государственных и частных заведений, как старых, так и новых, с надписей и для удобнейшего оных приискования азбучного росписью умпотенный. Часть IV, М., 1793; Описание Московского Ставропитиального Донского монастыря составил И. Забелин М., 1893.

გაზეთო ინფორმაციებში ჩნდება ცნობები მოსკოვში ქართველთა ოდინ-
დელი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ასეთი მუშაობის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო ალ. ხახანაშვი-
ლის მრავალმხრივმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ.

1911 წელს დონის მონასტერში ექსპედიცია მოაწყო მწერალმა
კ. თათარიშვილმა, რომელიც დაინტერესებული იყო ვახუშტი ბატო-
ნიშვილისა და სხვა ქართველი მოღვაწეების საფლავთა ადგილსამყო-
ფელის დადგენით. სამწუხაროდ, ვახუშტის საფლავის ძიების დროს
კ. თათარიშვილი ლ. მაქსიმოვიჩის მცდარ ჩვენებას დაეყრდნო.

სწავლული ბატონიშვილის საფლავად, იგონებს ალ. ჯავახიშვილი,
მიჩნეული იყო ქვა, რომელზედაც მაშინ ჯერ კიდევ იკითხებოდა გარ-
დასული წარწერის ნაშთი „... შტი“.

ექსპედიციის შედეგებზე კ. თათარიშვილმა გაზეთ „თემში“ (1912
წ. 17. IX) გამოაქვეყნა წერილი: „მივხედოთ ვახუშტის საფლავს“. პატრიოტი მწერლის მოწოდებას გამოეხმაურნენ: ი. ტატიშვილი,
ს. კაკაბაძე, ბ. ესაძე. ამ უკანასკნელმა დონის მონასტერში დაკრძა-
ლულ ქართველთა ეპიტაფიების ფოტოებიც დაბეჭდა, მაგრამ სწავ-
ლული ბატონიშვილის საფლავის ძიებას ვერაფერი შესძინა.

1929 წელს გ. ლეონიძემ მიაგნო რუხი ფერის იმ ქვას, რომელიც
ტრადიციით მიჩნეული იყო ვახუშტის ეპიტაფიად.

1931 წელს იმავე საკითხით დაინტერესდა პ. იაშვილი, რომელიც
ვსესვიატკოედან წერდა გ. ლეონიძეს დონის მონასტერში ვახუშტის
ეპიტაფიის ნახვის ამბავს, წუხდა ვსესვიატკოეში სულხან-საბას ეპი-
ტაფიის დაკარგვის გამო.

30-იან წლებში სსრ კავშირის ცენტრალურ არქივებში მუშაობი-
სას, ნ. ბერძენიშვილი ცდილობდა დონის მონასტერში არსებულ ქარ-
თველ მოღვაწეთა პანთეონის შესწავლას, მაგრამ ეს მას არ მოუხერხ-
და.

1938 წელს ივ. ჯავახიშვილი თავის მოსკოველ ადრესატს თხოვდა
დონის მონასტერში არსებულ ქართველ მოღვაწეთა პანთეონის აღ-
წერას.

ათი წლის შემდეგ სახელოვანმა მგოსანმა გ. ლეონიძემ გაზეთ
„კომუნისტში“ გამოაქვეყნა „ვახუშტის ეპიტაფია“, რომლის ტექსტი,
გარკვეული წინასწარი მოსაზრებით გადააკეთა და ამ გზით მან ვახუ-
შტის საფლავიც აღმოჩენილად მიიჩნია.

ვახუშტის საფლავის ძიების საქმე მცდარ გზაზე ლ. მაქსიმოვიჩმა დააყენა 1792 წელს, რადგან მან სხვისი საფლავის ქვის წარწერა ვახუშტი ბატონიშვილის ეპიტაფიად გამოაცხადა.

ლონის მონასტერში არსებულ ქართველ მოღვაწეთა პანთეონის შესწავლისათვის თითქმის არაფერი შეუმატებია ი. ზაბელინს. კეთილშობილური განზრახვით, ეს რუსი ისტორიკოსი შეეცადა აღნიშნულ მონასტერში ქართველთა მოღვაწეობის პოპულარიზაციას და ამ მიზნით მან გაამარტივა დოკუმენტები. მათგან გამოკრებილი ცნობებით შეადგინა ე. წ. „ლონის მონასტრის მატთან“.

ლ. მაქსიმოვიჩისა და ი. ზაბელინის ცნობები დაედო საფუძვლად „მოსკოვის ნეკროპოლს“ და სხვა გამოცემებსაც.

ლ. მაქსიმოვიჩის ჩვენების სისწორეში თავის დროზე ეჭვი შეიტანა მ. ბროსემ.

50-იან წლებში ჩვენ შევუდექით ლონის მონასტრის ისტორიის შესწავლას და იქ ქართველთა მოღვაწეობის წარმოჩენას.

სამხარეთმცოდნეო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ შევუდექით დოკუმენტების ძიებას. სხვადასხვა სიძველეთსაცავში უმდიდრეს მასალას მივაკვლიეთ ლონის მონასტრის ტაძრებზე, იქ ჩატარებულ სამშენებლო საქმიანობაზე, სხვადასხვა ქველმოქმედებაზე.

გამოვავლინეთ პანთეონის უძველესი აღწერილობაც, ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი დაზიანებული გადაარჩენია განზრახულ განადგურებას.

მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, თბილისის მუზეუმებსა და არქივებში არსებული მდიდარი მასალის შესწავლის საფუძველზე წარმოჩნდა ქართველთა წვლილი ამ დიდი რუსული კულტურის ცენტრის მშენებლობა-გაფართოებაში, უფლის მირქმის ტაძარში პანთეონის ჩამოყალიბებაში³⁵ და სხვ.

ხანგრძლივმა მიზანმიმართულმა ძიებამ საშუალება მოგვცა საბოლოოდ მიგვეკვლია ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ვახუშტი ბატონიშვილის ეპიტაფიად მიჩნეული, მისი ვაჟის, რუსეთის არმიის გენერალ-პორუჩიკის იოთამის, საფლავის ქვის წარწერის ტექსტი.

³⁵ მირქმის ტაძრის ისტორიასა და ვახუშტი ბატონიშვილის ეპიტაფიად მიჩნეული წარწერის რაობის გარკვევას ძირითადად ეძღვნება ჩვენი შემდეგი ნაშრომები: ქართველთა პანთეონის ისტორიისათვის მოსკოვს. „საბჭოთა ხელოვნება“, 1981 წლის № 12. У истоков дружбы, „Вечерний Тбилиси“. 18 мая, 1982 г. № 117, стр. 3; ძიება გრძელდება, კომუნისტი, 1984, 25 მარტი, გვ. 4. დავითაშვილები რუსეთში. „ალანის განთიადი“, 1983, 4 აგვ. გვ. 3 და სხვ.

1983 წელს დონის მონასტერში კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის დროს აღნიშნული ტექსტის გამოვლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ექსპედიციის წარმატებისათვის³⁶.

პანთეონის აღნიშნული უძველესი აღწერილობისა და სხვა მრავალი დოკუმენტის ურთიერთშეჯერების საფუძველზე დადგინდა დონის მონასტრის მირქმის ტაძარში, მის შემოგარენში (ყოფილ გალერეაში), მონასტრის ეზოში დაკრძალული მრავალი ქართველი მოღვაწის ვინაობა, დონის მონასტრის განვითარების ეტაპები და სხვა საინტერესო საკითხებიც.

აკლდამათა გახსნამ წარმოდგენა შეგვიქმნა მოღვაწეთა ფიზიკურ აღნაგობაზე, მათ ქონებრივ მდგომარეობაზე, წარჩინებაზე, ყოფაცხოვრების კულტურაზე, დაკრძალვის წესზე და სხვ.

დონის მონასტერი, სვესენწყას ტაძარი, პრესნიაზე ქართველთა დასახლების დროინდელი რამდენიმე შენობა და ზოგიერთი სხვა ძეგლი, ქართველებთან დაკავშირებულ ქუჩათა ძველ სახელწოდებებთან, ჩვენამდე მოღწეულ მრავალ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებთან, მდიდარ საარქივო დოკუმენტებთან ერთად დღეს ნათლად წარმოაჩენს მოსკოვში ქართველთა ხანგრძლივ ცხოვრებასა და მრავალმხრივ მოღვაწეობას.

წინაპართა მდიდარი მემკვიდრეობის წარმოსაჩენად და დასაფასებლად მომავალშიც მოძიებითი და კვლევითი მუშაობის გაფართოება გეგმარტებას.

³⁶ დონის მონასტრის პანთეონის ამ უძველესი აღწერილობის 40 ფოტოპირი 1983 წლის აგვისტოში, მონასტერშივე ექსპედიციის მონაწილეთა წინაშე მოხსენებით გამოსვლის შემდეგ გადავეციოთ არქეოლოგიური გათხრების წარმართველ გ. ლამბაშიძეს.

ახალშენის განშტომბანი

სამშობლოს წინვლა-განვითარებისათვის ხელშესაწყობად მოსკოველ ქართველ მოახალშენეებისათვის უპირველესად აუცილებელი შეიქნა საქართველოსთან მოხერხებული და ხშირი კავშირითიერთობის უზრუნველყოფა.

მოსკოვში მოღვაწე ჩვენი თანამემამულენი ესწრაფვოდნენ როგორც შიდა რუსეთის კულტურის სხვა ცენტრების, ისე ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიის გაცნობას, უკრაინა-პოლონეთის, რუმინეთის, პოლანდიისა და დასავლეთ ევროპის სხვა მოწინავე სახელმწიფოსთან დაკავშირებას.

რუსეთში მყოფი ქართველები მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან. მათ ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ საბერძნეთში, ათონის მთაზე, იერუსალიმში და „წმიდა მიწის“ სხვა ცენტრებში.

თავიანთი ინიციატივით, რუსეთის სახელმწიფოს მისწრაფებათა შეცნობით, ქვეყნის მესვეურებთან უშუალო კავშირით ქართველები ახერხებდნენ ახალშენის გაფართოებას და მის განშტობებათა შექმნას რუსეთის ძველსა თუ ახალწარმოქმნილ კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრებში, სასაზღვრო ქალაქებში და სხვ.

§ I. პართველები სანაპ-კატარგურგში

მოსკოვის ქართული ახალშენის განშტობება ადრევე წარმოიქმნა რუსეთის ახალ სატახტო ქალაქ სანაპ-პეტერბურგში, რომლის შექმნა-განვითარებაში ქართველმა მოღვაწეებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს.

XVIII ს-ის 10-იან წლებში ამ ქალაქში ვხედავთ ქართველ სასულიერო მოღვაწეებს, დიპლომატებს.

მომდევნო ხანაში პეტერბურგში ჩადიან ქართველი სახელმწიფო, სამხედრო, სასულიერო მოღვაწეები.

არჩილ მეფის ასულის, დარეჯანის კარზე მყოფნი და ვახტანგ VI-ის მხლებლები ცხოველ კავშირს ამყარებენ რუსეთის ახალ სამეცნიერო და კულტურულ ცენტრთან — პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის რუს და უცხოელ სწავლულებთან.

ეს თანამშრომლობა ორივე მხარისათვის ფრიად სასარგებლო შეიქნა.

ვახტანგ VI, მეფე ბაქარი, ბატონიშვილები გიორგი, ვახუშტი, სვიმონი და სხვანი ხშირად ხვდებოდნენ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს.

რუსეთის საიმპერატორო კართან და პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სწავლულებთან ქართველი მოღვაწეები სახავდნენ და ამუშავებდნენ კავკასია-საქართველოს პოლიტიკური და კულტურული განვითარების საკითხებს¹.

ასეთი მჭიდრო თანამშრომლობის გამო ქართველი პოლიტიკური, კულტურული, სამხედრო მოღვაწეები ხანგრძლივად რჩებოდნენ რუსეთის იმპერიის დედაქალაქში.

1724 წელს პეტერბურგს მივიდა ზემო ქართლის სარდალი ვახტანგ ამილახვარი.

1725 წელს რუსეთის დედაქალაქში მცირე ამალით ჩავიდა ქართლის მეფე² ვახტანგ VI.

1725—1726 წლებში უწმიდეს მთავარმართებელ სინოდთან თანამშრომლობდა მიტროპოლიტი ქრისტეფორე სამთავრელი რუსეთს გადასული ქართველი სასულიერო პირების საქმეების მოსაგვარებლად.

1733 წელს პეტერბურგში ამალით ჩავიდნენ: არქიეპისკოპოსი იოსებ სამებელი (ქობულაშვილი), მიტროპოლიტი რომანოზი (ერისთავი).

მაღე ქართველი არქიეპისკოპოსი იოსებ სამებელი ნოვგოროდის არქიეპისკოპოსის ვიკარად დაინიშნა. ერთი წლის შემდეგ იმავე ქართველ ეპისკოპოსს ეპარქიის კათედრაზე სრული ძალაუფლება მიენიჭა.

¹ ვ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, პეტერბოფის აღწერილობა. „ცისკარი“, 1857, № 9, გვ. 27.

² კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 5S, ხელნაწერი 1131.

იმ დროს პეტერბურგში არსებულ ნოვგოროდის ეპარქიის მეტოქს სამეცნიერო აკადემიის სწავლულები იყენებდნენ. ამან ხელი შეუწყო ქართველი სასულიერო მოღვაწეების თანამშრომლობის გაფართოებას პეტერბურგში მოღვაწე რუს და უცხოელ სწავლულებთან.

აღნიშნული თანამშრომლობის მრავალი სიკეთისაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ქართული შრიფტის ჩამოსხმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საშრიფტო სახელოსნოში, ქართული შრიფტის მომხმარებელთა იქვე დაოსტატება და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ქართველთათვის უცხო ენების შესასწავლად საქირო „ანბანის“ მომზადება-გამოცემა.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან რუსეთში მყოფი ქართული სამეფო სახლის წარმომადგენლები სასახლეებს იძენდნენ პეტერბურგში. იმ დროს რუსეთის დედაქალაქში მსახურობდა გიორგი ბატონიშვილი. შვილების განსწავლისა და სხვა მიზნით პეტერბურგს საცხოვრებლად ოჯახით გადავიდა სვიმონ ბატონიშვილი, რომელსაც გადაჰყვა მოძღვარი გერმანე და საერო კარისმდეგ მოხელეთა ჯგუფი.

თანდათანობით რუსეთის დედაქალაქში გაიჩინეს სასახლეები: მეფე ბაქარმა, დედოფალმა რუსუდანმა, დედოფალმა ანამ; ბატონიშვილმა ალექსანდრემ.

რუსეთის ახალი სატახტო ქალაქი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიც იყო. ქართველი ახალგაზრდები იქ ეწაფებოდნენ მეცნიერების საფუძვლებს, სამხედრო ხელოვნებას, იურისპრუდენციას.

ვახუშტი ბატონიშვილის შვილები იოანე და იოთამი სწავლობდნენ პეტერბურგის აკადემიასთან არსებულ გიმნაზიაში. იოთამმა იდრე გამოიჩინა თავი. მას წარმატება უწინასწარმეტყველა ფრანგმა აკადემიკოსმა ეოზეფ დე-ლილმა.

კადეტთა კორპუსში სწავლისას ყურადღება მიიპყრო დიმიტრი ციციშვილმა. კურსდამთავრებულთა აკადემიაში გამოცდის დროს დ. ციციშვილმა აკადემიკოსთა უმალღესი შეფასება დაიმსახურა.

რუსეთში აღზრდილმა ამ ქართველმა მოღვაწემ ბრწყინვალე სახელმძღვანელო შეადგინა გეოდეზიაში.

მ. ვ. ლომონოსოვი ასახელებს სტუდენტ მაჩაბელს.

ქართველი ახალგაზრდების ერთი ნაწილი ბეჯითად ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს, მაგრამ ყველამ ვერ მიადწია სამოღვაწეო ასპარეზზე წარმატებას.

XVIII ს-ის 60-იან წლებიდან მრავალი ქართველი მოღვაწე ჩა-
ვიდა პეტერბურგს.

ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, დიპლომატები ხვდებოდნენ
ეკატერინე II-ს, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს.

ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ პეტერბურგსა და
მის გარეუბნებში არსებულ მონასტრებში³.

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის „მეგო-
ბრობის პირობის“ ხელმოწერის შედეგად პეტერბურგში დაიდო ბინა
ქართლ-კახეთის სამეფოს რეზიდენტმა, რომელიც ქვეშევრდომ მო-
ხელეებით იღვწოდა საქართველო-რუსეთის კულტურულ-პოლიტიკუ-
რი ურთიერთობის განვითარებისათვის.

ერეკლე II-ის შთამომავლების პეტერბურგში დასახლებამდე იქ
წარმოქმნილი მოსკოვის ქართული ახალშენის საკმაოდ მრავალრი-
ცხოვან განშტოებას წვლილი შეჰქონდა ქართულ-რუსული კულტუ-
რული თანამშრომლობის, საქართველოს ევროპული განვითარების
გზაზე⁴ გამოყვანის დიდ და ძნელ საქმეში.

§ 2. ქართველი მოღვაწეები ნოვგოროდში

დიდ ნოვგოროდს ქართველები აღრევე უკავშირდებოდნენ. ნოვ-
გოროდსა და მის შემოგარენში მოპოვებული არქეოლოგიური მასა-
ლები, არქიტექტურა თუ კედლის მხატვრობა ძველი დროიდან ავლე-
ნენ ჩრდილოეთის ამ მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ
ცენტრთან კავკასიის ხალხთა კულტურულ-ეკონომიკურსა თუ სხვა ურ-
თიერთობას.

გვიანშუა საუკუნეებში ქართული კულტურის რუსეთში გავრცე-
ლება მცირე მნიშვნელობისა როდია. ამ მხრივ საინტერესოა ნოვგო-
როდის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ვალდაიში, ივერიის ღვთისმშო-
ბლის სახელობის მონასტრის აგება (XVII ს-ის 50-იანი წლები).

უმკველია, უპირველესად ძველი რუსული კულტურის აღნიშნული
ცენტრის და სხვა სიძველეების მონახულებას ისახავდა მიზნად ცნო-
ბილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, დიპლომატი ლავრენტი გაბაშვი-
ლი, რომელმაც 1715 წელს იმოგზაურა ჩრდილო რუსეთის ვრცელ
მხარეებში.

3 ნ. მახათაძე. ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967. გვ. 37.

4 ვ. დონდუა. ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ის-
ტორიიდან (1713—1743 წწ.) საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967, გვ. 189.

1734 წელს პეტერბურგიდან ნოვგოროდში ამალით ჩავიდა არქიეპისკოპოსი იოსებ სამებელი (ქობულაშვილი). ადრე ეს ქართველი მოღვაწე მოსკოვში ვახტანგ VI-მ მიიწვია.

1733 წელს არქიეპისკოპოსი იოსები და მიტროპოლიტი რომანოზი უმაღლესი ბრძანებით მოსკოვიდან რუსეთის სატახტო ქალაქში გაიწვიეს სპეციალური დავალების შესასრულებლად.

დავალების წარმატებით აღსრულების შემდეგ, 1734 წლის 15 მაისს უწმინდესი სინოდის უპირველესმა წევრმა ცნობილმა მეცნიერმა და საეკლესიო მოღვაწემ თ. პროკოპოვიჩმა იშუამდგომლა სინოდის წინაშე ქართველი არქიეპისკოპოსის მის მოადგილედ დასანიშნად დიდი ნოვგოროდისა და დიდი ლუკის საარქიეპისკოპოსო კათედრაზე⁵.

რუსეთის საეკლესიო ხელისუფლების ამ ფაქტიურმა გამგებელმა ქართველ არქიეპისკოპოსს თვით განუსაზღვრა ტიტული და სამოღვაწეო სფერო⁶.

იმავე წლის 22 მაისს უწმინდესმა სინოდმა ქართველ არქიეპისკოპოსს იოსებს ნოვგოროდში მოღვაწეობის ნება დართო, ხოლო 10 აგვისტოს დაამტკიცა მისი დანიშვნა დიდი ნოვგოროდისა და დიდი ლუკის არქიეპისკოპოსის ადიუტორის თანამდებობაზე.

როგორც აღენიშნეთ, არქიეპისკოპოსი იოსები და მისი ამაღლა მოსკოვის ქართულ ახალშენს გამოეყვნენ XVIII საუკუნის 30-იან წლებში.

დასახელებული ქართველი საეკლესიო პირების მოღვაწეობა რუსეთში დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილი.

რევოლუციამდელ კატეხიზაციებში შესულია არქიეპისკოპოს იოსების მოღვაწეობის რამდენიმე დოკუმენტი, ხოლო ცალკეულ ხარკვევებში მკრთალად არის წარმოჩენილი მისი საეკლესიო, სასტამბო-საგანმანათლებლო, სამწერლო თუ სამისიონერო მოღვაწეობა.

ქართველ მკვლევართაგან არქიეპისკოპოს იოსების ნოვგოროდში მოღვაწეობას 1845 წელს გაკვრით შეეხო პ. იოსელიანი. 1884 წელს თ. ჟორდანიამ ვრცლად დაახასიათა იოსებ სამებლის ამაგი რუსეთში, თუმცა მკვლევარი ვერ ასცდა ზოგიერთ ლაფსუსს ამ დიდი ქართველი განმანათლებლის მოღვაწეობის გაშუქებისას⁷.

⁵ სკსცსა ფონდი 796, აღწ. 15 ს. 207 ფ. 1.

⁶ იქვე, ფურც. 13.

⁷ თ. ჟორდანიანი. მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმი XVIII საუკუნეში. ივერია, 1884, № 2, გვ. 31—56; № 3, გვ. 61—93; № 10, გვ. 113—116.

სხვა საკითხებთან ერთად რუს მკვლევრებს გვერდი არ აუვლიათ ქართველ არქიებისკოპოსის რუსეთში მოღვაწეობისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია რევოლუციამდელი რუსული აღწერებისა და ნარკვევების ერთი ნაწილი⁸.

მკვლევრები ვერ არკვევენ ქართველი არქიებისკოპოსის დიდი ამალით პეტერბურგსა და ნოვგოროდს გადასვლის მიზეზებს.

არ არის დადგენილი, თუ რამ განაპირობა არქიებისკოპოსის იოსების საქართველოდან რუსეთში წასვლა.

იკვლევა, რომ ვახტანგ VI-ის მიერ მიწვეულ მთავარებისკოპოს იოსებს მოსკოვის ქართულ ახალშენში უმთავრეს იერარქად ამზადებდნენ.

მოსკოვში მისული ქართველი მოღვაწის მალე პეტერბურგში გაწვევა დიდი მნიშვნელობის მოვლენად იყო აღქმული ქართველთა ახალშენში.

ამიერიდან დასახელებულ საეკლესიო მოღვაწეს რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა კარზეც გზა წარმატებით უნდა გაეკვლია.

რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში ერთი წლის მოღვაწეობის შედეგად ქართველი არქიებისკოპოსი უმადლეს საერო და საეკლესიო ხელისუფალთა ყურადღებით გარემოსილი შეიქნა.

პატრიოტმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ გადაწყვიტა რუსეთის ხელისუფალთა გამოჩენილი გულისხმიერების სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოყენება.

ქართველი არქიებისკოპოსი დათანხმდა მათ სამოღვაწეოდ გადასულიყო ნოვგოროდის საეპარქიო კათედრაზე და ყოფილიყო იურიების მონასტრის წინამძღვარი.

ვრცელი ეპარქიის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის დასახელებული ეპარქიის არქიებისკოპოსისა და უწმიდესი მმართველი სინოდის უპირველესი წევრის თ. პროკოპოვიჩის წინადადებით 1736 წლის მარტში ქართველ არქიებისკოპოს იოსებს სრული ძალაუფლება მი-

⁸ Описание новгородского общежительного первоклассного Юрьева монастыря. Сочинение архимандрита Макария. СПб. 1862, с. 179; И. Чистов и ч. Феофан Прокопович и его время. СПб, 1868, с. 586, К. Я. Здромыслов. Иерархи Новгородской епархии. Новгород, 1907, с. 349 — 350; Краткое описание Новгородского третьеклассного мужского Троицкого Клопского монастыря, составленное тщанием настоятеля обители сей игумена Германа Гайдукова. М. 1815, с. 35.

ენიკა⁹. მალე, 1736 წლის 8 სექტემბერს, თ. პროკოპოვიჩი გარდაიცვალა.

იოსებ სამებელმა საკმაოდ დიდი მშენებლობანი განახორციელა ეპარქიაში. 1736 წელს მან იუზოვერში ააგო წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედების ეკლესია, განაასლა სამრევლო¹⁰.

ამასთან ერთად ამ ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ მტკიცედ გადაწყვიტა შეექმნა ქართული შრიფტი და დაემზადებინა ქართული სტამბის მოწყობილობანი. საამისოდ შეგროვილი თანხა არქიეპისკოპოსმა იოსებმა გადასცა მის ამაღაში მყოფ ილუმენ ქრისტეფორეს (გურამიშვილს) და ეს უკანასკნელი სასტამბო ინვენტარის, შრიფტის გასაქეთებლად და მისი მოხმარებისათვის საჭირო ოსტატების მოსამზადებლად ნოვგოროდიდან სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში გაგზავნა¹¹.

ნოვგოროდს მოღვაწე ქართველ არქიეპისკოპოს იოსების ამაღა მრავალრიცხოვანი იყო.

ქართველ არქიეპისკოპოსს ორი თარჯიმანი ჰყავდა: ზაქარია გიორგის ძე და ანდრია ბააღურისძე (ბიბილური).

ერეკელი ეპარქიის სულიერი ხელისუფალის მთავარეპისკოპოს იოსების მარჯვენა ხელი იყო ილუმენი ეფთვიმი, რომელიც 1735 წლის 7 დეკემბერს, ნოვგოროდში, სოფლის ტაძარში, აკურთხეს არქიმანდრიტად.

1735—1738 წლებში არქიმანდრიტი ეფთვიმი იყო კლოპსკის სამების მონასტრის წინამძღვარი¹², ხოლო 1738—1741 წლებში დერევიანიცის აღდგომის მონასტრის წინამძღვარი და იმავე დროს საარქიერო საბჭოს წევრიც¹³.

ნოვგოროდში მცხოვრები ქართველი არქიეპისკოპოსი იოსები ოცნებობდა „დაბადების“ გამოცემაზე. საამისოდ იგი ამ დიდი ძეგლის წიგნთა ტექსტებს ამზადებდა დასაბეჭდად.

⁹ სკსცა, ფ. 796, აღწ. 15, ს. 207. ფ. 14.

¹⁰ Описание новгородского общежительного первоклассного Юрлева монастыря, СПб, 1862, с. 6.

¹¹ ქრ. გურამიშვილმა კარგად გადაქრა მასზე დაკისრებული ამოცანები. დაზადებული ქართული შრიფტი, სტამბის ინვენტარი მან მოსკოვში ჩაიტანა და იქ წარმატებით გამოართა სტამბა და გამოცემლობა.

¹² ძსცა ფ. 1194, ს. 13, ფ. 50.

¹³ ნოვგოროდის საოლქო სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 480, ს. 346, ფ. 22, 65.

არქიეპისკოპოს იოსების ერთგულებით გასრულებული ტექსტი გადაუწერია იქვე მყოფ მის ძმისშვილს ავთანდილ ქობულაშვილს¹⁴.

მაშინ ნოვეგოროდს იღვწოდა ცნობილი მეყდე მ. ჯოხია¹⁵.

ქართველი მოღვაწის მიერ ნოვეგოროდის საარქიეპისკოპოსო კათედრის დაკავების შემდეგ ჩანს, მასთან გადავიდა ცნობილი დიპლომატი, ალექსანდრე ბატონიშვილისა და არჩილ მეფის თანამებრძოლი ზ. გარაყანიძე.

ეს დიდად ტანჯული მოღვაწე ნოვეგოროდში ქართულ ხელნაწერებს ამრავლებდა. 1740 წლის 21 მარტს მას იქ დაუსრულებია კრებულის გადანუსხვა¹⁶.

1737 წელს ნოვეგოროდშივე დააბრუნეს მოსკოვში ქართული სტამბის დირექტორი ქრ. გურამიშვილი, მისმა მწირობამ ჩრდილო რუსეთის ამ ქალაქში 1741 წლის ბოლომდე გასტანა.

ეს ქართველი მოღვაწე წლების მანძილზე მძიმე ჰიგიენურ პირობებში ცხოვრობდა ჯერ როზვანსკის, ხოლო შემდეგ — წმ. კირილეს სახელობის მონასტრებში¹⁷.

არახელსაყრელი მდგომარეობის მიუხედავად, ქრ. გურამიშვილი დაუღალავად იღვწოდა დასაბეჭდი ტექსტების მომზადებისა და მათი გამოცემისათვის.

მისმა ხანგრძლივმა, გულის ამაჩუყებელმა ვედრებამ რუსეთის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას დიდხანს არ მოუღბო გული. გვიან, 1741 წელს დააბრუნეს ის მოსკოვში.

ქართველმა არქიეპისკოპოსმა იოსებმა ნოვეგოროდის საარქიეპისკოპოსო კათედრა და ეპარქია 1741 წელს აღწერით ჩააბარა მის შემცველს. 1741 წელს იგი პეტერბურგს წავიდა, საიდანაც მალე მოსკოვს დაბრუნდა და ქართველთა ახალშენის სულიერ ცხოვრებას ჩაუღდა სათავეში.

ქართველი არქიეპისკოპოსის დასაყრდენი ნოვეგოროდის საეკლესიო მართვა-გამგეობაში არქიმანდრიტი ეფვთიმი, არქიეპისკოპოს იოსების წასვლის შემდეგ, ვოლოკოლამსკის მონასტერში გადაიყვანეს.

¹⁴ კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A, ხელნაწ. № 529, ფურც. 53.

¹⁵ იქვე, გვ. 200.

¹⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექცია № 162, გვ. 409.

¹⁷ Пр. С и х а р у л и д з е. Грузинские деятели в Новгороде в первой половине XVIII века. Сб. Новгородский край. Лениздат, 1984, с. 82—85.

ამის შემდეგაც რამდენიმე ქართველი სასულიერო პირი კიდევ დიდხანს დარჩა ნოვგოროდს¹⁸.

ქართველ სასულიეროთა კრებულის ნოვგოროდს ხანმოკლე მოღვაწეობა მეტად სასარგებლო გამოდგა ქართული კულტურისათვის. ნოვგოროდის საარქიეპისკოპოსო კათედრაზე ქართველი მთავარეპისკოპოსის მოღვაწეობის უმთავრესი შედეგი იყო ქართული სტამბის შექმნა.

რუსეთში პირველი დამოუკიდებელი ქართული სტამბის დაარსების შედეგად დიდად ამაღლდა ქართული საგამომცემლო საქმე, ქართული ლიტერატურა გამდიდრდა უშესანიშნავესი ნაბეჭდი ძეგლებით.

§ 3. მართველთა დასახლება ასტრახანში

მოსკოვის ქართული ახალშენის უძველესი და მძლავრი განშტოება ასტრახანში იყო.

ვოლგის (ედილის) აუზის მეშვეობით ქართველები ადრევე უკავშირდებოდნენ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში არსებულ სახელმწიფოებს. აღნიშნული მდინარის შესართავთან არსებულ ქალაქ ასტრახანზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები¹⁹.

იმის შემდეგ, რაც ასტრახანის სახანო რუსეთმა დაიპყრო, ქართველთა ურთიერთობა ამ ქალაქთან კიდევ უფრო გაფართოვდა.

ძირითადად, ასტრახანის გავლით მიემგზავრებოდნენ მოსკოვის ხელმწიფესთან ქართველი დიპლომატები. ქრისტიანული რუსეთის აღნიშნულ სამხრეთ სასაზღვრო ქალაქში გარბოდნენ მაჰმადიანთა ტყვეობას თავდაღწეული ქართლის, კახეთისა და სხვა ქართული სამეფო-სამთავროების მკვიდრნი. სხვათა შორის, ამას მოწმობს 1603 წელს კახეთის სამეფოდან მოსკოვს მისულ ქართველი ელჩის ბერი კირილეს განცხადება. ქართველი დიპლომატი რუსეთის სამეფო კარისაგან მოითხოვდა ყუმუქთა ტყვეობიდან გაქცეულ და ასტრახანს მისული ქართველების დაბრუნებას²⁰.

¹⁸ ნოვგოროდის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებში დაცულია ქართველთაღმე კუთვნილი რამდენიმე ნივთი.

¹⁹ ვ. დ. ო. დ. უ. ა. რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ იატორიულ ტრაქტებზე. წიგნი „საისტორიო ძიებანი“. ტ. III, თბ., 1985, გვ. 140.

სამი ათეული წლის შემდეგ ასტრახანიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან ქართველების სამშობლოში დაბრუნებასვე ითხოვდა მოსკოვში მყოფი თეიმურაზ I-ის ელჩი მიტროპოლიტი ნიკიფორე²¹..

XVII ს-ის 50-იან წლებში ასტრახანში მრავლად ყოფილან საქართველოდან გადასულნი.

ერეკლე ბატონიშვილის, მეფეების თეიმურაზისა და არჩილის მოსკოვს მგზავრობის დროს ქართველები დიდხანს ჩერდებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ამ სამხრეთ კიშკარში.

მოსკოვს დამკვიდრებულმა მეფე არჩილმა სამშობლოსთან ურთიერთობისათვის რუსეთის სახელმწიფო კარს ასტრახანს დაანიშნინათავისი მოხელე²².

ასტრახანის გუბერნატორად ა. პ. ვოლინსკის მოღვაწეობის წლებში ამ ქალაქმა საქართველოსათვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიიღო.

ვახტანგ VI-ის რუსეთს ემიგრაციის დროს ასტრახანში მცხოვრებ კავკასიელებს მრავალი ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწე შეემატა.

ქართველმა სასულიერო მოღვაწეებმა ქალაქსა და მის გარეუბნებში დაიკავეს ეკლესია-მონასტრები და ღვთისმსახურება წარმართეს²³.

ვახტანგ VI მაშინ მცირე ხანი დარჩა ასტრახანში და მალე მცირე ამალით გაემგზავრა პეტერბურგში.

ქართველი მეფის გამგზავრების შემდეგ ასტრახანში მყოფ ქართველებს სათავეში ჩაუდგა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ფართო მოღვაწეობას ეწეოდა აღნიშნულ ქალაქში.

1727 წელს, ასტრახანიდან ვახტანგ VI-ის ამაღლის დიდი ნაწილის მოსკოვში წასვლის შემდეგ, ქალაქში ქართველი სასულიერო პირების ერთი ნაწილი და სხვა მოღვაწენი დარჩნენ. წლების მანძილზე მათ ემატებოდათ საქართველოდან ახალ, მცირე ნაკადებად წამოსულნი.

²⁰ С. А. Белокуров. Сношения России с Кавказом. М., 1889, с. 416—419.

²¹ М. А. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640. Тб. 1937, с. 2.

²² ძსცა, ფ. 110/1, 1712, საქ. № 1, ფურც. 7.

²³ სინოღი წინააღმდეგი არ იყო ერთმორწმუნე ქართველების ასეთი აქტიური მოღვაწეობისა ამ მხარეში.

1734 წელს მოსკოვიდან სამხრეთისაკენ სამშობლოს გასანთავი-
ხუფლებლად გამომგზავრებულ ქართველ მეფეს მრავალრიცხოვანი
ამალი გაჰყვა.

დარუბანდს მისული ვახტანგ VI ნადირ შაჰთან უშედეგო მოლა-
ბარაკებისა და სხვა წარუმატებლობათა შემდეგ ასტრახანში დაბრუნ-
და და იქიდან მოსკოვში გამგზავრება აღარ ინება.

1735 წელს დიდ ჭირგადანახადმა ვახტანგ VI-მ მოსკოვის ქართველ-
თა ახალშენის მეთაურობა და საქართველოს განთავისუფლების სა-
ქმე მეფე ბაქარს გადაულოცა და თვით ასტრახანში, სამშობლოსთან
ახლოს, დარჩენა ისურვა.

ვახტანგ VI სათავეში ჩაუდგა ასტრახანში მცხოვრებ კავკასიე-
ლებს და მრავალრიცხოვანი ახალშენი ქართველთა მეთაურობით გაა-
ძლიერა. მალე ქართველმა მეფემ ქალაქში საზამთროდ საცხოვრებ-
ლად კრემლში არსებული ბოგდანოვის დიდი სასახლე შეიძინა, ხოლო
აგარაკად მღ. კუტუმის სანაპიროზე მდებარე სასახლე და ბაღი აქცია.

ასტრახანის ქართულ ახალშენში ფართო კულტურული მოღვა-
წეობა გაიშალა, მაგრამ ნაყოფიერი მუშაობა დიდხანს არ გაგრძელე-
ბულა.

1737 წლის 26 მარტს ასტრახანს მყოფი ვახტანგ VI გარდაიცვა-
ლა. 30 მარტს ქართველი მეფის დაკრძალვას დიდძალი საზოგადოება
დაესწრო.

დიდი და ხანგრძლივი ცერემონიის შემდეგ ვახტანგ VI დაასაფლა-
ვეს კრემლში არსებულ მიძინების ტაძრის ქვედა სართულში. ქარ-
თველი მეფის აკლდამასთან მოეწყო სალოცაეი, სადაც ღვთისმსახუ-
რებს ქართველი სასულიერო მოღვაწეები ასრულებდნენ.

მიძინების ტაძარში ქართველი მეფის დაკრძალვით საფუძველი
ჩაეყარა ქართველ სახელმწიფო და კულტურულ მოღვაწეთა პანთეონს.

ვახტანგ VI-ის შემდეგ აღნიშნულ ტაძარში დაკრძალეს რუსეთ-
ში დამოუკიდებელი ქართული სტამბის დამაარსებელი იოსებ სამებე-
ლი (ქობულაშვილი), შემდეგ ქართველი დიპლომატი, მწერალი მი-
ტროპოლიტი რომანოზი (ერისთავი).

1762 წელს პეტერბურგიდან ასტრახანს მიასვენეს²⁴ და მიძინების
ტაძარში დაკრძალეს თეიმურაზ II.

²⁴ გ. პაიჭაძე, ვ. ჯაფარიძე. ქართული კულტურის ძეგლები ასტრახანში.
თბ., 1973, გვ. 15.

მეფე ბაქარს, გიორგი ბატონიშვილსა და სხვებს უხვმოსავლიანი მამულები ჰქონდათ ასტრახანში. ქართველთა მამულებს²⁵ მართავდა მეფისა და ბატონიშვილის მოურავი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ადგილობრივი ყმა-გლეხების საშუალებით ასრულებდა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში საქართველოსათვის ასტრახანის მნიშვნელობა თანდათან იზრდება.

ასტრახანში თავა იყრიდა მრავალი ქართველი დიპლომატი, სამხედრო და კულტურული მოღვაწე, საქართველოდან ჩასული თუ ლისკოვოს საერთაშორისო ბაზრობაზე მიმავალი ვაჭრები.

წლების მანძილზე ასტრახანის ეპარქიას წარმატებით უძღვებოდა გამოჩენილი კულტურული მოღვაწე გ ა ი ო ზ ი.

ასტრახანის ეპისკოპოსად მოღვაწეობის დროს გაიოზმა გაამდიდრა ქართული ლიტერატურა მრავალრიცხოვანი თარგმანებით.

ქართველმა მოღვაწემ თავი გამოიჩინა ფართო საამშენებლო საქმიანობითა და ქველმოქმედებით.

ათეული წლების მანძილზე ასტრახანი იყო მოსკოვის ქართული ახალშენის განშტოება სამხრეთში. ასტრახანის ქართული კულტურის კერა დიდ როლს ასრულებდა სამშობლოსთან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურული ურთიერთობის განვითარებაში. ძირითადად ასტრახანიდან შემოდის რუსეთში შექმნილი ის ნაირგვარი საქონელი (ტანსაცმელი, ქაღალდი, სერვიზი, იარაღი და ა. შ.), რომელიც ასე საჭირო იყო საქართველოს ეკონომიკური და კულტურული დაწინაურებისათვის.



სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 1971 წელს გაითხარა მიძინების ტაძარში არსებული ქართველ მოღვაწეთა პანთეონი. არქეოლოგიური თხრების პირველ ეტაპზე გამოვლინდა, რომ ვახტანგ VI-ს აკლდამა მსახვრალთა ხელს ძლიერ დაეზიანებინა, კარგად იყო მოღწეული თეიმურაზ II-ისა და გაიოზ რექტორის საფლავები.

ექსპედიციის ხელმძღვანელი მოსკოვიდან იყო. მასთან მუშაობდა ასტრახანის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი, მეცნიერ-თანამშრომელი და ერთი მხარეთმცოდნეც, რომლებიც აღნიშნული საპასუხისმგებლო სამუშაოსათვის არ იყვნენ მომზადებულნი.

²⁵ ასტრახანის სახელმწიფო საოლქო არქივი, ფონდი 394, აღწ. I, საქმე 163 და ამ ფონდის სხვა საქმეები.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ისა და გაიოზ რექტორის გარდა, იქ დაკრძალულ სხვა ქართველ მოღვაწეთა ვინაობაზე მათ არაფერი იცოდნენ და ჩვენ გვეკითხებოდნენ.

ჩვენმა ცდამ, დაწყებული გათხრები საჭირო სამეცნიერო დონეზე წარმართულიყო, საქმაო შედეგი ვერ გამოიღო. იმავე დროს თბილისიდან ასტრახანში ჩავიდნენ ნ. არჩვაძე, გ. პაიჭაძე, ვ. ჭათარაძე.

1983 წელს ასტრახანში მოეწყო ქართველ ეურნალისტთა ლაშქრობა.

საქართველოს სამხედრო გზით ამ გადასვლას მიზნად ჰქონდა ქართველი წინაპრებისადმი პატივისცემა.

ხელოვნების ქართველმა მუშაკებმა მიძინების ტაძარში მარმარილოს სიმბოლური ძეგლების დადგმით გაამშვენიერეს ქართველ მოღვაწეთა სამუდამო განსასვენებელი.

ქართველმა საზოგადოებამ იმ ხანად კიდევ ერთხელ წარმოსახა ასტრახანის ქართული კულტურის კერის როლი და მნიშვნელობა ეროვნული გადაგვარების წინააღმდეგ მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში.

§ 4. პირველი ქართული აკლკის ჩამოშალიზება რუსეთის არმიაში და ქართველთა დასახლება უკრაინაში

ქართველი და სლავი მეომრები ადრე ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩრდილო კავკასიის, დონისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა რეგიონებში.

ქართველებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების არმიებში მყოფ სლავებთანაც, თუმცა ქართველთა და სლავთა ურთიერთდამოკიდებულება დასახელებულ სახელმწიფოთა მესვეურებთან თანაბარი ხარისხისა როდი იყო.

ჩვენი თანამემამულენი ადრევე ჩნდებიან მოსკოვის სახელმწიფოს ლაშქარში. დონსა და ზაპოროჟიეს სეჩში მისული ქართველები ყაზახებში ეწერებოდნენ²⁶.

რუსეთის, პოლონეთისა და სხვა სახელმწიფოთა არმიებში მყოფ ქართველ მხედრებს სხვადასხვა დროს დიპლომატიურ სარბიელზედაც აწინაურებდნენ.

²⁶ Ф. П. Шевичко. Грузины в войске Запорожском. В сб. Из истории украинно-грузинских связей Тб., 1968, с. 77.



სურ. 17. დავით გურამიშვილი (ნახატე. შ. ჩლაიძე)

რუსეთის საგარეო პოლიტიკის სახელმწიფო არქივის საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ფონდის დოკუმენტები გვაცნობს XVII ს-ის 20-იან წლებში მოსკოვში დამკვიდრებულ და სამხედრო სამსახურში შესულ ქართველებს.

XVII ს-ის 50—60-იან წლებში ალექსი მიხეილის ძის კარზე აღზრდილი ქართველი უფლისწული ერეკლე ეუფლებოდა რუსულ და ევროპულ სამხედრო ხელოვნებას.

რუსი ხელმწიფის გარემოცვის, გენერალიტეტის თანხლებით ერეკლე ბატონიშვილი ხშირად ათვალეიერებდა ალღუმებს და ზოგჯერ მონაწილეობდა კიდევ მოსკოვის სახელმწიფო ჯარის შორეულ ლაშქრობებში.

XVII ს-ის 80-იანი წლებიდან ქართველებს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით რუსეთის არმიის რეორგანიზაციის წარმატებით განხორციელებაში.

გარდაქმნილი რუსეთის არმია ხარბად იზიდავდა მოსკოვის ქართული ახალშენის მკვიდრთ. საიმპერატორო კარიც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქართველი მეომრების რუსეთის სამხედრო სამსახურში შესვლას.

1730 წელს, ივანობის დღესასწაულზე, ქართველთა შეუდარებელი ცხენოსნური ასპარეზობით (ჯირითით) მოხიბლული რუსეთის საიმპერატორო კარი და გენერალიტეტი განსაკუთრებით დაინტერესდა მოსკოვს მცხოვრები ქართველი ახალგაზრდებით.

რუსეთის საიმპერატორო კარმა და რუსმა სამხედრო მოღვაწეებმა თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად მოხერხებულად ისარგებლეს ვახტანგ VI-ის გარდაცვალებით (1737 წლის 25 მარტი).

1737 წლის 11 მაისს ა. ოსტერმანისა და ა. ჩერკასოვის მიწერილობით გრაფ სალტიკოვს დაევალა ვახტანგ VI-ის ამალაზე ცნობების შეკრება.

ოცი დღის შემდეგ მოსკოვში ქართველი მეფის სასახლეში მყოფი რუსი წარმომადგენლის პოდპოლკოვნიკ პ. აქსაკოვის მეთვალყურეობით შედგენილი ქართველთა ნუსხა გადაეგზავნა რუსეთის მთავრობას. ამასთანავე, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ გარკვეული მუშაობა გასწია ქართველებში რუსეთის სამხედრო სამსახურში შესვლის მსურველთა შესაკრებად.

მალე ცხრა ათეულამდე ქართველმა ახალგაზრდამ სამხედრო სამსახურში ჩასარიცხად განცხადებით მიმართა იმპერატორ ანას.

გადაწყდა ქართველთაგან ჰუსართა ასეულის შექმნა.

1738 წლის 25 მარტს, იმპერატორ ანას ბრძანებულებით დაკანონდა ქართველ ჰუსართა ასეულის, პირველი ქართული ეროვნული სამხედრო ფორმირების ჩამოყალიბება რუსეთის არმიაში.

საიშპერიო ხელისუფლების მითითების საფუძველზე მომავალ ქართველ ჰუსარებზე ქართულ სამეფო სახლში შეაგროვეს კომპლექსური ცნობები (ვინაობის, მათი სოციალური მდგომარეობის, ჯამაგირისა და სხვ.).

ქართველ ჰუსართა ასეულის შემადგენლობისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტი სენატიდან დასამტკიცებლად გადაეგზავნა მინისტრთა კაბინეტს.

პირველი ქართული ეროვნული ფორმირება რუსეთის არმიაში მთავრობამ დაამტკიცა და ქართველ ჰუსართა ასეულის შესანახად წლიურად გამოჰყო სამი ათას მანეთამდე.

პირველი ქართული ჰუსართა ასეულის კაპიტანი გახდა ქართველი გენერალი მამუკა მუხრანბატონი. მის მოადგილედ ითვლებოდა ქაიხოსრო გურიელი²⁷, რომელიც შემდეგ გენერლის ჩინით აამაღლეს.

ასეულში ირიცხებოდა: 2 ვახმისტრი, 2 კვარტირმაისტერი, 3 კაპრალი, 2 მედოლე, მღვდელი, მწერალი, დალაქი და 70 რიგითი ჰუსარი.

ქართველ ჰუსარ აზნაურებსა და თავადებს მამულები ეძლეოდათ უკრაინაში²⁸.

ქართველმა მეომრებმა მამაცობისა და საბრძოლო თანამეგობრობის ღირსშესანიშნავი ფურცლები ჩაწერეს ყირიმის განთავისუფლებისათვის ომში.

რუსეთის ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია ქართველთა თავდადებას და მოიწადინა ასეულის გაზრდა.

ფელდმარშალმა ქრ. მინიხმა დამატებით ასტრახანსა და ყიზლარში შეაგროვებინა 150 მხედარი და მიაყვანინა უკრაინაში.

1740 წლისათვის ქართველ ჰუსართა ასეული, დაწესებული შტატის მიხედვით, უკვე სამ ასეულზე მეტს ითვლიდა.

1740 წლის 14 აპრილს დამტკიცებული კანონი ითვალისწინებდა ქართველ ჰუსართა რიცხოვრივ ზრდას. ამის საფუძველზე 1741 წელს გაფორმდა ქართველ ჰუსართა ოთხი ასეული.

²⁷ შვად. ქ. ჩხატარაიშვილი. გენერალი ქაიხოსრო გურიელი, „ცისკარი“, № 6, 1969.

²⁸ М. М. П л о х и н с к и й. Поселение грузин в Малороссии в XVIII в Сборник Харьковского историко-филологического общества, т. 5, вып. I, Харьков, 1893, с. 1—22.

ასეთ ცვლილებათა გამო, ახალი იმპერატორის ელისაბედის ბრძანებით, იმავე წელს ქართველ ჰუსართა ასეულები პოლკად გადაკეთდა.

ჯერ ასეულის, ხოლო შემდეგ პოლკის, ქართველი ჰუსარების მუნდირი, ამუნიცია ეროვნული (ქართული) იყო.



სურ. 18. ვახტანგ VI (მხატვ. შ. ჩლაიძე)

1741 წელს სამხედრო კოლეგიამ გადაწყვიტა ჰუსართა პოლკების ერთიან ფორმაზე გადაყვანა.

ხელისუფლების ასეთ განზრახვას ქართველმა ჰუსარებმა პროტესტი გამოუცხადეს.

1741 წლის 30 დეკემბერს ქართველ ჰუსართა პოლკის მაიორმა ე. ამილახვარმა და კაპიტანმა პ. ციციშვილმა სამხედრო კოლეგიისადმი გადაცემულ განცხადებაში დასაბუთებულად მოითხოვეს²⁹ რუსეთის არმიაში შემავალი ქართველი საჯარისო ეროვნული ფორმირებისათვის ეროვნული მუნდირების და ამუნიციების უცვლელად დატოვება³⁰.

ქართველ ჰუსართა პოლკმა სამი ათეული წელი იარსება. 1769 წლის 3 ოქტომბერს ის მოსკოვის ლეგიონში გააერთიანეს³¹.

ქართველ ჰუსართა პოლკი ერთ-ერთი ძველი ეროვნული შენაერთი იყო უცხოეთში.

რუსეთის არმიაში შემავალი ქართველ ჰუსართა პოლკის მეომრებმა სამი ათეული წლის მანძილზე თავდადებით, მამაცობით, მოხერხებასაზრიანობით მარად გაუხუნარი ფურცლები ჩაწერეს საბრძოლო დიდების მატრიანეში³².

ჰუსარი, დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, მოკლედ, მაღალმხატვრულად გადმოგვცემს გადახდილ ბრძოლებს, რაც თითქმის ყველა ქართველ ჰუსარის საბრძოლო გზად შეიძლება მივიჩნიოთ XVII ს-ის 60-იან წლებამდე:

ჩვენი გიտხრა სამსახური, სხვა რა გვექნა ამის მეტი:

თთას-შვიდას-ოც-და-ცხრამეტს ხოთინის კარგს ვთხლიშეთ კეტი,

²⁹ დიდი სამხედრო ტრადიციის ამ ორი ქართული საგვარეულოს წარმომადგენლის განცხადებაში მეტად საყურადღებოა ქართული ჯარის ჩამოყალიბების თარიღზე, ეროვნულობის გამოხატველ საშუალება და ამუნიციებზე დასაბუთებული მითითება. რუსეთში მყოფი ეს ორი პატრიოტი სამხედრო მოღვაწე ქართული ჯარის ჩამოყალიბების დროდ ზოგადად უთითებდა ალექსანდრე მაკედონელის (356—323) ეპოქას, რაც სწორი ჩანს.

იჩვენება, რომ ამილახვართა და ციციშვილთა სახელოვანი მხედრული დიდების მქონე საგვარეულოებში საისტორიო მწერლობის ტრადიციით, წინაპრებისაგან გადმოცემით, მაშინ ჭერ კიდევ იყო ხსოვნა იბერიის სამეფოში ეროვნული სამხედრო ორგანიზაციისა და მეზობელ სახელმწიფოების ჯარისაგან აღქურვილობით და ჩატყულობით განსხვავებული არმიის ჩამოყალიბებაზე.

³⁰ ЦГВИА ფ. 10, შეკვ. I, საქ. 24, ფურც. 596.

³¹ ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში. თბ., 1955, გვ. 74.

³² ქართველ ჰუსართა პოლკის ისტორიასა და XVIII საუკუნეებში რუსეთის არმიაში მოსამსახურე ქართველებზე ჩვენ მსჯელობა გვაქვს ცალკე ნაშრომში.

ორმოც-და-ორს ფინდრი-ღავანს ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი.
და ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შეუურყივეთ ტახტის სვეტი.
ორმოც-თერამეტს ბრუსმან დაგვეკრა, თავსა დაგვესვივა რეტი,
მე ჩემს ძნებსა დაჰაშორა, ლუწისაგან დაერჩი კენტი
მალდნებურხის ციხეშიგან დამსვა კარებ-დანაკეტი.
და მუნით ვიქსენ, შინ წამოველ, ქერი ევან და ყანა, ფეტვიჰ.

უცხოურ ჯარში მყოფი ქართველი ჰუსარების ბრძოლა-თავდა-
დება უშუალოდ როდი რგებდა საქართველოს, მაგრამ რუსეთში არსე-
ბულ ამ ჰირველ ქართული ეროვნული საჯარისო ერთეულის მებრძო-
ლებს მიაჩნდათ, რომ თავიანთი თავგანწირულობით ისინი განამტკი-
ცებდნენ მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოს, თავიანთ მომავალ მო-
კავშირეს.

ქართველი ახალგაზრდების ჩაწერა ჰუსარებად მოსკოვის ქართუ-
ლი ახალშენის მეთაურის მეფე ბაქარის უნებართვოდ არ მომხდა-
რა³⁴.

ახალშენში მცხოვრებთა [უსხა შეღვა მეფე ბაქარი:სა და ვახუშტი
ბატონიშვილის ზედამხედველობით. ამ საქმეში მონაწილეობდა მეფე
ბაქარის სასლთესუცესი, მდივანმწიგნობარი და ქართველი მეფის სა-
სახლეშივე მყოფი რუსეთში ხელისუფლების წარმომადგენელი პოდ-
პოლკოვნიკი პ. აქსაკოვი.

მმართველ სენატის გადაწყვეტილებით, მოსკოვის ქართველთა
დასახლების მეთაურს მეფე ბაქარს დაევალა ჰუსარებად ჩასარიცხი
ახალგაზრდების შერჩევა, მათზე განაწილებული ულუფისა და სოცია-
ლურ მდგომარეობაზე ცნობების დანიშნულებიდანამებრ წარდგენა.

საარქივო მასალების მოწმობით, ქართველი მოახალშენენი ღებუ-
ლობდნენ მათი პატრონებისაგან ხელმოწერილ სპეციალურ დოკუ-
მენტს (ე. წ. „აბშიტს“).

33 დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დაეითიანი. თბ., 1955, გვ. 108.

34 ისმის კითხვა, თუ რას ფიქრობდა რუსეთში მყოფი საქართველოს განთავი-
სუფლებისათვის მებრძოლი პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მეფე ბაქარი,
როცა თავის ქვეშევრდომებს ჰუსარად გახდომის ნებას რთავდა?

— უპირველესად, მეფე ბაქარი ხელადა, რომ სამშობლოს გასანთავისუფლებ-
ლად ხანგრძლივი იდეური და სამხედრო-პოლიტიკური მოზადება იყო საჭირო, ამის
გათვალისწინებით ის რუსეთის არმიასი ცალკე, ეროვნულ ერთეულად ჩაწერის ნებას
აძლევდა თავის ქვეშევრდომებს. ეს საშუალებას აძლევდა მას, საჭიროების შემთხვე-
ვაში, რუსეთისაგან სამხედრო დახმარების მიღებასთან ერთად გამოეთხოვა ბრძოლებ-
ში ნაწრობი ქართველი ჰუსარები, აგრეთვე გასათვალისწინებელია ჰუსარებად ჩაწე-
რისათვის მთავრობისაგან დაწესებული ჭილდობი, ეკონომიკური სარგებლიანობა და
სხვ. ანგარიშგასაწევი ვახდა ზოგი ქართველი ახალგაზრდის აქტიურობაც.

1738 წლის 17 მაისს მეფე ბაქარისაგან სენატისადმი წარდგენილი დოკუმენტით ჰუსარებად სამსახურის უფლება ეძლეოდათ: ზღვისპირელ თავადს ქაიხოსრო გურიელს, ქართველ გენერალს მამუკა მუხრანბატონს, თავადებს: დიმიტრი ორბელიანს, ელისე ამილახვარს, დავით და ოთარ ერისთავებს; იესე ციციშვილს, ოთარ ჩოლოყაშვილს, მერაბ და გერასიმე ანდრონიკაშვილებს, ათანასე ქობულაშვილს, ანდრია და ვახტანგ ორბელიანებს, სვიმონ ჩოლოყაშვილს, ნოდარ ბარათაშვილს, დიმიტრი შალიკაშვილს, გერასიმე და შიოშ ჯავახიშვილებს; ნიკოლოზ მანველიშვილს, დაჭრილ და მოხუც მერაბ გურამიშვილს, რომლის ნაცვლად ჰუსარი ხდებოდა მისი ძმისშვილი დავით გურამიშვილი³⁵.

ეს თავდაპირველი სია შემდეგ შეივსო მოსკოვში მცხოვრები სხვა ახალგაზრდებით. ჰუსარებად ჩასაწერად ქართველები შეკრიბეს აგრეთვე ასტრახანში, ყიზლარში.

რუსეთის მთავრობამ ქართველ ჰუსარებს ომში მონაწილეობის გარდა, ზოგან სამეურნეო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობაც დააკისრა.

ფიცის მიღების შემდეგ ქართველ ჰუსარებს ყმა-მამულები ეძლეოდათ უკრაინაში, თავადებს — 30 კომლი, ხოლო აზნაურებს — ათ-ათი კომლი³⁶.

ახალ საცხოვრისზე გადაყვანა-მგზავრობის ხარჯებს სახელმწიფო იხდიდა.

ადგილზე ქართველებისათვის სასახლე და სამამულე მიწა-ადგილების გამოძებნა ევალებოდა გენერალ-გუბერნატორ რუმიანცევს, რომელმაც საამისოდ შექმნა სპეციალური კომისია

წინასწარ განსაზღვრული იყო ქართველი მოახალშენეების კომპაქტურად დასახლება: პოლტავის, მირგოროდის, ლუბენის, პრილუცსკის (ძირითადად დღევანდელი პოლტავისა და ჩერნიგოვის ოლქები) მიდამოებში.

ქართველები ძირითადად დაასახლეს: სულას, ხოროლის, ვორსკლას და ზოგიერთ სხვა ხეობაში. პირველმა ქართველმა ჰუსარებმა და შემდეგ მოწვეულებმაც ყმა-მამული მიიღეს: სანჯარში, კობელიაკში, კელებერდაში, ბელიკში, პირიატინში, მირგოროდში, ჩერნიუხში,

³⁵ ЦГВИА. ფონდი 10, აღწ. 109, საქ. № 1, ფურც. 465—467.

³⁶ Полное собрание законов Российской империи, т. 10, № 7545

ზაგაჩქარაში, უსტივიცაში, ლოხვიცაში³⁷ და სხვა დასახლებულ პუნქტებში.

მოსკოვში მყოფმა ქართლის სამეფო სახლის წევრებმა (მეფე ბაქარმა, დედოფალმა რუსუდანმა, ბატონიშვილებმა: გიორგიმ, მარია-მმა, ვახუშტიმ³⁸, სიმონმა, პაატამ), კარისმდევმა მოხელეებმა და სხვებმა, ქართველი ჰუსარების უკრაინაში დამკვიდრების შემდეგ იქ შეიძინეს მოზარდილი მამულები³⁹.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მარცხენა ნაპირის უკრაინაში გაჩნდა 150-ზე მეტი ქართული სახლი. ოჯახები მრავალშვილიანი იყვნენ⁴⁰. მათ ემატებოდათ თავიანთი ნებით მოსულნიც. ამის გათვალისწინებით, როგორც მკვლევარი ლ. როსოხა გვაცნობს, ქართველთა რაოდენობა უკრაინაში იმ დროს, ორი ათას სულზე მეტი უნდა ყოფილიყო⁴¹.

უკრაინაში ქართული ახალშენის არსებობის კვალი დღეს იქაურ ტოპონიმიკაშიც არის დაცული⁴².

ქართული ახალშენი უკრაინაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო უკრაინის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დასახლებულ ახალშენიდან გაშვებულმა მრავალი ცნობილი ლიტერატორი, მეცნიერი, სამხედრო მოღვაწე და სხვ.

საქართველოს მეზობლად წარმოქმნილ აღნიშნულ დასახლებას მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა სამშობლოსათვის.

უკრაინის ქართულ ახალშენში მრავალი ძეგლი ითარგმნა ქართულად და გადაინუსხა. იქ დაწერა დიდმა პოეტმა დ. გურამიშვილმა უკვედავი „დავითიანი“.

³⁷ Л. Росоха. К истории Грузинской колонии на Украине. Литературная Грузия, 1984, № 7, с. 195.

³⁸ ვახუშტი ბატონიშვილი მხოლოდ უკრაინაში ფლობდა სოფლებს: ივაშკისა და გრიბინოვკას.

³⁹ მოსკოვში არსებული ქართული სამეფო სახლი უკრაინაში არსებული თავის მამულებიდან, შავ, გლუხოვოდან ხშირად ეზიდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ღვინოსა და სხვ.

⁴⁰ В. Н. Науменко. Грузинские поселения на Украине по статистическим и историко-этнографическим источникам, в сб. Из истории украинно-грузинских связей, Тб. 1968, с. 226.

⁴¹ ლ. როსოხა. დასახ. ნარკვევი, 1984, № 8.

⁴² იქვე, გვ. 204.

ყირიმის განთავისუფლების წინახანებში შექმნილი თავისებური ვითარების გამო ქართველ დიპლომატებს, კულტურის მოღვაწეებს ცხოვრება უხდებოდათ: კიევში, კრემენჩუგში და სხვა ქალაქებში.

სამხრეთ რუსეთის უგვირგვინო მეფის გრ. პოტიომკინის მოძრავ ბანაკში მრავალი ქართველი პოლიტიკოსი და სასულიერო მოღვაწე იძყოფებოდა. ისინი მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდნენ სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის.

გრ. პოტიომკინის ქართველთა გარემოცვის წევრებმა დიდი როლი შეასრულეს ყირიმის ნახევარკუნძულზე მაკმადიანური სახელმწიფოს ქრისტიანული სახელმწიფოებრივი წესწყობილებით შეცვლაში, საქართველო-რუსეთის „მეგობრობის პირობის“ მომზადებაში.

XVIII საუკუნეში სამხრეთ რუსეთში, უკრაინაში, ბესარაბიასა და რუმინეთში მყოფმა ქართველებმა თავიანთი სამწერლო და მთარგმნელობითი მოღვაწეობით ხელი შეუწყვეს მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებას, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას.

სამწუხაროდ, საქართველოს ბედის სხვადასხვაგვარად წარმართვის გამო, ვეიან, უკრაინაში ქართველთა მოღვაწეობას სამშობლოსათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

§ 5. მართული ახალშენების შექმნა იმიერკავკასიაში და „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობა

საქართველოს კულტურულ-სამეურნეო აღორძინება თვალსაჩინოდ წარმოჩნდა XVIII საუკუნის დასაწყისიდანვე. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისათვის ეს სანეტარო პროცესი ხანმოკლე აღმოჩნდა. ქართველ პოლიტიკოსთა სწრაფვამ დიდი მიზნებისაკენ მალე უფსკრულის პირას დააყენა საქართველო.

კავკასიის პროგრესული საზოგადოების გაერთიანების დიდი საქმის გამარჯვებამდე მისაყვანად საქართველოს ძალები არ იყო. ყველაფრიდან ჩანდა, რომ უმოკავშირეოდ ჩვენი სამშობლოს მეთაურობით კავკასიის წინაშე მდგარი ამოცანები იმხანად წარმატებით ვერ გადაწყდებოდა.

ამის მიუხედავად, ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწეები არ ეხსნებოდნენ ოდინდელ საქართველოს რესტავრაციას.

სამშობლოს წარმატებულმა ხანმოკლე აღორძინებამ, საუკუნეების მანძილზე ერთმორწმუნე რუსეთთან და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან მრავალმხრივი ურთიერთობის გაღრმავებამ ქართველი

საზოგადოების ერთ ნაწილში ქართველთა მეთაურობით ოდინდელ ერთიანი კავკასიის აღდგენის იდეა გამოაცოცხლა.

თუ სამხრეთით და აღმოსავლეთით ქართველთა წინსვლას ხელს უშლიდა ზღუდედ აღმართული მაკმადიანური სამყარო, იმიერკავკასიის სხვადასხვა რეგიონში რკალის გარღვევასა და ქართველთა ძველისძველ განსასწავლათა აღორძინებას თითქოს საიმედო პირი უჩნდა.

ამ იმედით ქართველებმა მასობრივად მიაშურეს ჩრდილოეთ კავკასიას.

ალექსანდრე II, თეიმურაზ I, არჩილ II რუსეთთან ურთიერთობაში დიდ ყურადღებას უთმობდნენ ლეკთა, ყუმუქთა, ოსთა, ყაბარდო-ჩერქეზთა, ჩაჩანთა და იმიერკავკასიის სხვა მთიელთა საკითხს.

მოსკოვში ვიზიტის დროს თეიმურაზ I-მა მოითხოვა ჩაჩანთა ორი მფლობელის რუსეთის მფარველობაში მიღება.

1667 წელს მოსკოვში მყოფი ქართველი მიტროპოლიტი ეპიფანე რუსეთის დიპლომატთა ყურადღებას კვლავ დაქინებით მიაქცევდა ჩაჩანთაზე.

არჩილ II, ალექსანდრე ბატონიშვილი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ოსთა სხვადასხვა თემისა და ყაბარდო-ჩერქეზეთის სხვადასხვა რუსეთის სახელმწიფოსთან დასაკავშირებლად.

მათ შუამდგომლობას ამ მიმართულებით თვალსაჩინო წარმატება ხვდა. ამასთან, ქართველმა მოღვაწეებმა გააფართოვეს ტრადიციული მოყვარული, ნათესაური დამოკიდებულება ოსებთან, ჩერქეზებთან და სხვა მთიელებთან; გააღრმავეს ქართველთა კულტურული ურთიერთობა იმიერკავკასიაში მცხოვრებ მრავალ ხალხთან და ა. შ.

არჩილ II წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოსეთში, ყაბარდო-ჩერქეზეთში. მისი მეცადინეობით ჩერქეზეთა ბატონის ყილჩიყო ბაყიშვილის სახლის შვილი რუსუდანი ქართლის სამეფოს დედოფალი გახდა. ალექსანდრე ბატონიშვილმა სამშობლოში გამოგზავრების წინ მოსკოვში მონათლა სიყრმის მეგობარი, ძმანაფიცის ოსი წარჩინებული ანალუკი და მას იოთამი დაარქვა.

ქართველი და იმიერკავკასიის ხალხთა ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებისათვის მრავალმხრივ იღწვოდა ქართლის მეფე ვახტანგ VI და პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა დასი.

ევროპაში გამგზავრებული ბრძენი დიპლომატი, მწერალი და მეცნიერი, ს.-ს. ორბელიანი ფრანგ და სხვა პოლიტიკოსთა ყურადღებას მიაქცევდა ქართველების ჩერქეზეთთან და იმიერკავკასიის სხვა ხალხებთან მეგობრობაზე.

1722 წლის 28 სექტემბერს პეტრე I ვახტანგ VI-ს მიუთითებდა დასასახლებლად ქართველების დარუბანდსა და შემასში მიზიდვაზე.

დიდი იმედების აღმძვრელი გეგმებით გაემგზავრა ემიგრაციაში ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალით.

იმიერკავკასიაში გადასვლისთანავე თვალსაჩინო ქართველმა სასულიერო პირებმა გამოაცოცხლეს ამ მხარეში მისიონერული მოღვაწეობის ტრადიცია.

მანგლელმა ეპისკოპოსმა იოსებმა (სააკაძემ) თავის სამოღვაწეოდ დაღესტანი აირჩია და მის მიერ გამოცოცხლებულ ქართულ საქმეს ზურგი რუსეთის სამხედრო, სასულიერო უწყებათა ქმედითი დახმარებით გაუმაგრა.

კასპიისპირეთში მყოფი რუსეთის არმიის სარდლობის შუამდგომლობის საფუძველზე, უწმიდესმა სინოდმა ერთმორწმუნე ქართველი ეპისკოპოსის მოღვაწეობა ახლადშეძენილ მხარეში ფრიად სასარგებლოდ სცნო და უმოკლეს ვადაში მორალურთან ერთად ფინანსური დახმარებაც გაუწია.

დიდ სახელმწიფოსაგან ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სხვა იმედმოცემულმა თავდადებულმა ქართველმა იდეურმა მოღვაწემ დარუბანდში ქართული მონასტერი ააშენა და თანამემამულეთა მრავალრიცხოვანი მრევლი შეკრიბა.

დარუბანდის კარებში ქართველთა მრავალმხრივ მოღვაწეობას მოჰყვა ქართველთა აქტიურობა წმ. ჯვრის სიმაგრესთან დასახლების შესაქმნელად. ვახტანგ VI-ის ამაღლის წევრებმა ოთარ ჩოლოყაშვილმა, ჭავჭავაძე და მერაბ ანდრონიკაშვილებმა საამისოდ განცხადებით მიმართეს რუსეთის იმპერიის მთავრობას⁴³.

1724 წლის 23 ნოემბრის ბრძანებით, ქართველების იმიერკავკასიის მოხერხებულ ადგილებში დასახლების ხელშეწყობა დაევალა ამ მხარეში მყოფ რუსეთის სახელმწიფო მოხელეებს⁴⁴.

თავის მხრივ, პეტერბურგში პირველი ჩასვლისთანავე ვახტანგ VI-მ რუსეთის საიმპერატორო კარს ყურადღება მიაქცევინა ჩრდილოეთ კავკასიის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ადგილებში ციხეთა ჩადგმის აუცილებლობაზე.

თითქოს, ქართველ პოლიტიკოსთა გაბედულ გეგმებს ხორცი ესხმებოდა.

⁴³ რსპა. ფ. 110/1, 1725, საქმე 9, ფურც. 3.

⁴⁴ ПСЗРИ №8, 1830, ს. 373. რსპა. ფ. 110/1, 1729 წ. საქმე. I, ფ. 2

1733 წელს წმ. ჯვრის შემოგარენში ქართველთა მოზრდილი დასახლება წარმოიქმნა⁴⁵.

სამწუხაროდ, XVIII საუკუნის 30-იან წლებში მხოლოდ ყიზლარის ქართულ დასახლებას შეექმნა განვითარების პერსპექტივა. წმ. ჯვარი გაუქმდა. 1735 წლის 10 მარტს განჯაში ირანსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთს დაარუბანდი უნდა დაეცალა. ხელშეკრულების მე-2 არტიკულით ამ ქალაქში არსებული ქართული სალოცავის დაცვა გარანტირებული იყო⁴⁶. ამის მიუხედავად ქართველი ეპისკოპოსი ამალითურთ აქაურობას გაეცალა.

მოსკოვის ქართული ახალშენის მესვეურთა ინიციატივით ყიზლარში (რომელიც დაარსდა 1735 წელს) თავი მოიყარა იმიერკავკასიაში გადასულ ქართველთა დიდმა ნაწილმა.

მეფე ბაქარმა, საქართველოს განთავისუფლების საკითხის გადადების შემდეგ, ფართო მოღვაწეობა განაგრძო უპირველესად იმიერკავკასიაში დასაყრდენის განსამტკიცებლად.

1738 წელს ყიზლარს მივიდა ქართველი არქიმანდრიტი დანიელი, რომელმაც სინოდს მიმართა თავის სამოღვაწეოდ არჩეულ ქალაქში ქართული სალოცავის ასაშენებლად.

წინამძღვარმა დანიელმა თავი მოაბა ყიზლარში ქართველთა იდეური ცენტრის მშენებლობას. აქ მალე ააგეს ჯვრის ამალების სამონასტრო⁴⁷ კომპლექსი, რომელშიც პირველად ბერმონაზონი და ორი ბერი ეწეოდა ღვთისმსახურებას. მონასტერს ეკუთვნოდა ვრცელი ბოსტნები და ზვრები.

ქალაქ ყიზლარშივე გადავიდა მანგლელი ეპისკოპოსი იოსები, რომელმაც აქ ეკლესია და სასწავლებელი ააშენა ქართველთათვის.

მეფე ბაქარი უფრო შორს იხედებოდა. მან ჩერქეზი და ოსი წარჩინებულნი წარუდგინა იმპერატორს.

ქართველი მეფის შუამდგომლობის საფუძველზე, ჩერქეზთა და ოსთა წარმომადგენლების თხოვნას რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები ყურადღებით მოეკიდნენ⁴⁸.

⁴⁵ რსპა. ფონდი 110/1, 1754, საქმე № 3. ფურც. 60.

⁴⁶ ПСЗРИ, ტ. IX, სპ. 1830, ს. 949.

⁴⁷ И. Савинский. Грузины и инославные христиане в Астраханской епархии. Астраханская епархия (1602—1902 гг.) вып. II. Астрахань, 1903. ქართველების დასახლების მიზეზები თერგის ხეობაში. „დროება“, 1877 წლის № 35 და სხვ.

⁴⁸ საიმპერატორო კარზე, ოფიციალურად, იმიერკავკასიაში სამისიონერო მო-

იმ დროს ჩერქეზმა თავკაცებმაც აღთქვეს მოფიქრებულ ქრისტიანულ სამისიონერო ორგანიზაციისადმი ადგილებზე ხელშეწყობა-დახმარება.

ამასობაში მოსკოვში მყოფმა ქართველმა მღვდელთმთავრებმა იოსებ ქობულაშვილმა, ნიკოლოზ ჯაფარიძემ ოსეთში ქრისტიანობის აღსადგენად მოხსენებითი ბარათი მიართვეს რუსეთის იმპერატორს და ამ საქმეში ქართველ სასულიერო მოღვაწეთა მხარდაჭერა აღუთქვეს.

საკითხი განიხილეს უწმ. სინოდში და მოხსენება იმპერატორის კაბინეტს გადაუგზავნეს. იმპერატორმა ბრძანებულების შემუშავება და საქმის სხვა ორგანიზაციული მხარის მოგვარება სენატს დაავალა. 1743 წლის 19 ნოემბერს სენატის ბრძანებულება გადაეცა საგარეო საქმეთა კოლეგიას.

ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ინიციატივით უწმინდესმა სინოდმა ჩამოაყალიბა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომლის წევრებადღე ქართველი სასულიერო მოღვაწეები დაამტკიცეს.

სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ჯეროვნად არ არის გაშუქებული ოსეთის სასულიერო კომისიის შექმნა — მოღვაწეობის ისტორია, რადგან აღნიშნული კომისიის მრავალმხრივი მოღვაწეობის მასალები სხვადასხვა სიძველეთსაცავის ფონდებშია გაფანტული.

სპეციალურად და სხვ საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნული კომისიის მოღვაწეობას შეეხნენ: რუსი, ქართველი და ოსი მკვლევრები⁴⁹.

როგორც ქართული და რუსულენოვანი მდიდარი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, ქართველთა ინიციატივით შექმნილი დასახელებული ორგანიზაცია დაკომპლექტდა რუსეთში მცხოვრები ქართველი სასულიერო მოღვაწეებით, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს არქიმანდრიტი პახუმი (წერეთელი).

ღვაწეობის საკითხი ბესტუჟეე-რიუმინმა დააყენა. ეს ფაქტი ქართველ მოღვაწეებს პრიორიტეტს ვერ ჩამოართმევს. მკვლევარ მ. ბლივეს ხელა ჩაუჭიდა ბესტუჟეე-რიუმინსათვის და ვერ შეუნიშნავს მეფე ბაქარისა და ქართველ სასულიეროთა აქტიურობა ამ მიმართებით.

⁴⁹ М. И л у р и д з е. Исторический очерк деятельности православного миссионерства на Кавказе. „Пестырь“, 1887 — 1891. История СОАР, т. 1, Орджоникидзе, 1957, М. Б л и е в а. Осетинское посольство в Петербурге 1749—52 гг. Орджоникидзе, 1961, Б. А л б о р о в. Новое в истории изучения первой печатной осетинской книги 1798 г. В кн. Известия СОНИИ, т. XXIV, вып. I, Орджоникидзе, 1964. с. 129—142.

დიდი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, 1745 წლის გაზაფხულზე, ქართველი სასულიერო მოღვაწეები მოსკოვიდან ყიზლარს წავიდნენ. აპრილში ისინი ასტრახანიდან გავიდნენ და მაისში უკვე ყიზლარს შექმნეს დასაყრდენი ოსეთში დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობის ჩასატარებლად⁵⁰.

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ ყიზლარში დაფუძნებით ამ ქალაქის ქართველი მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა.

იმეერკავკასიაში სამისიონერო მოღვაწეობის ფართოდ გასაშლელად მოსკოვის ქართულ ახალშენში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა.

ქართველმა საეკლესიო პირებმა სამისიონერო მოღვაწეობისათვის შეარჩიეს და შეიძინეს ხატები, ჯვრები და მრავალი სხვა საეკლესიოსაღვთისმსახურო ინვენტარი; აგრეთვე სამოსი, ტილო, ფარჩეული და ა. შ.

მეფე ბაქარის, ვახუშტი ბატონიშვილის, არქიეპისკოპოს იოსებ სამებლის, მიტროპოლიტ რომანოზის, არქიმანდრიტების: ნიკოლოზის, პახუმის და სხვათა რჩევა-დახმარებით სამისიონეროდ შერჩეულმა პირებმა მოამზადეს საჭირო საღვთისმეტყველო ლიტერატურა.

ქრისტეფორე გურამიშვილის, ფილიპე სიმონგულაშვილის, მელქისედეკ კავკასიძის, მოსე ზაალიშვილისა და სხვათა მონაწილეობით დამოუკიდებელ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა: წმინდანთა პორტრეტები, დაფარნები, საანბანო სასწავლო წიგნები⁵¹, ლოცვები (ქართული შრიფტით, პარალელურად ქართულ და ოსურ ენებზე) და სხვ.

სამისიონერო მოღვაწეობისათვის გამზადებულ მოსკოვში მყოფ ქართველ სასულიერო პირებს ახლა ოფიციალურად მიეცათ ნება თავიანთი მრავალწლოვანი სამწერლო და საგამომცემლო მოღვაწეობის შედეგად შექმნილი პროდუქცია უშუალოდ გადაეტანათ სახელმწიფო ტრანსპორტით და მრავლად მიეწოდებინათ როგორც მოსაქცევ იმიერ-

⁵⁰ ხ ა ნ თ ა ძ ე. ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B 1957, გვ. 405—411.

⁵¹ რსპა, 110/1, 1752, ს. 13. ფ. 11.

⁵¹ სამეცნიერო ლიტერატურაში გრძელდება კამათი პირველი ნაბეჭდი ოსური წიგნის შესახებ. იხ. Б. А л с о р о в. Новое в истории изучения первой печатной осетинской книги 1798 г. Известия СОНИИ, т. XXIV, вып. I, Оржоникидзе, 1964, с. 123—142; В. М а ч а р а д з е. К истории первой печатной осетинской книги. „Лит. Грузия“, 1967, № 2, с. 71—73.

კავკასიის მკვიდრთათვის, ისე თანამემამულეებისათვის საკუთრივ საქართველოში (იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლში, კახეთში).

ამ მიზნით, საეკლესიო ინვენტარით, ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნებით, ხამი თუ ძვირფასი ქსოვილებით, ფუფუნების საგნებითა და სხვა საქონლით მდიდრულად დატვირთულნი მოსკოვიდან გამოემგზავრნენ არქიმანდრიტი პახუმი, ილუმენები: ქრისტეფორე, ეფთვიმი; მღვდლები: ნიკოლოზ და ქაიხოსრო მახათელაშვილები, დიმიტრი და ოსეთის სასულიერო კომისიის „შტატში მყოფი სხვა ქართველი“ პატრიოტები.

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ წევრებმა მალე დაამყარეს მჭიდრო კონტაქტები ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო სახლებთან, საეკლესიო მოღვაწეებთან.

უცხოეთიდან მოსულმა ქართველებმა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების, საეკლესიო ინვენტარისა და ფუფუნების საგნების დიდი ნაწილი საჩუქრად მიართვეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს, საერო და საეკლესიო პირებს, რომელთაც თავის მხრივ ქმედითი დახმარება აღუთქვეს იმიერკავკასიაში სამისიონერო საქმის გასაფართოებლად.

ანტონ I და ერეკლე II-სთან მისულმა გამოცდილმა მესტამებმ ქრისტეფორე გურამიშვილმა ყველაფერი იღონა თბილისში ქართული სტამბისა და გამომცემლობის აღსადგენად⁵².

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების მესვეურთა დახმარებით იმედმოცემულმა ქართველმა სასულიერო პირებმა ფართოდ გაშალეს სამისიონერო მოღვაწეობა: ოსეთში, ჩაჩნეთში, ჩერქეზეთში.

ამ მოღვაწეობაში უწმ. სინოდთან და მოსკოვთან კავშირურთიერთობისათვის დასაყრდენად მათ ქ. ყიზლარი გაიხადეს. ქართველმა სასულიერო მოღვაწეებმა იქ შექმნეს სკოლა, რომელშიაც ქართველ მოზარდებთან ერთად სწავლობდნენ ავარი, ლეკი, ჩაჩანი, ოსი, ჩერქეზი და სხვა ახალგაზრდებიც.

მოსკოვის ქართული ახალშენის ბაზაზე წარმოქმნილი ყიზლარის ქართული კულტურის კერისათვის მნიშვნელოვან მომენტად იქცა XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქართლიდან ბაგრატიონების გადასვლა.

⁵² ქართული სტამბის აღდგენის საკითხს ჩვენ ფართოდ ვაშუქებთ სპეციალურ ნარკვევში.

ალექსანდრე და იოანე ბაგრატიონების სტუმართმოყვარე ოჯახი პოპულარული და დასაყრდენი გახდა იმიერკავკასიაში მცხოვრებ მოწინავე მთიელთათვის.

ყიზლარმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს ევროპულად განვითარების საქმეში. ფაქტიურად აღნიშნულმა ქალაქმა წარმატებით იტვირთა ასტრახანის როლის შესრულებამ⁶³.

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ყიზლარში ქართველთა წინდახედული პოლიტიკის შედეგად თარჯიმანთა მომზადებას.

ასე მაგალითად, ყიზლარიდან თარჯიმანად წაყვანილმა დიაკონმა გაბრიელმა სასარგებლო სამსახური გაუწია რუსეთში გადასულ ანტონ I და მის ამაღლას. ეს ყიზლარელი სასულიერო მოღვაწე ახლდა დიდ ქართველ მოღვაწეს ანტონ I-ს მოსკოვში, პეტერბურგში და ვლადიმირში ხანგრძლივი ცხოვრების დროს.

თავიანთი საეკლესიო, სამწერლო-მთარგმნელობითი და განსაკუთრებით სამხედრო მოღვაწეობით ყიზლარს სახელი გაუთქვეს ბაგრატიონთა სახლის შვილებმა: ალექსანდრემ, იოანემ, პორფირმა, კირილემ, რომანმა, ხოლო უკვდავმა გმირმა პეტრე ბაგრატიონმა უქკნობი დიდებით შემოსა ეს პატარა ქალაქი.

კავკასიის სამხედრო ხაზის გამაგრების შემდეგ ქართველები მრავლად სახლდებიან აღნიშნული ხაზის გასწვრივ აგებულ ციხე-ქალაქებთან. მათგან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარშივე ყიზლარის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა მოზდოკმა.

საკმაოდ დიდია მოზდოკის, ქართული ახალშენის როლი ქართველთა და იმიერკავკასიის მთიელთა მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებაში.

ასე თანდათანობით უახლოვდებოდა ევროპული განვითარების გზაზე მტკიცედ მდგარ საქართველოს იმიერკავკასიიდან ქართული ახალშენები. ქართველთა დასახლებები სწრაფად იქმნებოდნენ საქართველოდან რუსეთს მიმავალ სამხედრო გზის გარშემო და დიდი ხნის

⁶³ ყიზლარი დიდხანს ინარჩუნებდა ქართული კულტურის დიდი კერის მნიშვნელობას იმიერკავკასიაში. იქ იკრიბებოდნენ უკრაინიდან და შიდა რუსეთის ქალაქებიდან, მათ შორის მოსკოვიდან, წამოსული ქართველი მოღვაწეები, რომელთაც თითქმის ყოველთვის თან მოჰქონდათ ახლად გადაწერილი, თარგმნილი თუ ორიგინალური ძეგლები. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება აქ მხოლოდ კონტოს კურციოს ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის ერთ-ერთი ნუსხის (H-254) შინაწერის გახსენება: „ეს წიგნი მუსხელიშვილმა როსტომმა მოსკოვიდან მოიტანა ყიზლარს. წელსა ჩლეთ აპრილს 64“.

მანძილზე ხელს უწყობდნენ „თერგდალეულ“, ევროპულად განათლებულ ქართველთა, ახალ-ახალ თაობების აღზრდას.



რუსეთში ქართველთა ახალშენის ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდი საქართველოსათვის იყო მძლავრი კულტურული აღმავლობის, ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის მედგარი ბრძოლის ხანა.

ფართო შინაგანი ძვრებისა და წინსვლის გზას ადგა სწრაფდამზარდი რუსეთის სახელმწიფო XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე.

საქართველო დიდი ხანია ეძებდა ჩრდილოეთის ამ მძლავრი ქვეყნის მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას. ამის შედეგად საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებში რუსეთმა ადრევე მტკიცედ მოიკიდა ფეხი. წარმატებით გააფორმა მფარველობის ხელშეკრულებანი ამ მხარის ერთმორწმუნე სახელმწიფოებთან, მცირე ფეოდალურ წარმონაქმნებთან. ასეთი კავშირი რუსეთს არა მარტო სამხრეთი საზღვრების დაცვის გარანტიას აძლევდა, არამედ ქვეყნის გაფართოების პერსპექტივასაც უქმნიდა. კავკასიაში განმტკიცებული ეს ახალი ძალა თანდათან ასუსტებდა ოსმალო-სპარსეთის პოზიციებს. ამავე დროს ჩრდილოეთის ეს დიდი სახელმწიფო ობიექტურად იმავე ოსმალო-სპარსეთის ბატონობაში მყოფ ხალხთა განმათავისუფლებლად გამოდიოდა და ხელს უწყობდა საქართველოს გაერთიანების, მისი მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებისათვის ბრძოლის გაშლას, სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ურთიერთობათა განვითარებას.

პეტრე I რეფორმებით ქვეყნის გაფართოებისათვის დიდი ბრძოლებით რუსეთმა გიგანტური ნახტომით წაიწია წინ და სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ეტაპზე შედგა.

XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან იმპერიად ჩამოყალიბებული ქვეყნის მძლავრი პროგრესი კიდევ უფრო ააქტიურებდა რუსეთის წინსვლას სამხრეთითა და აღმოსავლეთით.

დიდი ხანია რუსეთში ამზადებდნენ პირობებს აღმოსავლეთში განსამტკიცებლად. პეტრე I-ის ეპოქაში ამ დიდ საქმეში ჩართეს სწავლულებიც, რომლებიც შემდეგ ახლად დაარსებულ რუსეთის სამეცნიერო ცენტრში — სანქტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში გაერთიანდნენ.

ის დიდი სააღმოსავლეთო პოლიტიკა, რასაც ქვეყნის მესვეურები სახავდნენ, აღმოსავლეთის მრავალი ხალხის წარმომადგენლებს აკავშირებდა რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან ფართო თანამშრომლობისათვის.

რუსეთში მყოფ აღმოსავლეთის ქვეყნების პატრიოტებს სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლისა და მოღვაწეობის გაშლის ხელსაყრელი პირობები შეექმნათ.

სამშობლოს თავისუფლებისა და კულტურული დაწინაურებისათვის ქართველთა განუწყვეტელი ბრძოლის, საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების შედეგად XVII ს-ის მიწურულს მოსკოვში ჩამოყალიბდა ქართველთა მძლავრი დასახლება.

რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად ქართველებს შესაძლებლობა მიეცათ შეექმნათ უცხოეთში ცხოვრების მტკიცე ეკონომიკური საფუძველი, ჩაბმულიყვნენ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში, განეგრძოთ და ფართოდ გაეშალათ მშობლიური კულტურის განვითარებისათვის მრავალმხრივი მუშაობა.

რუსეთის კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრში აღმოცენებული ქართველთა ახალშენის ამოცანად იქცა ახალ საფუძველზე განეგრძოთ და განვითარებინათ ძველთაგანვე მიმდინარე ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ჯანსაღი ტრადიციები.

იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რასაც ეპოქა მშობლიური ქვეყნის განვითარების პირობებში ქმნიდა, მოსკოველ ქართველებს მრავალი ახალი კულტურული წამოწყების თაოსნობას ავალებდა. ამასთან, იდეურად მახლობელ ქვეყანაში არსებული ეს ახალშენი მოწოდებული იყო ყველაფერი ეღონა საქართველო-რუსეთის სამხედრო კავშირის ახალ საფუძველზე ჩამოსაყალიბებლად და შემდგომ მის განსამტკიცებლად.

ეროვნული ინტერესების რუსეთის სახელმწიფოს მიზნებთან შეთანხმებისათვის აქტიურად მოღვაწეებმა ალექსანდრე ბატონიშვილმა და არჩილ მეფემ მოსკოვის ქართული ახალშენი განვითარების ისეთ გზაზე შეაყენეს, რომელსაც საბოლოოდ უნდა განეხორციელებინა რუსეთთან კავშირის მიღობით მშობელი ხალხის განთავისუფლება. ქართველი ხალხის ამ რწმენის ცოცხალ გამონახტულებად ადრევე იქცა ეს დასახლება. ამიტომ ჩადიდდნენ იქ ახალ-ახალ ნაქადად ქართველი კულტურული თუ პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთაც სამშობლოს

განთავისუფლებისათვის ხელსაყრელი პირობების შემზადების, პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად ახალშენში მჩქეფარე კულტურული საქმიანობა გაშალეს.

XVIII ს-ის 20-იანი წლების დამდეგს მოსკოვის ქართველთა ახალშენმა ბრწყინვალედ შეასრულა პოლიტიკური დაკვეთა. მოსკოველმა ქართველებმა წარმატებით იღვაწეს საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩამოსაყალიბებლად კასპიისპირეთში პეტრე I-ის სარდლობით განხორციელებული ლაშქრობის დროს.

განთავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ეს გაბედული გამოცემა, სამწუხაროდ, დამარცხდა. ამის შედეგად ვახტანგ VI დიდი ამალით რუსეთს გადავიდა. ქართველ მოღვაწეთა ასეთი დიდი ემიგრაციის შედეგად საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ აღმავლობას მალე დაქვეითება დაეტყო. რუსეთს გადასული ქართველები ფართო, მაგრამ უცხო სარბიელზე გავიდნენ. მრავალრიცხოვან ემიგრანტებისაგან მოსკოვში არსებული ქართველთა ახალშენი გაფართოვდა. XVIII ს-ის 20—40-იან წლებში ქართველთა ეს ახალშენი იქცა საქართველოს თურქეთ-სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ პატრიოტ-ემიგრანტთა ცენტრად. ქვეყნის განთავისუფლებისათვის ამ დიდმა ბრძოლამ მოსკოველ ქართველთა წინაშე პოლიტიკურთან ერთად გადასაწყვეტად დასვართული კულტურულ-სამეცნიერო ამოცანები, ამით გეგმიანად მაღალ დონეზე გრძელდებოდა სამშობლოში წამოწყებული დიდი მუშაობა.

XVIII ს-ის I ნახევარში მოსკოველმა ქართველებმა მთელი თავიანთი უნარი და გამოცდილება სამშობლოს განთავისუფლებისათვის პირობების ყოველმხრივი მომზადებისაკენ წარმართეს: ამ დიდი მიზნის განხორციელებისათვის რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა სამშობლო ქვეყნისათვის სასარგებლო, რუსეთისა და სხვა სახელმწიფოებისათვის გამოსადეგი პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო მოღვაწეობა გაშალეს.

ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა

§ 1. საერო მწერლობა

რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის მტკიცე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მეფე არჩილის შემოქმედება ახალი იდეური ასპექტებით დაიტვირთა.

ღრმად მოაზროვნე პოეტმა მეფემ ურთიერთობის შუქზე ნათლად დაინახა ქართული ზნეობის, აღზრდის ეროვნული წესი, რომლის მხატვრულად ასახვასთან ერთად მოუწოდა მისი შესწავლისა და განმტკიცებისაკენ. მებრძოლმა შემოქმედმა მეფემ დაიწყო წინამორბედთა, განსაკუთრებით რუსეთზე ორიენტირებული უკანასკნელი დიდი მოღვაწის თეიმურაზ I-ის განვლილი გზის შეფასება და ა. შ.

ამ ნიადაგზე მოსკოვისაკენ გამგზავრებულმა პოეტმა ოსეთსა და ასტრახანში შეთხზა: „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, „საქართველოს ზნეობანი“, „გაბაასება სოფლისა და კაცის“, „ანბანთქება“, „წმიდის ღვთისმშობლის სავედრებელი“ და სხვ.

პირველში მეფე არჩილი ემიჯნება ზღაპარსიტყვაობას, უცხოური სიუჟეტებით გატაცებას. იგი ამკვიდრებს სინამდვილის ასახვის პრინციპს და თავისი თხზულებით იძლევა საამისო მისაბამ მაგალითს. სამშობლოს უახლოესი ტრაგიკული წარსულის შთამბეჭდავად გადმოცემით მეფე არჩილი კიდევ უფრო განამტკიცებდა განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეურ საფუძველს. შეუღრეკლად მებრძოლი განმანათლებელი ხალხის ამალღების მიზნით ლექსად ქმნის ტრაქტატს სწავლა-აღზრდის მწყობრად ჩამოყალიბებულ ეროვნულ სისტემაზე. განმანათლებლური იდეა გასდევს „გაბაასება კაცისა და სოფლისას“. ეს თხზულება ბრძნული აზრებით დატვირთული მხატვრული შეგონებანია ცხოვრების მიზანზე, წესზე, მის გარდაქმნა-მიმართულებაზე.

მოსკოვს ყოფნისას მეფე არჩილმა გააგრძელა დიდი ბრძოლა-მოღვაწეობით შექმნილი სიბრძნის პოეტური ქადაგებანი. რუსეთის დედა-

1. ქ. ზნაძის სკოლაში, 1919 წელს, ქვემო
 სკოლაში, ქვემოთ მოხსენიებული
 2332 3332
 1. ქ. ზნაძის სკოლაში, 1919 წელს, ქვემო

II N O III
 I N O I

1. ქ. ზნაძის სკოლაში, 1919 წელს, ქვემო
 სკოლაში, ქვემოთ მოხსენიებული

1. ქ. ზნაძის სკოლაში, 1919 წელს, ქვემო
 სკოლაში, ქვემოთ მოხსენიებული
 1. ქ. ზნაძის სკოლაში, 1919 წელს, ქვემო
 სკოლაში, ქვემოთ მოხსენიებული
 1. ქ. ზნაძის სკოლაში, 1919 წელს, ქვემო
 სკოლაში, ქვემოთ მოხსენიებული

1. ქ. ზნაძის სკოლაში, 1919 წელს, ქვემო
 სკოლაში, ქვემოთ მოხსენიებული

სურ. 19. მზნაწერი კვართლის ცხოვრების ხელნაწერზე

ქალაქში ამ ქართველი მეფის ცხოვრების პერიოდს განეკუთვნება ისეთი ქმნილებანი, როგორცაა: „ლექსნი ასნი ორმუხლნი“¹, „ლექსნი ასეულნი“², „ლექსნი ასდაათნი“³ და დიდაქტიზმით გაუღენთილი სხვა თხზულებანი. პოეტი მეფე ამხელს ადამიანთა მანკიერ მხარეებს და თანამედევრულად იბრძვის ცხოვრების გადასახალისებლად, იდეურობის განსამტკიცებლად. ჯანსაღი ტრადიციების დაცვა-განმტკიცება, ურთიერთპატივისცემა მას მიაჩნდა ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველად, წინსვლის აუცილებელ პირობად. მეფე არჩილის მიზანია ქართველთა გონებრივი ამაღლება და ამიტომაც ჭადაგებს ცოდნის შეძენის საჭიროებას.

ბრძენი მოღვაწე საშურ საქმედ სახავს ხალხთა კულტურული ურთიერთობის შედეგების სწრაფად ათვისება-გამოყენებას. მიუთითებს სიბრძნის სარგებლიანობაზე ყველა სხვა ჭონებასთან შედარებით და მოუწოდებს გონების მოუღუნებლობაზე, მის მუდმივ ვარჯიშზე „სიკვდილამდის კაცი ცოდნას ხამს იწვრთიდეს“ — გვასწავლის არჩილი. პოეტი მეფის იდეალია გონებრივად გაწვრთნილი, კარგი მოასპარეზე, მომღერალი, მოცეკვავე და სხვა ზნეობის მცოდნე, სრულყოფილი პიროვნება.

აღსანიშნავია, რომ სახელოვანი წინამორბედის დიდაქტიზმი შემდეგ განავითარა და უფრო მაღალმხატვრული ფორმით გამოხატა დ. გურამიშვილმა.

პოეტი მეფის არჩილის მოსკოვში შექმნილ თხზულებათაგან აღსანიშნავია „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“⁴, რომელშიაც შოკლედ დახასიათებულია მსოფლიოს გამოჩენილ მონარქთა დიდი საქმენი, არჩილი შთაბეჭდავად აღწერს ქართველ მეფეთა (დავით, გიორგი, თამარ) სიქველეს, თავის ტრაგიკულ ეპოქას. „მეფედ ვიწოდე, ვერ ვავიწოდე, ფეხი ჩემისა გუნებისადა“, — ნაღვლიანად ჩივის პოეტი. დასახელებულ თხზულებაში მოხდენილად შექმებულია რუსეთის გარდამქმნელი პეტრე პირველი, აღწერილია მასთან მეფე არჩილის ურთიერთობა, ის დაპირებანი, რომელსაც პეტრე I მეფე არჩილს აღუთქვამდა და ამით ნათელი მომავლის იმედით კიდევ უფრო აღანთებდა ქართველთა განთავისუფლება-განათლებისათვის მებრძოლ რაინდ პოეტს.

1 არჩილიანი. აღ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I. ტფილისი, 1936, გვ. 71—79.

2 იქვე, გვ. 81—94.


3 იქვე, გვ. 95—109.

4 იქვე, გვ. 223—247.

პოლტავაში გამარჯვებას აღფრთოვანებული მეფე არჩილი რუსეთის აღმოსავლეთით დაინტერესების ჟამის დასაწყისად ჰგონებდა და ამიტომაც ლექსი მიუძღვნა ამ ღირსახსოვარ მოვლენას.

მოსკოვს დაწერილი თხზულებანი მეფე არჩილის ადრე შექმნილ ლექსებთან ერთად მოსკოვსვე გადანუსხა დ. თურქისტანიშვილმა, ავტორისავე ნებით.

კრებული „არჩილიანი“ დ. თურქისტანიშვილს 1706 წელს სრულუყვია.



სურ. 20. მ. ლომონოსოვი და ვახუშტი ბატონ შვლა (მატყ. უ. ჩლაიქე)

ეს არის ერთად თავმოყრილი პოეტის თხზულებანი თვით არჩილის მეთვალყურეობით გადაწერილი. კრებულში შევიდა დიდი თხზულება „ვისრამიანი“, რომლის ლექსად გარდათქმა არჩილმა ასტრახანს წაშრიწყო და შემდეგ „მოსკოვისაკენ რომ წავიდა, გზაზედ სრულყო“.

მოსკოვშივე თავს დასტრიალებდა პოეტი მეფე თავის ლექსებს. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით ირკვევა, რომ თავისი ორიგინალური თხზულებების ერთ წიგნად გადანუსხვა მას შედარებით გვიან მოუხერხებია და კრებულისათვის თავისი სახელის მიხედვით „არჩილიანო“ უწოდებია. საგულისხმოა, რომ გვიან ამგვარადვე მოიქცა დ. გუ-რაამიშვილი.

მეფე არჩილის კარზე მრავალი შემოქმედი იღვწოდა. მათგან ორიგინალური პოეტური მემკვიდრეობით არჩილს ვერავინ უტოლდე-
მა.

ტფილისელ (სიონში მოღვაწე) პეტრე ნექაძე მგალობელს, რომელსაც შემდეგ მოსკოვში, მეფე არჩილის კარზე ვხედავთ, დაუწერია სათაყვანებელი შემოქმედი სიუხერენის არჩილის ქება. ეს ლექსი ძრავალ ხელნაწერშია შესული⁵.

იქვე მოღვაწეობდა მამუკა (მარკოზი), რომელსაც მოკრძალებულად მოიხსენიებს არჩილი ასტრახანში დაწერილ „საქართველოს ზნეობაში“.

არჩილის გარდაცვალების შემდეგ მამუკას წვლილი შეაქვს საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განმტკიცებაში. მას უსმენენ და მოწიწებით ეპყრობიან რუსეთსა და საქართველოში. იგი დიდი პოეტური აზროვნების მოღვაწე ჩანს. ცნობილი არ არის ყველა მისი ორიგინალური თხზულება.

მხიშველოვანია ვახტანგ VI-ის მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდი.

მეფე არჩილის მიმდევარმა ვახტანგ VI-მ შემოქმედთა დიდი გუნ-
დი შემოიკრიბა საქართველოსა და რუსეთში.

მოსკოვს ცხოვრებისას ვახტანგ VI, დღესასწაულების დროს, პრესნიაზე, თავის სასახლეში, აწყობდა პოეტთა შეჯიბრს. ქართველი მეფის ყურადღება იქ არაერთმა ნიჭიერმა შემოქმედმა მიიპყრო. მე-
ცენატი ვახტანგ VI მათ ავილდობდა და ამით სამშობლოს საკეთილ-
დღეოდ მოღვაწეთა მიზანმიმართულ კოლექტივს ამრავლებდა.

მოსკოვში ვახტანგ VI-ის ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად შე-
ქმნილ ორიგინალურ ლექსებში „კაეშანი“, „სატრფიალონი“, „მაჯამა“
და სხვაში, რუსეთს ლტოლვილი ქართველი მეფის გულის ვარამი, ბედნიერების რუსული ზაფხულივით ხანმოკლეობის, უმიზნო შრომის მწარე სევდაა გამოთქმული. „კაეშანში“ სვეგამწარებულ შემოქმედს სრული პესიმიზმი როდი ეუფლება, ვახტანგ VI იმედით შეპყურებს მომავალს: „ეგებ მობრუნდეს შენთვის ცა, მორჩე ყამისა რევასა.

⁵ ლ. მ. ნ. ა. ბ. ე. კულტურულ-საგანმანათლებლო კვების ისტორიიდან, თსუ-ს შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 216.

და მზეს შეხვდეს დია ხუთ კუთხად, მოგცემსა მტერზედ ძლევასა“.

პოეტი მეფე მთელი თავისი შემოქმედებით ბრძენი დამრიგებელია. სენტენციებს, ღრმააზროვან შეგონებებს სთავაზობს იგი მკითხველს სატრფიალოსა თუ პატრიოტულ ლირიკაში.

სამშობლოს მონატრება მაღალმხატვრულ ფერებშია გადმოცემული ვახტანგ VI-ის „მაჯამაში“ „რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა“.

ასე ხელშესახებად წარმოუდგება თავისი თვალწარმტაცი სატანტო რუსეთს მყოფ მეფეს. იგი მწარედ იგონებს ნადირობას, თევზაობას, მრავალმხრივ მოღვაწეობას და მოულოდნელ შედეგს:

„ცრუმან სოფელმან სიმუხთლით, მწვე მიკვირს, ჩემთვის აგო რა“.

ცრემლმორეული პოეტი მეფე კიდევ უფრო მუქი ფერებით ხატავს მის სავალალო მდგომარეობას:

ბედი, სვე და სპა-და-ჯარი ყველა მექნა განახადად

მწარე გამოცდილების აღწერით პოეტი მეფე გაკვეთილს აძლევს მკითხველს, ხოლო თვით დარდებს იქარვებს. ის დარწმუნებული ელოდება „საზეო საქმის“ მოსვლას.

საინტერესოა მამუკა ბარათაშვილის მრავალფეროვანი შემოქმედება. სამწუხაროდ, დაბინდულია მისი ბიოგრაფია⁶.

მ. ბარათაშვილის სიტყვებიდან ირკვევა, რომ პოეტს დიდხანს უნდა ეცოცხლა:

ნუ ეძიებთ ჩემსა წელსა, ვერ მიხვდებით ანგარიშსა,
კინაზ მათვეს მეძახიან, მათუსალს ძმას და შვილსა;

მას აღრევე მოუვლია დასავლეთი ევროპა და შემდეგ რუსეთს დამკვიდრებულა:

საფრანგეთში ვიქადავე აღსრულება მე სოფლისა,
არ ირწმუნეს ჩემი სიტყვა, შიგ ჩამავდეს ფოგერის ძირსა,
თურმანიძე გვერთ მომისვეს, ისიც იყო ჩემის ხნისა,
იქიდან გამოვიპარე, რუსეთს ესცხოვრობ მე ამ ხნისა.

⁶ „ქაშნიკი“ მამუკა ბარათაშვილისა, გ. ლეონიძის გამოც. ტფილისი, 1920; ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1940; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, თბილისი, 1941; გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი. თბილისი, 1958.

მ. ბარათაშვილი ჩანს კარგად ხედავდა რუსეთის დაწინაურებას და ქართველებს მოუწოდებდა მძლავრი აღმავლობის გზაზე მდგარ ამ ქვეყანასთან თანამშრომლობის განვითარებისაკენ:

არს პეტრე დიდი, ვისა გწადს-მიდი, იხილეთ მისი ქვეყნის ვრცელობა.

პოეტი პეტრე პირველის გარშემო შემოკრებილ ქართველთა შორის იყო. გარკვეული მოსაზრებით რუსები მამუქას მათედ მოიხსენებდნენ.

მ. ბარათაშვილს თანამედროვეთა შორის ავტორიტეტი მოუპოვებია. მისი შემოქმედების გავლენა შეინიშნება⁷ ვახტანგ VI-ისა და დ. გურამიშვილის პოეზიაზე⁸. გამოჩენილმა პოეტმა დ. გურამიშვილმა მამუქას უჩრეულეს შემოქმედთა (ა.ჩილი, საბა) შორის მიუჩინა ადგილი.

მ. ბარათაშვილის მრავალმხრივ შემოქმედებაში ღრმად იგრძნობა სამშობლოს დაცვილებით გამოწვეული სევდა:

მაქვან მრავალი ტკივილი, გულყენსით აღმონთხივილი

შემოქმედის გულისტკივილის მიზეზია ცხოვრების სიმუხთლე, დაუხდობლობა.

პოეტი გოდებს მწირის ხვედრზე, იმ დიდ განსაცდელზე, რომელიც მას თავს გადახდენია:

შეგეწყალოდესთ ყოველთა, მწირი მწირობდეს რებულად
ძნელია, ვცადე, არ იცით, ვინა ხართ თავის ნებულად.

ამის მიუხედავად მ. ბარათაშვილი პესიმიზმში არ ეფლობა.

პოეტის მრავალფეროვანი შემოქმედება ფეოდალური ეპოქის იდეებითაა გაჯღენთილი. დიდად განათლებული ეს მოღვაწე ღრმად მორწმუნეა, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლებში.

მ. ბარათაშვილი პოეტის ერთ-ერთ დანიშნულებად მიიჩნევს სიუზერენის ხოტბას.

მონათაგან პატრონისა ჯამს სიტყვანი საქებელნი.

ვახტანგ VI-ს მან მიუძღვნა „იამბიკო“:

⁷ გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი, თბილისი, 1958, გვ. 185—186

⁸ „დავითიანი“ პ. უმიკაშვილის რედაქციით. ტფილისი, 1881, გვ. XXII; კ. ქეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. II თბილისი, 1952, გვ. 529;

იტყვიან — ვახტანგ მეგრძოლთა მახეთ,
არის დამძლევი ლახვართა მახეთ,
ქართლისა მპყრობად მიწათა და ხეთ.

ცნობილია ვახტანგ VI-ის მსგავსი ნათქვამი მამუკაზე.

ვრცელია მეფე ბაქარის საქებარი ლექსი. ეს შემთხვევითი როდია. პოეტმა სწრაფად შეიცნო რუსეთში მყოფი მეფე არჩილის მეგვიდ-რეობის მიღების ბაქარის მომავალი. ამიტომაც შეამკო იგი. აღსანიშნავია, რომ დასაწყისშივეა ხოტბაშესხმული ქების ობიექტი და დასახელებულია ავტორი:

მეფე ბაქარსა, სიტკბო შაქარსა, აქებს მამუკა ბარათაშვილი.

შემთხვევითი როდია ამ თხზულების თარიღად 1734 წლის მითითება. იმ დროს:

შეკრბეს ქართველნი, თვალ ცრემლით სველნი განკვირვებულან
შენსა წოლასა.

პოეტი ლტოლვილ ქართველთა გამამხნევებელი და მარადმოსაგობარი გამხდარა:

მათეს ქენება მიწყვი ხსენება, ძალთანა სწიოს მწვერვალთა მალმან.
აღნიშნული თხზულებით საბოლოოდ აღდგა ახალი ქართული
ოღა⁹.

მ. ბარათაშვილი დიდი დიდაქტიკოსია. მის პოეზიაში უხვად გვხვდება სასწავლო დამრიგებლური რჩევანი.

აღსანიშნავია, რომ პოეტმა თეორიულ ნაშრომსაც: „სწავლა ლექსის თქმისა“¹⁰, ანუ „ჭაშნიკი“ უწოდა.

ქართველ მწერალთა მაღალმხატვრული ნააზრევი ეპოქათა მოწინავე იდეებისა და თეორიული აზროვნების ნაყოფია. სამწუხაროდ, განზოგადოებული დასკვნა-შეხედულებები ლიტერატურასა და მწერლის მოვალეობაზე ცალკე სახით არ შემოგვანახვია. სიტყვაკაზმული მწერლობის ამოცანებზე მითითებები გაბნეულია შემოქმედთა სხვადასხვა ნაშრომში.

ა. ბ. ბარათაშვილი. ნაკვეთები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ., 1940, გვ. 322.

9 შლრ. გ. მიქაძე. მამუკა ბარათაშვილი, თბილისი, 1958, გვ. 29.

10 მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა. რედაქცია და გამოკლევა ა. ხინთიბიძისა. თბილისი, 1981 წ.

მ. ბარათაშვილს კარგად აქვს გათვალისწინებული ლექსის იდეურ-აღმზრდელობითი ზემოქმედება საზოგადოებაზე. პოეტმა შეიცილო, შეკრიბა და განაზოგადა ქართული მწერლობის, უმთავრესად პოეზიის, განვითარების გზა.

მ. ბარათაშვილის ეს თხზულება რ. ბარამიძემ სწორად მიიჩნია ქართული ლიტერატურისმცოდნეობის „დიდი ტრადიციის დაგვირგვინებად“¹¹.

პოეტმა შთამომავლობას დაუტოვა სასწავლო წიგნი, რომელშიც ხაზგასმულია იდეურობა, მითითებულია ძირითადი ასასახავი თემები, ლექსწყობის პრინციპები — „რადგან ლექსობისაგან ესენი და სხვა ძრავალი რამ გამოვა ამისთვის ეს სწავლა დავსწერე, რომ ლექსი ურიგოთ არავის მოუვიდეს“. — ამბობს პოეტი თავისი თხზულების შესავალში და ტრადიციის მომარჯვებით ეპოქის პოლიტიკური და სოციალური პირობების გათვალისწინებით განსაზღვრავს იდეურ მიმართულებას.

საყურადღებოა, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო თემების მ. ბარათაშვილის თეორიული მსჯელობანი ვერსიფიკაციაზე იქვე გათვალსაზრისითაა პოეტური ნიმუშებით.

ეს პოეტიკური სასწავლო წიგნი ძირითადად ასახავს მეფეების — ორჩილისა და ვახტანგის სკოლაში შემუშავებულ მწერლობის დანიშნულების პრინციპებს.

ძრავლისმეტყველია, რომ მ. ბარათაშვილის „ქაშნიკის“ შექმნა მეფის ნებითაა განსაზღვრული. განმტკიცებული აზრით მ. ბარათაშვილს ეს სასწავლო წიგნი 1731 წლის 1(12) თებერვალს დაუმთავრებია. ა. ზინთიბიძე სადავოდ მიიჩნევს ხელნაწერის ჩასწორებისა და თავფურცელზე მინაწერის მამუკასეულობას¹². შესაძლებელია დავეკვდეთ „ქაშნიკის“ აღიარებულ დათარიღებაშიც.

ეს მომენტი მიგვითითებს პოეტის ბიოგრაფიის ღრმად შესწავლის აუცილებლობაზე.

მ. ბარათაშვილის პოეზიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლტოლვილი ქართველი პოეტების შემოქმედებაში. სხვადასხვა მიზეზთა გამო სამშობლოში მ. ბარათაშვილის თხზულებათა უმეტესი ნაწილი გვიან გავრცელდა. XVIII საუკუნის I მეოთხედში საქართველოში

11 რ. ბარამიძე „ქაშნიკი“ 250 წლისა. „კრიტიკა“, № 3, 1981, გვ. 107.

12 მამუკა ბარათაშვილი. სწავლა ლექსის თქმისა. რედაქცია და გამოკვლევა ა. ზინთიბიძისა. თბილისი, 1981, გვ. 34.

მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა იყო შედარებით უკეთ ცნობილი.

მ. ბარათაშვილის ნაზრევმა ძირითადად განსაზღვრა მოსკოვში მყოფ ქართველ პოეტთა იდეურობა. მათგან განსაკუთრებით გამოჩნეულია დ. გურამიშვილის უკვედავი შემკვიდრეობა.

დ. გურამიშვილი გვიან შეუერთდა ვახტანგ VI-ის ამალას:

ექვსის წლით წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ ნაბრძანებულნი,
რა მიველ მოსკოვს, ვიხილე მეფე და ქართველთ კრებულნი¹³.

ქართლის მეფემ პატივით მიიღო ახალგაზრდა კახელი თავადი, ვახტანგ VI-ს გარს ეხვივნენ განთქმული მწიგნობრები, მწერლები.

მოსკოვს ქართველთა დასახლება კულტურის მძლავრი კენტრი იყო. დ. გურამიშვილიც მჩქეფარე სამწერლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაერთო. მეფე ვახტანგი ენერგიულად წარმართავდა ქართველ მოღვაწეთა მრავალმხრივ საქმიანობას. პრესნიაზე არსებული მისი სასახლე მოსკოვს მყოფ სხვადასხვა ერის წარმომადგენელთათვისაც განთქმულ სალონად იქცა. დღესასწაულებზე იქ დიდძალი ხალხი იყრიდა თავს.

ირკვევა, რომ ასეთ შეხვედრაზე ზოგჯერ ცხენოსანთა შეჯიბრიც იმართებოდა თვით მეფე ბაქარის, ვახუშტის და გიორგი ბატონიშვილებისა და სხვა რჩეულ მხედართა მონაწილეობით. პრესნიაზე ჩატარებულ სხვადასხვა თამაშობებზე მინიშნებულია „დავითიანშიც“.

დ. გურამიშვილი მოკლედ და მოხდენილად მოგვითხრობს ქართველი მეფის სასახლეში თეატრალიზებულ საზეიმო გართობებზე:

კარგი იყვის აღდგომასა მეფეთაგან მეჭლიშობა:
ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა¹⁴.

ერთ-ერთი თავშეყრის დროს გამართულ პოეტთა შეჯიბრზე დ. გურამიშვილს თავი უსახელებია. ჩანს, ნათელი მომავლის ამ შემოქმედს მეფე კიდევ უფრო მეტი მზარუნველობით მოპყრობია და მისთვის სასახლეში კელი („ჯაბადარბაშობა“) უბოძებია. კარზე სამსახურმა მზარდი მგოსანი მალე დააახლოვა უგანათლებულეს ქართლის მეფესთან და მის რჩეულ კრებულთან. ქართველი საზოგადოების მაღალ წრეში ყოფნა კარგი სკოლა იყო დ. გურამიშვილისათვის. მეფის მოხელეთაგან, ნაღებ მოღვაწეებისაგან განვლილი გზის შეუფარავად შეფასება

¹³ დ. გურამიშვილი. დავითიანი. თბილისი, 1955, გვ. 94.

¹⁴ იქვე.

თუ უახლოეს გეგმებზე სჯა-ბაასი იდეურად ამალლებდა დამოუკიდებლობისათვის მამაცურად მებრძოლი ქართველი ხალხის თავდადასავლის მომავალ მსატვარ-მემატინანეს.

მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად დ. გურამიშვილმა სიპართლის ტქმა არჩია:

პირფრობა, უკან ძრახვა, არა თქმული საფარსავო
სკობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიპართლით ავიბარგო¹⁵.

ისტორიის შემოქმედ მოღვაწეებთან პირადი ურთიერთობით შემენილი დიდი ცოდნის საფუძველზე გარდასულ ამბავთა სიპართლით გადმოცემის ფართო გეგმა პოეტმა შედარებით გვიან დასახა.

ჯაბდარბაშის კელის მქონე ახალგაზრდა დავითისათვის ასახახავი დიდი თემები ჭერ გამოკვეთილი არ იყო. პოეტს ელოდა მწარე გახსაცდელი...

სამშობლოს განთავისუფლების სანუკვარი ჟამის დადგომაზე დ. გურამიშვილი ქართველ მეფესთან და მის ამალასთან ერთად ოცნებობდა:

„მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით...“ წერდა პოეტი და ახალგაზრდული გატაცებით მონაწილეობდა მეჯლისებსა და შეჯიბრებებში. დ. გურამიშვილს ნადიმის დროს ვახტანგ მეფისადმი მუღმივ ლხენაში ყოფნა უსურვებია:

გეფო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, კმუნვა ვიშობა
ნუ მოგიშალოს ნადიმი მუღამ-ღღეთ სულ მეჯლისობა.

ამ პერიოდის მისი ერთ-ერთი ლექსია: „სავარგონია“, რომლის ძველი ვარიანტი შესულია მ. ბარათაშვილის „ჭანნიკის“ ერთ-ერთ ნუსხაში. ამ ძველის გადაწერაში, ჩანს, დ. გურამიშვილიც მონაწილეობდა.

მოსკოვს შექმნილი უნდა იყოს: „ანბანთქება“, „ამოცანა ზმიანი“, „ამოცანა იგავი“.

ასეთი შიხაარსის ლექსები მაშინ გავრცელებული იყო. ანბანის გალექსევის ძრავალი მიმართავდა, ხოლო გამოსაცნობი ლექსების პოპულარინახაცია არჩილის დამსახურება ჩანს. განმანათლებელი მეფე პოეტი ითვალისწინებდა ხალხისაგან ლექსისადმი „ყურის მიპყრობას“

და იდეური სწავლების, გონების „ამხედველების“ საშუალებად მარკვედ იყენებდა.

ამოსახსნელი და აფორისტული თქმის ამ ტრადიციას განაგრძობდა დ. გურამიშვილი.

პოეტის მოსკოვური პერიოდის მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია აგრეთვე: „სანადიმო სამღერალი“, „ხარებობის დღის შესხმა“, „ღვთისმშობლის მიცვალების დღის შესხმა“, „სიტყვა ესე ღვთისა“ და სხვ.

აღნიშნულ ლექსებში დ. გურამიშვილი ასახავს მოსკოვში ქართველთა ყოფას და ესწრაფვის ქართველთა იდეურ განმტკიცებას.

პუსართა პოლკის ჩამოყალიბება თანამოძმე ლტოლვილთაგან მნიშვნელოვან ტეხილს მოასწავებდა მოსკოვში არსებულ ქართველთა ახალშენის ისტორიაში.

შხედარმა, ბრძენმა პოეტმა დ. გურამიშვილმა თავგანწირულად იბრძოლა ყირიმის მისადგომებთან, შვედეთში, პრუსიაში. გამოუღვევლ სატანჯველ ლაშქრობებში მრავალი ქვეყნის მნახველმა, დიდი გამოცდილებით დატვირთულმა პატრიოტმა შემოქმედმა მაღალმხატვრულად ასახა განციდილ-ნანახი და მასთან ერთად წიგნად შეკრიბა საშინელ ქართველს გადარჩენილი ლირიკული ობოლი მარგალიტებიც.

დ. გურამიშვილმა გააღრმავა, განავითარა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა არჩილ ბაგრატიონის, მამუკა ბარათაშვილის, თანამებრძოლთა იდეები. ხალხური მოტივების გამოყენებით და სხვ; პოეტმა შექმნა ეპოქის მხატვრულად ამსახველი იდეურ-პოლიტიკური სასწავლო წიგნი — მშობლიური კულტურის ახალი სვეტი.

სამწუხაროდ „დავითიანი“ გვიან მიიღეს საქართველოში.

უცხოეთში ლტოლვილი ამ დიდი წიგნის შემოქმედი, თანამოძმეებმა, რუსთაველის შემდეგ დააყენეს.

დ. გურამიშვილის შემოქმედებაში შეიქრა რუსული, უკრაინული; პოლონური მოტივები. ჩვენს ეპოქაში პოეტის შემოქმედება მრავალმა ხალხმა გაიცნო და შეიყვარა.

XVIII საუკუნეში უკრაინაში დასახლებული და მოღვაწე პოეტი დ. გურამიშვილი მაღლიერმა უკრაინელმა საზოგადოებამ თავისად აღიარა, მას მშობლიურ კლასიკოსების გვერდით მიუჩინა ადგილი. უკრაინაში, დ. გურამიშვილის სამკვიდროზე, მირგოროდში შეიქმნა პოეტის მუზეუმი. მუდმივმოქმედი გამოფენა მოწყობილია მისივე სახელობის გემზე.

დ. გურამიშვილის თანამედროვეთა თომა ბარათაშვილი. ის ვახტანგ

VI-ის სალონის პოეტური შეჯიბრების ერთ-ერთი მონაწილეა. თომას პაექრობაში იწვევს წინასწარ გამარჯვებაში დარწმუნებული დ. გურამიშვილი:

თომაე, დავით მეო, ამ წიგნს მოგართმევო

ქვეყანაზე არცად არის იმ სილამაზეო
თუ ნახევდე, იკადრებდი მთხენას ფეხებზეო
გამოვარჩიე მე იფქლი, შენ შახვეტე ბზეო,
და ჩემს თეთრს თულუნს არვინ გაცვლის შენს შავს არაბზეო!

თ. ბარათაშვილი გიორგი ბატონიშვილის კარისმდგეი იყო. 1730 წლის 29 სექტემბერს გიორგიმ თომას თავისუფლება მიანიჭა. პოეტი მაშინ სამშობლოში გასამგზავრებლად ეშურებოდა.

შემდეგ იგი ბრუნდება მოსკოვს. მსახურობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის დიპლომატ-შიკრიკად, ქართველ ჰუსართა პოლკის ვახმისტრად¹⁶.

თ. ბარათაშვილი გიორგი ბატონიშვილთან დაუბეზლებიათ. ამის გაშო მას შეუთხზავს ლექსი „ექსორიანი“, რომელშიც აღწერილია პოეტის კრებაზე გასამართლება, მისი უნუგეშობის მოთქმა-ტირილი.

ჩანს, უცხოეთში მყოფმა პოეტმა ვერც სამსახურში მოიპოვა დაწინაურება და ცხოვრების გზებიც აერია. ამ მოვლენებმა, უეჭველია, გავლენა იქონიეს მის შემოქმედებაზე.

შთამომავლობისათვის ცნობილია თ. ბარათაშვილის სამიოდე ლექსი. პოეტი ასახავს მოსკოვში ქართველთა ყოფა-ცხოვრებას. მისი თხზულებები გაქლენთილია პესიმიზმით, რაც სამშობლოს იმდროინდელი მდგომარეობით იყო შეპირობებული.

ლტოლვილ პოეტებს შორის ცნობილია ფავლენიშვილი. სამწუხაროდ, მისი სახელი ზუსტად არ ირკვევა¹⁷.

მგოსანმა ო. ფავლენიშვილმა პოემა მიუძღვნა ვახტანგ VI-ს. „ვახტანგიანში“ აღწერილია ქართლის მეფისა და მისი ამაღლის რუსეთს ემიგრაცია, სატახტო ქალაქს — პეტერბურგს ჩასვლა და დიპლომატიური მისიით ვახტანგ VI-ის სპარსეთს გამგზავრება.


ავტორი ლექსად გარდათქვამს უშუალოდ ნანახსა და მონათხრობს.

16 სამხედრო-საისტორიო არქივი. ფონდი 10, ანაწერი 2/109, ფურც. 8.

17 ს. ყ უ ზ ბ ა ნ ვ ე შ ე ი ლ ე. ვახტანგიანი. ლიტერატურული ძიებანი. ტ. IV. 1947,

პოეტი ფავლენიშვილი თანმიმდევრულად აღწერს მოვლენებს, რაც ამ პოემას საისტორიო წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს¹⁸.

თ. ბარათაშვილს კარგად შეუთოვსივბია რუსული. იგი აკვირდება მოკავშირე სახელმწიფოს. თბზულებბაში გვხვდება უცხო ლექსიკა. პოეტი მხურვალე პატრიოტია¹⁹.



სურ. 21. ივან. ს. დედლი

¹⁸ „ეპიტაფიანის“ გამოქვეყნებულ ტექსტზე დაკვირვებით ჩანს, რომ პოემა დაუმთავრებელია ან დაკარგულ-მიუკვლეველია მისი ნაწილი.

¹⁹ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბ., 1981, გვ. 540.

მრავალმხრივი შემოქმედი ვახუშტი ბაგრატიონი შესანიშნავი პოეტიც იყო. საერო შინაარსის მისი ლექსებიდან ჩვენამდე მოღწეულია ამა თუ იმ ნათარგმნ ძეგლზე მინაწერი აკროსტიხი და სხვ. მაგ. „კლდე სარწმუნოებისაზე“ ერთ-ერთი მინაწერი იძლევა აკროსტიხს „ვახუშტიმ ესთარგმნე მეფისა ძემ“, ხოლო მეორე — „ვახუშტი დავშვერთარგმნობით, მიწოდნენ მეფის შვილობით“. ცალკე აქვს მას გალექსილი აღნიშნულ ძეგლზე დართული ანდერძიც:

ვიწყე ათას შვიდას ორმოც ექუსს, ენითა ქართულითა,
რუსისაგან გარდმოვიღე, შესავსრულე სრულ ყოფითა
ათას შვიდას ორმოცდაშვიდს, რაც ძალზედვა შესაძლითა
და მე ვახუშტიმ მეფის შვილმა, მეტად დიდის სიფრთხილითა
ნოემბრიდან ოქტომბრამდე დღე და ღამე უწყვეტლითა,
დავშვერ, ვგონებ შრომის ფასი მომეგების ამის ძლითა
ხუცურს ვიწყებ ათას შვიდას ორმოცდარვას წარსულითა
ნოემბრიდან მისამდე პელით ჩქარით, ან ნელითა
აღსრულდების ათას შვიდას ორმოცდაცხრა ჯდომილითა
და არ მეწერა ამის მეტია მცოდნეთაგან წუნვას არ ველითა.

ვახუშტის პოეზია ამშვენებს მის მარად ცოცხალ ორიგინალურ საისტორიო ნაშრომს და ნათარგმნ მხატვრულ ლიტერატურას.

მოსკოვს მყოფ ქართველ პოეტთაგან აღსანიშნავია აგრეთვე ცნობილი კალიგრაფი, მდივან-მწიგნობარი მ. კავკასიძე. მართალია, უცნობია ლექსად დაწერილი მისი ვრცელი თხზულება, მაგრამ გალექსილი ანდერძები და სხვა მოწმობს მ. კავკასიძის პოეტურ ნიჭს. თავისავე გადანუსხულ ვახტანგ VI თხზულებათა კრებულზე მ. კავკასიძეს ჩაუწერია:

ბრძანებით მეფეთ-მეფისა პატრონის ვახტანგისათა
ეს მისგან ნაბრძან-ნაკაზში ველოვან-ოსტატისათა
ბრძენ სალალობელ წოდებთ სიტყვათა ვეარადისათა,
ვწერ მელქისადგ მდივანი გვართა კავკასიისათა²¹.

განსახილველ პერიოდში უპირველესად საყურადღებოა პოეტთა სიმრავლე, რაც ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ზრდის, სამშობლოს ფართო კულტურული აღმავლობის შედეგი იყო.

საქართველოდან რუსეთს ლტოლვილ პოეტთა მრავალფეროვან შემოქმედებაში მნიშვნელოვან მომენტად იქცა საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის ასახვა. ორი ქვეყნის უპოეტიკო-ლიტერატურული ურთიერთდამოკიდებულების

²⁰ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S, ხელნაწერი 5008, ფურც. 119

²¹ იქვე.

აქტუალურ თემებს სხვადასხვა კუთხით თითქმის ყველა პოეტი ეხმაურება, მაგრამ მათგან მხატვრულად სრულყოფილ ვრცელ თხზულებას ქმნის დ. გურამიშვილი.

დასახელებულ პოეტთა თხზულებების დიდი ნაწილი მომხდარი, რეალური მოვლენების გარდათქმავა, უცხოეთში მოღვაწე ქართველ პოეტთა შემოქმედებაში ასახულია სამშობლოს ტრაგიკული წარსული, ქართველთა გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თანამოქმეთთა რუსეთს ემიგრაცია თუ უცხო ქვეყნიდან უკეთ დანახული სამშობლო, მისი ეთნოგრაფიული ყოფა, ფეოდალური აღზრდის სისტემა. იმავე თხზულებებში აღწერილია რუსეთში ქართველთა მრავალმხრივი მოღვაწეობა, ყოფა-ცხოვრება, მათთან თანამშრომლობაში მყოფ პიროვნებათა საქმიანობა, ზნე-ჩვეულებანი, რუსეთის დაწინაურება, საბრძოლო თანამეგობრობა.

ეს მრავალფეროვანი თხზულებები ეყრდნობა კლასიკური ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს. თითოეული შემოქმედის თხზულება ასახავს იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზრს, შეიცავს მოხდენილად ნათქვამ შეგონებებს, დარიგებებს. ამასთან, უცხოეთში მოღვაწე ქართველთა შემოქმედებაში შეინიშნება პენსიოზში, სამშობლოს უბედობასა თუ მწირობაზე ჩივილი, მაგრამ თითოეული მწერლის მთელი შემოქმედება მომავლის რწმენით, ბრძოლის სულისკვეთებითაა გაჟღერებული.

ღრმა კულტურული თანამშრომლობის შედეგად ორიგინალურ ქართულ პოეზიაში გაიჟონა რუსეთში ცნობილი ზოგიერთი დიდაქტიკური მოსაზრება, იქვე ვხვდებით რუსულ-უკრაინული სიტყვიერების, კერძოდ მუსიკალური ფოლკლორის, ნიმუშებს, უცხოურ ლექსიკას და სხვ.



განხილულ პოეტთა მოსკოვეური პერიოდის შემოქმედებაში ცალკე აღსანიშნავია ლექსად გარდათქმული ადრინდელი თუ იმ დროს ნათარგმნი ძეგლები.

რუსეთს გამგზავრებულმა მეფე არჩილმა ასტრახანში ყოფნის დროს (1682—1685 წწ.) გალექსა „ვისრამიანი“, შემდეგ იგი კვლავ დაბრუნებია ამ რომანს, რადგან პირველი „ნუსხა დაიფარა სადმე და მეორედ რომ თქმადვე იწყო, მაშინ გამოჩნდა“. პოეტი ცდილა ძველი და ახა-

ლი გალექსილის შეერთებას, შემდეგ მას ამ ძეგლის თავისი ორივე რედაქცია გადაუწერიანებია, რაც მნიშვნელოვანი წყაროა არჩილის პოეტური აზროვნების შესაცნობად.

რანდების მოწონებულ ამ სამიჯნურო რომანს ქვეყნის დაქვეითების ხანაში ებრძოდნენ, რომანით გატაცებულ საზოგადოებას მიმართავდნენ: არ ჩაეხედათ „ვისრამიანში“. პოპულარული „ვისრამიანით“ განმანათლებელი მეფე პოეტის დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა. „მეფობის წილ შორიელს ქვეყნად ღარიბად წასული“ არჩილი ღმერთს შესთხოვდა უკუღმართად თქმული ამ ძეგლის წაღმართად გალექსვის უფლებას. ასე დამუშავებული თხზულების უმთავრესი მიზანია „სიყვარულის გამფლიდებელთადმი“ დახმარება, ხალხში საღეთო სიყვარულის გაღვიძება.

პოეტი ესწრაფვის დიდ ზღვაში მოინადიროს „უცებთაგან მიუხლომარი“ მარგალიტები და საამოდ მიართვას მოყვასთ.

ეს დიდმნიშვნელოვანი მიზანი მეფე პოეტმა სრულად ვერ განახორციელა, გარდათქმული ძეგლის სიბრძნეს ვერაფერ დაძრაზავდა, არც ლექსი გამოსვლია მას „უგვარო“, მაგრამ თხზულება ვერ დაასრულა. პოეტს პროზაული ტექსტი გაუღლქსავს კეთილსინდისიერად, „სშირად დედნის სიტყვებისა და ნიუანსების დაცვით... თუმცა ამავე დროს მრავალი უმნიშვნელო წვრილმანი მართლაც გამოუტოვებია და საკმაო თავისებურება გამოუჩენია“²².

განმანათლებლობისადმი მისწრაფებამ განსაზღვრა ვახტანგ VI-ის მისწრაფება გაელექსა ბრძენთა ნააზრევი, რომელსაც მან „სიბრძნე მაღალობელი“ უწოდა.

ამ თხზულების რუსეთში შექმნაზე თვით მეფე პოეტი მიგვითითებს: „ქირმანს ქილილა-დამანა, მოსკოვს ვარ ამის მთქმელია“ — ამბობს ვახტანგ VI „სიბრძნე მაღალობელის“ დასასრულს და მოკრძალებულად მოგვითხრობს მის შექმნაზე:

მე გავაწყე ბრძენთა სიტყვა არ თუ მათი საფერისად,
სევდა თავსა მოვაშორე, ნღობა მქონდა რაცა ვისად.

სამშობლოს მოჭირნახულე პოეტი თავის შემონაქმედს არმალანად უძღვნიდა ახალგაზრდობას. მას ამოძრავებდა ყმაწვილებისაგან სიბრძნის ადვილად შეთვისების მიზანი, რისთვისაც მოკლედ და მარტივად გალექსა ძნელად სათქმელი ბრძენთა გამონათქვამები.

²² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1981, გვ. 407.

სხვათა ნააზრევის გარდათქმა ვახტანგ VI-ს სამართლიანად არ მი-
აჩნდა დიდად მოსაწონ პოეზიად. ამის თქმას პოეტი მეფე არ თაკი-
ლობდა და ითხოვდა აკინძულ სიბრძნის დაუნაწევრებლად მოხმარე-
ბასა და დაუძრახველობას:

ლექსი მას უქეთ, ვინც იყო ამბისაც თვითვე მოქმელები,
მე ბრძენთა სიტყვა გავლექსე სათქმელად გასაძნელები,
ვეცადე, იყოს სიმოკლით სხვისა სხვად საგებელები,
და უქეთ არ მოჰხადა, ძრახვისა ნურვინ ხართ შემომზღელები.

როგორც აქედან ჩანს, მოსკოვში ცხოვრებისას ვახტანგ VI-ის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ევროპელ მეცნიერ-
თა შემკვიდრების²³ დამუშავებამ. განვითარების გზაზე, ევროპული
აზროვნებისათვის, დაბრუნება იყო საქართველო-რუსეთის ურთიერ-
ობის ერთ-ერთი მიზანი და შედეგი.

ვახტანგ VI-ს მოსკოვშივე გაულექსავეს „ამირ-ნასარიანი“.

„ამირ-ნასარიანი“ სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნი ამბად
მეფის ვახტანგის მიერ და ბოლოს მოსკოვს მის მეფისგანვე გალე-
ქსილი“ — ვკითხულობთ ლექსების კრებულის ერთ-ერთ ნუსხაში.

დასახელებული აღმოსავლური თხზულება ქართველი პოეტი მე-
ფის წყაროა. ჩანს, იგი პირდაპირ არ მიჰყვება ნაწარმოების ქარგას
და ორიგინალურ თხზულებას ქმნის. საამისოდ ვახტანგ VI-ს ამო-
ძრავებდა კეთილშობილური სურვილი:

მინდა რომ იყვნეთ მოყვასნი ურთიერთ უგმობელადო,
შემზადე რამე საზრდელი, არ სულა უგმობელადო.

ხანგრძლივი მოღვაწეობის გამოცდილებას, ნანახიდან გამოტა-
ნილ დასკვნებს გალექსილ ბრძნულ რჩევა-დარიგებებად აყალიბებს
პოეტი, აღწერს ხელმწიფისადმი ქვეშევრდომთა იდეალურ დამოკი-
დებულებას, ლექსად გადმოსცემს მოხელეთა (მდივანთა, ვეზირთა, სპა-
სალართა) და სხვათა რიგს, აღამიანთა მრავალგვარი ურთიერთდამო-
კიდებულების წესს.

ყმაწვილობის ასაკიდან აღმოსავლურ ლიტერატურასა და სიბრ-
ძნეს ზარბაღ დაწაფებულმა ვახტანგ VI-მ მოსკოვში ყოფნისას, რო-
გორც ამას გალექსილი „ამირ-ნასარიანი“ მოწმობს, სხვა კუთხით შე-
ხედა აღმოსავლური თხზულებების ქართველი საზოგადოებისაგან გა-

²³ მეფე პოეტის ლექსების კრებული. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, ვახტანგ
VI-ს ლათინური ენიდან მონათხრობის საფუძველზე შეუქმნია „ყველის ქება“.

მოყენებას და შექმნა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დიდაქტიკური თხზულება. განმანათლებელი პოეტი მეფის შემოქმედების კულტურული ურთიერთობის კუთხით განხილვამ საინტერესო ფაქტები გამოავლინა.

§ 2. სასულიერო მწერლობა

ქართველ მოახალშენეთა შორის თითქმის ყველა რანგის საეკლესიო პირები იყვნენ. ისინი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ქართველი სამღვდელოება წარმართავედა მოახალშენეთა იდეურ ცხოვრებას და წვლილი შექმონდა ქართულ-რუსული საეკლესიო ურთიერთობის განვითარებაში.

დიდი დამსახურება მიუძღვით მათ მრავალმხრივი კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში. ქართველი საეკლესიო მოღვაწეები ძირითადად რუსული ენიდან თარგმნიდნენ სხვადასხვა შინაარსის თხზულებებს, ქართულ სამღვდელთმსახურო წიგნებს უდარებდნენ რუსულს, მონაწილეობდნენ ქართული წიგნების გამოცემაში. ეკლესიის მსახურნი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართველთა იდეური ამაღლების საქმეში.

სხვადასხვა მიზეზის გამო, სასულიერო შინაარსის ორიგინალური თხზულებები ქართულ ენაზე რუსეთში ცოტაა შექმნილი, რადგან, როგორც ნიკოლოზ ორბელიანი ამბობს: „მოგება ნაწერისა დიდისა ძძიძე არს და საიშეიათო მომგებელთათვის“.

ისეთი მრავალმხატვრული თხზულება, როგორცაა „დაბადება“, მრავალს აღუძრავდა პოეზიისაკენ სწრაფვას.

„დაბადების“ გალექსვის დაწყების ცდად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულად თარგმნილ რომან „ალექსანდრიანზე“ დართული გ. ჩხეიძის 17 სტროფიანი ლექსი²⁴.

მეფე არჩილის კარის მოხელე გაბრიელ გიორგის ძე ჩხეიძე ადრე ცნობილი იყო, როგორც მთარგმნელი. ზემოთ დასახელებული ლექსით ის პოეტადაც წარმოჩნდა.

გ. ჩხეიძეს „დაბადების“ შესავალი (ადამიანის, ცისა და ქვეყნის გაჩენა) შეუთხზავს თექვსმეტმარცვლოვანი ლექსით. პოეტი მოგვი-

²⁴ „ალექსანდრიანის“ აღნიშნულ წიგნს მივაკვლიეთ იოანე ბატონიშვილის ფონდში (ხელნაწერი № 30) იხ. ფ რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. „საისტორიო კრებული“ ტ. II. თბ., 1971, გვ. 88.

თხრობს ბნელ სამყაროს განმანათლებელ ღმერთზე, გადმოსცემს ადამიანთა მოდგმის გაჩენის ლეგენდას, მსხვერპლთშეწირვის დაწესებას, კაინისაგან ძმის მოკვლას:

ღმერთმან ბნელი გაანათლა და უწოდა მას დღეობით,
კერძო ღამედ დაუტევა, ესე მან ჰყო ველოვნებით,
მათ დაუდვა შუა მზღვარი ჟამიერის აღსწორებით
დღეს მნათობი გაუკეთა, მიუჩინა მას მზეობით.

აღზილა თინა, კაცად ჰყო, სული ჩაუდგა ცხოველი;
ძისის გვერდითგან მეუღლედ შეუქმნა ცოდვის მშოველი,

ადამ აუფლა ქვეყანას, სამოთხეში დაიყენა,
ევა შეუქმნა მეუღლედ, იმას შემწედ მოუყენა

აქეთუნა ევა ეშმაკმან, თვით უფსკრულად დაიკარგა,
ფეცხლს მიეცა სიტანჯველად და ტარტაროსს დაიბარგა

მათ უბრძანა მსხვერპლთ შეწირვა დასაწველად რჯულიერად,
აღვილსა მას, სადაც ამცნო, მუნ მიყვანა გონიერად,
ცოდვითათვის შესანდობლად და მიტევენად სულიერად,
დაუტევა მცნება მღთისა, კაინ იქმნა ბელოერად.

გ. ჩხეიძე მორიდებით („თუ ჩემგანე ეკადრებისა“) გამოთქვამს ლუთისადმი სამღუერავს, მაგრამ სულის მწუხარების გასაქარვებლად მოუწოდებს ვედრება-ლოცვის აღსრულებას.

რა გვერების, სულს ვითქვამდეთ, ვიძახოდეთ, „ჟამე, ვამეს“
რა ვებვეწოთ ღმერთსა ჩვენსა და ვილოცოთ დღე და ღამე,
ვედრებით და მუხლმოდრეკით ცრემლთა დენით გულმხურვალე
თუ ეს შრომა არ მივიღოთ, მუნ შევიქმნათ სულმწუხარე.

აგტორი დამრიგებელია, მოგვიწოდებს კეთილი მოქმედებისაკენ:

ამის სწორად ნათქვამია ქველის საქმის მოქმედება,
აღშენება საყდარისა, შემწირველთან შეწყნარება,
გლახაკთა და ჰირვეულთა სიყვარულით შეწყალება,
ვინცა ეს ყოს, მას მიეცეს მიუღებლად მუნ დიდება.

ამის მიუხედავად, მოსალოდნელი ტანჯვის შიშით ლექსის ბოლო სტროფებს გასდევს პესიმიზმი.

გ. ჩხეიძეს „დაბადების“ დასაწყისი მოხუცებულობისას გაუღექსავს. ჩანს, სიბერეს დაღი დაუსევამს შემოქმედის ნიჰსა და იდეურობაზე.

ცნობილი მწერალი და საეკლესიო მოღვაწეა მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელიანი⁵².

ნ. ორბელიანი ქართველ წმინდანთა მეხოტბეა. საინტერესოა ქართველ წმინდანებზე შეთხზული მისი იამბიკოები.

ერთ-ერთი შვიდსტროფიანი იამბიკო დარიგებაა:

ბრძნად ბრძენი უბრძნეს ერთობ ძმანი დანებით
ბრძენი სიგრძეს ზომად, უძრავად განიბანებით²⁶...

ამ საეკლესიო მოღვაწეს შეუთხზავს იამბიკოები მხოლოდ ცხრა თვეში მოხსენებულ წმინდანებზე და მოუწოდებდა სხვებს შეესრულებინათ იამბიკოები მთელი წლის წმიდათა სახელებზე.

ასტრახანს მყოფმა თანამებრძოლმა პოეტმა პეტერბურგს წასულ ვახტანგ VI-ს გაუგზავნა ეპისტოლე — ლექსი²⁷.

ნ. ორბელიანს ეკუთვნის თხზულება: „შუდთა მათ მომაკვდინებელთა ცოდვა და შუდთა მადლთათჳს“²⁸.

1730 წელს მოსკოვს მისგანვე გადანუსხულ ამ თხზულების ანდეძში ნათქვამია: „ესენი არიან შუდნი იგი ცოდვანი, მომაკვდინებელნი სულთანი და მათ ცოდვათა დამარღვეველნი, მადლნი და მოტევებისა და კურნებისა წამალნი... და ამათ ყოველთა ცოდვათა და მადლთა სახელნი ყოველთათჳს საცნაურად გამოთარგმანებით მათთანჳს ქვე თანა ხვთასა შემდგომად აღვწერე“²⁹.

²⁵ ნ. ორბელიანმა ადრე გამოიჩინა თავი მწიგნობრობით, საეკლესიო მოღვაწეობით, ჩანს, ვახტანგ VI და დომენტი კათალიკოსის დავალებით, ის რედაქტორობდა თბილისის პირველ სტამბაში დასაბეჭდ წიგნებს. 1715 წ. ნ. ორბელიანმა მრთველობა მიიღო. 1717 წელს მან ურბნელობაც შეიერთა. 1724 წელს ის ვახტანგ VI გაჰყვა ემიგრაციაში. მოსკოვს, ნ. ორბელიანი მთავარეპისკოპოსი გახდა. პაველე ტფილისის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ VI-მ მას ტფილეთა უბოძა, მაგრამ ფაქტობრივად ის ორივე ამ მაღალ საეკლესიო თანამდებობას ვერ ასრულებდა. ამას თვით ეს მოღვაწეც არ ფარავს: „გვედრები ყოველთა... მრთველი ეპისკოპოსი და აწ ტფილელ მიტროპოლიტად სახელდებული და ორისავე დიდად შორს მყოფი ნიკოლოზ ორბელისშვილი“. სტამბის ამაღარი მოღვაწე მოსკოვში სტამბის იდღგენისათვის იღვწოდა და გამოსაცემად ამზადებდა სხვადასხვა ხელნაწერს.

²⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A, ხელნაწერი 342, ფურც. 49.

²⁷ ს. ყუბანეიშვილი. ს. ს. ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში, ლიტერატურული ძიებანი, XI, თბ., 1958, გვ. 72—73.

²⁸ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1980, გვ. 348.

²⁹ საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის ხელნაწერი № 264—268, ფურც. 25.

ნ. ორბელიანმა მრავალი სამღვდელმსახურო და სხვა დანიშნულების წიგნი განაახლა. იგი ზრუნავდა მართლმორწმუნეობისათვის; რომ ყველას სცოდნოდა წელთა, დღესასწაულთა გამოანგარიშება „დასაბამითგან წელთა რიცხუნი და ხარება შვიდეულისა, დიდისა მცხრალის ზედნადებთა დღის საძიებელთა, მზის მოქცევათა, მთოვარის მოქცევათა, ხუთეულთა, ექვსეულთა, თუ სადაჟთ მოვალს“.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნ. ორბელიანი თავისი სწავლის ადვილად შესათვისებლად მკითხველს სთავაზობს ხერხს: „... საუწყებელსა შინა არა ჯერ არს სათუალავისა ანბანითა წერა, მკითხველისათვის სადრტვინავად შეიქმნების და ამას ქრონიკონსაცა სრულებითა დასწერდით ხუთას ოცდა ათორმეტ წელიწადთა, თუვარა ამ ჩემგან თქმულებისა ძალსა ველარას შეირგებთ“³⁰.

სასულიერო შინაარსის თხზულებებით გამოირჩევა მოსკოვში მოღვაწე მიტროპოლიტი რომანოზ ერისთავი³¹.

30 სსცსა, ხელნაწერი № 264—268, ფურც. 197.

31 რ. ერისთავი დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლიდან არის გამოსული. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე დიპლომატიურ საქმიანობაში ადრევე ჩაერთო. 1722 წლის 9 ივლისს, იგი ქართლის მეფის დავალებით ჩადის მოსკოვს. რ. ერისთავი ენერგიულად იღვწოდა საქართველო-რუსეთის სამხედრო პოლიტიკურ კავშირის გამტკიცებისათვის. ვახტანგ VI-ის ამალის რუსეთს გადასვლის შემდეგ, მიტროპოლიტი რომანოზი პრესნიაზე დაქვედრდა. ღვთისმსახურებასთან ერთად იგი მრავალმხრივ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა. 1730 წ. 6 აპრილს ის სამშობლოში გამოემგზავრა. მოსკოვს დაბრუნდა 1732 წ. 22 მარტს; (რსპა. ფონდი 110. 1738 წ., საქმე 5 ფ. 11—12). მას წელიწადი შეჰქონდა საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებაში. ქართლის მთავარეპისკოპოსი რომანოზი მუდამ ზრუნავდა ქართული კულტურის განთქმული კერის — დავით გარეჯის საქონებლის გასამდიდრებლად, მასში სამღვდელმსახურო — სამწერლო მოღვაწეობის გასაფართოებლად. ქართლის მეფის მოყვარე ეს მიტროპოლიტი ენერგიულად იღვწოდა ვახტანგ VI-ის, მეფე ბაქარის დავალებათა შესასრულებლად, მათი მიზნობით XVIII სსს 20—40-იან წლებში რამდენჯერმე იმგზავრა სამშობლოში. უკანასკნელად სამშობლოდან რუსეთს წასული მოღვაწე ეოლგისპირეთს მიღწეულბ გზაში გარდაიცვალა და ასტრახანის მიძინების ტაძარში დაკრძალეს.

როგორც ირკვევა, მხურვალე მამულიწვილმა აღმზრდელ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში (წმიდა ნიკოლოზის საყდარში) ადრევე გაიჩინა განსასვენებელი და წარწერაც გამზადებულ აკლდამაზე დიდხანს შემორჩა. გვიანდელი ცნობით ეს საყდარი მიჩნეულია რომანოზ ერისთავის დაკრძალვის ადგილად: „რომანოზ ქართველი მიტროპოლიტი ასაფლავია დავით გარეჯის უდაბნოსა შინა წმიდა ნიკოლოზის ეკლესიასა შინა, სადაც ეხადათ იხილებდნ მისი საფლავის ქვა“. — ვკითხულობთ „წინწილი დღაღებისას“ ერთ-ერთ გვიანდელ მხედრულ მინაწერში (ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A, ხელნაწ. № 150, ფურც. 02v). თითქოს მისი ნეშტი ასტრახანიდან დავით გარეჯის მონასტერში

მთავარეპისკოპოსის რომანოზის „შესხმა სულ მცირედ მოსახსენებელი“ დასასრულს ერთვის ქართულად თარგმნილ „ქრონოგრაფის“ ერთ-ერთ ნუსხას³². ეს ხელნაწერი წიგნი მან საქართველოში ჩამოიტანა და „ღირს მამას ეფრემს“ უბოძა³³.

დავით გარეჯში აღწრილი მოღვაწე რუსეთში ამუშავებს ქართული კულტურის ამ დიდი კერის დამაარსებლის, „ცხოვრებას“. ჩანს, იგი უმატებს არსებულ მეტაფრას, — თხზულების ზოგიერთ დეტალს, რაზედაც მითითებულია მის მიერ შედგენილი ნუსხის ანდერძში: რომლისა საფლავი არა დამართებით კარსა სამეუფოსა საფლავსავე თანა წმიდისა დავითისსა საკურნებლად სარწმუნოებით მთხოველთა; რომელსა შუწნის დიდება. ეს სიტყვა მწერალს ზემო ჩაურთევი“.

მიტროპოლიტი რომანოზი განუშორებლად ატარებდა ქართული კულტურის დიდი კერის დამაარსებლის დავით გარეჯელის ცხოვრებამოღვაწეობის ამსახველ თხზულებას, რომელიც ზეპირადაც სტოდნი³⁴.

ეს მაღალი რანგის საეკლესიო მოღვაწე ქართველთა იდეურობის განმტკიცებისათვის თანამიმდევარი მებრძოლი იყო. რომანოზი გვერდით ედგა მოსკოველ ქართველთა წარმმართველს მეფე ბაქარს დიდი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. შემთხვევითი როლია, რომ მიტროპოლიტმა რომანოზმა 1745 წელს საეკლესიო დებულების შესასწავლად, ქართველთა ინტერესის გასაღვიძებლად მოკლე დროში შექმნა მოზრდილი კომპილაციური კრებული „წინწილი დაღადებისა“³⁵. მასში მოთავსებულ თხზულებათა დანიშნულებანე მწერალი მოგვითხრობს ანდერძში³⁶: „... ესე წიგნი შევკანმე და მოვმართე,

გადმოუსვენებიათ. ამის გარკვევა სპირო იყო ასტრახანის კრემლში მიძინების ტაძრის გათხრისას. სამწუხაროდ, ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის საფლავების გახსნის შემდეგ ექსპედიციის წევრები ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ვინაობის დასადგენად დიდად არ გარჯილან, თუმცა მათი საფლავებიც გათხარეს და ნეშტთა ადგილსამყოფელიც შეცვალეს.

³² ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი H, ხელნაწერი 868.

³³ ფ. რ. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე. რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს-ის დამდეგი) კრებ. „მეგობრობა“, თბ., 1983, გვ. 69—70.

³⁴ სსსც. ხელნაწერი № 252, ფურც. 23.

³⁵ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ძეგლის მნიშვნელობა ასეა შეფასებული: „თხზულება მიმართულია თავისუფალი აზროვნების წინააღმდეგ, რომელმაც ფესვები გაიდგა ქართველთა მოწინავე წრეებში მეთვრამეტე საუკუნეში საერთოდ კულტურულ გამოღვიძებასთან დაკავშირებით“ კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, გვ. 349.

³⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A, ხელნაწერი № 150, ფურც. 22—23.

ვითარცა ორღანო მრავალკმიანი, გინა წინწილი ტკბილსასმენელი: ანუ სხვანი იგი საგალობელთა ღაღადებისა საგალობელნი სტურთა და ებანთა, ქნართა სახეობანი, ანუ მფრინველთა ტკბილად კმოსანთაებრ ყვაევილოვანთა და ჩრდილ-ფურცლოვანთა სტუნვანი და ანგელოზთა გალობისაებრ ტკბილსასმელნი, გინა ნიავენი სულ ამოდ მომბერველნი, გინა საყურნი: მძინარეთა განმალძებელნი... ანუ ქუხილნი და ელვანი და ტეხანი მეხთანი მათოჲს, რომელთა მტკიცედ არა უპყრიეს სიტყვანი ქრისტესნი და მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა, მღუღელთ-მოდღვართა და მამათა და მოწამეთანი... და ეწოდების წიგნსა ამას ღაღადებისა... ოთხთავე სახარებისა თავთაგან და წმიდათა თორმეტთა მოციქულთა და მახარებელთაგან, რომელი მოსცეს სოფელსა წმიდისა სამოციქულოსაგან წიგნისა სრულიად და ფსალმუნთაგან დავეითისა სრულიად, და საწინასწარმეტყველოთაგან სრულიად თავითგან ბოლომდე, არა-თუ უნაკულად... ამოკრებით ამოვკრიბე, საჭიროთა და საბაასოთა და მაცილებელთა პირის დასაყოფელად მცირედ-მცირედ, მოკლედ და სულ მცირედ სარწმუნებელი და გონებისა კაცთასა განმალძებელი, და განსაფრთხოებელი...“³⁷.

ავტორს ანდერძად დაუღია, რომ თავისი ნაშრომი³⁸ მისი „სიკუდილს უკან წმიდის დავეითის საფლავზედ“ შეეწირათ. 1756 წელს მწერლის ეს თხოვნა შეუსრულებიათ.

მიტროპოლიტ რომანოზ ერისთავის შემოქმედება ვახტანგ VI-ის იდეებითაა გამსჭვალული. მწერალი იბრძვის სამშობლოს კულტურული აღორძინებისათვის, თანამოძმეთა იდეური განმტკიცებისათვის.

ორიგინალური სასულიერო პოეზიის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ დ. გურამიშვილის იამბიკოები: ლ ო ც ვ ა, ს ა მ ე ბ ი ს ვ ე დ რ ე ბ ა. აგრეთვე ლექსები: „ვე დ რ ე ბ ა ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს აჲ, „ხ ა რ ე ბ ო ბ ი ს დ ღ ი ს უ ე ს ხ მ ა“, „ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს დ ღ ი ს უ ე ს ხ მ ა“.

მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის წვლილი „დაბადების“ ლექსად გარდათქმაში.

³⁷ შემდეგ მწერალი კიდევ უფრო განმარტავს კრებულის შექმნის მიზანს და მიუთითებს: „... მაცილობელთა პირის დასაფარავად... აღენუსხე ესრეთ ძველისა და ახლის წიგნების მოწმობა და სწავლა რომელთაჲმ საჭიროთა საქმეთა და ცილობა-აჲჲს, რომელი იქმნების მორწმუნეთა და ურწმუნეთა შორის“.

³⁸ წიგნში საღვთისმსახურო ძეგლებიდან შერჩეული თხზულებანი ასეა განლაგებული I. საქმე მოციქულთა (გვ. 3—31) 2. დაწყება სამოციქულოსი (გვ. 35—306) 3. აჲ დაწყება წმიდისა სახარებისა (გვ. 306—638) 4. ფსალმუნი დავეითისი (გვ. 639—800) 5. საწინასწარმეტყველო ესაიასი (გვ. 801—1051).

ჩანს, XVIII ს-ის 50-იან წლებში მოსკოვში მცხოვრებმა ვახუშტიმ წამოიწყო მთლიანი „დაბადების“ გალექსვა. სახელოვან მწერალს ამ დიდი ძეგლის თუმცა პატარა ნაწილის გარდათქმალა მოუხერხებია³⁹, მაგრამ აქედანაც ნათლად ჩანს ვახუშტის მიზნის, მსოფლმხედველობისა თუ იმდროინდელ ლიტერატურულ პროცესებში მისი ღრმად შეჭრა. ამასთან, ეს მომენტი კიდევ უფრო და ნათლად ავლენს ამ გენიალური მეცნიერის მრავალმხრივ ნიჭს.

„დაბადების“ გალექსვის წამოწყება საინტერესო ლიტერატურული ფაქტია. ძნელი იქნებოდა ლექსად გარდათქმული მთლიანი „დაბადების“ მნიშვნელობის სრულად გათვალისწინება. ქართველმა მწერლებმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლეს ამ დიდი ძეგლის სრულად გარდათქმა. ამ მხრივ მხატვრულობითა და მოცულობით ყველაზე მეტი, უეჭველია, დ. გურამიშვილმა გააკეთა.

სახელოვანი პოეტის ინტერესი „დაბადებისადმი“ უდაოდ ამ ძეგლის პირველმა გამოცემამ კიდევ უფრო გააღვივა. თუ ქრისტეფორე გურამიშვილმა „დაბადების“ დაბეჭდვაში შეიტანა თვალსაჩინო წვლილი, დავით გურამიშვილმა მოინდომა ქართული კულტურის ამ ერთ-ერთი სვეტის მთლიანად გალექსვა⁴⁰. რამდენიმე ბიბლიური სიუჟეტის დავით გურამიშვილისეული მაღალმხატვრული პოეტური ნიმუშები დამკვიდრდა კლასიკური ქართული მწერლობის საგანძურში:

აქვე დავძენთ, რომ ჩვენამდე მოღწეული „დაბადების“ გალექსნილი ნაწილებიც ნათლად მოწმობს, თუ როგორ გავითავისეთ ეს თარგმნილი ძეგლი.

³⁹ მოღწეული ვახუშტისეული გალექსილი „დაბადება“ მოცულობით 16 ფურცლიანი ხელნაწერია. ლექსად გადმოცემულია ქართული კულტურის ამ სვეტის მხოლოდ პირველი წიგნი.

⁴⁰ ფრ. სიხარულიძე. ბაქარის ნაპირნახულები. — საბჭოთა ხელოვნება, 1980, № 8, გვ. 93.

ნათარგმნი ლიტერატურა

§ I. საპრისტინაო-თეოლოგიური ლიტერატურა

მთარგმნელობითი პროცესის განვითარება განპირობებულია ეპოქალური მოთხოვნებით. ამა თუ იმ უცხოური თხზულების მშობლიურ ენაზე გადმოღებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ინტერესი, მთარგმნელის უშუალო მიზანი.

ქართულ-რუსული საეკლესიო ურთიერთობის გაღრმავების საფუძველს ერთმორწმუნეობა ქმნიდა. იდეური ერთობა ხელს უწყობდა ლიტერატურული თანამშრომლობის ფართოდ გაშლას.

სლავური (რუსული) ენიდან ძეგლების გადმოღებას XVII ს-ის 80-იან წლებში ხელი მოჰკიდა მოსკოვში მცხოვრებ ქართველ კულტურულ მოღვაწეთა ჯგუფმა. მათ მიზნად დაისახეს უპირველესად რუსულ ეკლესიაში შიღებული წიგნების გადმოთარგმნა.

რუსული კანონიკური წიგნებისადმი ქართველთა ინტერესი მრავალმხრივი იყო. ქართველთა იდეურობის განმტკიცებისა და ქართული ეკლესიის აღმავლობის ამოცანები განპირობებდა მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს იმდროინდელი მეთაური ქვეყნის სამღვდელთმსახურო ლიტერატურის ქართულად გადმოღებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც იმ დროს ითარგმნა ქართულად, არის სვინაქსარული კრებული — „პროლოგი“¹.

¹ ქართულ მწერლობაში სვინაქსარს დიდი ტრადიცია აქვს. იხ. К. Кекелидзе. Литургические памятники в Отечественных книгохранилищах и их научное значение. Тб., 1908, с. 228—272. ამ ლიტურგიკული ძეგლის რაობა განსაზღვრა ქართული ეკლესიის ჩამოყალიბებასთან ერთად. XI საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში განმარტებულია სვინაქსარის ადგილი და რაობა: „სვნაქსარი, რომელ არიან კრებანი და წესნი და განგებანი დაწესებულნი წმიდათა მღვდელთმოდგართა მიერ, რომელსა შინა წერილ არს ეკლესიისა საწელიწდო განგებაჲ ფსალმუნისათვის და გალობის და წიგნის კითხვისა და რომელსა დღესა

ძეგლში ყოველ დღისათვის შეტანილია მრავალფეროვანი მოკლე და მარტივი დიდაქტიკური შინაარსის მოთხრობები სიკეთესა თუ ბოროტებაზე. თხზულებები მიძღვნილი სხვადასხვა პერიოდის ქრისტიან მოღვაწეებისადმი.

ეს წიგნი საკმაოდ პოპულარული იყო. ამიტომაც იგი XVII საუკუნეში, რუსეთში, რამდენჯერმე გამოცემეს.

XVII ს-ის 80-იან წლებში მოსკოვს მცხოვრები ქართველი მოღვაწენი დაინტერესებულან ამ სასწავლო წიგნის ქართულ ენაზე გადმოთარგმნით. მთარგმნელის მიზანი; ძეგლის შედგენილობასა და მნიშვნელობაზე მისი შეხედულება გადმოცემულია ანდერძში: „ეპოვე წიგნი ესე სვანქსარსა შინა რუსულსა, ათორმეტთა თუშთა თუთოეულსა დღისა საკითხავნი და სწავლანი მრავალთა სათნობათა და ბოროტმოქმედებათა. მეფეთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა, პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, მონაზონთა და ერისკაცთა, მამათა და დედათა, თუთოეულთა დღეთა თუთო-ორორი და სამ-სამიცა საკითხავნი. ეგრეთვე ყოველთა საუფლოთა დღესასწაულთა, რომელნი რიგსა თვეთასა შემოვლენ წინადღესასწაულებისა და თვით დღესასწაულისა მოკლედ ნათქვამნი. მეტაფრასებრივ საკითხავნი, ახლად შეკრებილნი მრავალთაგან წიგნთა კურთხეულისა და სანატრელისა დიდისა ბატონისა მეფის და მთავრისა დიდისა მიხაილ ფილარეტის შვილისა მიერ ყოვლისა რუსეთისა თვითმპყრობელისა სულიერისა ვისმე ბერისა მიმართ თანაგანზრახვითა უსიბძნისმოყარებიეს და შეუკრიბიენ...“².

მთარგმნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკითხავებში აღწერილ ბოროტებაზე სიკეთის მრავალგზის გამარჯვებას, რაც ქართველ მოღვაწეს, ნათელი მომავლის რწმენას განუმტკიცებდა. ასეთი „სულის მარგებელ“ მოთხრობათა შემცველი ძეგლისათვის ქართველ მთარგმნელს სამართლიანად „წიგნი სასურველი“ უწოდებია: „ხოლო რაოდენი სხვა და სხვანი სწავლანი სულთა და ხორცთა სარგებელნი წიგნსა ამას შინა სწერია, ამანვე წიგნმან, ჩვენ მიერ „სასურველ“ წოდებულმან, გაუწყნესთ მკითხველთა და გულისხმისმყოფელთა“.

მოვიცდით, ანუ თუ რომელთა წმიდათა ხსენებათა და კუალად წერილ არიან ცხოვრებანი და წამებანი დღითი დღეთა წმიდათანი სულ მცირედ და შემოკლებულად, რაათა არა სიმრავლე წერილისა იქმნას“. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A, ხელნაწერი 193. ფურც. IIIრ.

² ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი A, ხელნაწერი 112, ფურც. 382რ-v. იხ. ფონდი H, ხელნაწერი 2176, ფურც. 137.

მართლმორწმუნე მთარგმნელი ქვეყნისა და მასზე მცხოვრებთა გაჩენაში, ყოვლისშემძლე შემოქმედის ნებას ხედავს. მას ხიბლავს სრულყოფილი ბუნების ჰარმონია, სადაც თითოეული თავისი უნარის მიხედვით ირჩება, მაგრამ მთელ მის სიდიადეს ვერ წარმოაჩენენ: „რომელთაჲმე გალობითა, რომელთაჲმე სიბრძნის მეტყველებითა, რომელთაჲმე საქმითა და ვერა რომელნიმე სრულყოფენ დიდებულებასა და სიმდიდრესა ძლიერებისა მისისა თუნიერ კერძოსა“.

იმავე მოღვაწის მითითებით, ეს ბრძნულ შეგონებათა წიგნია, მაგრამ იგი ყოველივე სიბრძნეს როდი შეიცავს: „კაცთა ბუნებისა კეთილმოქმედებანი და ბოროტმოგონებანი და ძვირის ყოფანი არა რომელსაჲმე ერთსა წიგნსა გარეშეუცვლიან; გარნა წიგნსა ამას შინა იპოვებიან ზოგსრე ბოროტთა და კეთილთათვის“.

გაწეული შრომის საფასურად მთარგმნელი ოცნებობს, რომ მისგან გადმოღებული წიგნი ცხოვრებაში გზის გამკვლევად გამოადგეს შთამომავლობას: „ხოლო წარუმართნეს უფალმან ნებისყოფელთა მისთა და ნუ შეამთხვინეს განსაცდელნი მარადის კაცთა ნათესავისა წარწყმედად, სურვილთა და ჩემებრ ვნებულთა და უღებთა დრო გვეს სინანულისა და გეჩუშნენს გზანი ცხოვრებისანი. რომლისა არს დიდება აწ და უკუნით უკუნისამდე“.

ძეგლი იწყება ზოგადი მითითება-განმარტებით. „ვითარ ჯერ-არს წმიდათა საკითხავთა წიგნთა წერილთასა კითხვა და გულს მოდგინებით კითხვა და გულისწყმისყოფა“.

შემდეგ აღნიშნულია მაშინდელი ანგარიშით ახალი წლის პირველ თვედ მიჩნეული სექტემბრის თვის დღეთა რაოდენობა. თითოეული დღის მიხედვით, მოცემულია წმიდათა ხსენება და შესაბამისი საკითხავები³. ყოველი თვის დასაწყისისას აღნიშნულია მოცემული თვის დღეთა რაოდენობა. ძეგლი მთავრდება 365-ე დღის (31 აგვისტოს) 609-ე საკითხავით.

ჩვენამდე მოღწეულია პროლოგ-სუნაქსარის რამდენიმე ნუსხა. შედარებით ადრინდელი (XVIII ს-ის დასაწყისის) ჩანს A ფონდის 112-ე ხელნაწერი. ნუსხურად გადაწერილ ამ წიგნში ტექსტი ძნელად იკითხება სხვადასხვა დაზიანებათა გამო. მინაწერი გვიმოწმებს, რომ ხელნაწერი მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს ეკუთვნოდა⁴.

3 ყოველ სიტყვას და სწავლას სათაურთან უზის რიგითი ნომერი (ანბანური).

4 A — 112, ფურც. 2.

თითქმის ასევე თარიღდება ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში დაცული პროლოგ-სენაქსარი⁵.

II ფონდის 2176-ე ხელნაწერი 1785 წლამდეა გადაწერილი⁶. ეს წიგნი ადრე ეპისკოპოს გრიგოლ ხარჭაშენელის⁷ საკუთრება ყოფილა, ხოლო შემდეგ — ქეთევან წერეთლისა⁸.

სამწუხაროდ, ეს ძეგლი ჯერ-ჯერობით საფუძვლიანად დათარიღებული არ არის. თხზულების თარგმნის დროის დადგენას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართულ მოღვაწეთა იმდროინდელ მიზან-მისწრაფებებში გასარკვევად, ისე მოსკოვში მოღვაწე ქართველთა შესაძლებლობის გასათვალისწინებლად და სხვა. აღსანიშნავია, რომ ძეგლის თარგმნის თარიღთან გადაჯაჭვულია მისი მთარგმნელის ვინაობაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ საამისო ცნობად დღემდე H-2176-ე ხელნაწერის ანდერძია მიჩნეული⁹.

ტრ. რუხაძე წერს: „პროლოგ-სენაქსარის ქართულ თარგმანის დრო არ შეიძლება გადმოცილდეს არჩილის ეპოქას და, აი რატომ: როგორც „ბოლოსიტყვაობის“ უკანასკნელ აბზაცში ვხედავთ, ტიტულატურაში მოხსენებულია პეტრე I-ის შვილი ალექსი, რომელიც მამის ურჩობის გამო, სიკვდილით დაისაჯა (1718 წელს, დაიბადა 1690 წ.). ამგვარად, არჩილის გარდაცვალების შემდეგ, ყოველ შემთხვევაში 1718 წლის შემდეგ, შეუძლებელია ტიტულატურებსა და დოქსოლოგიურ (დიდების მეტყველებით) შესავლებში მოეხსენებინათ... მამის ურჩი, „მეფის უძღები შვილი“... ის კიდევ რომ მოეხსენებინათ პროლოგის 1718 წლის გამოცემაში, ასეთი ტონით და ისიც როგორც ცოც-

5 ხელნაწერი № 66.

6 წიგნის ანდერძში გადასული თარიღი სინგ. (7213), შესაძლებელია აღრიხდელი ხელნაწერიდან იყოს გამოტანილი.

7 „ეს მამათ ცხოვრება ხარჭაშენელ ეპისკოპოსის არის, გრიგოლ წოდებულისაჲ ვისაც შემდგომად ჩემსა დაგრჩეთ ლოცუასაჲ ჰყოფდეთ ჩემთა ცოდვათთვის. მოსკოვს წელსა 1785, თვესა თებერვალსა შევიდსა...“ — ვკითხულობთ ამ ქართველი მოღვაწის წიგნზე შესრულებულ წარწერაში.

8 „საქართველოს მეფის სძლის ქეთევან წერეთლას ვარა“. — ნათქვამია იმავე წიგნის შემდეგდროინდელ წარწერაში.

9 თარგმნილი ძეგლის გადამწესხველი ანდერძში ამბობს: „ალიწერა წიგნი ესე მეფობასა დიდისა ბატონისა მეფისა დიდისა მთავრისა პეტრე ალექსიშვილისა, ყოვლისა დიდისა და ცოტასა და თეთრისა რუსეთის თვითმპყრობელისა და ძისა ბატონის მისისა, ბატონის მეფის შვილის ალექსისა დასაბამითგან წელთა (ვ) სიგ., H—2176; ფურც. 1r—2v.

ხალს ვერ მოიხსენიებდნენ. მაშასადამე, ქართველი მთარგმნელი უნდა ვეძიოთ 1700-იან წლებში¹⁰.

რ. მირიანაშვილმა ენერგიულად სცადა პროლოგ-სუნაქსარის თარგმნის რუხაძისეული ქრონოლოგიური ჩარჩოს დავიწროება¹¹. მკვლევარი ყურადღებას აქცევს H-2176-ე ხელნაწერის ანდერძის თარიღს (1705 წელს), მაგრამ მას მაინც არ ენდობა. სუნაქსარის თარგმნას რ. მირიანაშვილი 1699—1705 წლებში ვარაუდობს¹². საამისოდ იქ რაიმე პირდაპირი ცნობა არაა მოხმობილი, ჩანს, აღნიშნული ხელნაწერის გადანუსხვის თარიღს ის ტექსტის თარგმნის დასრულების დროდაც მიიჩნევს, ხოლო A-112-ე ხელნაწერის აღრინდელობის¹³ გათვალისწინებით რ. მირიანაშვილი ვარაუდობს, რომ ძეგლის თარგმნას, თითქოს XVIII საუკუნის დამდეგს შესდგომიან.

საკითხის შემდგომი შესწავლით ნათელი ხდება, რომ პროლოგ-სუნაქსარი ქართულად უფრო ადრე უთარგმნიათ, ვიდრე ამას ჩვენი მკვლევრები გულისხმობენ. ერთ-ერთ დოკუმენტში მითითებულია ქართულად თარგმნილი სრული „პროლოგის“ საქართველოში გამოგზავნა. დოკუმენტის შედგენის თარიღი (1690 წელი) შესაძლებელია აღნიშნული წიგნის ქართულად გადმოღების დასრულების დროდ მივიჩნიოთ.

დღემდე არც მთარგმნელის გვარი და სახელია დადგენილი.

მთარგმნელის ვინაობის გასარკვევად ტრ. რუხაძე ეყრდნობოდა ძეგლის „ბოლოსიტყვაობის“ ერთ ადგილს, სადაც ანონიმი მთარგმნელი თავის თავის მიმართ ამბობს: „ვიშრომისმოყვრე მრავალთა წიგნთა ზედა“, ხოლო „მრავალთა წიგნთა ზედა“ დაშრომილად ტრ. რუხაძეს მეფე არჩილი მიაჩნდა. მკვლევარი თავის მოსაზრებას იმით ამბობს, რომ ისეთ ძეგლში, როგორცაა პროლოგ-სუნაქსარი, ცვლილებათა შეტანა იმ დროს მეფესა და პოეტ არჩილს შეეძლოა.

ტრ. რუხაძის ვარაუდის გაღრმავებას შეეცადა რ. მირიანაშვილი და ძეგლის თარგმნის დასაწყისი მოსკოვს მეფე არჩილის მეორედ ჩასვლას დაუკავშირა. ამასთან გადმოქართულებული წიგნის ზოგან შემოკლება, ხოლო ზოგან განვრცობა რ. მირიანაშვილმაც დაუეჭვებ-

10 ტრ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. თბ., 1960, გვ. 157.

11 რ. მირიანაშვილი. რუსული „პროლოგ-სუნაქსარის“ ქართული თარგმანი. მეცნ. ენისა და ლიტერატურის სერია № 3, 1973, გვ. 99.

12 იქვე. გვ. 100

13 იქვე.

ლად არჩილს მიაწერა და კრებულზე მეფე პოეტის მუშაობის დროდ 1699—1705 წლები მიუთითა¹⁴.

საარქივო ძიებამ არც ეს ვარაუდები დაადასტურა. ზემოაღნიშნული საბუთის მიხედვით „პროლოგის“ თარგმნა დასრულებული ჩანს იმ დროს, როცა არჩილი რუსეთის დედაქალაქიდან დიდი ხნის წინათ იყო წამოსული სამშობლოში და მოსკოვს მყოფ ქართველებს დედოფალი ქეთევანი ხელმძღვანელობდა¹⁵. ირკვევა, რომ XVII ს-ის 80-იან წლებში პროლოგ-სუნაქსარი თარგმნეს იმ სასულიერო მოღვაწეებმა, რომლებსაც არქიმანდრიტი ნიკოლოზ დავითაშვილი ხელმძღვანელობდა. ქართულად გადმოღებული „სასურველი წიგნი“ სამღვდელთმსახურო ინვენტართან ერთად მათ ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებით მალე (1690 წელს) გამოგზავნეს სამშობლოში.

სლავურ-რუსული პროლოგი შეიქმნა, სხვადასხვა საქრისტიანო ლიტერატურის წყაროების გადამუშავებით¹⁶ ქართული მთარგმნელი მას „მრავალთაგან წიგნთა“ შეკრებილს უწოდებს. უეკველია, ძეგლის ქართულად გადმომღებელმა ზოგი ლიტერატურული წყარო დაუმატა კიდევ. მაგალითად, თხზულებანი ქართველ წმინდანებზე¹⁷.

თარგმანი ზოგან შემეცირებული ჩანს, მაგალითად, მოსახსენებლებს სლავურ სამყაროს წმინდანებზე ქართველი მთარგმნელი თავის შეხედულების მიხედვით აყალიბებს. ეს შეიძლება ვთქვათ: ბასილი დიდის, თომა მოციქულის იოანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებლის, ანდრია პირველწოდებულისა და სხვათა მოსახსენებლებზეც. კრებულის საინტერესო საკითხავთა ციკლში შედის მოთხრობა ივერიის ღვთისმშობლის ხატზე.

ეს ძეგლი უანრობრივად მრავალფეროვანია. 609 სიტყვა-დარიგება გაყლენთილია დიდაქტიზმით, ნოველებსა თუ მოსახსენებლებში ხშირად გვხვდება სენტენცია-აფორიზმები, დარიგებები. კრებულში შესული პირველი სიტყვა წიგნის კითხვას გვასწავლის გამოჩენილი ბერძენი მწერლის იოანე ოქროპირის შეგონებათა მიხედვით.

ნოველებსა და მოთხრობებში მრავალი ბრძნული აზრია გატარე-

¹⁴ რ. შირიანაშვილი, რუსული „პროლოგ-სუნაქსარის“ ქართული თარგმანი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია № 3, 1973, გვ. 107.

¹⁵ ძსცა. ფონდი 110, აღწ. I, 1688, ს. 2, ფ. 7.

¹⁶ Н. Петров. О происхождении и составе словяно-русского Пролога, Труды Киевской духовной академии. Т. 4. 1875, с. 170.

¹⁷ ტრ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთაერთობის ისტორიიდან. XVI—XVIII სს. თბ., 1960. გვ. 170.

ბული. ნაირფეროვან მხატვრულ ხერხებით სანიმუშო, მისაბად ამდ-
ლებულ პიროვნებებადაა დახასიათებული მოსახსენებლებში თითო-
ეული მოღვაწე. თბრობა მოკლე და გასაგებია, ძეგლში შესული არც
ერთი ლიტერატურული ჟანრი დატვირთული არ არის ზოგადთეოლო-
გიური და ფილოსოფიური მსჯელობებით:

თარგმანის ენა ძარღვიანი ქართულია. აქა-იქ მცირე რაოდენობით
გვხვდება სლავიზმებიც.

პროლოგ-სუნაქსარი თარგმნა — გადანუსხვის დამთავრების შემ-
დეგ, XVII ს-ის 90-იან წლებში, გამოგზავნეს საქართველოში, მაგრამ
ამ ძეგლისადმი ყურადღება რუსეთის დედაქალაქში მყოფ ქართველებს
არ შეუწელებიათ. ჩანს, ახლადთარგმნილი ეს დიდაქტიკური კრებული
მოსკოვშივე იხვეწებოდა და მრავალ ხელნაწერად ვრცელდებოდა.

სამშობლოში ცხოველი ინტერესი გამოიწვია დიდაქტიკით გა-
ყლენთილმა ამ წიგნმა. კრებულისადმი ქართველთა ყურადღების ერთ-
ერთი მოწმობაა ჩვენამდე მოღწეული ნუსხები, აგრეთვე ქართულ ძეგ-
ლებში ადგილების დამოწმება ახლადთარგმნილ ამ „სასურველი წი-
გნიდან“ და სხვა:

პროლოგ-სუნაქსარი იყო ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელმაც
XVII საუკუნის 90-იან წლებშივე რუსული კულტურის კერებში გა-
ჩაღებული მჩქეფარე მოღვაწეობის შეცნობის სურვილით გამსჭვალა
მრავალი ქართველი მოღვაწე.

ქართველ სასულიერო მოღვაწეთა უპირველესი მიზანი იყო რუ-
სეთის ეკლესიებში მიღებული ძეგლების სწრაფად შესწავლა და გა-
დმოთარგმნა. ასეთ სამუშაოს წარმატებით ატარებდნენ დედოფალ ქე-
თევანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის გარშემო შემოკრებილნი.

ჩანს, მოსკოვს მოღვაწე იმავე ქართველ საეკლესიო გუნდის და-
ხმარებით არქიმანდრიტმა ლ. გაბაშვილმა 1699 წელს ქართულად გად-
მოიღო რუსული კანონიკური სახარება და სამოციქულო, ამ ძეგლის
ქართულად თარგმნა უპირველესად რუსეთის ეკლესიაში მიღებული
სამღვდელთმსახურო წიგნების გაცნობით იყო განპირობებული.

ჩვენამდე მოღწეულთაგან ეს მოსკოვს ნათარგმნი მეორე ძეგლია.
ჩანს, მის ქართულად გადმოღებას პროლოგ-სუნაქსარის შემდეგ
შეუდგნენ და 1699 წლისათვის ეს ნათარგმნი ძეგლი გადანუსხეს კი-
დეც. სამუშაოს დასრულებასა და წიგნის ადგილის მიჩენაზე მიუთი-
თებს ამ კრებულზე დართული მთარგმნელის ანდერძი, რომელშიც
სინგურით გამოყოფილია საზენაო ასოები:

- „დაიწერა. წელთა შვილი ათას ორას და შვდსა კე-
 2. ლითა გაბოჯანის ძის მღვდელთმონაზონის არქიმან
 3. დრ[ი]ტის ლავრენტისათა. ჩ[ე]მი ნაშრომი კელით-ქმნ[უ]ლი
 4. რაც ძალ მედვა, რუსთ წერილთაგ[ან] გ[ა]მოვთარგმნე
 5. ძმათა თ[ან]აზიარობითა. წიგნი სახარება და სამოციქულო
 6. გ[ა]ვ[ა]სრ[უ]ლე. ს[უ]ლისა ჩემისა ს[ა]ქსრად. მინიჭებია
 მღვდელმონაზონის
 7. კარის წინამძღვრის დ[ავი]თ[ი]სათ[უ]ს. ს[უ]ლისა ჩემისა
 საოჯად, წინა-
 8. მძღვარო, ეს დ[ედო]ფალთ-დ[ედო]ფლის ქ[ე]თევ[ა]ნის,
 ას[უ]ლთა მ[ათათა]და.
 9. ეჯანისა[მა]თა, მ[ა]თუხს ს[ა]მს[ა]ჭურსა და დღეგრძელობა-
 ში გ[ა]კმაროს
 10. უ[ფალმან]ნ! ვინაც ეს წიგნი ეკლესიაში საკმარ ყოს ჩ[ვე]-
 ნთხს მოჯ-

11. სენებას ჰყ[ო]ფდეთ ძმ[ა]ნო და მ[ა]მანო!¹⁸.

არქიმანდრიტი ლავრენტი, რომელიც ხელმძღვანელობდა რუსუ-
 ლიდან აღნიშნული სახარებისა და სამოციქულოს ქართულად გადმო-
 ლებას, ცნობილია თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით¹⁹. მოსკოველ
 ქართველთა სალოცავში ამ კრებულის დადებიდან ათი წლის შემდეგ
 ძეგლი გადაწერეს და მინიატურებით შეამკეს. წიგნი გადაუნუსხავს
 მაშინ მოსკოვში მყოფ მგალობლიშვილ პეტრე ამბროსიძეს²⁰.

¹⁸ საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი. ხელნაწერი № 1585 (20560)-
 ფურც. 344v ანდერძი დამთავრებული არ უნდა იყოს. მოტიანილი ტექსტის შემდეგ
 ფურცელზე ცოტა ჩამოხეულია. განსხვავებულად კითხულობს აღნიშნულ ანდერძს
 ს. კვიციანიძე. იხ. მისი ძველი ქართული უცნობი ხელნაწერი „საბჭოთა ხელოვნება“,
 1977, № 12, გვ. 81. შეადარე: ლ. ძოწენიძე. დონის მონასტერი და მისი პირ-
 ველი არქიმანდრიტი ლავრენტი. კრბ. „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., 1983, გვ.
 248.

¹⁹ არქიმანდრიტ ლავრენტი გაბაშვილის დიპლომატიური მისიით 1687 წელს
 მოსკოვს ჩასვლა და მოღვაწეობა ვრცლად გავაშუქეთ სადისერტაციო ნაშრომში:
 „რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII სს.
 მიჯნაზე“ თბ., 1966, გვ. 52—57. ლავრენტი გაბაშვილისა და მეფე არჩილის რუ-
 სეთის სახელმწიფო კართან მოლაპარაკების წიგნად გადაწერილი დოკუმენტები გა-
 მოაქვეყნა გ. პაიჭაძემ. იხ. Материалы по истории русско-грузинских отношений.
 Документы к печати подготовил и комментариями снабдил Г. Г. Паичадзе.
 III, Тб., 1979. с. 22. 1983 წელს ამ მოღვაწეზე საინტერესო წერილი დაბეჭდა ლ.
 ძოწენიძემ იხ. კრბ. „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., 1983, გვ. 234—262.

²⁰ კალიგრაფის ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდა ეს სახარება და
 სამოციქულო, პელითა ცოდვილის ამბროსიძის პეტრე მგალობლისათა, რუსეთს,

კრებულის შემკობის მიზნით მასში ჩაკრულია მახარებლების წმინდანების (მათე, მარკოზ, ლუკა, იაკობი) მინიატურული პორტრეტები, რომლებიც ნაბეჭდი უნდა იყოს. შემკულობაზე მინაწერებითა და სხვა ძეგლის აღნიშნული შემკულობა ს. კიკინაძეს მიაჩნია ი. თურქისტანი-შვილის შემოქმედებად²¹.

კალიგრაფ პეტრე მგალობელს ორ სვეტად მშვენივრად გადაუწერია (შავი ფერით) სათაურები და დასაწყისები მასვე წითლად შეუმკია. გამოუყვია საზედაო ასოები. კრებული საშუალო ზომისაა (21X 16 სმ) და შეიცავს 345 ფურცელს. ტყავგადაკრული ხის ყდა დაზიანებულია. სხვადასხვა დეფექტი ეტყობა ფურცლებს.

ტექსტი იწყება შესავლით. ბოლოში ერთვის მთარგმნელის იბიკონი და ანდერძი (ფურც. 345 v), ხოლო 341r-ზე კალიგრაფის ანდერძი²².

სასულიერო შინაარსის ძეგლების თარგმნაში წვლილი შეიტანა ალ. ბაგრატიონმა. ფართოდ განათლებული ეს მოღვაწე ჩინებული ლიტერატორი იყო. ალექსანდრე ბატონიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან ყველა ძეგლს არ უნდა მოეღწია ჩვენამდე.

ალ. ბაგრატიონი მოსკოვში ჩასვლის (1684 წ.) შემდეგ ხარბად დაეწაფა რუსულ ლიტერატურას. მან კარგად შეისწავლა რუსული და სხვა ენები. ქართველი ბატონიშვილის ოჯახში პოპულარული იყო ს. პოლოცკის თხზულებანი. ამას მოწმობს ს. პოლოცკის ერთ-ერთ წიგნზე ქართველი ბატონიშვილის მეუღლის ფ. მილოსლავსკაიას მინაწერი²³.

ქალაქსა შ(ინ)ა სამეფოსა და დიდსა მოსკოვს წელთა კ(რისტე)ა ქათ ათას შვიდას მეცხრესაჲ.

21 ს. კიკინაძე. ძველი ქართული უცნობი ხელნაწერი. „საბჭოთა ხელოვნება“. 1977, № 12, გვ. 81.

22 ძნელდება იმის თქმა კრებულში შესული სახარება და სამოციქულო აღრე ცალ-ცალკე იყო თუ არა. მფლობელის მინაწერი საინტერესოა ამ წიგნის საქართველოში შემოტანა-გავრცელების, მესაყურის ვინაობისა და კრებულის შედგენილობის გასათვალისწინებლად, ერთ-ერთი მფლობელის მინაწერში ნათქვამია: „ქ, ეს სახარება და სამოციქულო ორივე ერთათ შეკრ(ბილი) ნიკოლოზ მღვდლისა და დიაკ(ნის) დიონისისა არის. ვინც მაიპაროს (გა)უწყარეს ამ ორისავე წიგნების მადლი. მატათოვი დიაკონი ვწერ“ ფურც. 345.

23 ს. პოლოცკის ეს წიგნი (Обед душевный) მოსკოვი, 1682 წ., ფ. მილოსლავსკაიას „ნოვოდევჩის“ მძობისადმი მიძღვნილი წარწერით დატულია ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის რაჩიტეში. იხ. Н. Г. Н а д и н б а н д з е. Жизнь и деятельность Александра Арчиловича Баграτιони. Тб., 1975, с. 18.

ალ. ბაგრატიონმა ქართულად თარგმნა ს. პოლოცკის „სიტყვა მიცვალებულისათვის ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულის მარიამისა“.

ეს თხზულება შეუტანიათ პროლოგ-სვინაქსარის გვიანდელ ხელნაწერში²⁴. შესავალ ნაწილში თხზულების ავტორად მითითებულია ს. პოლოცკი, ხოლო მთარგმნელად — „კეთილმსახურისა და მართლმადიდებელისა საქართველოს მეფის არჩილის ძე“ — ალექსანდრე ბატონიშვილი.

ქართულად გადმოღებული აღნიშნული სიტყვა პროლოგ-სვინაქსარში მოთავსებულია 15 აგვისტოს საკითხავში²⁵.

მეფე არჩილმა ქართულად თარგმნა პ. მოგილის „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა წმ. კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა“.

ეს თხზულება ქართველ მეფეს მოსკოვს დამკვიდრების შემდეგ უნდა გადმოეღო. ნათარგმნი ძეგლი 1702 წელს მოსკოვს გადაუნუსხავს დიმიტრის. ანდერძში გადამწერი მიმართავს მთარგმნელს, იძლევა ძეგლის გადანუსხვის თარიღსა და სხვა: „ადიდე ვახტანგისა ძე, მეფე მორწმუნე ბატონი არჩილ, რომელმან ინება წიგნისა ამის რუსულისაგან ქართულად გადმოღება თვით იყო კეთილად წიგნისა ორისავე — ქართულისა და რუსულისა სწაველულ და მთარგმნელ. დაიწერა ქორონიკონსა დასაბამითგან აქამდე გარდასრულსა წელსა შვიდითას ორას ათსა ხელითა ფრიად ცოდვილისა კარის დეკანოზის შვილის დიმიტრისათა ქალაქსა დიდსა მოსკოვს, მპყრობელობასა პეტრე ალექსიშვილისათა“²⁶.

ქართულ ენაზე პ. მოგილას ამ თხზულების მრავალი ნუსხა შემოგვრჩენია²⁷, რაც მიუთითებს ქართველ საზოგადოებაში მის პოპულარ-

24 რაკი ჩვენ დავასაბუთეთ პროლოგ-სვინაქსარის თარგმნის თარიღი (1690 წ.) და მთარგმნელი (არქიმანდრიტი ნიკოლოზი), ამან საშუალება მოგვცა ვაგვესაზღვრა „სიტყვა მიცვალებულისათვის ყოვლად წმიდისა „ღვთისმშობლის“ ქართულად გადმოღების დროც. შეად. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბ., 1960, გვ. 204.

25 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი. A ფონდი, № 2. ფპბ. საკითხავი.

26 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი. H ფონდი, № 83, გვ. 95.

27 ზოგიერთ ნუსხაში თხზულება „სამნაწილედ“ იწოდება. ისინი არიან განყოფილებანი ღვთის მეტყუპლებისა სათნობანი ამას წერისა შინა, რომელ არს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული“ (იხ. S—202 A—1359), თავის მხრივ პირველი ნაწილი („სარწმუნოება“) შეიცავს „ათორმეტ ტაეპს“, მეორე ნაწილი „სასოებისათეს და მესამე ნაწილი „სიყვარულისათს ათთა, მათ მცნებათა და კულაქდა საკმარნი რამე ჩუქნდა ძუქლისა და ახლისა საღმრთოსა წერილისანი“. მთელი ძეგ-

რობაზე²⁸. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მისი გამოცემა ადრევე გა-
ნუზრახავთ.

აღმსარებლობითი ძეგლები ქართულ მწერლობაში X საუკუნიდან
მოგვეპოვება. ვეიან ასეთი შინაარსის ძეგლის ქართულად თარგმნას
განაპირობებდა საზოგადოებისათვის სასწავლო-დამრიგებლობითი ში-
ნაარსის თხზულებათა მიწოდების, ქართველთა იდეურად განმტკიცე-
ბის მიზანი. „ში, საყუარელნო აღმომიკითხზულნო არათუ თვნიერ
საქმეთასა აღიწერა წიგნი ესე, რომელთა უკეთუ სათნო გიჩნს სწავ-
ლად მართლისა სარწმუნოებისა. ნივთიერისა ამის ცორელთასა ანუ თუ
ნივთისა მის ნათლისა შარავანდედისა ბრწყინვალედ უწყება რ(ომე-
ლ)ი ცხოვრება იგი უფროს ყ(ოველ)თა ამთ ხილულთასა არს და ღირს
თანა ყოფა გონებითი განათლებულითა: უწყოდეთ რამეთუ ესრეთ შე-
მოკლებით არა იყო გამოცხადებულ სწავლად მართმორწმუნეთა“..

ძეგლში დამოწმებულია პავლე მოციქული, რომელსაც სარწმუ-
ნოება ყოველი კარგი საქმის საფუძვლად მიაჩნდა: „იტყვის ნეტარი
პავლე: თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო ყო-
ფად“.

თხზულებაში გაბნეული შეგონებებით (ათი მცნებით), ადვილგა-
საგებად დასმული კითხვებითა და შესაბამისი მოხდენილი პასუხე-
ბით, ჩანს თარგმნილი ძეგლი კეთილად ზემოქმედებდა მკითხველის
იდეურობაზე.

ერთმორწმუნე ქვეყანასთან კულტურული ურთიერთობის განვი-
თარების საფუძვლზე, საქართველოში ფართოდ გაიშალა მუშაობა
ქართველთა იდეურობის გასამტკიცებლად, ლიტურგიკული ძეგლებისა
და წმიდანთა ცხოვრების კრებულის გასაახლებლად, ახალ წამებულთა
ღვაწლის აღსაწერად, მათი კანონიზაციისათვის და სხვ.

უეჭველია, რუსეთს თარგმნილმა და XVII ს-ის მიწურულს საქარ-
თველოში შემოტანილმა „პროლოგ-სუნაქსარმა“ დააჩქარა „სადღესას-
წაულოს“ ახალი რედაქციის შექმნა.

ლი კითხვა-მიგებაზე არის აგებული („სარწმუნოება“ შედგება 126 კითხვა-მიგებისა-
გან, „სასობა“ — შეიცავს 63-ს, ხოლო „სიყვარული“-72, კითხვასა და პასუხს).

28 თარგმნილი ძეგლი რედაქციულად შეუსწორებია მოსკოვში მყოფ ნიკოლოზ
ორბელიანს 1730 წ. რისთვისაც მას მადლობას უცხადებს შთაპოშავლობა. „ღ(მერ)თო
აცხოვენ ამ წიგნისა ქართულ ენაზე გამწყობელი ტფილელი მიტროპოლიტი ნიკო-
ლოს ორბელისშვილი“, — ნათქვამია ერთ-ერთ ნუსხაში. აღნიშნულ სამადლო-
ბელს მოსდევს თვით ნიკოლოზ ორბელიანის ანდერძი: „მეფის ებატანგს ვერ ვუტრჩ
ვექმენ, თორემ ჩემისთანას ცოდვილის ბერისაგან ძნელად შესართავი წიგნი იყო“.

სამეცნიერო ლიტერატურაში კათოლიკოსი ბესარიონ ორბელიანი სამართლიანად არის მიჩნეული „რუსულ ყაიდაზე გაკეთებულ“ სადღესასწაულოს“ შემოქმედად²⁹.

საინტერესოა, რომ ბ. ორბელიანის ამ ნაშრომს ტრ. რუხაძე 1709 წლით ათარიღებს³⁰. მინაწერში აღნიშნული ეს წელი ძეგლის შედგენის დროს არ უნდა აღნიშნავდეს. ეს პატარა ფორმატის წერილი ნუსხურით შესრულებული წიგნი მართლაც XVII—XVIII ს-თა მიჯნაზე უნდა გადაენუსხათ³¹.

ბ. ორბელიანის „სადღესასწაულო“ ქართულ ლიტურგიკაში ახალი, გამაახლებელი ეტაპის დასაწყისის მომასწავებელია. ამ სახელმძღვანელოში კალენდარული წესით დალაგებულია მცირე, საშუალო თუ დიდი დღესასწაულები, იდეურობისათვის თავდადებულ გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიები, რომელთაც ერთვის საგალობლები და ძლისპირები³².

ვახტანგ VI-ის ჯანიშინობისა და დომენტის კათალიკოსობის პერიოდის პირველ წლებში რამდენიმე ღონისძიება გატარდა უკანასკნელი პერიოდის წმიდანად აღიარებულთა სახელის უკვდავსაყოფად. სასულიერო მწერლობაში ეს აღინიშნა „წმიდანთა ცხოვრებანის“ ახალი კრებულის შედგენით.

ეს საქმეც დავით გარეჯაში განხორციელდა.

დომენტი კათალიკოსის დაკვეთით იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ხუცეს-მონაზონმა გაბრიელ საგინაშვილმა 1713 წელს დაასრულა განახლებული წმიდა წიგნის გადანუსხვა და შესწირა თავიქ

²⁹ თ. ჟორდანიას ამ ძეგლს „ძლისპირებს“ უწოდებს (იხ. Описание, გვ. 121). ტრ. რუხაძე მას მიიჩნევს საგალობელ და ძლისპირებდართულ სრული ზომის განახლებულ სადღესასწაულოდ (იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს, (1960, გვ. 178), მკვლევრის ეს მოსაზრება იმ მხრივაც სწორი, რომ ასეთი მუშაობა ერთგვარად ძველის, მივიწყებულის განახლებაც იყო. მართებული ჩანს განსახილველი ძეგლების ურთიერთმედარების საფუძველზე მიღებული მ. ჭავჭავაძის დასკვნა: ბ. ორბელიანს რუსულ ყაიდაზე გაკეთებულ სადღესასწაულოს სვინაქსარული ნაწილი A—112 ტიპის ხელნაწერიდან აქვს აღებული (იხ. მ. ჭავჭავაძის დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა. თბ., 1965, გვ. 102). მართლაც მოხსენებულ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს რუსულად თარგმნილი ძეგლის A-112 ტიპის ხელნაწერით ანუ აღრინდელი ნუსხით უნდა ესარგებლა.

³⁰ ტრ. რუხაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 177.

³¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A — კოლექცია) ტ. 1, თბ., 1976, გვ. 211.

³² რვა ხმის ძლისპირთა პუბლიკაცია იხ. ელ. მეტრეველის გამოცემა. თბ., 1971 წ.

სამკვიდრო მონასტერს, რაც აღწერილია ანდერძში. „ველეყავ... მე უღირსმან ხუცეს-მონაზონმან გაბრიელ საგინაშვილმან წმიდისა ამის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარესჯისასა, მონასტერსა მრავალს. მთის ნათლისმცემელსა მას ჟამსა ოდეს მეფობდა მეფეთა შორის წარჩინებული ვახტანგ საქართველოსა ზედან და მკდომარე იყო ტახტსა საპატრიარქოსა კათალიკოზად ძმა მისივე დომენტი, რომელი მას ოდენ, შეკრიბა წიგნი ესე ერთად გაბნეული. რომელი ჟამთა და დავიწყებისაგან მიფარული იყო ცხოვრებანი და ღვაწლნი მათნი, რმელნიცა ჩუენ ქართველთა წმიდანნი გამობრწყინებულ იყვნეს ქუეყანასა მათსა... ხოლო მე ეს, რომელ მკედრ ვრყავ მონასტერსა მას, რომელი ზემო ვახსენე და ვიქცეოდე კელ შინა სულიერთა მათ მამათა ჩემთათა, ვიტყვი წმიდასა ონოფრეს... მამას ხარტონს და ლი(რსსა) მოძღვარსა და მასწავლელსა ჩემსა ბესარიონს. ორბელის ძესა, რომელთა ბრძანებითა და ლოცვითა კელად ვიხვენ წიგნი ესე... სრულ ვყავ ძალითა ღმრთისათა და შევსწირე მასვე მონასტერსა ჩემსა, დიდსა მას ქადაგსა წინამორბედსა მეუფისას იოანეს საჯსრად ცოდვათა ჩემთა“³³...

გადამნუსხველის მითითების საფუძველზე ირკვევა, რომ ის იწერდა ადრევე შედგენილი კრებულიდან, მაგრამ მითითებულ წიგნშიაც თუ იყო შეტანილი, მაგ., „ქეთევანის ცხოვრება“, არ ჩანს³⁴.

მოსკოველ ქართველთა მთარგმნელობით და სხვა მუშაობას ლოგიკურად მოჰყვა საქართველოში სასულიერო მწერლობის გამოცოცხლება, წმინდანთა ასახვა მხატვრობა-ოქრომკედლობაში და სხვა „სულთა განმანათლებელი“ ძეგლები.

პროლოგ-სვინაქსართან და სხვა რუსულ წიგნებთან კავშირს მოწმობს „სადღესასწაულოს“ ახალი, მინიატურებით შემკული რედაქცია, რომელიც შეიქმნა კათალიკოს დომენტის ინიციატივით. გადამნუსხველის ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა წ(მიდა) ეს სულთა განმანათლებელი სადღესასწაულო ბრძანებითა მეფეთა შარავანდისა ქართველთა რანთა, კახთა, სამცხე-საათაბაგოსი და ყ(ოვ)ლისა აღმოსავლეთისა კ(ათალიკო)ზ პატრიარქის დომენტისათა მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი! ღმერთო და ჩვე(ნო) წ(მიდანო)...

³³ კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი ფონდი A—130, ფ. 332r-v.

³⁴ დასახელებულ ხელნაწერში აღწერილია: იოანე ზედაზნელის, დავით გარეჯელის, „ცხოვრებანი“, შუშანიკის წამება, „წამება ყოვლად დიდებულისა მოწამისა ქეთევანისა (შაჰ-აბაზმა რომ აწამა) და ა. შ.

გ(ით)ა ამას შინა წერილში სწერიხართ შეიწყალეთ და შეუნდეთ შრომანი...³⁵.

„სადღესასწაულო“ ეს ნუსხა შესრულებულია 1718 წელს. ძეგლი აღრე ჩანს ჩამოყალიბებული. მისი შემდგენელი იყენებს პროლოგს-სენიქსარში არსებულ საკითხავებსა და კალენდარულ აღნიშვნებს³⁶.

ამის პარალელურად მოსკოვს მყოფი ქართველი მოღვაწენი ამრავლებდნენ საეკლესიო ძეგლებს, თარგმნიდნენ სლავურიდან და ა. შ.

სასულიერო ძეგლებზე მსრუწველობას წარმართავდა მამუკა. მისი დავალებით „ჟამნი“ გადაუწერია დათუნა მაგრაქველიძეს, რომელსაც ეს წიგნი „გაუხსრულებია... ოხითა, იბაკოთა“³⁷.

1726 წელს მოსკოვში ქართველთა სამლოცველოს წინამძღვარს იოსებს გადაუწესნავს საგალობლების კრებული, რომელიც მას დარეჯან ბატონიშვილისათვის მიუძღვნია: „...ალავსე დღეთა სიგრაძითა, სმენა სიბრძნითა, კითხვა სიმზნითა და ყოველივე დღე კეთილობითა კახთა და იმერთა მეფის არჩილის ასული, სანატრელი ბატონიშვილი დარეჯან. მრავალყამიერობით ასახმარე წიგნი ესე, რამეთუ ბრძანებითა მისითა აღიწერა“...

ეს არ არის უბრალო მიძღვნა! ქართველთა ახალშენის მეთაურს, ღვთისმოსავს, წმინდანობამდე ამღლებულ დარეჯანს წვლილი უდევს „სულის მარგებელ“ წიგნების გამრავლებაში. მეცენატმა ბატონიშვილმა უხვი შესაწირავეები გაიღო დონის მონასტრისათვის, ააშენა „სვესენწყას“ ტაძარი, მისი ხარჯით მოსკოვში არაერთი ქართული წიგნი გადაიწერა და შეიმოსა.

35 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი ფოხდი A, ხელნაწერი 425, ფურც. 634.

36 იქვე. ფონდი A, ხელნაწერი 425, ფურც. 16, 18, 60 და სხვ.

37 მოსკოვს 1725 წ. გადანუსხული მითითებული ძეგლის ანდერაშში ნათქვამია: „...ქრისტეს აქათ ჩლკე თვესა ნოემბერსა იე, გათავდა ჟამნი ეს სულთა მარგებელი. აღიწერა ბრძანებითა საქართველოს მეფის არჩილის, ვახტანგის შვილის მახლობელის სტოლნიკის მამუკა შათირ ყოფილისათა, დიდსა ქალაქსა მოსკოვს იმპერატრიცა ეკატერინა აღუქსევენსა. კელითა ფრიად ცოდვილისა მღდლისა ვისმე დათუნა მაგრაქველიძისათა. ღმერთო ახმარე მათვე იოსებოვიჩს დღეგრძელობაში“ (H—109. ფურც. 380r).

ვინ არის მამუკა, ასეთი ავტორიტეტის მქონე იმდროინდელ ქართველ შემოქმედთა შორის? უპიკელია, ეს უნდა იყოს მოსკოვში მეფე არჩილის კარისმღებე მოხელე, ცნობილი პოეტი, მრჩეველი, დიპლომატი მ. ბართაშვილი. „ჟამნის“ გადაწერის დროს მამუკა ახალი დაბრუნებული იყო საქართველოდან.

ადრევე თარგმნეს ქართულად ეპისკოპოსთა კურთხევის წესი: ნიკოლოზ მაღალაძეს ეს ძეგლი ხელახლა „რუსულიდან“ გადმოუწერია³⁸.

წარმოშობით თავადს, მანუჩარ ჯანდიერის შვილს, ყოფილ დომენტის, არქიმანდრიტს, 1726 წელს მოსკოვს დაუსრულებია „სადღესასწაულოსა“ და „თვენის“ შერჩევით გადმოთარგმნა რუსეთში მიღებული „რიგისა და წესის“ დაცვით: „აღვსწერე რუსულის წესთა წიგნი ესე საღღესასწაულო, სრული თვენი საგალობლებითა, სუნაქსართა და მისის ღღესასწაულის მეტაფრასითა და ოხითა და ბაკოთი“— ნათქვამია დ. ჯანდიერის ერთ-ერთ ანდერძში³⁹.

ეს სამუშაო მას შეუსრულებია რუსეთში ადრე ჩასულ და ჩანს, რუსულის მცოდნე დავითის დახმარებით. მოხსენიებული დავითი, ვფიქრობთ, გვარად მაგრაქველიძე უნდა იყოს.

მეორე ანდერძში იგივე არქიმანდრიტი, დომენტყოფილი მანუჩარის ძე ჯანდიერი მოგვითხრობს რუსეთის ხილვით შექმნილ შთაბეჭდილებაზე, მოსკოვის ქართულ ახალშენში ადრე დამკვიდრებულებთან მის შემოქმედებით მეგობრობაზე, ძეგლის რაობაზე, რუსულ კრებულთან მის დამოკიდებულებაზე: „... წარვედ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხევით აღმშენებულსა ქვეყანასა რუსეთისასა, ქალაქსა შინა სამეფოსა, მოსკოს შინა ვიყოფებოდი და მათი ენა და კითხვა არ მესმოდა... და მუნ აღვსწერე საღღესასწაულო და თვენი სრული რუსეთის რიგითა და წესითა, ხოლო შემწითა ამით ბატონიშვილის დარეჯანის კარის დეკანოზისა დავითისათა. ხ[ოლო] ესე რუსულისა წიგნითა და ქართულისათა ვრცელი იყო, ხოლო მე წერა, არ ვიცოდი, ვითარცა წერილი ჩემი გამოაჩინებს. მაგრამ სურვილი მაქ[უ]ნდა წიგნისა ამის საგ[ა]ლობლისა და შევკრიბე პატიოსანი მარგალიტი ავითა კელითა ჩემ მიერ წერილისათა...“⁴⁰.

ქართველთა სასახლეში ამ ძეგლზე მუშაობის დროს დ. ჯანდიერს ხელთ ჰქონდა სლავური დიდი წიგნი და მისი ქართული ვრცელი თარგმანი. თუ რა წიგნები იყო ეს? ამაზე თვით აღმწერელი მიგვითითებს, რომ მას ხელთ ჰქონდა „სადღესასწაულო“ და თვენი.

³⁸ „ეს ეპისკოპოზის კურთხევა რუსულიდან მე მაღალაძემ ნიკოლოზ გადმოვწერე, ავი ხელია, ხუცური წერა არ ვიცოდი, ნუ საცინელ მყოფთ უფალნი ჩემნი, არამედ შენდობა ყავით“ ძეგლის ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა ესე სამეფოს ქალაქსა მოსკოვს, წელსა ქრისტეს აქათ ჩღნე. გამოსადეგი და კეთილ საპმარი არის საქართველოს ყოვლად სამღვდლოთათს“ (H—310, ფურც. 83v).

³⁹ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი ფონდი A, ხელნაწერი 220, ფურც. 507r.

⁴⁰ იქვე, ფურც. 656v.

„პროლოგ-სუნაქსარის“ და დ. ჯანდიერიშვილის მიერ შედგენილ „სადღესასწაულოს“ რამდენიმე ადგილის იდენტურობაზე მიუთითატრ. რუხაძემ⁴¹. უპირიანი იქნება ვაჩვენოთ სლავურიდან ქართულად გადმოღებულ „სადღესასწაულოს“ სლავურთან თანხვედნაც. ეს შრომატევადი სამუშაო მომავალში უნდა შესრულდეს. მაშინ გაირკვევა დ. ჯანდიერისა და დ. მაგრაქველიძის მთარგმნელობითი მეთოდის საინტერესო მხარეები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ძლისპირთა“ კრებულიდან (A—59) დასახელებულ „სადღესასწაულოში“ შეტანილია ყველა ქართველი მოწამის სვინაქსარული საკითხავი A-425 ხელნაწერის მსგავსად, ხოლო A—59-ის ხელნაწერისაგან განსხვავებით A—220-ში დამატებულია კანონები ყველა ქართველ და უცხო მოწამეებზე⁴².

მოსკოვის ქართული კულტურის კერაში მრავალი ლიტერატურული წიგნი თარგმნეს ან ქართული ძეგლი რუსულის მიხედვით შეასწორეს.

1728 წელს გიორგი ებიტაშვილს „წესი და რიგი რუსისა“ შეუტანია მოსკოვში გადაწერილ „მარხვანში“⁴³. სლავურის მიხედვით შესწორებული ეს ძეგლი 1738 წელს გამოიცა მოსკოვში დაფუძნებულ პირველ ქართულ სტამბაში⁴⁴.

ქართული ეკლესიის ლიტურგიული წიგნებით გამდიდრებაში წილი უდევს ცნობილ მთარგმნელ გაბრიელ გიორგის ძე ჩხეიძესაც. დარეჯან ბატონიშვილის ამ მოლარეთუხუცესმა სლავურიდან თარგმნა „დაუჯდომელი“⁴⁵. ეს ძეგლი მოსკოვში გადაიწერა 1738 წელს.

⁴¹ ტრ. რუხაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

⁴² ე. გაბიძაშვილი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, თბ., 1968.

⁴³ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი A, ხელნაწერი 849.

⁴⁴ იმავე სტამბაში ეს წიგნი დაიბეჭდა კიდევ ორჯერ (1741 წ. 1748 წ.).

⁴⁵ მასვე გადაუწერია კრებულის ერთი ნაწილი, რომელშიც შედის: „დაუჯდომელი“, „გალობანი“, „ლოცვა“, კირილე ალექსანდრიელის სიტყვანი, „სიმეოლო, რომელ არს აღსარება ალექსანდრიის პატრიარქის“ და სხვ. მთარგმნელისა და გადაწერის ანდერძი გვაუწყებს: „ქ. ეს რაჲ ამ წიგნში სწერია, გადმოვთარგმნე რუსულისაგან ქართულად მე, კურთხეულის მეფის არჩილის ვახტანგის შვილის საფარველს ქვეშე გაზრდილმან და დაბერებულმან გაბრიელ ჩხეიძემან, ბრძანებითა ასულისა მისისა ყეთილმარწმუნისა ცარევენა დარია არჩილოვნისითა, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩღმ, ვინც შეხუდეთ, თითო შენდობა ყავით ჩემთ(ე)ს, რათა თქ(ვე)ნცა შოგცეს ღმერთმან შენდობა“ (იხ. H—491, ფურც. 135).

ამავე მოღვაწეს ქართულად გადმოუღია საქრისტიანო-დიდაქტიკური თხზულება, რომელიც ტექსტის მიხედვით დასათაურებულია: „კიბე სულიერი“⁴⁶.

ადრე პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ძველ ფონდში (№ 643) დაცული ეს წიგნი ახლა ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (H-2111). ძეგლის შესავალს დასაწყისი აკლია, ხოლო ანდერძში მხოლოდ „რუსულიდან ქართულად გადმომწერის“ ვინაობაა მითითებული.

რუსული სასულიერო ლიტერატურის მკვლევარი ფ. გუმილევსკი და ბიბლიოგრაფი ალ. როდოსკი დასახელებული ნაშრომის ავტორად მიიჩნევენ უკრაინელ ისაია კოპინსკის. ამავე აზრისაა ამ ძეგლის ქართული თარგმანის აღმწერი თ. ყორდანია⁴⁷. ზოგი იმავე ძეგლის შემოქმედად ასახელებს დიმიტრი როსტოველ-ტუპტალოს.

თხზულების შეგონებანი ანბანზე (აქროსტიქი გააზრებულია კიბის საფეხურების თანამიმდევრობად) არის ჩამოწერილი. ამიტომ, ფიგურალურად მას სულიერი კიბე უწოდეს. ეს თავისებური პროზაული აქროსტიქია⁴⁸. ქართულ ხელნაწერში ასო-ნიშანი (ასომთავრული სინგურით), ჩარჩოში მოთავსებული ტექსტის გარეთ, თითოეული შეგონების დასაწყისთან. არშიაზეა მიწერილი.

ძეგლი დაყოფილია თავებად. სათაურები ნაწერია ასომთავრული სინგურით, ხოლო დანარჩენი ტექსტი შავი და მოყავისფრო მეღნით, გაკრული, მსხვილი მხედრულით.

შეგონებანი მოკლე და სხარტია. მაგ.: „ნუ იქადი ნურარათი და ნურცა იტყვი ვითარმედ მდიდარ ვარ“.

მთარგმნელი ქართული სახარების ენას ბაძავს და ცდილობს შეგონებების კლასიკური ძეგლების მიხედვით გაქართულებასაც.

თხზულება შემოკლებულად თარგმნილი ჩანს. მითითებულია, რომ ეს არის „მცირე კიბე სულიერი“.

ძეგლის ქართულად გადმომღებია მოსკოვში ქართული ახალშენის ადრინდელი მკვიდრი, არჩილის სკოლის მწიგნობარი გ. ჩხეიძე. აღსანიშნავია, რომ ეს მოღვაწე ანდერძში თავის ნამუშევარს თარგმანს არ უწოდებს და მას თხზულების რუსული ტექსტის ქართულად გად-

46 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია). ტ. V, შედგენილი ლ. მეფარიშვილის მიერ. თბ., 1949, გვ. 70.

47 იხ. Описание грузинских рукописей. кн. II. Тифлис, 1902, стр. 6—7.

48 ტ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. თბ., 1960, გვ. 212.

მოწერილად მიიჩნევს. ეს გ. ჩხეიძის მთარგმნელობით შეხედულებაზე კი არ უნდა მიუთითებდეს, არამედ ანდერძში გატარებული მოკრძალებული აზრი ძველ მწიგნობართა თავმდაბლობის გავლენად აღიქმება. დასახელებული წიგნი მოსკოვში მყოფ გ. ჩხეიძესვე გადაუწერია 1735 წელს.

აღნიშნული ძეგლი შინაარსობრივად უახლოვდება ქართულ მწერლობაში ცნობილი იოანე სინელის „კიბეს“ ანუ „კლემაქსს“, კარდინალ ბელიარმონის „კატეხიზმოს“ და ერთგვარად აგრძელებს ტრადიციას.

გ. ჩხეიძეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა ადრევე დაუწყო. ჯერ კიდევ 1707 წელს მან გადმოიღო დიმიტრი როსტოველის — ტუპტალოს „წვერის პარსვა“.

მოსკოვში მოღვაწე ქართველები აკვირდებოდნენ იმ ახალ წესებს, პეტრე პირველი რომ ნერგავდა.

დ. ტუპტალოს აგიტაციური მნიშვნელობის ზემოხსენებული თხზულება 1707 წელს გამოსცეს. აღსანიშნავია, რომ ქართველები მაშინვე დაინტერესებულან ამ წიგნით. ქართული თარგმანი მიჰყვება რუსულ ტექსტს. მთარგმნელი ცდილობს დედნის სრულყოფილად გააზრებას. ტექსტს წინ უძღვის „განსაზღვრა ხატებისათვის, მღთისა და მგზავსებად კაცისა“, მას მოსდევს „წინარე უწყება კეთილის მყოფელისა და კეთილად მსაჯულისა მკითხველისა“, ხოლო შემდეგ წვერის რაობადანიშნულების, მის ტარებასა თუ პარსვაზე თხრობა და დასკვნა.

ქართულში წვერის განსაზღვრის ადგილი შემოკლებულად არის თარგმნილი. ტექსტი ზოგან ჩასწორებულია. ამოფხეკილ ადგილას ერთგან მიწერილია — „რუსულია“. ნასწორები კალიგრაფიულად ჰგავს ანდერძს. ანდერძში ნათქვამია: „გადმოითარგმნა ეს წიგნი რუსული-საგან მოსკოვს, იმერეთის მეფის არჩილის სახლში გაზრდილის გაბრიელ ჩხეიძისაგან, წელს ჩღზ“.

ჩანს, ქართულად გადმოღებულ თხზულებაში რუსიციზმები თვით მთარგმნელს შეუმცირებია.

მოდწეული ძეგლი გაბრიელ გიორგის ძე ჩხეიძის საკუთრებაა, რაზედაც მიგვიითითებს მინაწერი.

როსტოვის მიტროპოლიტ დიმიტრის ეს თხზულება იდეურად უმაგრებდა მხარს სიახლეების დამწერგავ პეტრე I-ს.

რუსეთის საყოფაცხოვრებო სიახლეებზე დაწერილი ეს თხზულება, ჩანს, ქართველ მკითხველში პოპულარული არ ყოფილა. სხვათა

Եւ զարեւոյն յարեալ զարեւոյն յարեալ
 զարեւոյն յարեալ յարեւոյն յարեւոյն
 եւ զարեւոյն յարեւոյն յարեւոյն յարեւոյն
 եւ զարեւոյն յարեւոյն յարեւոյն յարեւոյն
 եւ զարեւոյն յարեւոյն յարեւոյն յարեւոյն

- 1. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 2. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 3. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 4. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 5. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 6. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 7. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 8. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 9. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 10. Եւ զարեւոյն յարեւոյն
- 11. Եւ զարեւոյն յարեւոյն

Յ. Բ.

Նոր. 22. «Սեղեն յարեւոյն» Նահիջի

შორის ამაზე უნდა მიუთითებდეს შემორჩენილი ერთადერთი ხელნაწერი (S—290).

ნაყოფიერმა მთარგმნელმა, ორიგინალური პოეტური თხზულების ავტორმა, გადამწერმა, მოსკოვის ქართული ანალშენის მკვიდრმა, საერო მოკვლემ, გ. ჩხეიძემ წვლილი შეიტანა სასულიერო შინაარსის ლიტერატურით ქართული მწერლობის გამდიდრებაში, ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის განვითარებაში.

მოსკოვის ქართული კულტურის კერაში მყოფმა მოღვაწეებმა რუსეთის ეკლესიაში მიღებულს შეუდარეს აღდგომის (აღვსების) საგალობლები, „ზატიკი“, რომელშიაც სლავურის მიხედვით განაახლეს და „მუნ განგება აამხედველეს“⁴⁹.

ამავე საქმეში წვლილი შეიტანა მოსკოვში მოღვაწე თბილისელმა მოძღვარმა პეტრემ. ერთ-ერთ კრებულში შეტანილი თხზულების ანდერძში იგი წერს: „მე პეტრე მოძღვარი, ტფილისელი მოქალაქე, გევედრები ყოველთა, რათა სურვილით შეიტკბოთ თვალმომდინარე სწავლა წიგნისა ამის და სწრაფად აღასრულეთ საქმიითაცა ძალი მისი, რამეთუ ეს არს ტაკუკი იგი ოქროსი, რომელსა შინა იღვა მანანა იგი...“⁵⁰.

ამ კულტურულ საქმიანობაში ჩართული იყო გიორგი ლუკაძეც, რომელიც 1753 წლის კრებულში იხსენიება, როგორც ბერის შვილი. მას გადაუწერსხავს „წიგნი სიბრძნისა ისო ძისა ზირაქისა“, თანდართულ ანდერძებში კალიგრაფი გვაწვდის საინტერესო ცნობებს მის ვინაობაზე, დამკვეთზე და სხვა.

გადანუსხული თხზულების ბოლოს გ. ლუკაძე ამბობს: „დავწერე ეს ორი წიგნი, რომელ არს სარწმუნოება და ისო ზირაქი, საფასეთა და წარსაგებლითა კახეთის თავადის იოანე სოლომონის ძე ქობულოვისათა, ხოლო შრომითა და რუდუნებით მე, ცოდვილმან ნეძვისელმა ლუკაძემ გიორგი ბერის შვილმან... დაიწერა დიდსა რუსეთსა დიდად სახელდებულსა სამეუფოსა ქალაქს, მოსკოვს, დასაბამითგან სოფლის ამის წელსა შვიდიათას ორას სამეოცდამეორესა ხოლო განჯორციელებითგან მლთისა სიტყვისათა ათას შვიდას ორმოცდამეცამეტსა წელსა“⁵¹.

ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნით, შედარება, შეჭერებით, გადაწერითა და გამოცემით მოსკოველმა ქართველებმა მნიშვნელოვ-

49 სსსტ. ძველი ქართული ხელნაწერების ფონდი, №№ 223, 351.

50 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, ხელნაწერი 108, ფურც. 243.

51 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, H, ხელნაწერი № 19, ფურც. 180v.

ნად შეუწყეს ხელი ქართული ეკლესიის განმტკიცებას, თანამოძმეთა იდეურ ამალლებასა და გადარჩენას.

§ 2. საერო ლიტერატურა

მრავალფეროვანია მოსკოვის ქართული კულტურის კერაში თარგმნილი საერო ლიტერატურა. ქართულად გადმოღებულია რომანი, ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ძეგლები, საისტორიო და სხვა შინაარსის თხზულებანი.

საერო ლიტერატურული ძეგლები რუსულიდან თარგმნის სათავეებთან დგას ალექსანდრე ბატონიშვილი. სხვადასხვა შინაარსის თხზულებებთან ერთად ალ. ბაგრატიონს მიეწერება ფილოსოფიური ძეგლის „ტეტამენტი“ ქართულად გადმოღება⁵².

„ტეტამენტი“ — ბასილი მაკედონელის დარიგება შვილ ლეონისადმი პოპულარული იყო რუსეთში XVII ს-ის I ნახევარში. ძველი, ენობრივად განახლებული თარგმანითა და პოეტური წინასიტყვაობით 1680 წელს თავის სტამბაში დაბეჭდა ს. პოლოცკი.

მოსკოვის ქართული ახალშენის ჩამოყალიბების პერიოდში რუსეთის დედაქალაქში ჩასული ქართველი მოღვაწეები დაინტერესდნენ ს. პოლოცკის შემოქმედებით.

ალ. ბაგრატიონს ქართულად გადმოუღია პ. პოლოცკის მეოხებით ენობრივად განახლებული და 1680 წელს გამოცემული დასახელებული ძეგლი.

ჩანს, ქართულად თარგმნილი იყო მხოლოდ ბასილ მაკედონელის (IX ს.) დარიგება შვილისადმი. ძეგლისადმი წამძღვარებული ს. პოლოცკის პოეტური წინასიტყვაობა არ არის არც ქართულ ხელნაწერში და არც 1739 წლის მოსკოვურ გამოცემაში. საფიქრებელია, რომ 1680 წელს დაბეჭდილი „ტეტამენტის“ ს. პოლოცკისეული წინასიტყვაობა არ იყო თარგმნილი.

ს. პოლოცკი ზრუნავდა მოზარდთა იდეურ-სარწმუნოებრივი განმტკიცებისათვის. ამასთან, აღზრდას ის უხამებდა საზოგადოებრივ და პირად კეთილმოქმედებას. ამიტომ მოამზადა მან დასახეჭდალ „ტეს-

⁵² ტრ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. თბ., 1960, გვ. 281.

Н. Надбандзе. Жизнь и деятельность Александра Арчиловича Багратиони. Автореферат. Тб., 1975. с. 20.

ტამენტი“. თხზულება მიეწერება იმპერატორ ბასილ მაკედონელს და შეიცავს ზნესწავლულება-დარიგებებს შვილისადმი, ლეონ ფილოსოფოსისადმი, რომლის აღმზრდელი იყო ცნობილი პატრიარქი ფოტი. ეს შეგონებანი წიგნში დალაგებულია თავებად და დაინტერესებული მკითხველი ადვილად იპოვის პასუხს მისთვის საინტერესო ზნეობაზე. მაგ.: სათნოებისათვის, მეგობართათვის, სიბრძნისათვის, კითხვასა თვს წიგნისა, „სწავლათა თვს სიტყვაათასა“ და ა. შ.

აღნიშნული ცილოსოფიური ძეგლის შეგონებანი მრავალმხრივ იქცევა ძოწიხავე ხალხების შემოქმედებას ზარბად დაწაფებულ ქართველ ემიგრანტთა ყურადღებას.

„ტესტამენტის“ დაბეჭდვა მოსკოვში დაფუძნებულ ქართველთა დამოუკიდებელ სტამბაში დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ახალშენის მესვეურნი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებას მეცნიერულ საფუძველს უქნინდნენ. იმ დროს მრავლისმეტყველი იყო ამ წიგნის ეპიგრაფად წამძღვარებული ბრძნული ნატვრა: „კეთილშესწრებულ არს სამეფო იგი, რომელსა შინა ანუ სიბრძნისმოყვარენი მეფობენ, ანუ მეფენი სიბრძნისმოყვარეობენ“.

ფილოსოფიურ-დიდაქტიკური თხზულებებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა განმანათლებელი, დიდაქტიკოსი, მეცნიერი მეფე ვახტანგ VI და მისი თანამებრძოლნი. ვახტანგ VI წუხდა, რომ სამშობლოს აოხრებათა გამო „არაღარა დაშთობილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ეს ფილოსოფოსთა“.

მოსკოვში მყოფ მეფე ვახტანგის დავალებით მისმა თანამოღვაწემ ერასტი თურქისტანიშვილმა რუსულიდან თარგმნა „აპოფთეგმატი“ ანუ „სიტყვის-გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა“.

აღსანიშნავია, რომ რუსულად გადმოთარგმნილი იყო პოლონელი დემიან ბუდნის „აპოფთეგმატი“, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა.

ქართულად თარგმნილი ძეგლი სამი წიგნია. ამ ძეგლის პოპულარობას მოწმობს ქართულად ჩამოყალიბებული მისი ვრცელი, მოკლე და გამოკრებილი რედაქციები⁶³.

⁶³ ლ. ძოწენიძე. რუსული „აპოფთეგმატას“ ქართული რედაქციები, თბ., 1959; სიტყვის გება სოგრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლალი ძოწენიძემ, თბ., 1978 წ.

ბრძნული აზრების პოეტურად გადმოცემისადმი ხალხის მიდრეკილვებამ განსაზღვრა თარგმნილი „აპოთეგმატის“ გალექსვა⁵⁴ ვახტანგ VI-ის მიერ.

მწერლური კულტურის სიმაღლის მაჩვენებელია რომანის თარგმნა. XVII საუკუნის რუსულ ლიტერატურაში პოპულარული იყო სერბული რედაქციის „ალექსანდრიანი“⁵⁵.

ძველი სამყაროს გამოჩენილი პირი ალექსანდრე მაკედონელი პოპულარული იყო შუა საუკუნეებშიც. ამას ხელს უწყობდა არა მარტო ძველ ისტორიკოსთაგან დანატოვარი ამ გმირის თავგადასავალი, არამედ გვიანელი ისტორიკოსების მიერ ხანაში შექმნილი მოთხრობაც. რომლის ავტორობა ფსევდოკალისტენეს მიეწერება.

გადამუშავებული ფსევდოკალისტენური „ალექსანდრიანი“ აღწერილ შუა საუკუნეებიდანვე გავრცელდა აზიისა და ევროპის ქვეყნებში⁵⁶.

სირიაში VI საუკუნეში ცნობილი იყო ლეგენდა ალ. მაკედონელზე; ხოლო VII—VIII საუკუნეებში იქ გაჩნდა ფსევდოკალისტენური მოთხრობის თარგმანიც⁵⁷. მომდევნო ხანაში (IX—X სს) ეს მოთხრობა ქართულადაც უთარგმნიათ⁵⁸.

ფსევდოკალისტენური „ალექსანდრიანი“ რუსეთში ვრცელდება XII—XIII საუკუნეებში. XV საუკუნეში, სამხრეთ სლავებთან რუსების კულტურული ურთიერთობის შედეგად, ჩნდება ამავე სახელწოდების სერბული რედაქციის რომანი⁵⁹. ამ თხზულების გავრცელების შემდეგ ფსევდოკალისტენური „ალექსანდრიანი“ რუსეთში ისტორიულ ნაწარმოებად მიუჩნევიათ და მას მხოლოდ „ქრონოგრაფსა“ და ისტორიულ კრებულებში ათავსებდნენ.

⁵⁴ „აპოთეგმატის“ პირველ ნაწილს („მოკლე სიტყვის-გება. სოგრატიკა“) პოეტმა მეფემ „სიბრძნე მალაღობელი“ უწოდა. მანვე ლექსად გარდათქვა ამ ექვლის მერვე და მესამე ნაწილები; გაამდიდრა ტექსტი, გააღრმავა აზრი.

⁵⁵ Е. В. Ванеева. История Сербской Александрии в России. Автореферат. Л., 1980 г.

⁵⁶ В. Истрин, Александрия русских хронографов, 1893, с. 2.

⁵⁷ Ал. Веселовский, В. Истрин, Александрия русских хронографов, М., 1893, с. 5.

⁵⁸ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თბილისი, უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 3, 1923, გვ. 48.

⁵⁹ Александрия, роман об Александре Македонском по русской рукописи XV века; Е. В. Ванеева. История Сербской Александрии в России Автореферат. Л., 1980.

სერბული „ალექსანდრიანი“ შუა საუკუნეების ტიპური სიარინდო რომანია. მის შემოქმედს ფანტაზიისათვის ფართო გასაქანი მიუცია. ამასთან ზოგიერთი თემა ღრმად და მაღალმხატვრულად დაუმუშავებია. ამან განაპირობა შუა საუკუნეების ბელეტრისტიკაში ერთერთ განთქმულ ქმნილებად მისი აღიარება.

რომანი XVIII საუკუნის I მეოთხედში ითარგმნა რუსულიდან ქართულად, ხოლო შემდეგ მის საფუძველზე შეიქმნა ქართული „ალექსანდრიანის“ გალექსილი და პროზაული რედაქცია.

ქართველ მკვლევართა ყურადღება „ალექსანდრიანმა“ გასული საუკუნის 80-იან წლებში მიიპყრო.

პირველად ამ ძეგლს, „ბიბლიოგრაფიული მოხილვა“ უძღვნა ბ. ყვიცარიძემ⁶⁰.

1893 წელს ალ. ხახანაშვილმა მოზრდილი წერილი გამოაქვეყნა თარგმნილი „ალექსანდრიანის“ ერთ გვიანდელ ხელნაწერზე, რომელიც მან 1892 წლის ზაფხულში, კახეთში იპოვა. აღნიშნული ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე მიღებული ხახანაშვილისეული დასკვნების ნაწილი დღესაც მნიშვნელოვანია.

ალ. ხახანაშვილმა გააკრვია, რომ მის მიერ ნაპოვნი „ალექსანდრიანი“ სერბული რედაქციაა. მკვლევარმა „ალექსანდრიანის“ ქართული ტექსტი შეუდარა სერბულ ენაზე გამოქვეყნებულ რომანს, მიუთითა მათ შორის არსებულ განსხვავებებზე და დაასკვნა: ...несмотря на эти незначительные отличия грузинской повести от Александры от сербской редакции, близость первой ко второй не подлежит сомнению... ни из напечатанных сербских текстов ни один не лежит в основании грузинской повести⁶¹.

ამის მიუხედავად ქართულ თარგმანს მკვლევარი უშუალოდ სერბული ენიდან შესრულებულად მიიჩნევდა.

ალ. ხახანაშვილმა ქართული თარგმანი „ალექსანდრიანის“ უძველესი რუსული ხელნაწერის გამოქვეყნებულ ფრაგმენტებსაც შეაჯერა, მაგრამ მათ შორის სიახლოვე ვერ დაინახა. მკვლევარი რომ გამოქვეყნებული ფრაგმენტებით არ დაკმაყოფილებულიყო, შეიძლებოდა სხვა აზრი გამოეთქვა.

⁶⁰ ბ. ყვიცარიძე, ქართული „ალექსანდრიანი“ (ბიბლიოგრაფიული მოხილვა), ტფა, 1889, № 1, გვ. 173—202.

⁶¹ А. Х а х а н о в, Грузинская повесть от Александры Македонском и сербская Александрия, ЖМНП, ნაწილა 289, სპბ, 1893 წლს სექტემბერი, გვ. 248—249.

ქართული ხელნაწერის ტექსტოლოგიური შესწავლის საფუძველზე ალ. ხახანაშვილმა მართებულად მიუთითა ქართულ ძეგლში არსებულ ზოგიერთ შეცდომას და პეტრე ჩხატარაძის ცნობის მიხედვით, რომანის მთარგმნელად არჩილი მიიჩნია.

სხვა ძეგლებთან შედარებით, „ალექსანდრიანის“ ქართულ თარგმანს ვრცლად შეეხო ალ. ხახანაშვილი თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაშიც“.

ზოგიერთ დამატებით ფაქტზე მითითებით აღნიშნულ წიგნში მკვლევარმა კიდევ უფრო გააღრმავა ადრე მიღებული დასკვნები. ამავე დროს დასახელებული რომანის გალექსვა მან შეცდომით მიაწერა პ. ლარაძეს.

აკად. კ. კეკელიძემ გამოთქვა სწორი ვარაუდი, რომ არჩილს უნდა ესარგებლა „სერბიული რედაქციიდან მომავალი რუსული თარგმანით“⁶².

აკად. ალ. ბარამიძემ სპეციალურად გამოიკვლია ქართული „ალექსანდრიანი“ და დაადგინა, რომ ქართულად თარგმნილი ტექსტი მე-18 საუკუნის I მეოთხედში ჯერ გაულექსავს, ხოლო შემდეგ პროზაულად გადაუმუშავებია პეტრე ჩხატარაძეს. მკვლევარმა გამოავლინა პროზაული „ალექსანდრიანის“ 14 ხელნაწერი, რომელთაგან უძველესი 1789 წელს არის გადაწერილი. ალ. ბარამიძემ ამ ძეგლის ხელნაწერები დააჯგუფა არჩილისეულ და ჩხატარაძისეულ რედაქციებად⁶³.

გაკვირთ შეეხო „ალექსანდრიანს“ თავის საკანდიდატო დისერტაციაში ლ. შეპელიოვა. მკვლევარი ამ თხზულებას რუსული ენიდან თარგმნილად მიიჩნევს იმ შესწორებით, რომ თითქოს ქართულად ეთარგმნოთ „ალექსანდრიანის“ გვიანდელი ფსევდოკალისტურული რედაქცია. ლ. შეპელიოვა წერს: „...Аршилом переведена не так называемая „сербская“ редакция повести, а одна из поздних псевдокаллисифеновых редакций, входивших в хронографы, и испытавших на себе влияние „сербской“ редакции. Не ясно также, является ли перевод „Александрии“ на грузинский язык составной частью переведенного хронографа или же вполне самостоятелен“⁶⁴.

⁶² კ. კეკელიძე, ალექსანდრიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 362.

⁶³ ალ. ბარამიძე, ქართული ალექსანდრიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1940, გვ. 235—246.

⁶⁴ Л. С. Ш е п е л е в а, К вопросу об источках грузинской драматургии XVIII в. Из истории русско-грузинских культурных связей. Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, с. 43.

როგორც მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, მკვლევარს ვერ შეუ-
სწავლია „ალექსანდრიანის“ ქართული ხელნაწერები, ეს უკანასკნელი
ვეიდასტურებს, რომ ქართულად თარგმნილია სერბული რედაქცია,
რაც თავის დროზე ალ. ხახანაშვილმაც უეჭველპყო.

ნაშრომში „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის
ისტორიიდან“ პროფ. ტრ. რუხაძემ „ალექსანდრიანს“ ვრცელი ადგი-
ლი დაუთმო⁶⁵.

მკვლევარი სწორად მიუთითებს, რომ „ალექსანდრიანის“ ქართულ
რედაქციას საფუძვლად უდევს რომანის რუსული ან უკეთ სერბული-
დან მომდინარე ვერსია⁶⁶. ამ მოსაზრებას იგი ტექსტში შესული ზოგი
რუსიციზმის აღნიშვნით ამაგრებს და ქართულ თარგმანში არსებულ
ერთ შეცდომასაც რუსული ტექსტის გავლენით ხსნის.

ტრ. რუხაძეს უცდია „ალექსანდრიანის“ ქართული და რუსული
რედაქციების შედარებაც. ქართული თარგმანის დასაწყისიდან ამოღე-
ბული ორი წინადადების შესატყვისი მას უპოვია რუსული „ალექსან-
დრიანის“ მინიატურების 1880—1887 წლების გამოცემაში, მაშინ, რო-
დესაც აღნიშნული რომანის რუსული ხელნაწერები უამრავი მოგვეპო-
ვება. ამასთან დაკავშირებით ტრ. რუხაძე „ალექსანდრიანის“ უკრაი-
ნული რედაქციის სტ. გავესკისეულ გამოცემასაც უთითებს, რაც გა-
კვირვებას იწვევს. რა შუაშია უკრაინული ტექსტი, თუ ქართული თარ-
გმანის რუსულიდან მომდინარეობა გეჭერა?

ქართული თარგმანის რუსულიდან მომდინარეობის დასამტკიცე-
ბლად ტრ. რუხაძე იძულებული შეიქნა ქართული წყარო (პეტრე
ჩხატარაძის ნათქვამი) მოეშველებია. ამასთან, დაუსაბუთებლად, მან
„ალექსანდრიანის“ თარგმანის თარიღი 1700—1710 წლებით განსა-
ზღვრა.

„ალექსანდრიანის“ ლიტერატურულ წყაროებზე მსჯელობისას
მკვლევარი წერს: „ქართველ მთარგმნელ-ავტორებს (არჩილი, პეტრე
ჩხატარაძე), ახალი, ქართული და უცხო წარმოშობის წყაროებით
გაუმდიდრებით „ალექსანდრიანის“ ქართული რედაქციები“⁶⁷. სამეც-

⁶⁵ ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ის-
ტორიიდან, თბ., 1960, გვ. 268—276.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ იქვე, გვ. 271.

ნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გამიჯნულია ერთმანეთისაგან „ალექსანდრიანის“ არჩილისეული და ჩხატარაისძისეული რედაქცია. ეს უკანასკნელი მართლაც არის გამდიდრებული სხვადასხვა წყაროთი, მაგრამ ამას პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს არჩილისეულ რედაქციასთან და ის, რაც ერთისათვისაა დამახასიათებელი, არ შეიძლება ხელაღებით მივაწეროთ მეორეს.

არჩილის მთარგმნელობით მოღვაწეობასთან დაკავშირებით, „ალექსანდრიანს“ გაკვრით შეეხნენ ლ. მენაბდე⁶⁸ და რ. ბარამიძე⁶⁹.

ჩვენ განვიხილეთ რომანის ძველი ხელნაწერი და სხვა საკითხები⁷⁰.

1980 წელს რ. მირიანაშვილმა გამოსცა ეს თხზულება⁷¹.

რომანის მთარგმნა მაღალი მწერლური კულტურის დამადასტურებელია. ძეგლის ქართულად გადმოღება მიეწერება ქართული კულტურის დიდ მოპირნახულეს — მეფე არჩილს. მისი ინტერესის შეჩერება „ალექსანდრიანის“ აღნიშნულ რედაქციაზე მრავალმხრივ საყურადღებოა.

არჩილ მეფე ძეგლის მთარგმნელად მოხსენებულია „ალექსანდრიანის“ გამლექსავ პ. ჩხატარაისძის მიერ:

ესე ამბავი ჩრდილოეთს, რუსთ ქვეყნად იყო დებული,
უამთა სიგრძისა ძველქმნითა ყოვლსქვეყნად დაიწყებული,
გადმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებული,
მიბრძანეს, ლექსად გამოეთქვი, მსმენნო, იყვნით შევებული.

ამ ცნობის მიხედვით, მხატვრული ძეგლის ქართულად გადმოღება მიეწერება ქართული კულტურის შეთაურს მეფე არჩილს. მისი ინტერესი ამ მხრივ დასახელებული რედაქციის „ალექსანდრიანზე“ შეჩერებულა. სავარაუდოა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებითა და გმირული მოღვაწეობით მეფე არჩილის დაინტერესება განაპირობა უფროსი ვაჟიშვილის ალექსანდრეს ბედმა.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ეს რომანი მეფე არჩილს XVII ს-ის დასაწყისში უნდა ეთარგმნა.

68 ლ. მენაბდე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კვრების ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 208.

69 რ. ბარამიძე, არჩილ ბაგრატიონი, თბ., 1983, გვ. 71.

70 ფრ. სიხარულიძე, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, საისტორიო კვრებული. II, თბ., 1972, გვ. 72—99.

71 ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი. დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბ., 1980, გვ. 32—36.

„ალექსანდრიანის“ გამლექსავი პეტრე ჩხატარაძს ძე, მხოლოდ ზოგადად მიუთითებს ამ ძეგლის მთარგმნელზე.

„ალექსანდრიანის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები რომ შევაჯამოთ, ასეთ დასკვნას მივიღებთ: ქართულად გვაქვს სერბული წარმოშობის რომანი, მაგრამ, რომელი ენიდანაა ეს ძეგლი თარგმნილი, დასაბუთებული არ არის. თარგმნა მიეწერება პოეტ არჩილს. პ. ჩხატარაძეს ჯერ გაულექსავს, ხოლო შემდეგ შეუქმნია „ალექსანდრიანის“ ახალი პროზაული რედაქცია. მიკვლეულია ამ თხზულების რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაგან უძველესი XVIII საუკუნის დასასრულს მიეკუთვნება და გამიჯნულია ერთმანეთისაგან არჩილისეული და ჩხატარაძისეული რედაქციები.

მცირედაა შესწავლილი სერბული რედაქციის „ალექსანდრიანი“ რუსეთსა და უცხოეთშიც. რუსულად ამ რომანის მხოლოდ XV საუკუნის ხელნაწერია გამოქვეყნებული. „ალექსანდრიანის“ ქართველ მკვლევარს თუ არ ეეკვება ამ თხზულების რუსულიდან თარგმნა, მაშინ იგი იმ უამრავი რუსული ხელნაწერებიდან ძირითადად მაინც უნდა გაეცნოს და ამასთან რომანის ქართული ხელნაწერებიც საფუძვლიანად შეისწავლოს. ჩვენ „ალექსანდრიანის“ მთლიანად შესწავლის ამოცანას ამჯერად არ ვკისრულობთ.

„ალექსანდრიანის“ ქართული ხელნაწერების შესწავლა და მათგან უძველესის გამოცნობა აუცილებელია იმის დასადგენად, თუ რა დონეზე იყო შესრულებული თარგმანი და შემდეგ რა ცვლილებები განიცადა ძეგლმა.

1965 წლის სექტემბერში, სანქტ-პეტერბურგში, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობისას, ივანე ბატონიშვილის კოლექციაში ჩვენ მივაკვლიეთ „ალექსანდრიანის“ ერთ საინტერესო ხელნაწერს. იგი ამ კოლექციაში 30-ე ნომრითაა აღნიშნული. მკვლევართ ეს ხელნაწერი აქამდე არ ჰქონიათ გათვალისწინებული.

ქართოთეკის ანაწერში ძეგლი „ალექსანდრე მაკედონელის ისტორიად“ იწოდება. იგივე მიუწერიათ რესტავრირებული წიგნის გარეკანზე, ხოლო წიგნითა ფურცელზე ეს ნაწარმოები ასეა დასათაურებული: „მოქმედება და ცხოვრება ალექსანდრე (გადახაზულია) ფილიპე მაკედონელისა“.

რა ეწოდებოდა ამ რომანს ქართულად? — საინტერესოა, რომ ტექსტის დასასრულს ეს თხზულება „ამბავად“ იწოდება: „და ესრედ დაესრულა მაკედონის მეფისა ალექსანდრესი ამბავი“ — ვკითხულობთ

იქ. საფიქრებელია, რომ მთარგმნელი ამ ნაწარმოებებს ძველი გაგებით ამბავად, ანუ ისტორიად მიიჩნევდა. ჩანს, თარგმანი ასე იყო დასათაურებული: „ისტორია ალექსანდრე მეფისა მაკედონიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა სამკვეთისა და თვითმპყრობელისა მეფეთმეფისა“⁷².

ხელნაწერს, ტექსტის შემდეგ, ოთხ გვერდზე (198-ე და 199-ე ფურცელზე) ერთვის გაბრიელ ჩხეიძის ვრცელი ლექსი. იგი ტექსტისაგან განსხვავებული ხელითაა ნაწერი. ჩანს, ლექსი თვით გაბრიელ ჩხეიძესვე ჩაუწერია ანდერძის მაგივრად სუფთად დარჩენილ ფურცლებზე. ლექსი სუსტია მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ სხვა მხრით ინტერესმოკლებული არ არის. ლექსის დასაწყისში გაბრიელ ჩხეიძე მოხუცებულობას უჩივის:

ქ. ვოქვი, განვიზრახე გაბრიელ ჩხეიძემან მე ესეა,
აეთ მეოქვას ნურჟინა მგმობს სიბერისას ეს ლექსია
პირვანდელი ჩემი გონი სიმხნეშივე დავთესეა
და აწე ამას გვედრები შენდობითა შემოსეა.


ეს მრავალმხრივ საყურადღებო ცნობაა. ამ თხზულების შემოხსენებულ ანაწერში გაბრიელ ჩხეიძის ვინაობის შესახებ ვკითხულობთ:

„В конце текста завещание священника Иоанна Гаврила Чхендзе в стихах“. ეს სწორი არ არის! გაბრაელ გიორგის ძე ჩხეიძე ცნობილი პიროვნებაა. იგი დარეჯან ბატონიშვილის მოლარეთუხუცესი იყო. გ. ჩხეიძე მთარგმნელობასაც ეწეოდა. მან თარგმნა დ. როსტოველის „წვერის პარსვისათვის“. თ. პროპოკოვიჩის „პირველ სასწავლო ყრმათა“. „ალექსანდრიანის“ ხელნაწერზე დართული ლექსი გ. ჩხეიძეს მე-18 საუკუნის 30-იან წლებში უნდა შეეთხზა, ხოლო „ალექსანდრიანის“ ტექსტი ამანუ ადრე (XVIII-ის I მეოთხედი) არის გადაწერილი.

გადამწერად გაბრიელს ვერ მივიჩნევთ, რადგან მისი კალიგრაფია არ ემთხვევა ტექსტისას. ცნობა, გადამწერის, გადაწერის დროისა ან ადგილის შესახებ ამ ძეგლს არ დაუცავს, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ხელნაწერი წიგნი შექმნილია მოსკოვში. ვინ უნდა იყოს მისი გადამწერი? — ჩვენ ვიცნობთ მოსკოვში მოღვაწე ქართველების კალიგრაფიას. ამის მიხედვით, ძეგლი, თითქოს, გ. დ. მეტრეველის გადანუსხულია.

⁷² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, აღწერილი ს. კაკაბაძის და პ. გოგოშიძის მიერ, ტ. I, თბ., 1949, გვ. 10, ხელნაწერი № 19.

„ალექსანდრიანს“ მისი გვიანდელი მფლობელის მინაწერიც აქვს. ტექსტის დასაწყისსა და 53-ე გვერდზე მხედრული წარწერით ეს რომანი 1790 წელს ქეთევან წერეთლის საკუთრებაც ყოფილა. 53-ე გვერდზე ვკითხულობთ: „იმერეთის სახლთხუცის წერეთლის ზურაბის



სურ. 25. „ალექსანდრიანი“

ასულის ქეთევანის ვარ. რლუ“. ტექსტის დასაწყისში ქეთევანს მიუწერია: „მეფის სძალი წერეთლის ასული ქეთევან“. ცნობილია, რომ ქეთევანი 1787 წელს ცოლად გაყვა იოვანე ბატონიშვილს⁷³. წერეთლის ასული მწიგნობრობის მოყვარული იყო, ხოლო იოვანე — შესანიშნავი მეცნიერი. საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ქართველი მეფის ოჯახი პეტერბურგს გადაასახლეს. „ალექსანდრიანი“ მათ მდიდარ კოლექციაში შედიოდა. ეს კოლექცია იოვანეს შვილიშვილმა გადასცა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას.

ამრიგად, მოსკოვში შექმნილი ხელნაწერი XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში ჰქონიათ, ხოლო შემდეგ კვლავ რუსეთში, მაგრამ ამჯერად პეტერბურგს წაუღიათ.

რომანი გადანუსხულია თეთრ ქალაღზე. დასაწყისი, სათაურები და საზედაო ასოები ნაწერია ნუსხურად, სინგურით, ხოლო დანარჩენი — მოყვითალო მეღნით, მსხვილი მხედრულით.

ხელნაწერის ზომა 34×21 სანტიმეტრია. ტყავგადაკრული ყდა რესტავირებულია. წიგნში 199 ფურცელია, ორი ფურცელი დაუწერელია. თხზულება შემკულია მინიატურებით. „ალექსანდრიანის“ შემკულობათა სრული შესწავლა მომავლის საქმეა. აქ მხოლოდ ზოგიერთ თავისებურებას მივუთითებთ.


თავსამკაულად გამოყენებულია ხუთკუთხოვან პოლტამენტზე აღმართული ჯვარი. ჯვრის მხრებზე ბერძნულად წარწერილია: IC XC ბერძნულია ჯვრის თავზე მინაწერიც: NiKa (ძღვევა), რითაც გამოსახულებას სიმბოლური შინაარსი ეძღვევა. ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჯვრის კულტს დიდი ტრადიცია აქვს. აღრიდანვე იქცა ეს თემა ქართული წიგნის დეკორატიული შემკულების შემადგენელ ნაწილად.

ხელნაწერის დასურათება ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებას მიჰყვება. „ალექსანდრიანის“ ამ ნუსხაში 139 მინიატურაა. სურათების უმრავლესობას ახლავს ამხსნელი წარწერები, შესრულებული ლამაზი ხელით (შავი მეღნით) რუსულ ენაზე. შეცდომები რუსულ წარწერებში იმაზე მიგვითითებს, რომ იგი რუსს არ უნდა შეესრულებინა. რამდენიმე ადგილას ილუსტრაციებს გვიანდელი ქართული მინაწერებიც აქვს. ქართული მონაწერების გაჩენა სურათებზე რუსული წარწერების არსებობით ჩანს ნაკარნახევი.

სიღიღით მინიატურები ძირითადად ორი სახისაა. სურათები იმის მიხედვით იცვლება, თუ როგორი სცენების გადმოცემა სურს შემოქმედს.

⁷³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. — I, თბ., 1953, გვ. 364.

Handwritten text in Georgian script, likely a religious or historical document. The text is arranged in approximately 12 lines, starting with a large initial letter 'V'. The script is dense and characteristic of the 17th-century Georgian bookhand.



ასე, მაგალითად: ბრძოლების ან შეკრებილობის შემცველი მრავალფე-
გურიან კომპოზიციებს ტექსტისაგან თავისუფალი გვერდი ეთმობა,
მაგრამ ეს გვერდები მთლიანად არ არის დაკავებული და მოზრდილი
ცარიელი ადგილები რჩება. ჩანს, შემდეგ ასეთი ადგილების შევსების
სურვილი გაჩენიათ და მთლიანი გვერდის მინიატურების ირგვლივ
ყვავილები ჩაუხატიათ. იგივე ცარიელი მინდორი გამოუყენებიათ ზე-
მოაღნიშნულ გვიანდელ მინაწერებისათვისაც.

რამდენიმე ფიგურისაგან შემდგარი სცენები, ცალკეული მოქმე-
დი პირისა და ზოგიერთი პატარა ეპიზოდის შემცველი მინიატურები
მთელ გვერდს მოიცავს. ასეთ სურათებს არც დამატებითი გაფორმე-
ბა აქვს და არც გვიანდელი ქართული მინაწერები.

წიგნში გვხვდება მინიატურისათვის განკუთვნილი ცარიელი ად-
გილები (16v, 30r, 47v, 137r), რომელზედაც გაკეთებულია რუსული
წარწერები. აღნიშნული გვერდების დაუსურათებლობის მიზეზი მხო-
ლოდ გულმავიწყობა როდია. ჩანს, მხატვარი წინასწარ საზღვრავდა
ჩასახატი სურათის მოცულობას და მისი დაუტევლობის შემთხვევაშიც
მცირე ადგილებს მოუხატავს სტოვებდა. აქედან ისიც ირკვევა, რომ
შესაძკობ ადგილს სხვა უნიშნავდა მხატვარს. ეს იმაზეც მიგვითითებს,
რომ წიგნის შემკობა ტექსტის გადაწერის შემდეგ მომხდარა.

მინიატურები ორ-ორი წყვილი ხაზებისაგან შემდგარ ჩარჩოებშია
ჩასმული. ილუსტრაციათა ასეთი მსუბუქი მოჩარჩოება გამიზნულია
თვით სურათის შესაკვრელად და ტექსტისაგან მინიატურის გამოსა-
ცალკევებლად. გამოსახულებები ერთგვარად თითქოს გამოეყოფა,
თუმცა იმავე დროს ორგანულად უკავშირდება ტექსტს.

„ალექსანდრიანის“ თითოეული ილუსტრაცია მხოლოდ ერთ რო-
მელიმე ეპიზოდს გადმოგვცემს. მისი დამსურათებელი ერიდება რამ-
დენიმე სცენის ერთ მინიატურაზე გაერთიანებას. ამასთან საილუსტრა-
ციოდ გამოყოფილია რომანის თითქმის უმნიშვნელო ეპიზოდიც. ამან
განაპირობა მინიატურათა სიმრავლე.

ხელნაწერის ილუსტრაციათა სიუჟეტური განხილვა გვიჩვენებს,
რომ მხატვრის მიზანი რომანში მოთხრობილი ამბის, ნაწარმოებში გა-
შლილი მოქმედების დანაწევრებული, ამასთან თანმიმდევრული ფაზე-
ბის გამოსახვაა. მაგ.: პირველი მინიატურა ნეკთანაფ მეფის წერილს
ეძღვნება. სურათი ასახავს ეგვიპტის მეფის საძინებელ ოთახს. საწოლ-
ზე წერილი დევს გაშლილი გრაგნილის სახით. იგი რუსულადაა და-
წერილი. წერილი ზუსტად შეესაბამება ქართულ თარგმანს. შემდეგი
მინიატურებია: „ყუბანელთა გაქცევა“, „მეფე ფილიპე“, „მეფე ანა-

Կըլա: ոչոչա: թղթ-պրո: զըղլխե թո
 վն: զլխե: թղթոտո: մտ: ճոտո: թ
 զրոմնոթ: ցոտո: Եղա: թ: մե: տ
 գեևե: մըզե: զըղլխե թղթոտո: թ
 թոտո: մեևե: զլխեևե տոտո: թ
 մեղլ: ոչո: մոխե: մոտո: մեևե:
 ոտո: յոտո: թմըլ: թմոտո:
 Կոտո: տգե: Եմըլ: Եմոտո:
 Կե: թ: զըղլխե թղթ: թղթ
 մե: մե: տգե: յոտո: մո: յ
 տո: յոտո: տգե տգե: յոտ
 Ե: թմըլ: թոտո:
 Կ: թլխե: մո
 Կ: մե: մըզե:
 զըղլխե թղթ
 ո: մե

Գր: Ե



კრეონი“, ალექსანდრეს რომსა და ეგვიპტეში გალაშქრება, „ალექსანდრე წერილს წერს დარიოსს“ და ა. შ. აქედან ნათლად ჩანს, რომ განსახილველი ხელნაწერის დამსურათებელი მომთხრობელია — ყოველ მინიატურაში თანმიმდევრულად ასახულია ხელნაწერი ტექსტით ნაკარნახევი ესა თუ ის ამბავი. „ალექსანდრიანის“ ყველა მინიატურის სიუჟეტი ემთხვევა მისსავე შინაარსს. თუ ქართული ხელნაწერის დამსურათებელი დამოუკიდებელია და არ მისდევს „ალექსანდრიანის“ რუსული ტექსტის მინიატურებს, მაშინ ქართული ხელნაწერის შემამკობელი კარგად იცნობს ტექსტს.

„წიგნში“ არის საზეიმო ციკლის სცენები: საუბრები, შეხვედრები, სამეფო, დარბაზი. საკმაოდაა ბატალური სცენებიც: ბრძოლა, ლაშქრობა, ალყა და ა. შ. მოქმედებას ადგილად პირობითად აღნიშნულია არქიტექტურული ნაგებობანი, მთები. მინიატურისტი მრავალ ადგილას შედარებით ოსტატურად ახერხებს მატერიალური კულტურის სურათის შექმნას, პერსონაჟების დახატვას და მათი აღჭურვილობის (ჯავშნის, ხმლის, დროშის და სხვ.) გადმოცემას. მრავალფიგურიან კომპოზიციებში მხატვარი აღწევს მოქმედების ნათლად გამოსახვას და მთავარ პერსონაჟებზე ყურადღების გამახვილებას. მთავარი მოქმედი პირის ფიგურის ხაზგასასმელად ხელოვანი მას აყენებს შემალღებულ ადგილას და ფერთაც ასხვავებს. ამის ერთ-ერთი ნიმუშია დარბაზის ერის თანდასწრებით დარიოზისადმი ალექსანდრეს წერილის მიწერის სცენა.

მინიატურებს ნაკლიც აქვს. ზოგი ილუსტრაცია ერთგვაროვნად არის აგებული. სიტუაციები კარგად ვერ არის გამოსახული. მოკლედ, ჩვენი ხელნაწერის დამსურათებელი დიდი ხელოვანი ვერ არის.

პეიზაჟი საკმაოდ მშრალი და მონოტონურია. „ალექსანდრიანის“ შემამკობელ მხატვარს მარტოოდენ რუსული ხელნაწერების მინიატურები კი არ შეუსწავლია, არამედ ხელთ ჰქონია ამავე თემაზე დასავლეთ ევროპელ, კერძოდ იტალიელ, მინიატურისტთა ნახატებიც. დასავლეთის გავლენა ჩანს არქიტექტურაში (ქალაქებში), მებრძოლთა აღჭურვილობაში, ერთ-ერთ მინიატურაზე (ფურც. 101r), იტალიურად არის წარწერილი.

როგორც ცნობილია XVII საუკუნის ქართულ მხატვრობას აღმოსავლური, კერძოდ სპარსული, მხატვრობის გავლენის საშიშროება შეექმნა. სპარსული მხატვრობის სტილი ქართული შემოქმედებისათვის უცხო და მიუღებელი იყო. ქართული ხელოვნების მოღვაწენი იღვწოდნენ კლასიკური ქართული მემკვიდრეობის აღსადგენად და ევროპუ-

ლი ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მხატვრული საშუალებების გამოყენებასაც ცდილობდნენ.

ქართული კულტურის მოამაგეთა სწრაფვა ევროპული კულტურისაკენ მაშინ აუცილებელი იყო. „ალექსანდრიანის“ შემკობა ერთ-ერთი პირველი ცდაა ამ მიმართულებით. როგორც ჩვენი ხელნაწერის მინიატურები მოწმობს, გაბედული განზრახვა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. ეს მოსკოველ ქართველთა მხატვრულ-შემსრულებლური დონის შედეგი იყო. რუსეთში მცხოვრებ ქართული კულტურის მაშინდელ მოამაგეთ არ ეყოთ დონე იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რომელიც ეპოქამ მათ წინაშე დააყენა. შემოქმედებითი ძალების შემდგომი ზრდისა და მომწიფების შედეგად ქართულმა ხელოვნებამ შესძლო ახალი და გამოსახვის თითქოს „უცხო“ საშუალებების ათვისება და შემოქმედებითაც გადამეშავება. ეს ნათლად ჩანს „ქილილა და დამანას“ (მე-18 ს-ნის 30-იანი წლები) დამსურათებელი ოსტატის ნამუშევრის მაგალითზე.

„ალექსანდრიანის“ მინიატურებიანი ხელნაწერისადმი ინტერესი დიდია. აქამდე ამ რომანის მხოლოდ ერთი შემკული წიგნი იყო ცნობილი, ეს არის ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 213 ხელნაწერი, გადაწერილი 1807 წელს გ. წერეთლის დაკვეთით. აღნიშნული ხელნაწერი ჩხატარაძისძესული რედაქციას. ქართული „ალექსანდრიანის“ შემკულობისათვის სწრაფვა საგულისხმო ფაქტია.

იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი განსხვავდება საქართველოში დაცული „ალექსანდრიანის“ არჩილისეული რედაქციის ხელნაწერისაგან. ბატონიშვილისეული „ალექსანდრიანი“ არჩილისეული რედაქციის უძველესი ნუსხაა, ხოლო საქართველოს სიძველეთსაცავებში არსებული ამავე რედაქციის ხელნაწერები — მისი გვიანდელი ვარიანტებია. ამასთან ვარიანტული განსხვავების საფუძველი მხოლოდ ჩვენი ხელნაწერი არ უნდა იყოს.

ჩვენ შევუდარეთ იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 30 ხელნაწერი „ალექსანდრიანის“ არჩილისეული რედაქციის სხვა ხელნაწერებს⁷⁴. ჩვენს ძეგლთან ახლოს დგას ხელნაწერთა ინსტიტუტის A—697, A—1070, H—105, H—188, H—1249, S—185, S—2888


⁷⁴ ალექსანდრიანის არჩილისეული რედაქციის ერთი ხელნაწერი დაცულია ოქსფორდის ბიბლიოთეკაში. იხ. E. C. Такашвили. Рукописи Оксфордской библиотеки, хранящиеся в Тифлисе Оливером Вардропом. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის შიშვე, ტ. III, თბ., 1961, გვ. 203—204.

და ცენტრალური არქივის №№ 19, 101, 123, 297 ხელნაწერები. აქედან — A — 694, H — 105, H — 1249, S — 2988 და ცენტრარქივის № 19 ხელნაწერები ვარიანტების ერთ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ, ხოლო ცენტრარქივის №№ 101, 123 და ხელნაწერთა ინსტიტუტის H — 188, S — 185 და A — 1070 — მეორე ჯგუფში.

H — 188 და ცენტრარქივის № 123 ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს პეტერბურგში. პირველი 1819 წლის შემდეგ. მისი გამამწერი ასწორებს ტექსტს და ზოგიერთ ადგილს ამოკლებს. ცენტრარქივის № 123 ხელნაწერიც ასევე პეტერბურგში გადაწერილი ჩანს XIX საუკუნეში და არა მე-18 საუკუნეში, როგორც ეს აღწერილობაშია მითითებული⁷⁵. ეს ხელნაწერი ალ. ხახანაშვილის ნაპოვნია.

ცალკე ვარიანტს ქმნის ცენტრარქივის № 297 ხელნაწერი, რომელსაც 1716 და 1762 წლების ამბების მინაწერები აქვს. ეს მინაწერები შესრულებული უნდა იყოს პეტერბურგში. თუ ეს ასეა, მაშინ ეს ძეგლი 1761 წლისათვის უკვე გადაწერილად უნდა ვიგულისხმოთ. სიძველის მიხედვით მას მეორე ადგილი ეკუთვნის იოანე ბატონიშვილის კოლექციაში დაცული ხელნაწერის შემდეგ.

ჩვენი ნათქვამი „ალექსანდრიანის“ უძველესი ხელნაწერისა და ვარიანტების შესახებ⁷⁶ სქემატურად შეიძლება ასე გამოისახოს.



იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 30 ხელნაწერი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძველია. იგი უშუალოდ მთარგმნელის ხელიდანაა გამოსული თუ არა, ამის თქმა ძნელია. ამჯერად საკმარისია ითქვას: „ალექსანდრიანის“ დღემდე ცნობილ ნუსხებიდან ჩვენი ხელნაწერი

⁷⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, აღწერილი ს. კაკაბაძისა და პ. გავთშიძის მიერ, ტ. 2, თბ., 1949, გვ. 127.

⁷⁶ აქ არ გავითვალისწინებია ალექსანდრიანის არჩილისეული რედაქციის „შემდეგი ხელნაწერები: H—1864 და 1586.

ყველაზე ძველია. იგი გადაწერილია XVIII ს-ნის I მეოთხედში მოსკოვში, იქვე შემკობილია მინიატურებით. გადამწერი უნდა იყოს გ. დ. მეტრეველი — მოსკოვის ქართული ახალშენის მკვიდრი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე. ხელნაწერი ხელთ ჰქონია გ. გ. ჩხეიძეს. XVIII ს-ნის II ნახევარში ამ წიგნს დიდი ინტერესით კითხულობდნენ საქართველოში, ამას გვიდასტურებს მინაწერები.

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს. თარგმანის ენა ახალი ქართულია, მაგრამ ზოგჯერ ძველი ქართულის ნორმებიც გვხვდება.

ორთოგრაფია. — ტექსტის დასაწყისი და ქვეთავი (ტირილი და-რიოზისი) ნაწერია ნუსხურად. საზენაო ასოებად გამოყენებულია ასომთავრული ნუსხური: ძ, ყ, ჭ, ღ, ჯ, ზ, იგივე ასოები გვხვდება ცალკეულ სიტყვებშიაც.

ერთი ასოს ნაცვლად მეორეს ხმარება: „აც“ „ან“-ს მაგივრად „ზადა“ (7r) „ზედას“ ნაცვლად. „მისის“ ნაცვლად, „ვისი“ (16r) იყვის ნაცვლად „იტყვის“ (12). უწიას მაგივრად „უწყია“ (12r), „შეეყავ“ ნაცვლად „შეიყავ“ (19r), „შივილეთ“ (12v), „ამყოფებიან“ (18v) და სხვ.

ასოთა დაკლება: „დევენდა“ (21r) სარბიელის ნაცვლად სარბილი (13r). ასოთა ზედშეტობა: ახტას მაგიერ „ალხტჳ“ (18v).

ასიმილაცია: მიუწთომელი (12r), სიქუდილი (12r) ჭეშმარიტად (12v) და სხვა.

რიცხვითი სახელების ახალ ფორმებთან ერთად თარგმანში არის ძველი ქართულის გავლენით მიღებული ფორმები: ათთორმეტი, ათთუთხმეტი, ორმეოცი.

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ნაცვალსახელი ესე: „ესე მამა არსაა ჩემი“ (13v).

სახელი მიწვევითი ბრუნვის ფორმით:

მიწამდე; (12v), ბაბილოვანამდე (80r).

უთანდებულო მოქმედებითი: ქალაქით (15r), მალლით პალატით (15v).

ზმნისწინები: შთა, აღ გარდამო, შინა. მაგ.: შთახდები (2r), შთაა-სხეს (2v), აღიყვანა (7v), გარდამოხდენ (16v), შინა (6r).

სუბიექტური მეორე პირის პრეფიქსი ჰ-არ იკარგება. წარსულ დროში II-I სუბიექტური პირის მრავლობითის აღსანიშნავად ტექსტში უმეტესად ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი -ნენ და -ენ სუფიქსები იხმარება, მაგრამ ამასთან ერთად მრავლობითში იმავე სუბიექტური პირის აღსანიშნავად — ეს სუფიქსიც გვხვდება, მაგ.:

„ეგვიპტელნი მირბოდეს სიღონიას“ (5v); „იხილეს რა ესე მო-
ძღვართა მისთა განკვირდეს და იტყოდეს (11v);



სურ. 28. სუეოროვი

პრევერბის ზმნისაგან ჩამოკვეთისა და მათ შუა რა ნაწილაცხ
ჩასმის (ტმესი) შემთხვევები: განრავშორდებოდა (4r), მირაიხედვიდა
(6r), მირაიქცა (8r), მირავიდა (9r), თანდებული კერძო: „აღმოსავლე-
თით კერძო“ (2r);

კავშირები: არამედ (2r), ვითარმედ (2r), რამეთუ (2r), ხოლო
(4r), რათამცა (4v), გარნა (15v), ვითარცა (19r), კითხვით ნაწილაკია:
კეშმარიტარსაა თქმული ესე? (5v).

ლექსიკა საკმაოდ არქაულია.

რომანი ქართულად თარგმნილია სერბული „ალექსანდრიანის“ რუსული რედაქციიდან.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ალექსანდრიანის“ სამხრეთსლავური რედაქცია მე-14 საუკუნეში უნდა შექმნილიყო, მაგრამ იმდროინდელ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია⁷⁷

სერბული „ალექსანდრიანი“ რუსეთში მე-15 საუკუნეში გავრცელდა. რუსული რედაქციის უძველესი და სრული ხელნაწერი კირილო-ბელოოზნისკის მონასტრის მწიგნობრის ეფროსინის გადაწერილია 1491 წელს.

ეფროსინმა შექმნა რომანის ახალი რედაქცია, რომელსაც თავისებურებანიც აქვს სამხრეთსლავურთან შედარებით. რუსმა მწიგნობარმა შეცვალა ზოგიერთი სიუჟეტური დეტალი და წარმართობის გამომხატველი ადგილების ნაცვლად რომანში ქრისტიანული მომენტები შეიტანა, ყურადღება გაამახვილა ძლიერი ხელმწიფის იდეაზე. ეფროსინმა განმარტა სამხრეთსლავური სიტყვების ნაწილი, ზოგიერთი სერბული სიტყვა კი მან უცვლელად გადაიტანა რუსულ რედაქციაში, ამასთან აშკარა ლაფსუსებით. დასათაურება რუსული ტექსტის შუა ადგილიდან იწყება და რაც მთავარია, სამხრეთსლავურ რედაქციასთან შედარებით რუსული თარგმანი მოკლეა⁷⁸.

XV საუკუნეში „ალექსანდრიანის“ რუსული რედაქციის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა. ეფროსინის რედაქცია ერთ-ერთი მათგანი იყო მათ შორის, და ამასთან, არა თავდაპირველი.

XVI საუკუნეში შესრულებული „ალექსანდრიანის“ რუსული რედაქციის ხელნაწერი არ მოიპოვება. ჩანს, რუსულ მწერლობაში შესული ეს რომანი ამ პერიოდში მივიწყებულია. მისი კითხვა სასულიერო მოღვაწეებს აუკრძალავთ. უკრაინასა და ბელორუსიაში, აგრეთვე სხვა სლავურ ქვეყნებში, „ალექსანდრიანი“ პოპულარული იყო მე-17 საუკუნემდე.

რუსულ საერო ლიტერატურაში ამ რომანისადმი ინტერესი გამოცოცხლდა XVII საუკუნეში და ამ საუკუნის მეორე ნახევარში ფრიად პოპულარულიც გამხდარა, რაზედაც მეტყველებს იმ დროის უამრავი, მათ შორის შემკული, ხელნაწერები. ამაში წილი უნდა ჰქონდეს იმ განმანათლებელ სიოს უკრაინის რუსეთთან შეერთებას რომ მოჰყვა შედეგად.

⁷⁷ Я. С. Л у р ь е, Средневековый роман об Александре Македонском в русской литературе XV века, Александрия, М, 1965, с. 148.

⁷⁸ მისივე, Археологический обзор. Александрия, გვ. 201.

XVII—XVIII საუკუნეების რუსული რედაქციის „ალექსანდრიანის“ ხელნაწერთა შესწავლით ირკვევა, რომ ამ პერიოდის ხელნაწერთა ნაწილი უკეთ გადმოსცემს რუსული რედაქციის პროტოგრაფს, ზოგიერთი კი დაშორებულია თავდაპირველ რუსულ ტექსტს. ასეთი ევოლუცია შესაძლებელია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თარგმნილი რომანი კვლავ შეასწორეს სამხრეთსლავური ტექსტის მიხედვით. ამათ გარდა, რამდენიმე გვიანდელი რუსული ხელნაწერი „ალექსანდრიანის“ ეფროსინისეული რედაქციისა ც არის.

ამ რომანის ქართული თარგმანის მკვლევრის ამოცანაა გაარკვიოს, რომელი რუსული რედაქციიდან და რა დროის ხელნაწერიდანაა თარგმნილი „ალექსანდრიანი“ ქართულად. ეს კი არც ისე ადვილია, რუსულ ხელნაწერთა სიმრავლის გამო.

სანამ ამას ვუპასუხებდეთ, მანამ საჭიროა შევთანხმდეთ: თუ „ალექსანდრიანი“ ქართულად XVIII საუკუნის I მეოთხედშია თარგმნილი (და ეს აღიარებულია კიდევ) მაშინ სადაო არ უნდა იყოს, რომ მთარგმნელი მის დროს გავრცელებულ რუსულ ხელნაწერს გამოიყენებდა. ამის გათვალისწინებით ქართული თარგმანი XVII—XVIII საუკუნეების რუსულ ხელნაწერებს უნდა შევეუდაროთ. ალ. ხახანაშვილის დასკვნა უძველეს რუსულ რედაქციასთან ქართული თარგმანის დამოკიდებულების შესახებ დაფუძნებული იყო გამოქვეყნებულ ფრაგმენტებზე და ამიტომ მისი დებულება სარწმუნოდ არ მიგვაჩნია. ექვსის გასაქარწყლებლად ჩვენ კირილო-ბელოოზერსკის მონასტრის ხელნაწერს მივმართავთ. იგი სანქტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული. ახლა კი გამოქვეყნებულიცაა. ჩვენმა შედარებამ ალ. ხახანაშვილის დასკვნა სარწმუნო შექმნა. ამით ქართული თარგმანის რუსული რედაქციის უძველეს ხელნაწერთან დამოკიდებულების საკითხი მოიხსნა.

შემდეგ XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის I მეოთხედის „ალექსანდრიანის“ რუსული ხელნაწერები განვიხილეთ და მივაკვლიეთ ქართულ თარგმანთან უფრო ახლოს მდგომ რუსულ ტექსტს ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ჩვენთვის საინტერესო ტექსტი უნდოლსკის კოლექციის (ფონდი 310) № 1340 ხელნაწერია. იგი ნაკლულია. გადაწერილია XVII საუკუნეში. ნაწერია ვაკრული ხელით („სკოროპისი“).

საინტერესოა, რომ აღნიშნული ტექსტი „ალექსანდრიანის“ ეფროსინისეული რედაქციის გვიანდელი ხელნაწერია. ქართული თარგმანი ძირითადად მიყვება რუსულ ტექსტს.

მთარგმნელი მცირედ ამოკლებს ტექსტს, თანაც ალაგ-ალაგ მათ თარგმანში აქვს შეცდომებაც, რომელთა ნაწილი გრაფიკული ან ფონემური აღრეის შედეგია. მაგ. „...Зна вашего зрети не мог“, თარგმნილია: „... ვერ შემძლებელ ვექმენ ოქროსა თქვენსა ჰხედვად“. აქ შეცდომის მიზეზია გაკრული ხელით, ე. წ. „სკოროპისით“, ნაწერი რუსული ტექსტის არასწორად წაკითხვა. ჩანს, მთარგმნელს სიტყვა „Зна“ დაქარაგმებული მოსჩვენებია და ამიტომ „ბოროტება“ „ოქროდ“ უთარგმნია; რუსულ ტექსტში საკმაოდ გარკვევით ჩაწერილი წინადადება *яко в стадах твоих урядился конь тучен...* თარგმნილია მცდარად: „... რაძეთუ ჯოჯოხეთსა შინა იშვა ცხენი საკურველი...“, აქ ჯოჯი (стадо) გააზრებულია ჯოჯოხეთად (ад). როგორც ჩანს, თარგმნის პროცესში ერთი კითხულობდა რუსულ ტექსტს, ხოლო მეორე თარგმნიდა, გვიანდელ ქართულ ხელნაწერებში ეს ადგილი გასწორებულა და „ჯოჯოხეთის“ მაგივრად „ჯოჯი“-ა ჩაწერილი.

რუსული ტექსტის გაუგებრობის ნიადაგზეა წარმოშობილი სხვა შეცდომაც, რუსულ ხელნაწერში ვკითხულობთ: „...Отче мои царю Филиппе, восстани и врагу своему на горло наступи отомщение своими руками сътвори“ (10v). ეს ადგილი ქართულად ასეა თარგმნილი: „მამაო ჩემო მეფეო ფილიპე, აღდეგ მტერსა ზედა ჯორხითა შენითა, მჯარსა ზედა შესდექ და მისაგებელი ჰყავ ველითა შენითა (8v), „ალექსანდრიანის“ ქართული თარგმანის შემდეგდროინდელი გადამწერნი ცდილან ამ ადგილის გასწორებას, მაგ. Н—1249 ხელნაწერში ვკითხულობთ: „მამაო ჩემო ფილიპე, აღდეგ მტერსა შენსა ფერხითა შენითა და ხორხსა ზედა შესდეგ და მისაგებელი ყავ ხელითა შენითა“ (5 v).

მთარგმნელი ვერ ერკვევა გეოგრაფიულ სახელში და შეცდომით გადმოაქვს იგი ქართულ ხელნაწერში. რუსული ტექსტის ადგილი: „...А копие троического короля и щит снм римского короля аспидовою кожею облочен“ (34v), თარგმნილია: „...ფარი ვერეჟუშას მეფისა და შუბი თ რო ჩ ის მეფისა ასპიტისა ტყავთა შემოსილი“ (15v). ასეთივე შეცდომა გვხვდება რუსული ტექსტის ფანტასტიკურ ქვეყნების სახელთა ქართულად გადმოცემისას „...По пути градущему к Риму... и тамо стретоша его цари Странстии и Морстии и Даматстии и Польсти и Василевстии с честью великою и дарми многоценными (32v), თარგმნილია: „...და სვლასა ოდენ გზისასა რომად მიეგე-

ბოდეს მას მეფენი სოფლისანი და ზღვსანი და მასთისა და პოლსთისა და ვასილიევისა პატივითა დიდითა და ძღვნით მრავალ ფასითა“ (14v).

ქართველი მთარგმნელა ვერ აცდენია კალკს და ეს არცაა გასაკვირი. კალკი მომეტებულად გვხვდება ჩვენს ხელნაწერში, მაგრამ აქ რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ. მარტო ნეტანაფის წერილის ქართულ თარგმანში რამდენიმე კალკია. რუსულ ხელნაწერში ვკითხულობთ: „О горе тебе Египте граде, великий во градах, иже до небес вознесыиса, до ада снидеши руки же твоя бнша на всеми царн, иишеже руки царя на тебе будут“.

ქართულად თარგმნილია: „ვაი შენდა ეგვიპტეო ქალაქო, დიდო ქალაქთა შორის, ვითარმედ იყავ ამალღებული ცამდის და აწ ჯოჯოხეთამდის შთახდები, ხოლო ხელნი შენი იყუნეს პირველ ყოველთა მეფეთა ზედა და ამიერითგან ხელნი ყოველთაგანი შენ ზედა იქმნებიან“. შეიძინევა, რომ როგორც რუსული, ისე ქართული რედაქციის ავტორებს ეგვიპტე ქალაქად (და არა სახელმწიფოდ ან ქვეყნად) წარმოუდგენიათ. ზოგჯერ მთარგმნელი ვერ აქართულებს რუსულ ტექსტს: იგი თითქოს ცდილობს აზრის ზუსტად გადმოღებას და კალკი გამოუდის.

ასევე კალკია სიტყვა „თვითმპყრობელი“. იგი შემდეგ წინადადებაში გვხვდება: „ხოლო აღექსანდრე, ძე მისი, იწოდა თვითმპყრობლად“ (6v) შესაბამისი რუსული ტექსტი ასეთია: „Александр, сын его, назвался самодержцем“ (16v), რუსულის კალკია „მეფეთა ზედა მეფე“. რაც ქართულ მეფეთ-მეფეს წვესატყვისება. მაგ.: „მეფე დარიოზ მეფეთა ზედა მეფე“ (10z), „царь Дарний над царн царь“ (19g). იგივე პოვლენა გვაქვს წინადადებაში „და იღვა მუნ ფილოსოფსი ვინმე სახელით ფრუნეი“ (17v), შეადარე რუსულ ტექსტს: „И тут стоя философ именем Фрунен“ (11v), „ესე რა თქვა ბრძანა იხლოეთის მეფისა პორის მიზართ წიგნის მიწერა, რომელთა შინა იყო ესრედ“ (80v). შეადარე: „Сие рек повеле к Пору индийскому царю послати грамоту имеюще снцево“ (75v) „რომელი ღმერთთა შორის ღმერთსა და ყოველთა მეფეთა ზედა მეფეს.“ (80v), — „иже в бозех богу и всем царем царю“ (75v).

ჩვენს ხელნაწერში რუსიციზმებიც გვხვდება, მაგ.: „თილმანჯი“, რაც მთარგმნელს, თარჯიმანს ნიშნავს. აგრეთვე „კორკოდილი“, „თარნისკისა ზღვასა“, რაც რუსულ „Траннинского моря“-ს გადმოღებაა.

ქართულ ხელნაწერში შეცდომებიცაა, მაგ.: წერია: „წარსლა“ (4), „თვისთად (8f), „განქენებისათით“ (16v), და ა. შ.

დამახინჯებულია საკუთარი სახელები. წერია: „ფილიფეს“ (4 r), „ბილიპე“ (7r), „ალიმფიად“ (5r), „პოლომეი“; (11r), „პოლომეი“ (19 v), „ლამადაუშასა“ (49r), „სლამდაუშა (17r), „კალესთენაუშასი“ (17r), „კელესთენეუმ“ (17r).

ქართულ ტექსტში გვხვდება განმეორებები: მაგ., „თვით, თვით“ (10r), „მეფე დიდად განკვირდა, მეფე დიდად განკვირდა“ (16r).

ზოგ ადგილას სტილი დაუხვეწელია. ჩვენ მხოლოდ ერთ თვალსაჩინო მაგალითს მოვიტანთ: „ხოლო ალექსანდრე მიუგო და ჰქვა მას“ (11r).

ზემოაღნიშნული შეცდომები მოწმობს, რომ თარგმანი მაღალ დონეზე შესრულებული ვერ არის და არც გადამწერი ჩანს მაღალწიგნიერი.

რა ცვლილება შეაქვს ტექსტში ქართველ მთარგმნელს? — იგი ძირითადად მიყვება რუსულ ტექსტს და ბევრგან მონაა კიდევ მისი. მთარგმნელი არ ცვლის და არ უმატებს სათაურებს.

ჩვენი ხელნაწერის, ისევე როგორც რუსული რედაქციის „ალექსანდრიანის“, დასათაურება ტექსტის მეორე ნახევრიდან იწყება. თარგმანი იმეორებს რუსულ დასათაურებას ერთი გამონაკლისის გარდა. ქართველ მთარგმნელს თუ რედაქტორს ერთი სათაური („ტირილი დარიოზისი“) გამოუყვია. ქართველი რედაქტორის (თუ გადამწერის) ეს „ორიგინალობა“ შეიძლება პოლიტიკური მოსაზრებით იყოს განპირობებული. იქნება ამით ქართველი მკითხველის ყურადღების გამახვილება სურდათ, სპარსეთის მეფის შესაძლო დამარცხებაზე.

შეიმჩნევა, რომ ჩვენი ძეგლის დასათაურების სისტემა არ დაუცავთ „ალექსანდრიანის“ შემდეგდროინდელ ქართველ გადამწერებს. ამ უკანასკნელთ დაუსათაურებიათ რომანის პირველი ნაწილიც და ამასთან თავები გაუმრავლებიათ.

„ალექსანდრიანის“ თარგმანს დაუინტერესებია ქართველი განათლებული საზოგადოება, რასაც ამ რომანის მრავალრიცხოვანი ხელნაწერი და სამი რედაქციის არსებობა მოწმობს. ქართველი საზოგადოების ინტერესს ამ ძეგლისადმი აღძრავდა არა მარტო ნაწარმოების მომხიბლავი ამბავი, არამედ რომანის ცენტრში მდგომი ძლიერი და დიდი იდეალების მქონე გმირის სახე. „გამოხსნა — აღდგომისათვის“ მებრძოლი ქართველები ამ დროს აცოცხლებდნენ მივიწყებულ გმირებს. ქართველთა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლების დროს სამხრეთსლავური წარმოშობის ძეგლში გამოკვეთილ შუა საუკუნე-

ბის ტიპიურ რაინდს ჩვენს თანამემამულეთა თვალში ერთ-ერთი საპატიო ადგილი მიეკუთვნა.

ქართული „ალექსანდრიანის“ პროზაული და გალექსილი რედაქცია იმდროინდელი საზოგადოების ინტერესებმა განსაზღვრეს. ლექსად გარდათქმული რედაქცია ტრადიციული ინერცია იყო, ხოლო ახალი პროზაული რედაქცია რუსულიდან თარგმნილი მოკლე რედაქციის უქმარისობისა და ამასთან თარგმანის ნაკლის შეგრძნობის შედეგი.

„ალექსანდრიანის“ ჩვენი ხელნაწერის ღირსება, ნაკლოვანებების მიუხედავად, დიდია. რომანის თარგმნა ქართული მწერლობის გამდიდრების მიზანს ემსახურებოდა. ეს ნაწარმოები საქართველო-რუსეთის კულტურული ურთიერთობის მეტად საყურადღებო ძეგლია. იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მოსკოვის ქართველ მოახალშენეთა მისწრაფებებზე, გემოვნებაზე, მთარგმნელობით დონეზე და სხვ.

თარგმნილი „ალექსანდრიანი“ ქართველი საზოგადოების დაინტერესებამზე მიუთითებს ამ ძეგლის პროზაული და ლექსითი რედაქციების მრავალი ხელნაწერი, მკითხველთა მინაწერები თხზულება-წიგნებზე, ძეგლში ჩართული მინიატურები.

ბუნებრივი იყო იმ დროს ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული დაინტერესება ალექსანდრე მაკედონელის მხატვრულად აღწერილ ცხოვრებასთან ერთად, ამ მოღვაწეზე არსებული ისტორიული ნაშრომით.

მოსკოვში უთარგმნიათ რომელი ისტორიკოსის კვინტოს კურციოს რუფის (I ს.). „საქმენი ალექსანდრე მაკედონელისა“.

ამ ძეგლის ძველი ნუსხა H—254 ხელნაწერი წიგნია.

ქართული ტექსტი რუსულიდან უნდა იყოს ნათარგმნი. საინტერესოა, რომ გადამწერი ხმარობს რუსულ „Ф“-ს.

განსახილველი ხელნაწერი არ უნდა იყოს ნათარგმნი ძეგლის უძველესი ნუსხა. ჩანს, ქართულად გადმოღებული ტექსტი გაუსწორებით და შემდეგ გადაუწერიათ იგი.

პირდაპირ ცნობას თარგმნასა და გადამწერზე წიგნში ვერ ვპოულობთ. აღნიშნული ძეგლის გადამწერი გ. ჩხეიძე უნდა იყოს. H-254 კალიგრაფიულად წააგავს H-2111-ს. ამ უკანასკნელის გადამწერად კი ანდერძში დასახელებულია გ. ჩხეიძე. ძეგლი გადანუსხული უნდა იყოს XVIII ს-ის 20-იანი წლების დასასრულს.

კ. კურციოს თხზულების ეს ქართული თარგმანი ათი ნაწილისაგან შედგება. ერთვის „ნუსხა განთვისება ანბანზედა“.

ტექსტი ნაწერია საშუალო ზომის გაკრული მხედრულით, მოყავისფრო მეღნიტ. სათაურები ნაწერია ნუსხურად, საზედაო ასოები ზოგჯერ მთავრულითაა შესრულებული.

წიგნი მოსკოვიდან ყიზლარს, ქართველთა ახალშენში 1799 წელს ჩაუტანია როსტომ მუსხელიშვილს. შემდეგ ეს ძეგლი კონი ერისთავის მეუღლეს, ამილახვრის ასულს, შეუძენია.

აღნიშნული ხელნაწერიდან რედაქციულად განსხვავებულია H-462, რომელიც 1733 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით მოსკოვს გადაუწერია პაპუა იესეს ძე თუმანიშვილს.

ქ. კურციოს „ალექსანდრიანის“ თუმანიშვილისეული ტექსტი დახვეწილი და უკეთ გამართულია, ნაწერია მოყავისფრო მეღნიტ. საშუალო ზომის ლამაზი მხედრულით, სათაური და საზედაო ასოები გაფორმებულია სინგურით. ეს ხელნაწერი 362 ფურცელია. ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლის ყდის შემკულობა მოსკოვში გამოცემული ქართული წიგნების ყდების მსგავსია. საფიქრებელია, რომ ქართული ხელნაწერი ძეგლების ყდებიც ნაყოფიერ ოსტატ მ. ჯოხიას დაუმზადებია მოსკოვში განთქმულ თავის სახელოსნოში. -

კალიგრაფ პ. თუმანიშვილს თხზულების დასასრულს დაურთავს წიგნის გადაწერისადმი მიძღვნილი ერთი სტროფი, რომელიც სინგურით შეუსრულებია:

ქ. პირნი პირველ მნახელისა მეცა ვნახე არ უპირო,
რასაც მივხვედ განმარტებად, მოეწერო, არ უპირო,
ვეხვეწები, მიმახვდინოს, განა არგნით არ უპირო
და მ/ო/ნება სრულად მომედუნა, არ თუ პირსა მოუპირო.

იქვე, იმავე ფერით, მიწერილია ორი ხაზი, რომელშიაც პ. თუმანიშვილი მიმართავს გაბრიელს. ეს პიროვნება გ. ჩხეიძე უნდა იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ აქ ასახულია პ. თუმანიშვილისა და გ. ჩხეიძის შემოქმედებითი კავშირი:

ქ. გაბრიელ გურგენ არ არის, მაგრამა ბერი მეღური,
განმიკართო ძილი მრავალი, თვალთა არა მცა მე ლური.

კალიგრაფი პ. თუმანიშვილის აქ დასახელებული გურგენი, ონანასვილი, გურგენ „კახი“ უნდა იყოს. იგი 1730 წელს გარდაიცვალა. ასეთი ვარაუდით კალიგრაფი პ. თუმანიშვილი გ. ჩხეიძისადმი აღნიშნულ მიმართვაში იგონებს გარდაცვლილ გურგენს.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-ის ამაღლის ნუსხაში მოხსენიებულია კახელი თავადი გურგენ თამაზაშვილიც. შესაძლებელია პ. თუმანიშვილი ამ უკანასკნელს მოიხსენიებდეს. მაშინ „ბერი“ იოსები უნდა იყოს.

კალიგრაფ პ. თუმანიშვილის აღნიშნულ ძეგლზე დართული ლექსი საინტერესოა. ანდერძთან ერთად, გადამწერის ამ მცირე პოეტურ შემოქმედებაში მითითებულია მოსკოვში მოღვაწე ქართველთა შემოქმედების რამდენიმე საგულისხმო მომენტი.

ქ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ლ ი თ ა დ რ ე ვ ე და ინ ტ ე რ ე ს - და მეფე არჩილის დასიც.

მ ს ო ფ ლ ი ო ის ტ ო რ ი ის ა დ მ ი მათ ინტერესს არა მარტო უკანასკნელ ეპოქებში საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი დიდი ძვრები განაპირობებდა, არამედ მშობლიური ქვეყნის ბედი და ქართული კულტურის გამდიდრების სურვილი.

მოსკოვის ქართული კულტურის კერაში შესაძლებელი შეიქნა ვრცელი საისტორიო თხზულების „ქრონოგრაფის“ თარგმნა.

ეს ძეგლი მიაჩნდათ მსოფლიო საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიად. ზოგი ამ წიგნს „სამლოდაც“ აცხადებდა. აღნიშნული ძეგლის დიდი მნიშვნელობის შეცნობამ განაპირობა თარგმნის ორიგინალიდან დაწყება.

აღნიშნული ძეგლის უძველესი ტიპი IV—V სს-ში დაიწერა ბიზანტიაში ბიბლიის, ანტიკური და ბიზანტიური წყაროების საფუძველზე. მას ბერძნულად უწოდეს „ქრონოგრაფი“ (ჯამთააღმწერლობა). ეს წიგნი მსოფლიო ისტორიის მოკლე სახელმძღვანელოდაა მიჩნეული.

კ. კრუმბახერის მოსაზრებით, ბიზანტიური ქრონოგრაფია ქალაქებისა და პროვინციების მატრიანეებიდან განვითარდა⁷⁹.

მსოფლიოს ვრცელი თავგადასავლის დამუშავებისას ქრონოგრაფოსები უხვად მიმართავდნენ სხვადასხვა ჩვენებებს, აღწერდნენ მოღვაწეთა გარეგნობას და სულიერ თვისებებს, ქრისტიანობის აპოლოგიის მიზნით, საგანგებო ყურადღებას უთმობდნენ საეკლესიო ამბებს; ამიტომ, ასეთი წიგნები ფართო მკითხველისათვის იყო გამიზნული, ავტორები მარტივი და გასაგები ენით წერდნენ.

გვიან შუა საუკუნეებშიც არ შენელებულა ინტერესი „ქრონოგრაფებისადმი“. ამის საჭიროებას აპირობებდა არა მარტო კონფესიური ფაქტორი, არამედ ენის განვითარების თავისებურებაც.

⁷⁹ K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur. München. 1897. გვ. 321.

„ქრონოგრაფები“ ძირითადად ბიზანტიისა და ებრაელთა თავგადასავლით იფარგლება. სხვა ხალხების (ასურები, ბაბილონელები, სპარსელები, რომაელები) წარსული უფერულადაა აღწერილი. ამის ახსნა ძნელი არ არის და არც ამცირებს „ქრონოგრაფის“ მნიშვნელობას. ეს წიგნი მიღებული იყო ცივილიზებულ ხალხთა შორის (ორიგინალური, ხათარგმნი, გადაკეთებული). ამიტომაც არის, რომ საქართველოში „ქრონოგრაფს“ დიდი ტრადიცია აქვს.

მსოფლიო ლიტერატურის ამ ძეგლით, ისე როგორც „დაბადებით“, ქართველი ხალხი ადრე დაინტერესდა და სავსებით ბუნებრივადაც. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მშენებლობის იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო გარემომცველ კულტურულ საზოგადოებათა თავგადასავალი შესაფერისად არ ყოფილიყო შესწავლილი და გათვალისწინებული. ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში ითარგმნა ქართულად ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“, იპოლიტე რომაელის „ეპისტოლს მოციქულთათვის, თუ სადა ქადაგეს და სახელი სამეოცდაათთა მოციქულთაჲ“, ეპიფანე კვიპრელის „საქმენი წმინდათა წინასწარმეტყველთანი, ვინა იყვნეს ანუ სადა მწყსდეს, ანუ სადა დაეფლნეს“, კირილე იერუსალიმელის სამი ისტორიული თხზულება და სხვ.

X საუკუნიდან ქართველები ძველ მსოფლიო ქალაქთა — იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის თავგადასავლითა და მსოფლიო ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენებით დაინტერესებულან, როგორც იყო ბერძენ-სპარსელთა ომები, ბერძენთა ომი სკვითთა და არაბთა წინააღმდეგ და ა. შ. ბერძენ-სპარსელთა ომების აღმწერის ანტიოქე სტრატეგის თხზულება „წარტყუევნა იერუსალემისა“ არაბული ენიდან უთარგმნიათ. სამ რედაქციად დამუშავებულა ჩვენში „თხრობა კონსტანტინეპოლის მოცივისა“⁸⁰.

ეს თხზულებები კულტურული მსოფლიოს თავგადასავლის ეპიზოდებს აცნობდა ქართველებს და ამასთან, მათ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ეროვნული თვითშეგნების ზრდის მეოხებით ქართველთა თვალსაწიერი კიდევ უფრო გაფართოვდა. ხალხთა გენეალოგია-წარმომავლობაზე ქართველები პასუხს პოულობდნენ „Liber Generationis“ ქართულ ვერსიაში⁸¹, ხოლო მწყობრად ჩამოყალიბებულ კაცობრიობის

⁸⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1960, გვ. 498.

⁸¹ კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში. „ეტიუდები“, ტ. I, თბ., 1956, გვ. 169.

თავგადასავალს ეცნობოდნენ გ. ამარტოლის „ქრონოგრაფით“, რომელიც ქართულად XII ს-ის დასაწყისში თარგმნეს⁸².

ორიგინალური ქართული ისტორიოგრაფია ქართველი საზოგადოების წინსვლის შესაფერისად ვითარდებოდა. წინა ქრისტიანული („ძმობის ხანის“) ისტორიოგრაფიის ნაცვლად ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ეპოქაში ქართველი ფეოდალური საზოგადოების მეცნიერული ისტორია შემუშავდა. XI ს-ში გამარჯვებულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ თავისი იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი — „ქართლის ცხოვრება“ შექმნა. ეს წიგნი იმ დროისათვის სრული, სისტემატიზებული ისტორია იყო საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში შემავალ ხალხებზე. მაშინდელი ქართული ისტორიოგრაფია იმდროინდელ მოწინავე მსოფლიო ისტორიოგრაფიას არ ჩამორჩებოდა.

„ქართლის ცხოვრებაში“, ფეოდალური საქართველოს ამ იდეურ-პოლიტიკურ სახელმძღვანელოში, ქართული საზოგადოება სამართლიანადაა აღიარებული მსოფლიო საზოგადოების ნაწილად და ქართველი ხალხის თავგადასავალი ოსტატურადაა დაკავშირებული კაცობრიობის ისტორიასთან. ამასთან, რაც მთავარია, ქართველი ხალხი ნაგულისხმევია კავკასიის ერთიან კულტურულ სამყაროს ძმურ ოჯახში. კავკასიის ხალხთა ძმობა-ნათესაობის იდეის ისტორიულად დამფუძნებელს, ლეონტი მროველს, საშუალო საუკუნეებში გამეფებული პრინციპის მიხედვით, ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი როგორც ამ ახალი კულტურული სამყაროს წარმოშობა, ასევე მისი კავშირი მსოფლიო ისტორიასთან. ლეონტი წარდგენს შემდგომი კაცობრიობის ხელახალ აღორძინებას ეფუძნება და კაცობრიობის თავგადასავლიდან „კავკასიანთა“ გამოსაყვანად, კავკასიის ახალი კულტურული სამყაროს წარმოშობის დასასაბუთებლად, ოსტატურად იყენებს ბიბლიურ ეპიზოდს ნოეს კიდობნის არარატის მთაზე შეჩერების შესახებ.

ლეონტი მროველის იდეა ქართული საზოგადოებრივი აზრის, უპირველესად, ქართული ისტორიოგრაფიის სიმწიფის მანიშნებელი იყო.

XIII—XVI სს-ში საზოგადოებრივი წინსვლის შეფერხებასთან ერთად დაეცა ქართული ისტორიული აზროვნება. შენელდა ინტერესი მსოფლიო ისტორიისადმი.

⁸² ს. ყაუხჩიშვილი, გ. ამარტოლის ქრონოგრაფი. ნაწ. I, თბ., 1920, ნაწ. II, თბ., 1926; კ. კეკელიძე, გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, ეტიუდები, ტ. I, თბ., 1956.

XVII ს-ში დაიწყო ქართული ისტორიული აზროვნების გამოცოცხლება დასავლეთ ევროპისა და რუსეთთან კულტურული ურთიერთობის განვითარების, დამოუკიდებლობისათვის მამაცური ბრძოლის პირობებში⁸³. ეს დიდი საქმე არჩილსა და მის დასს უკავშირდება. სწავლული მეფის თანამოსაგრენი და უცხოელი ინფორმატორები მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის მრავალ ქვეყანაში იყვნენ.

არჩილმა და მისმა თანამებრძოლებმა ფართო პროგრამით გაშალეს მოღვაწეობა ქვეყნის კულტურული დაწინაურებისათვის. „ქართლის ცხოვრების“ სინაკლულისა და მისი გაგრძელების საჭიროების მწვავედ განცდასთან ერთად, ეს დასი კაცობრიობის თავგადასავლით დაინტერესდა. მსოფლიო ისტორიისადმი მათ ინტერესს არა მარტო უკანასკნელ ეპოქებში მომხდარი დიდი ცვლილებები განაპირობებდა, არამედ მშობლიური ქვეყნის განვითარების ბედი, ქართული კულტურის მოღვაწეთა გააქტიურების, ქართული მწერლობის გამდიდრების სურვილი. „ქრონოგრაფის“ ახალი ქართული თარგმანი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების მიზანსაც ემსახურებოდა.

არჩილი ენერგიულად იბრძოდა ეროვნულ-ისტორიული თემატიკის დასამუშავებლად. ისტორიული პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ XVII ს-ის საქართველოს შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა.

ქართველმა მეფემ მოსკოვში მთელი შესაძლებლობით გააგრძელა ქვეყნის განათვისუფლებისათვის სამშობლოში დაწყებული ბრძოლა და სამწერლო-კულტურული საქმიანობა. რუსეთის დედაქალაქში იგი ცნობილ სომეხ მოღვაწე ისრაელ ორისთან ერთად იღვწოდა პოლიტიკური კავშირის მისაღწევად. ამ მიზნით მათ მოლაპარაკება გამართეს. არჩილმა რუსეთის სავაგერო საქმეთა სამინისტროში ჯერ საქართველოზე მოხსენება წარადგინა, ხოლო შემდეგ, ხელმწიფის დიპლომატთა თხოვნით, რუკაც შეადგინა.

რუსეთი იმ დროს აღმოსავლეთში აქტიურ გამოსვლას არ აპირებდა. არჩილის პოლიტიკურ მეცადინეობასაც იმხანად შედეგი არ მოჰყოლია. ამას გავლენა არ მოუხდენია ქართველ მეფეზე. იგი ჩვეული სიდინჯით ზრუნავდა სპერთაშორისო კულტურულ კავშირ-ურთიერთობათა განვითარებაზე. მოსკოვის ქართული კულტურის კერაში წამოწყებულმა საქმიანობამ ლოგიკურად დასვა „ქრონოგრაფის“ თარგმნის ამოცანა. ამის პარალელურად მიმდინარეობდა საქართველოში აღრევე

⁸³ 5. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი, თბ., 1964, გვ. 7.

ვაშლილი შჩქეფარე შემოქმედებითი მუშაობა. ქართლის გამგებლის ვახტანგ VI-ის ინიციატივით შექმნილ სწავლულ კაცთა კომისია იმ დროს „ქართლის ცხოვრების გამართვაზე მუშაობდა. ადგენდნენ გენიალოგიებს ბაგრატიონთა და სხვა საგვარეულოების შესახებ. ქართლსა და მოსკოვში არჩილისა და ვახტანგის ხელმძღვანელობით გაშლილი საქმიანობა შეთანხმებულად გამოიყურება, ეს არც არის გასაკვირი. არჩილის სკოლიდან გამოსული ვახტანგ მეფე იმავე იდეებით იყო შთაგონებული, რითაც მისი მოძღვარი არჩილი. ორივე მოღვაწე სულიერ სფეროში ფეოდალური საზოგადოების იდეური საყრდენების განმტკიცებასა და უპირველესად ბეჭდური წიგნის მოპოვებაზე ზრუნავდა.

მათ მიზნებში შედიოდა „ქრონოგრაფის“ თარგმნა, რადგან ეს წიგნი მაშინ მსოფლიო ისტორიისადმი ქართველი ხალხის ინტერესის დაკმაყოფილებისა და შერყეული სარწმუნოების განმტკიცების საფუძვლად ესახებოდათ. ეს ძეგლი წარსულ დიდებაზე ამახვილებდა შკითხველის ყურადღებას, ამაღლებდა პატრიოტულ გრძნობას და დეკარგულის დაბრუნების იმედს იძლეოდა. „ქრონოგრაფს“ სხვა მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ, რაც ნათლად ჩანს ამ ხელნაწერი ძეგლების ანდერძ-მინაწერებიდან: „ამა წერილთა აღმომკითხველმან და გულისხმისმყოფელმან აღძრა უღები ესე და უმეცარი და უსახური გონება ჩემი გამოძიებად ქრისტეს შობითგან, ვიდრე აქა დღემდე, თუ მართლმადიდებელთა ხელმწიფეთა და პატრიაქთა რომისა და საბერძნეთის, კონსტანტინეპოლისა და ანუ კეისართა, ვითარ განაგეს ქრისტეს მიერ მოცემული და მოციქულთაგან განმტკიცებული რჯულის მცნებანი“. აქედან ჩანს, რომ ეს ძეგლი მიაჩნდათ უპირველესად საქრისტიანო მსოფლიოს საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიად. ზოგი კიდევ უფრო ამაღლებდა ამ წიგნის მნიშვნელობას და „საღმრთოდ“ აცხადებდა მას.

არჩილს კარგად ჰქონდა შეგნებული „ქრონოგრაფის“ მნიშვნელობა. ამის გათვალისწინებით იყო, რომ თარგმნა ორიგინალიდან დაიწყეს. ამ დიდი საქმის შესრულება ქართველმა მეფემ ბერძნული ენის მცოდნეს ბაგრატ სოლოლაშვილს დაავალა. მან ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო „ქრონოგრაფის“ ნაწილი, რადგან თვით არჩილმა შეაწყვეტინა ბაგრატს აღნიშნულ ძეგლზე მუშაობა და შვედეთს გააგზავნა ტყვე აღექსანდრე ბატონიშვილთან. წამოწყებული დასრულება არჩილმა იღო თავს, მაგრამ წიგნის მეორე ნაწილი რუსული თარგმანიდან გადმოიღო. ამაზე მიგვითითებს ქართული „ქრონოგრაფის“ ან-

დგრძი, რომელიც ჩართულია 134-ე თავის („სიკვდილი არკადი მეფის და მეფობა ძისა მისისა თეოდოსი მცირისა“) შემდეგ: „ამის ზემოთა ესე წიგნი ზონოლრაფი აღიწერა ბრძანებითა მეფისა არჩილისათა, ქალაქსა შინა სამეფოსა მოსკოვს, სოლოლაშვილმა ბაგრატიოზ მთაა-წმინდელმან ბერძნულსა ენისაგან ენასა ზედა ჩვენს ქართველთასა. და, ოდენ ბრძოლასა შინა რუსეთის კელმწიფისა და შუეთის კორელი-სასა დაარჩინეს მეფის შვილი ალექსანდრე, ესე ბაგრატიოზ მლუდელ-მონაზონი წარუგზავნა სტოკოლონს შვილსა თესა ალექსანდრეს. ქრო-ნიკონს დასაბამითგან შვიდი ათას ორას ათოთხმეტსა და ვიდრე ამა ქრონიკონამდე, რომელ მეფის შვილი ალექსანდრე არის მუნ, გარდასულ იყო ექუსი წელი. და ვინათგან იგი ბაგრატიოზ წარუგზავნა, არლარა უღებ იქმნა მეფე ესე არჩილ და ამას ქვემოცხესა თუთ იწყო გადმო-თარგმნად და აღწერად რუსთა ენისაგან ჩვენსა ენასა ზედა. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი. ამინ“⁸⁴.

ამ ძეგლმა ვახტანგ VI-ის ამაღლის წვევრთა ყურადღება მიიქცია და მათ რამდენჯერმე გადაწერეს ის.

მსოფლიო ისტორიის ეს მაშინდელი სახელმძღვანელო პოპულარული გახდა მოსკოველ თანამემამულეებს შორის. მალე შეიქმნა ამ ძეგლის რამდენიმე რედაქცია და გავრცელდა სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში.

„ქრონოგრაფის“ ტექსტის სწორებასა და გადაწერაზე ენერგიულად იღვანეს მოსკოვში დამკვიდრებულმა ვახტანგ VI-ის ამაღლის წევრებმა. ცნობილმა მწიგნობრებმა და კალიგრაფებმა, რომლებმაც შეისწავლეს რუსეთის დედაქალაქში დანატოვარი არჩილის დასის კულტურული მემკვიდრეობა, ვახტანგ VI-ის მხლებლებმა, ქართული კულტურის მოღვაწეებმა დიდი დრო და ენერგია შესწირეს რუსეთში მცხოვრებ წინაპორბედ თანამემამულეთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათვისებასა და პოპულარიზაციას. მათი გარჯის წყალობით ჩვენამდე მრავლადაა მოღწეული აღნიშნული თხზულების ვრცელი, მოკლე და გამოკრებილი ნუსხები. მათი შესწავლით ირკვევა თუ რა კვალი დაამჩნია ამ ძეგლმა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას თითქმის ორი საუკუნის მანძილზე.

ვახტანგ VI-ის ამაღლის წვევრებმა ხელახალი სიტოცხლე დაუბრუნეს ქართულად გადმოთარგმნილ ამ ძეგლს. ზეპირი თუ სამწერლო

⁸⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექცია, ხელნაწერი № 868, ფურც. 162—163.

მოღვაწეობით მათ მტკიცე საფუძველი შეუქმნეს „ქრონოგრაფის“ პოპულარიზაციას.

რუსეთში თარგმნილი და ხელნაწერად გამრავლებული „ქრონოგრაფის“ მეცნიერულ შესწავლას საფუძველი დაედო რუსეთშივე, პეტერბურგის ქართული კულტურის კერაში. ეს საქმე უკავშირდება გამოჩენილ მეცნიერს თეიმურაზ ბატონიშვილს. მისი წიგნსაცავის კატალოგში სხვა ძეგლთან ერთად აღწერილია ამ წიგნის ერთი ხელნაწერი (ეფგრემ და ონისიმე გარსევანიშვილების გადაწერილი), რომელსაც ეს სწავლული შეცდომით მიიჩნევდა არჩილის ბრძანებით შესრულებულ პირველ ეგზემპლარად. თეიმურაზი განავრცობს „ქრონოგრაფის“ ანდერძს და აკონკრეტებს ბ. სოლოლაშვილის შესრულებულ ნაწილს. სწავლული ბატონიშვილის სიტყვით, ბაგრატს უთარგმნია „მცირის თეოდოსის ცხოვრების დასასრულამდის“; ამასთან, მეცნიერი აღნიშნავს, რომ არჩილს „შეწევნითა სხვათა მთარგმნელთა უწყია თარგმანი მარკიანე და პლუხერიას (!) მეფობიდგან და სრულუქმნია“⁸⁵. სამწუხაროდ, თ. ბაგრატიონი ამ საქმეში არჩილის დამსმარეთა ვინაობას არ გვაცნობს. შენიშვნას იმსახურებს თარგმანის დაზუსტების მისეული ცდაც, თუმცა მას არაერთი მკვლევარი ეთანხმება⁸⁶.

„ქრონოგრაფის“ ქართული და რუსული ხელნაწერების შესწავლით ზუსტად ირკვევა ა. ბაგრატიონისა და ბ. სოლოლაშვილის ნათარგმნი ნაწილები.

1832 წ. „ქრონოგრაფს“ პარიზში გაეცნო მ. ბროსე, ვახტანგ და ტარიელ ბატონიშვილების კუთვნილი ქართული ხელნაწერით. აღმოსავლეთით დაინტერესებულმა მეცნიერმა ფრანგულად თარგმნილი ორი ნაწყვეტი (კონსტანტინე დიდის საფლავის წარწერის აღწერილობა და 1453 წ. კონსტანტინოპოლის აღების მოთხრობა), მოკლე ცნობების დართვით გამოაქვეყნა⁸⁷. მ. ბროსემ სწორად მიუთითა ამ

⁸⁵ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი მოამზადა გამოსაცემად წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. იორდანაშვილმა, თბ., 1948, გვ. 35—36.

⁸⁶ ა. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 574. P. P. Орбелн. Грузинские рукописи института востоковедения АН СССР. вып. I, М.—Л., 1956, с. 53. И. Н. Лебедева, Поздние греческие хроники и их русские и восточные переводы, „Палестинский сборник“. вып. 18 (81), 1968, с. 124. P. Д. М и р и а н а ш в и л и. Переводческая деятельность Арчила Багратиона. автореферат, თბ., 1973, გვ. 17; გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ტ. II, თბ., 1974, გვ. 60.

⁸⁷ H. L e b a u, Histoire de Bas-Empire Nouvelle, ed. ტ. XXI, პარიზი, 1836, გვ. 315—331. მ. ბროსე შემდეგშიაც მუშაობდა „ქრონოგრაფზე“. მას ხელთ

წიგნის ქართულად შექმნის დროდ XVIII ს-ის დასაწყისი, მართებულად განსაზღვრა ძეგლის რაობაც („მოკლე მსოფლიო და საეკლესიო ისტორია“), მაგრამ შეცდომით მიაწერა წიგნის შედგენა მეფე არჩილს.

რუსეთში მოღვაწე მეცნიერ-ორიენტალისტმა მ. ბროსემ 1838 წ. ფრანგულად გამოსცა თეიმურაზ ბაგრატიონის ხელნაწერებისა და წიგნების აღწერილობა⁸⁸, რითაც ევროპელთათვის მისაწვდომი გახდა ქართველი სწავლულის მოსაზრებანი „ქრონოგრაფის“ რაობასა და ამ ძეგლის ქართულად მთარგმნელებზე.

„ქრონოგრაფის“ თარგმნასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხო ა. ხახანაშვილი⁸⁹. ძეგლი აღწერა ალ. ცაგარელმა⁹⁰.

არჩილის შემოქმედების განხილვისას კ. კეკელიძემ მიუთითა ამ თხზულების რამდენიმე ხელნაწერზე და პირველად სწორად ივარაუდა, რომ ეს წიგნი შეიძლებოდა ყოფილიყო დოროთე მონემბაზისელის „ქრონოგრაფი“⁹¹.

სანქტ-პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული, ქართულად თარგმნილი „ქრონოგრაფის“ ნუსხა აღწერა რ. ორბელმა⁹².

რუსულიდან თარგმნილ ძეგლებს შორის „ქრონოგრაფი“ მოკლედ მიმოიხილა ტრ. რუხაძემ. მკვლევარმა სწორად ივარაუდა, რომ არჩილს ეს თხზულება უნდა გადმოეღო რომელიღაც რუსული ხელნაწერიდან.

ქონია ამონაწერები „ტფილურთა მოქალაქე ქმნილის ხელოვანის მხატვრის გრიგოლ მღვდელის-ძის დეკანოზ ალექსის მიერ 1753 წ. გადანუსხულ „ქრონოგრაფიდან“ (შეადარე, H-167). შერჩევით გადმოწერილი ქართული ტექსტი. ტექსტისთვის („ხრონოგრაფისაგან გადმოღებული მოთხრობანი“) მ. ბროსეს ფრანგულ ენაზე დაურთავს ხარკევი (იხ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა კოლექცია C—68).

⁸⁸ M. Brossé, Catalogue de livres Georgiens tant imprimés que manuscrits, anciens, et modernes. Recueil des actes de la Séance publique de l'Académie Impériale des Sciences de S.-Petersbourg tenue le décembre 1837. S.—Petersbourg, 1838, გვ. 119—178.

⁸⁹ A. C. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской письменности. ნაკვ. 3. M. 1901. с. 348—349.

⁹⁰ A. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, 1889. с. 178.

⁹¹ კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 574.

⁹² P. P. Орбел, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР. вып. I. М—Л, 1956, с. 53.

მანვე შენიშნა ქართულ თარგმანში არსებული ორიოდე საამისო მოწმობაც — ლექსიკური რუსიზმი⁹³.

მოსკოვის ქართული კულტურის კერის მთარგმნელობითი საქმიანობის დახასიათებისას გაცვრით შეეხო ამ ძეგლს ლ. მენაბდე⁹⁴.

1961—63 წწ-ში არჩილის მთარგმნელობით მოღვაწეობასთან დაკავშირებით, შევისწავლეთ ამ კრებულის ქართული და რუსული ხელნაწერების უმეტესობა. გამოვავლინეთ ქართული თარგმანის უძველესი რედაქცია, „ქრონოგრაფის“ ის ბერძნული და რუსული ხელნაწერი, რომელთაგან გადმოიღეს ბ. სოლოლაშვილმა და ა. ბაგრატიონმა; გავარკვიეთ თარგმნილი ძეგლის საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები, ვრცელი, მოკლე და გამოკრებილი რედაქცია; გადამწერთა, რედაქტორთა ვინაობა, ქართულ სასოგადოებრივ აზროვნებაზე („ქართლის ცხოვრებასთან“ ამ ძეგლის დაკავშირების ცდა) „ქრონოგრაფის“ დამჩნეული კვალი და სხვ. კვლევის შედეგების ერთი ნაწილი შევიდა ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში⁹⁵.

გვიანი ბერძნული „ქრონოგრაფების“ გამოცემების შესწავლასა და თარგმანთა საკითხებს მიეძღვნა ი. ლებედევას დისერტაცია, რომელიც 1968 წ. დაიბეჭდა⁹⁶. მკვლევრისათვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე ნაშრომში მიმოხილულია ქართულად თარგმნილი „ქრონოგრაფის“ თ. ბაგრატიონისეული ხელნაწერი, სწორადაა მითითებული ის რუსული ორიგინალი, რომლიდანაც გადმოაქართულეს ტექსტი. ავტორი, არსებული აღწერილობათა საფუძველზე, ჩამოთვლის „ქრონოგრაფის“ რამდენიმე ქართულ ხელნაწერს და ცდილობს არჩილის კულტურული მიზნების შეცნობასაც⁹⁷.

1973 წ. გამოქვეყნდა რ. მირიანაშვილის ავტორეფერატი — „არჩილ ბაგრატიონის მთარგმნელობითი მოღვაწეობა“⁹⁸, რომელშიაც მი-

⁹³ ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.) თბ., 1960, გვ. 229.

⁹⁴ ლ. მენაბდე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან, თსუ-ს შრომები, 96, თბ., 1963, გვ. 213.

⁹⁵ ფრ. სიხარულიძე, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე (მოსკოვის ქართული ახალშენი), თბ., 1967, გვ. 132—169.

⁹⁶ И. Н. Лебедева. Поздние греческие хроники и их русские и восточные переводы. „Палестинский сборник“ Вып. 18 (81) Л. 1968.

⁹⁷ იქვე, გვ. 123—128.

⁹⁸ Р. Д. Мирянашвили. Переводческая деятельность Арчила Багратиона, Тб., 1973.

მოხილულია „ქრონოგრაფიკ“. 1976 წ. იმავე მკვლევარმა ამ ძეგლზე ნარკვევიც დასტამბა⁹⁹.

რ. მირიანაშვილი გასცნობია ამ კრებულის რამდენიმე ნუსხას. მკვლევარს აღნიშნული აქვს ქართულ თარგმანში შესული რუსიცი-ზმების ერთი ნაწილი. სამწუხაროდ, მას ფსევდო-დოროთეს ქრონიკის ნაცვლად შესადაარებლად აულია რუსული „ქრონოგრაფები“, ხოლო „ქრონოგრაფის“ ქართულად თარგმნის დაწყების მისათითებლად გამოუყენებია მცდარი ცნობა.

გ. შარაძეს ეფრემ და ონისიმე გარსევანიშვილების გადაწერილი თეიმურაზისეული „ქრონოგრაფი“ ამ ძეგლის პირველ, თეთრად გადაღებულ ნუსხად მიაჩნია¹⁰⁰.

ვინ იყო „ქრონოგრაფის“ პირველი ნაწილის მთარგმნელი ბაგრატ სოლოლაშვილი და როდის უნდა შეესრულებინა მას ეს სამუშაო?

მოსკოვის ქართული კულტურის კერაში არჩილის სახლის გარშემო საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შვილები იყვნენ შემოკრებილნი. ბაგრატი ქართლელი იყო. „მთაწმინდლობა“ საბერძნეთში მოღვაწეობაზე მიუთითებს. ჩანს, მას კარგად შეუსწავლია ახალი ბერძნული ენა.

ერთ-ერთ დოკუმენტში ეს მოღვაწე მოსკოვში, არჩილის კარზე 1701 წელსაა მოხსენიებული. შვედეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან ბაგრატის გაგზავნა არჩილმა ამ წელს მოითხოვა¹⁰¹. ბაგრატი ალექსანდრე ბატონიშვილს იმ კულტურულ ლიტერატურულ მთარგმნელობით საქმიანობისათვის სჭირდებოდა, რაც მან ტყვეობაში გაშალა. აღნიშნული მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს მოღვაწეები ადრე იცნობდნენ ერთმანეთს. არჩილს შემდეგ გადაუფიქრებია ბაგრატი სოლოლაშვილის სტოკჰოლმს მივლინება და მისი მოსკოვს დატოვება უფრო სასარგებლოდ მიუჩნევია, ხოლო ბ. სოლოლაშვილის ნაცვლად, შვედეთში, იოსებ დავითაშვილი გაუგზავნია¹⁰². სტოკჰოლმს მყოფმა ალექსანდრე ბატონიშვილმა რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ მოითხოვა მღვდლის

⁹⁹ რ. მირიანაშვილი, ხრონოგრაფი ანუ მსოფლიო ისტორია და მისი ქართული თარგმანი, წიგ. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, თბ., 1976, გვ. 171—183.

¹⁰⁰ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1974, გვ. 60.

¹⁰¹ ფ. რ. სიხარულიძე, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე (მოსკოვის ქართული ახალშენი), თბ., 1967, გვ. 141.

¹⁰² იქვე.

მასთან ჩასვლა. მაშინ არჩილმა შვილს უარი ველარ უთხრა და 1706 წ. 15 ივლისს მღვდელმონაზონ ბაგრატის შვედეთს გამგზავრების ნება და ტრანსპორტი ითხოვა. ხელმწიფემ ქართველი მეფის თხოვნა დააკმაყოფილა და იმავე წლის 24 ივლისს ბ. სოლოლაშვილის მგზავრობის სიგელიც გაიცა¹⁰³.

როგორც შვედური დოკუმენტებით ირკვევა, ბაგრატმა ალექსანდრე ბატონიშვილს სტოკჰოლმს ჩაუტანა ქართული ხელნაწერებიც; მათ შვედეთში ნაყოფიერი მთარგმნელობით-ლიტერატურული მოღვაწეობა გაშალეს¹⁰⁴.

როდის უნდა შესდგომოდა ბ. სოლოლაშვილი „ქრონოგრაფის“ ბერძნულიდან ქართულად გადმოღებას, ამაზე პირდაპირი მითითება არა გვაქვს. სხვადასხვა დოკუმენტის არაპირდაპირ მონაცემთა შეჯერების საფუძველზე, ეს საქმე მას, თითქოს, უადრეს 1700 წლისა არ უნდა დაეწყო¹⁰⁵. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არჩილმა 1701 წ. ბაგრატის ნაცვლად შვედეთს ი. დავითაშვილი გაგზავნა მხლებლით. საფიქრებელია, რომ იმ დროს ბ. სოლოლაშვილი ამ ძეგლს უკვე თარგმნიდა.

ანდერძით, „ქრონოგრაფზე“ თ. სოლოლაშვილის მუშაობის შეწყვეტის თარიღად 1706 წელია მითითებული. ჩვენ მიერ გამოვლენილი დოკუმენტებით დაკონკრეტდა, რომ ეს 1706 წლის ზაფხულს მოხდა.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ბ. სოლოლაშვილი „ქრონოგრაფს“ თარგმნიდა 1701 წლიდან მოკიდებული 1706 წ. ივლისამდე.

ამის შემდეგ ამ ძეგლის მეორე ნაწილის გადმოქართულებას შეუდგა არჩილი, მაგრამ არ ჩანს როდის დაასრულა მან ეს სამუშაო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არჩილმა გარდაცვალებამდე მოასწრო „ქრონოგრაფის“ გადმოღება. ასე რომ, ეს ძეგლი ქართულად უნდა ეთარგმნათ 1701—1712 წწ-ში.

რუსეთში, სადაც ა. ბაგრატიონი და ბ. სოლოლაშვილი მოღვაწეობდნენ, „ქრონოგრაფს“ საკმაო ტრადიცია ჰქონდა. ინტერესი ამ ძეგლისადმი რუსეთში XV ს-ის დასაწყისამდე ჩნდება. „ქრონოგრაფის“ პირველი რედაქცია არ შენახულა, 1513 წ. რედაქციამ კი რუსეთში

103 იქვე, გვ. 142.

104 ფრ. სიხარულიძე, დოკუმენტები საქართველო-შვედეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, „მეგობრობა“, ტ. II, თბ., 1981, გვ. 275—322.

105 დაუსაბუთებელია „ქრონოგრაფის“ ქართულად გადმოღების მიწინების რ. შირიანაშვილისეული განსაზღვრა. იხ. Р. Мирянашвили. Переводческая деятельность Арчила Багратиона, Тб., 1973. с. 17.

1617 წლამდე იარსება. ამ დროს და შემდეგაც ეს ძეგლი გადაამუშავეს¹⁰⁶. რუსმა მწიგნობრებმა იგი სამშობლოს ისტორიით შეავსეს (VIII ს. ამბებიდან მოკიდებული). ამ სამუშაოს შესრულებას აპრობებდა მათი შთაგონება ქვეყნის დაწინაურების იდეით (რუსეთი ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრე)¹⁰⁷.

ქართულ, რუსულ და ბერძნულ „ქრონოგრაფთა“ შესწავლამ ცხადყო, რომ ქართველ მოღვაწეებს რუსული „ქრონოგრაფი“ კი არ გადმოუღიათ, არამედ ბერძნული. ბ. სოლოლაშვილმა ორიგინალიდან დაიწყო ამ ძეგლის თარგმნა, არჩილმა კი ბერძნული „ქრონოგრაფის“ რუსული თარგმანის გამოყენებით სრულყო წიგნი.

ქართულად თარგმნილი „ქრონოგრაფის“ შედგენილობა-შინაარსის შესწავლით გაირკვა, რომ ბ. სოლოლაშვილმა ახალბერძნული ძეგლი გადმოიღო.

1962—63 წლებში ახალბერძნულ „ქრონოგრაფთა“ ხელნაწერებს გავეცანით სსრკ სახელმწიფო საისტორიო მუზეუმში, ვ. ი. ლენინისა და მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკებში, ძველ საბუთთა ცენტრალურ არქივში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო საისტორიო მუზეუმის ბერძნული კოლექციის (სინოდ. № 457). „ქრონოგრაფმა“¹⁰⁸.

ახალბერძნულ ენაზე დაწერილი ეს ძეგლი ფსევდო-დოროთეს სახელითაა ცნობილი. წიგნი იწყება სამყაროს შექმნით და მთავრდება სულთან სელიმ II-ის მიერ კვიპროსის აღების თხრობით. ხელნაწერი დასრულებულია 1622 წელს, ირკვევა, რომ ქართულად თარგმნილი „ქრონოგრაფის“ პირველი ნაწილი ამ რედაქციის ბერძნული წიგნიდანაა შესრულებული.

მითითებულ (457-ე) ხელნაწერს აქვს მინაწერები (ბერძნულ ენაზე), რითაც დასტურდება, რომ ეს წიგნი აღრე ათონის მთის ივე-

¹⁰⁶ А. Попов, Обзор хронографов русской редакции, вып. II. М. 1869, с. 65. 67.

¹⁰⁷ А. А. Зимин. Русские летописи и хронографы конца XV—XVI вв, М. 1960, с. 8.

¹⁰⁸ ეს ძეგლი აღწერილია: Арх. Савва, Указатель для обозрения Московской патриаршей (ныне синодальной) библиотеки, М. 1858, с. 141. Арх. Владимир. Систематическое описание рукописей Московской синодальной (патриаршей) библиотеки, ч. I, М. 1894. с. 605—606. ამ წიგნში ეს ხელნაწერი 408-ე ნომრითაა მითითებული; И. Н. Лебедева. Списки хроники Псевдо-Дорофея в собраниях Советского Союза. В. В. т XXVI. 1965. с. 100—101.

რის მონასტერს ეკუთვნოდა. ეს ძეგლი ერთი იმ წიგნთაგანია, რომელიც არსენ სუხანოვმა ჩამოიტანა ათონიდან მოსკოვს და საპატრიარქო ბიბლიოთეკას გადასცა. ჩანს, რომ ათონის მთაზე არსებულ მონასტრებს და კერძოდ, „ივერიის“ ქართულ სამწიგნობრო კერას, საბერძნეთში რამდენიმე ახალბერძნული „ქრონოგრაფი“ ჰქონდა. შესაძლებელია, მთაწმინდელ ბ. სოლოლაშვილს ათონის მთაზე გაუჩნდა. ამ ხელნაწერის ქართულად გადმოღების სურვილი. ამ სურვილის განხორციელების საშუალება მოსკოვს შეექმნა არჩილის ხელშეწყობით, თუმცა ბაგრატიისა და არჩილის შემოქმედებითი თანამშრომლობა იქ დიდხანს არ გაგრძელებულა. 1706 წ. ქართველმა მეფემ, როგორც უკვე ითქვა, ბერძნული ენის მცოდნე ეს ბერი სტოკპოლმს გაამგზავრა ალექსანდრე ბატონიშვილის დასახმარებლად.

შეწყვეტილი სამუშაოს დასრულება, „ქრონოგრაფის“ რუსული თარგმანის მიხედვით, ახლა თავს არჩილმა იღო. შესაბამისი ხელნაწერი მისაღებად ქართველ მეფეს, ჩანს, წინანდებურად ძველ საპატრიარქოს ბიბლიოთეკისათვის მიუმართავს და მისი თხოვნაც დაუკმაყოფილებიათ.

არჩილისათვის რუსულად გადმოღებული „ქრონოგრაფის“ სასტამბოდ გამზადებული ერთ-ერთი ტექსტი (ან უკვე რედაქტირებული ხელნაწერი) გადანუსხული გადაუციათ. ეს ხელნაწერი წიგნი (სინოდ, № 343), საბედნიეროდ, დაცულია¹⁰². იგი უპირველესად საინტერესოა, როგორც ქართულად გადმოღებული „ქრონოგრაფის“ დედანი. ამ რუსული ხელნაწერის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის არჩილის მინა-

¹⁰² ეს ძეგლი, ისევე, როგორც „ალექსანდრიანის“ ერთი უძველესი ხელნაწერი (და სხვებიც) 60-იანი წლების დასაწყისში გამოვალონეთ (იხ. ჩენი „რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე“), მაგრამ, რადგან მათი ფოტოგადაღება გაგვიკიანურდა, სრულად ვერ აღწერეთ. ი. ბატონიშვილის ფონდში „ალექსანდრიანზე“ მცდარად შედგენილი კარტოთეკა დარბაზის გამგის ნებართვით გეასწორეთ, სოლო სინოდის ფონდის ბეჭდურ აღწერილობაში ჩაჩვეა არ გვიცდია. 343-ე ხელნაწერის ფოტოდ გადაღებისას მუხუშუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ტ. პროტასიევამ ყურადღება მოგვაქცია, გეთხოვა, აგვეხსნა, რატომ ვიყავით ამ ხელნაწერთა ასე დაინტერესებული და როცა საქმის ვითარებაში ვაერკვა, ინანა; შემდეგ ამოიღო მის მიერ აღრე შედგენილი ბარათი და ჩაუმბატა „ищет грузинские рукописи“. ტ. ნ. პროტასიევამ ჩენი მითითებაც მალე ვაცთვალისწინა. იხ. მისი Описание рукописей синодальной библиотеки. 4 часть II, М., 1974, გვ. 127. ჩენ ამ ხელნაწერთა შესახებ 60-იან წლებში ვაცნობებთ სანქტ-პეტერბურგელ კოლეგებს: ლ. შებელიოვას, ნ. დრობლენკოვას და სხვებს.

წერები, რაც საშუალებას იძლევა ამ დიდი ქართველი მოღვაწის! შე-
მოქმედებითი პროცესის დასახასიათებლად, რუსულად თარგმნილი
„ქრონოგრაფის“ ქართულად გადმოღებული ნაწილის დასაზუსტებლად
და ზოგიერთი სხვა საკითხის გასარკვევად.

სამწუხაროდ, სინოდის ფონდის 343-ე ხელნაწერი ჯეროვნად არ
არის შესწავლილი!¹⁰.

უკანასკნელ ხანს ძეგლი მიმოიხილა ი. ლებედევამ, რომელმაც ყუ-
რადღება მიაქცია უმთავრესად რუსული თარგმანის ბერძნულ ორი-
გინალთან მიმართებასა და რუს მთარგმნელთა ვინაობას!¹¹.

„ქრონოგრაფის“ ეს ხელნაწერი (შეიცავს 820 ფურცელს) XIX
საუკუნეშია ჩასმული ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში. ძეგლი, ძირი-
თადად, კარგადაა ჩვენამდე მოღწეული, აკლია მხოლოდ 820-ე ფურ-
ცლის ნაწილი (მოხეულია).

კალიგრაფია XVII ს-ის მეორე ნახევრისა ან XVIII ს-ის დასა-
წყისისა უნდა იყოს. გადამწერთა და ტექსტზე მომუშავეთა სხვადასხვა
კალიგრაფია წიგნის გადათვალიერებითაც ნათელი ხდება. ერთ-ერთი
გადანუსხული (სხვა პირის ჩასწორებული) ის ტექსტია, რომელშიაც
კორექტურული ნიშნებია გამოყენებული და დასაბეჭდადაც ნებადარ-
თულია, დასაწყისში ჯვარია გამოსახული. ტექსტის მეორე ნაწილი
შეიძლება არჩილის შეკვეთით იყო გადაწერილი.

ჰვირნიშანთა (ორთავიანი არწივი და გერბიან ფარგზე შროშანი
გვირგვინის ქვეშ) მოშველიებით, ი. ლებედევა შეეცადა ხელნაწერის
დათარიღებას XVII ს-ის 60-იანი წლებით. ჩანს, მას მხედველობიდან
გამორჩენია კიდევ ორი ჰვირნიშანი, რომელთაგან ერთი¹² თარიღდება
1686 წლით, ხოლო მეორე (ამსტერდამის გერბი), — 1701
წლით. ეს საეჭვოს ხდის აღნიშნული ძეგლის გადანუსხვის მისეულ
დათარიღებას.

ხელნაწერის სხვადასხვა ნაწილში ტექსტი ერთსა და იმავე დროს
არ უნდა იყოს გადაწერილი, ამაზე მიგვანიშნებს რვეულების სხვა-
დასხვა ფორმაც. უნდა ვიფიქროთ, რომ წიგნის მეორე ნაწილი ცალკე

110 А р х. С а в в а. Указатель для обозрения Московской патриаршей
(ныне синодальной) библиотеки, Переводная литература Московской Руси.

111 И. Н. Л е б е д е в а. Поздние греческие хроники и их русские и вос-
точные переводы. „Палестинский сборник“ Вып. 18 (81), М., 1968. с. 75—78,
84—85, 87—89, 93, 95.

112 К. Т р о м и н и н, Знаки писчей бумаги, М., 1944. № 1684.

გადინუსხა (არჩილის შეკვეთით), ან სხვადასხვა დროს შესრულებულ ტექსტთა ნაწილები შემთხვევით შეაერთეს ყდაში ჩასმისას.

ყურადღებას იქცევს ხელნაწერის ქართული მინაწერები, რომლებიც მხოლოდ წიგნის მეორე ნაწილშია. ეს გარემოება იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ქართველი მოღვაწე საკუთარ ხელნაწერზე წერდა. მინაწერებში საინტერესო ცნობებია დაცული მთარგმნელის მიზანდასახულობაზე, ფილოლოგიურ, ტექსტოლოგიურ ძიებაზე, სალექსიკონო სამუშაოზე.

326r ფურცელზე შავი მელნით დანიშნულია ადგილი და წერილი გაკრული მხედრულით მიწერილია: „აქამდი ბაგრატიონის დაწერილია“. უეჭველია, წარწერა არჩილ მეფის ხელითაა შესრულებული. აქედან მოკიდებული ძეგლს ბოლომდე გასდევს ჩანიშვნები და სხვადასხვა მინაწერები, როგორც ტექსტში, ისე გვერდით, არშიაზე.

მოტანილი მინაწერი ტექსტში მოთავსებულია ერთ-ერთი თავის — „თეოდოსი მცირის მეფობის“ — შუა ნაწილში, სადაც იწყება ნესტორის კუნძულზე განდევნის აღწერა და ზუსტად მიგვითითებს ტექსტის იმ ადგილს, სადამდეც ბ. სოლოლაშვილს „ქრონოგრაფი“ ბერძნული ენიდან ქართულად ჰქონდა გადმოთარგმნილი. აღსანიშნავია, რომ ქართულ ხელნაწერებში ანდერძი ბაგრატიისა და არჩილისაგან შესრულებულ სამუშაოთა შესახებ, აღნიშნული თავის დასასრულსაა მოთავსებული. უდავოა, იგი ტექნიკური მოსაზრებით, ძეგლის ახალი თავის დასაწყისის წინ გადაიტანეს.

რუსულ ტექსტში მომდევნო თავი („სიკვდილი თეოდოსი მცირისა“) 335-ე ფურცელზე იწყება. ბ. სოლოლაშვილს სამუშაო, ჩანს, შეწყვეტილი ჰქონდა თეოდოსი II-ის მეფობის თხრობის შუა ადგილას. აქედან მოკიდებული მომდევნო თავამდე ტექსტი ათი ფურცელია. თარგმანი აქედან გაუგრძელებია არჩილს და არა „თეოდოსი მცირის სიკვდილიდან“, როგორც ეს მითითებულია „ქრონოგრაფის“ ქართულ ხელნაწერებში და გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

მთარგმნელის სხვა მინაწერებიც საგულისხმოა. არჩილის შენიშვნები ეხება თარგმანზე მუშაობის დაწყებას¹¹³ და მუშაობის დროებით შეჩერებას¹¹⁴, ტექსტის დაზუსტებას¹¹⁵. რამდენიმე ადგილას ჩა-

113 იხ. 326r, 339v.

114 „აქამდე დაწერილია, ამ ნიშნადამ“ (381r) „აქამდი არის დაწერილი“ (815r).

115 „სისრულე“ (329r) „ეს ოთხი სიტყვიდან რ[ო]მ[ე]ლს დაწერა უნდა?“ (476r); „აქადგან რომელი დაწერილია და რომელი დაუწერელი? გასინჯვა უნდა!“ (5857).

წიშნულია სათარგმნელი თუ თარგმნილი ნაწილების რვეულთა რაოდენობა¹¹⁶.

ზოგან არჩილს მითითებული აქვს რუსული ტექსტის შემცირება. მაგ., „აგი ქერობინი აქ შემოკლდა“ (369 გ). არ არის დავიწყებული სიტყვის გამოტოვებაც: „მოსხომ. — ეს აკლია!“ — მიწერილია ტექსტთან „И со многим благоуханием Мосхом и иным“ (558 გ).

ქართველი მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ სიტყვებზე: მაგ. „Грузинцов“ გატანილია არშიაზე შემდეგ წინადადებასთან— „Имяще же и помощников грузинцов иверов и армянов“ (589v.) იქვე, ქართულად წერია: „ეს მმალიკი“ — მიწერილია რუსული წინადადების („И поседоша турки и секоша Мамалуков“) — გააწერია.

წარწერა ადასტურებს რუსულად გადმოთარგმნილი ტექსტისადმი არჩილის კრიტიკულ დამოკიდებულებას. მაგ., „ამას კი გამოძიება უნდა!“ წარწერილია თავის — „чего ради глаголется верую символ!“ (814v) შემდეგ.

საინტერესოა ხელნაწერში არსებული სალექსიკონო მუშაობის დამადასტურებელი მაგალითები — რუსულ ტექსტში ზემოთ და გვერდით მიწერილი მათი მნიშვნელობის შემცვლელი ქართული სიტყვები და წინადადებები¹¹⁷, ან თარგმანის სიზუსტისათვის გამოსადეგი ცალკეული ქართული შესატყვისები¹¹⁸, რაც ცხადად მიგვანიშნებს იმ მრავალმხრივ სალექსიკონო სამუშაოზე, რასაც მთარგმნელები ეწეოდნენ.

ხელნაწერის 420-ე ფურცელზე სხვა მინაწერებს შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია წინადადება: „а zde недобрѣ переведено божия чюдо!“ — თუ ეს წარწერა რუსული ტექსტის გადამწერს შემდეგ არ ჩაუმატებია, მაშინ ის არჩილთან მყოფი რუსი მწიგნობრის წარწერაა.

¹¹⁶ „ერა!“ [ე რვეულია? (ფრ. ს.) 329გ]; „ე რვეული აქათ უნდა შესრულდეს!“ (393ვ); „უ რვეული აქადამ შესრულდეს“ (413გ); „ზ რვეული აქადამ“ (435გ); „პ რვეული აქადამ!“ (455ვ); „რ რვეული, აქადამ!“ (472გ).

¹¹⁷ „Башни“—გოდოლნი“ (333ვ); „Башня—კოჰია!“ (342v) „Вселенский—შოფლოოს.“ (338v), „Стекло—ქიკა,“ (352v) „Камень—ქვა“, „Кристал—ბროლი.“ „Рундук—მობქედული“ „И огонь сюла—გადაწვ. ფისი“ (416v). „Слез с коня—გარდახდა“ (502v). „Догмати—მოძღვრება“ (769v) „Разинстова—სხვალასხვა“ „Изречение—განჩინება“.

¹¹⁸ „იატაკი“, „რომელმანვე“ (353გ), „ფსალსალმუნე (353ვ), „უშვენებდეს (592გ), „სიცვალეზოლა“ (600გ) „დამხედველი (679გ), „რომლისათვის“ (737გ).

სინოდის 343-ე ხელნაწერზე არსებული ეს ქართული მინაწერები იმ დიდი სალექსიკონო ძიების ნაწილია, რაც ამ ძეგლის თარგმნისას სრულდებოდა. ჩანს, ასეთ სამუშაოს ისინი, ძირითადად, ცალკე წერდნენ. ამის დამადასტურებელმა ხელნაწერის ქალაქისაგან განსხვავებული ფურცლის ფრაგმენტმა, ჩვენამდეც მოაღწია (დევს წიგნის 539 და 540 ფურცლებს შორის).

რუსული „ქრონოგრაფის“ ხელნაწერ წიგნში დაცული ქართული ჩანაწერები (არჩილის ავტოგრაფი) მნიშვნელოვანი წყაროა არჩილის ფართო, მრავალმხრივი მოღვაწეობის შესასწავლად. ეს წარწერები წარმოდგენას ჯეიქმნის ამ განთქმული მწიგნობრის მთარგმნელობითი მუშაობის პროცესზე, აკონკრეტებს რუსულიდან თარგმნილ ამ ძეგლის ნაწილს, ზოგადად მიგვანიშნებს ქართველი მეფის შემწეებზე ამ დიდ საქმეში და ა. შ. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს როგორც ქართულად გადმოღებული „ქრონოგრაფის“ სრულყოფილად შესწავლას, ისე მოსკოვში, ქართული კულტურის კერაში გაწეული დიდი შემოქმედებითი მუშაობის წარმოჩენას.

ქართულად თარგმნილმა ძეგლმა ფართო პოპულარობა მოიპოვა და მრავალ ხელნაწერად გავრცელდა.

„ქრონოგრაფის“ უძველესი ნუსხაა ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული S ფონდის №—1377 ძეგლი. გადაუწერია კალიგრაფ იოსებ წინამძღვარს. ამ რედაქციიდან მომდინარეობს ყველა ის ქართული ხელნაწერი, რომელიც იწყება „სახისმეტყველებით“.

XVIII ს-ის I მესამედში გადაწერილი ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული S კოლექციის №: 125 ნუსხაც. ეს პატარა ზომის (17×11) წიგნი ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. მხედრული ტექსტი ნაწერია შავი მელნით, სათაურები — სინგურით. ხელნაწერი თავნაკლულია. იწყება ასე: „...ხ[ოლო]ებრ წარვიდა ეგვიპტედ და ამან ენა ისევ ადამისა იცოდა, რომელსაც ადამ ლაპარაკობდა. ებრაული ენა ეს არის ადამის ენა და პირველთაც ებრ ყვეს მეფედ ეგვიპტეს...“.

ტექსტი 370 ფურცელს მოიცავს. მთავრდება ფლორენციის კრების აღწერით. წიგნს აქვს დამატება-მინაწერები, სადაც მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ ხელნაწერის დასათარიღებლად. 371r ფურცელზე მოთავსებული ცნობის (ნაწერია ნუსხის გადამწერის ხელით) მიხედვით ირკვევა, რომ მისი გადამწესხველი მოსკოვში პეტრე პირველის დროს ჩასულა („... მოვედით მოსკოვს პეტრე ალექსიშვილის დროს...“), შემდეგ ეს ქართველი კალიგრაფი პეტრე პირველისა და

„მათი შვილის მიცვალების“ გამო გამართულ ცერემონიალსაც დასწრება.

წიგნის ყდაზე შიგნიდან მოყვითალო მელნით მიწერილი მხედრული (ტექსტისაგან განსხვავებული ხელით) წარწერებიდან (ყდის დაზიანების გამო) იკითხება შემდეგი: „...ოკლონბერს... შუალამ... (გა)-თენდა ქკს... ათა: შვიდას ოცდათერთმეტი ქართული ქრონიკონი...“ შემდეგი მინაწერი, შავი მელნით შესრულებული, ასე ამოვიკითხეთ: „ქკს უკვ ამ წელს დაიბადა ერთი ყმაწვილი კაცი ერთი თავი ქონდა, ორი თვალი ქონდა... ოთხი ხელი ქონდა. [ამოსული] კბილები ქონდა ათას შვიდას ოცდაჩვიდ(მეტს) ივლისის(ის) იე“.

საინტერესოა ლექსი, რომელიც ტექსტის შემდეგ დამატებებთან (ფურც. 377v) არის ჩაწერილი და რუსეთში „ქრონოგრაფის“ გადანუსხვის პროცესს ეძღვნება.

ქ. ცრუმან სოფელმან რა მიყო, ქოჩორსა თავი წამაბა,
რაცა ძალ ეღვა, მიმწია, ხანგრძლიე რუსეთსა დამაბა.
ეწერდი რა ამ წიგნის ამბავსა, ულონოდ ზურგი მამაბა,
და ადამის შექმნის ყ(ო)ფასა კეისრთ ცხოვრებას წამაბა.

მოტანილი ცნობები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქრონოგრაფის ეს ნუსხა გადაწერილია რუსეთში (მოსკოვს) XVIII ს-ის I მესამედში, წიგნის მინაწერები, 1732 და 1737 წწ-ის ამბებს რომ ეხება, გვიანდელია. ეს ძეგლი გარსევანიშვილის გადანუსხულია, ამაზე, სხვათა შორის, მიუთითებს მინაწერიც: „...ჩვენი სახლის კაცი ამას მოყვა და ოქონის ხატი ზითვათ“.

S — 125-ე ხელნაწერი სხვა მხრივაც საინტერესოა. უპირველესად, ყურადღებას იქცევს გადამწერის შენიშვნები და ტექსტში არსებული რუსული სიტყვების განმარტებები. ჩანს, კალიგრაფს ხელთ ჰქონია რუსიციზმის შემცველი ხელნაწერი. გადამნუსხველსა და მკითხველებს უცლიათ უცხო სიტყვებისაგან ტექსტის განტვირთვა.

უფრო ადრე, XVIII ს-ის I მეოთხედშივე, გადაწერილი ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტის. H კოლექციის № 868 ხელნაწერი. ნუსხის დასათარიღებლად საინტერესო ცნობებს შეიცავს გადამწერის ანდერძი და მინაწერი.

გადამწერის ანდერძში (389r) ვკითხულობთ: „თვისითა საფასითა ვიგულმოდგინე, აღვწერე წიგნი ესე ხონოგრაფი, რომელ არს ბერძნულისა სიტყვთა, ხოლო ქართულად, — ცხოვრებანი — ქალაქსა შინა მოსკოვსა. არსადა იპოებოდა ენას ჩნსა მწერალი ხუცურად...“¹¹⁹,

¹¹⁹ აქ ოთხი სტრიქონი ამოფხეკილია.

რომლისათვის სასყიდელი, გულისმოდგინებისათვის და საფასეთა წარგებისათვის მოტევაება ფრად ცოდვათა ჩემთა, ძმანო და მამანო, ვიდრემდის ცხოველ იყვეს წიგნი ესე. აღმომკითხველნო მოხსენება ყავთ წმიდათა ლოცვათა შინა თქ[ვე]ნთა“.

335r ფურცელზე კი მიწერილია: „ღმერთო შეიწყალე ცოდვილი ამის მწერალი მღვდელი დ...“¹²⁰ აქ შეიძლება მოსკოვს მყოფი არჩილის კარის დეკანოზიშვილი დიმიტრი კავკასიძე ან შემდგომდროის კალიგრაფი დიმიტრი ებიტაშვილი ვიგულისხმეთ. დიმიტრი კავკასიძის გადანუსხულია „მართლმადიდებელი აღსარება“ (H-33), კალიგრაფიის მიხედვით ახლოს დგას „ქრონოგრაფის“ ამ ხელნაწერთან. „ქრონოგრაფის“ ამავე წიგნს ერთვის „შესხმა სულ მცირედ მოსახსენებელი ჩემ უღირსისა ქართლისა მთავარეფისკოპოსისა ცოდვილისა რომანოზისა მიერ თქმული დასასრულსა ხ(რ)ონოგრაფისასა, რომლისა თავი იწყების ესრეთ: სიბრძნით დამბადებულმან ღმერთმან, ხილულთა და უხილავთამან“ (ფურც. 336—339). ეს დამატებაც ამ ძეგლის გადამწერის ხელითაა შესრულებული. „ქრონოგრაფის“ ნუსხაც რომანოზის ამ „შესხმის“ დაწერამდე არ უნდა იყოს გადაწერილი მოსკოვს¹²¹, ხოლო შესხმა, ცხადია, შეთხზულია 1722 წლის შემდეგ, როცა იქ მყოფი რომანოზი გაეცნო ქართულად თარგმნილ „ქრონოგრაფს“.

საყურადღებოა ისიც, რომ რომანოზს ეს წიგნი საჩუქრად გადაუცია მამა ეფრემისათვის: „ღირს მამას ეფრემს მიერთოს მშვიდობით ცხოვრებაში და ყოვლის კეთილის გამრავლებაში მოეხმაროს, მო- [იხსენებდეს თავის მსახურს] მსხვერპლის შეწირვაში, დალოცვაში

¹²⁰ აქაც ამოფხეკილია.

¹²¹ მიტროპოლიტ რომანოზის ყოველ ჩამოსვლას სამშობლოში საკმაო კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. მაღალგანათლებულ მოღვაწეს სამღვდელმსახურ ნივთებთან ერთად. საქართველოში ყოველთვის ჩამოჰქონდა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები: ხელნაწერ ძეგლთა ნაწილი თავისი ხარკით გადაწერილი ან ნაყიდი იყო. მაგ.: კრებული (A—154) გადანუსხულია არქიერ რომანოზის შეკვეთით. განსაკუთრებით ზრუნავდა ის თავის აღმზრდელი კერის — დავით გარეჯის ასაღორძინებლად, რ. ერისთავმა აღნიშნულ მონასტერს შესწირა: თავისი თხზულებანი, დ. ებიტაშვილისაგან გადაწერილი და მ. ჯოხიას მიერ განახლებული საღვთსაწაულო. მიტროპოლიტმა რომანოზმა ანდერძით იმავე კულტურულ კერას დაუტოვა კლემავსი (A—149). და სხვ. ქრონოგრაფს ეს სახელოვანი მოღვაწე განსაკუთრებული ზრუნევლობით მოჰკიდებია, სამშობლოში ჩამოუტანია და, სახსოვარ წარწერიდან ჩანს, უჩუქებია ეფრემისათვის. (ჯანდიერი? გარსევანიშვილი?) დოკუმენტთა მონაცემებით შესაძლებელი ხდება რ. ერისთავის მოსკოვში არსებულ ბიბლიოთეკის ხელნაწერ თუ ნაბეჭდ წიგნთა რაოდენა. ეს საშუალება იძლევა გავითვალისწინოთ იმდროინდელი მოღვაწის გონებრივი პორიზონტი, ინტერესთა წრე და ა. შ.

საქართველოს მთავარების(ს)კოპოზს არაგვის ერისთავის გიორგის ძეს რომანოზს, რომლისაცა წიგნი ესე იყო“, კვითხულობთ მინაწერში (ფურ. 4r).

ეს ძვირფასი ძეგლი ეფრემისათვის¹²² რ. ერისთავს 1730 წ. საქართველოში მისი ჩამოსვლის დროს, უნდა გადაეცა.

აღნიშნული წიგნი ნაწერია ორ სვეტად, ლამაზი ნუსხურით და მოიცავს 342 ფურცელს (ზომით 31×19,5). ეს ნუსხა ვრცელი რედაქციაა (აქედან გადაწერილი ჩანს: S —1292, S —2913).

სიძველის მიხედვით აღნიშნული ნუსხების შემდეგ უნდა მიეუჩინოთ ადგილი სსრ კავშირის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილებაში დაცულ „ქრონოგრაფს“ (ხელნაწერი M-22). ეს ძეგლი ვახტანგ VI-ის ამაღის წევრებს — ეფრემ და ონისიმე¹²³ გარსევანიშვილებს გადაუწერიათ მოსკოვში 1738 წლის ივლისში. აღნიშნულ ნუსხას თეიმურაზ ბატონიშვილი დამარი ბროსე მიიჩნევდნენ „ქრონოგრაფის“ სხვა ხელნაწერების საფუძვლად. ეს მოსაზრება გაიზიარა რ. ორბელიანმა, იგი წერს: „Экземпляр представляет первую чистовую рукопись „хронографа“, послужившую оригиналом для всех последующих списков“¹²³. ამ ძეგლის ხელნაწერების განხილვით ირკვევა, რომ აღნიშნული მოსაზრება მართებული არ არის. „ქრონოგრაფის“ დანარჩენი ხელნაწერების საფუძვლად უფრო H-868-ეს, H-2214-ეს, S-125-ესა და სხვა ხელნაწერთა მიჩნევა შეიძლება, ვინემ M-22-სა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციის № 3084-ე ხელნაწერი არ არის. XVII ს-ის I მეოთხედისა, როგორც ამას აღმწერი ვარაუდობს. ჩანს, მკვლევარს შეუმჩნეველი დარჩენია 163-ე ფურცელზე მოთავსებული გადამწერის ანდერძი. ირკვევა, რომ ეს ეგზემპლარი გადაუნუსხავს ნიკოლოზ გარსევანიშვილს. იგი მას მოსკოვში უნდა გადაეწერა, საინტერესოა, რომ ნიკოლოზს, ეფრემ და ონისიმესაგან განსხვავებით მოკლე რედაქცია შეურჩევია. ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ხელნაწერის გადანუსხვის დროდ შეიძლება 1730—1740 წწ. ვივარაუდოთ. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა გარსევანიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლის ამ ძეგლით დაინტერესებისა.

¹²² შესაძლებელია, ეს ეფრემი გარსევანიშვილია, ვახტანგ მეფის ამაღის წერი, მხედრულად ნაწერი „ქრონოგრაფის“ (M—22) ნაწილის გადამნუსხველი.

¹²³ Р. Р. Орбелин, Грузинские рукописи Института востоковедения. выпуск I, 1956, с. 58.

განსახილველი ნათარგმნი თხზულების ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო, რომ ქართულად „ქრონოგრაფის“ ორი რედაქცია გვაქვს: ვრცელი და მოკლე. კრებულის ორივე რედაქციის დამუშავებასა და გადართვისას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ეფრემ, ნიკოლოზ, ონისიმე გარსევანიშვილებს.

ნ. გარსევანიშვილის გადაწერილია: H-3084, S-4530. მოკლე რედაქციაში შემცირებულია შესავალი ნაწილი. „ქრონოგრაფის“ ვრცელ რედაქციაში თითოეული მეფის შოლვაწეობა ვრცლადაა დასასიათებული და ცალკე თავებადაა გამოყოფილი. შემოკლებულ ნუსხაში მეფეთა ცხოვრება ლაკონიურად და მშრალადაა გადმოცემული, მხოლოდ მეფეთა ზეობის ფაქტია აღნიშნული რიგის დაურღვევლობის მიზნით. მაგ., „შემდგომად სიკუდილისა ისონავესა იქმნა მსაჯული იუდა, შემდგომად იუდასა იქმნა მსაჯული ლოთონიელ“ და ა. შ. მოკლე რედაქციაში ზოგჯერ ძეგლის ნაწილები (თავეები) გამოტოვებულია. მაგ., S კოლექციის 125-ე ხელნაწერში გამოტოვებულია 6 თავი (242-დან 249-ის ჩათვლით). აქ თავს: „რომლისთვისაცა აღეშენა ვენეცია“ მოსდევს: „მეფემან მიხაილ პალეოლოღმან წაართვა კონსტანტინეპოლი ვენეციათა, რაშეთუ მადამი იგინი მეფობდნენ“. ეს უკანასკნელი დაუწერელია (ადგილი დატოვებულია), ხოლო ამის შემდეგ ასეთი დასათაურება: „ქ. შემდგომად მანვლო პალოლისა იქმნა კეისრად ძე მისი იოვანა“.

მოკლე და ვრცელ რედაქციათა სხვაობა კარგად ჩანს H კოლექციის №-3084 (მოკლე რედაქცია) და S კოლექციის №-314 ხელნაწერთა ტექსტების შედარებით.

შესაძლებელია რედაქციულად „ქრონოგრაფის“ ნუსხები ასე დავაჯგუფოთ:

S-125, H-3084, H-2252, Q-503 — მოკლე რედაქციის ხელნაწერები, ხოლო ვრცელი რედაქციისაა: H-166, H-294, H-704, H-868, H-1671, H-1198, H-1358 (ფრაგმენტია), H-2214, S-314, S-1216, S-1377, S-2913, S-3674, S-4530, S-4789, A-657, A-1092, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის №-523, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის № 583, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილების M-22 ხელნაწერი.

დასახელებულ ეგზემპლარებს გარდა, მრავალი ერთ საინტერესო ნუსხას (H-3126), რომელსაც ეწოდება: „რომელიმე გამოკრებული ხონორაფისაგან ხატთათვის და მეფეთათჳს და სასწაულთათჳს,“

რომელი რომლის მეფის დროს იყო“. ეს „გამოკრებული ხონოლოგია“ მოკლე რედაქციის ერთ-ერთი თავისებური ეგზემპლარია.

ჩანს, „ქრონოგრაფს“ ბევრთად სწავლობდნენ ქართველები. აკონსპექტებდნენ ამ ძეგლს და ნაწყვეტები სასწავლო წიგნებშიაც შეჰქონდათ. ამას ადასტურებს „ქრონოგრაფის“ ფრაგმენტების შეტანასაკითხავების კრებულში. ერთ-ერთი ასეთი წიგნია ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის № 345 ხელნაწერი. იგი შესრულებულია 1836 წ. ლეჩხუმში, საირმის მონასტერში.

აღნიშნულ კრებულში „ქრონოგრაფიდან“ ამოღებულ ნაწყვეტს უჭირავს 30—44 ფურცლები. ასევე, ქრონოგრაფის ნაწილი შეტანილია დოგმატიკურ-პოლემიკურ და ზნეობის სწავლის კრებულში, რაც ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე ამ ძეგლის გავლენისა და საქართველოში მისი პოპულარობის დამადასტურებელია. აწინშნულ თხზულებას მნიშვნელობა არ დაუკარგავს XIX ს-ის დასასრულამდე, მაშინ, როდესაც რუსეთში „ქრონოგრაფისადმი“ ინტერესი XVIII ს-ში ქრება. უძველესი რედაქციიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ რუსული „ქრონოგრაფის“ 1513 წლის რედაქცია¹²⁴.

1617 წ. რუსული „ქრონოგრაფი“ პოლონური წყაროებით შეავსეს და მიხეილ თედორის ძის მეფობის პერიოდზე შეწყვიტეს. იგი რუსული „ქრონოგრაფის“ მეორე რედაქცია იყო. მოგვიანებით, ეს წიგნი რუსეთში კვლავ გადააქეთეს¹²⁵.

რუსული „ქრონოგრაფი“ გადაკეთებული ძეგლია. რუსი მწიგნობრები სამშობლოს ბიზანტიის იმპერიის შემკვიდრედ შიიხნევდნენ. ეს იდეა გატარებულია „ქრონოგრაფშიც“. VIII ს-დან მოყოლებული ეს წიგნი რუსეთის ისტორიით არის შევსებული¹²⁶. ქართულ „ქრონოგრაფში“ არ არის ასეთი ჩანართები. რუსული „ქრონოგრაფისგან“ ქართული თარგმანი იმითაც განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელში არის ვენეციისა და ოსმალეთის ისტორია, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ რუსული „ქრონოგრაფის“ ძველი რედაქციები ქართველ მთარგმნე-

¹²⁴ ამ ძეგლს ა. პოპოვი ასე ახასიათებს: „Хронограф первой русской редакции не сочинен одним лицом, а собраны из разных источников, по своему происхождению принадлежащих литературам: Византийской, Болгарской, Сербской и Русской. Начинается он от сотворения мира и оканчивается 1453 годом, взятием Царьграда турками — А. Попов, Обзор хронографов русской редакции, вып. II.

¹²⁵ იქვე, გვ. 67.

¹²⁶ А. Л. Зимин, Русские летописи-хронографы конца XV—XVII. вв. М., 1960, с. 8.

ლებს არ გადმოუღიათ¹²⁷. ქართულად თარგმნილია ის „ქრონოგრაფი“, რომელიც მონებასიელ მიტროპოლიტს ფსევდო-დოროთეს მიეწერება. XVII ს-ის II ნახევარში იგი რუსულად უთარგმნიათ არსენს და დიონისე ბერძენს¹²⁸.

ფსევდო-დოროთეს „ქრონოგრაფი“ რუსულად თითქმის მთლიანადაა გადმოღებული. ამასთან, მთარგმნელთ გაუვრციათ ის თავები, რომელშიც მოქმედება მოკლედ იყო აღწერილი. გავრცობილია თურქოსმალთა წარმოშობისადმი მიძღვნილი ნაწილი, ეს თავი ქართულ თარგმანში ასეა ხაზგასმული: „აქა დაესწერეთ გამოწულილვით მაჰმადიანთა და მეფობა ოთმანისა“. რუსმა მთარგმნელებმა დაუმატეს თავი თურქეთის სულთნებზე სულთან იბრაჰიმამდე (1640—1648), ხოლო თავს — „განგება მეფობისა ბერძენთასა, რომელი გამოსახა და დაადგინა იგი დიდმან კონსტანტინე პირველმან მეფემან ბერძენთამან“, შეუერთეს „სამღვდელოსა განგებისათვის, რომელ არს დიდისა ეკლესიისა კონსტანტინეპოლისა“ და „მოქმედება განგებათა“. ამ უკანასკნელის გარდა, სხვა თავები, დამატებანი რუსულად თარგმნილი ძეგლის იმ ნაწილიდან, რომელიც გადმოღებულია ქართულად, შევიდა ქართულ თარგმანშიც. ამასთან, ქართულად გადმოთარგმნილი „ქრონოგრაფი“ მოკლეა, რაზეც ძეგლის სათაურშივე გვაქვს მითითება.

„ქრონოგრაფის“ ქართულ ნუსხებს, რუსულისაგან განსხვავებით, სხვადასხვა შინაარსის მინაწერები და შენიშვნები აქვს; ზოგიერთი — დამატებანიც.

„ქრონოგრაფმა“ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას. XVIII ს-ის მოღვაწეს ეს ძეგლი „ქართლის ცხოვრებასთან“ დაუკავშირებია. ასეთია, მაგ., „ქართლის ცხოვრების“ გ. მაჩაბლისეული ნუსხა (გადაწერილია 1736 წ. მოსკოვს). მაჩაბლისეული ხელნაწერი იწყება „ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობილი შესავლით: „პატრიოსანო და დიდებულნო ქართველნო“. მას მისდევს ეფრემის აპოკრიფული მოთხრობა — ცისა და ქვეყნის გაჩენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აპოკრიფი მოხერხებულადაა გადაბმული ლეონტი მროველის თხზულების დასაწყისზე¹²⁹. იქნებ ეს არჩილ მე-

¹²⁷ შეად. რ. მირიანაშვილი, ხრონოგრაფი ანუ მსოფლიო ისტორია და მისი ქართული თარგმანი, წიგ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“ VII—XVIII, თბ., 1976, გვ. 171—175, 179—182.

¹²⁸ ი. ნ. ლე ბ დ ე ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

¹²⁹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციის № 2135, ფურც. 35.

ფემ მოიმოქმედა? სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ნაბიჯს გ. მაჩაბელს უკავშირებენ. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით მკვლევარი კ. გრიგოლია: „აღნიშნული აპოკრიფული თხზულების გამოყენება ვახტანგისეული რედაქციისათვის სრულიად უჩვეულოა. ამ მხრივ გიორგი მაჩაბელი განმარტოებით დგას და ისევ ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციისკენ იხრება“¹³⁰.

ეს ფაქტი საინტერესოა. იგი მკვიდროდ უკავშირდება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების იმდროინდელ, ყველაზე უფრო მტკივნეულ იდეურ პრობლემას. ამასთანავე უურადლებას იქცევს მისი განცალკევებით დგომა; „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ნუსხა ერთადერთია ქართულ საისტორიო ცხოვრების“ მაჩაბლისეული ნუსხა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ვარიანტზე, რომელშიც მაჩაბლისეული ნუსხის შესაბამისი ადგილი აპოკრიფულ თხზულებას უკავია. მარიამისეული ნუსხის შემდგენელი ვერ აღწევს ისეთ ოსტატობას და ვერ აკავშირებს აპოკრიფს ლეონტი მროველის ისტორიასთან. უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ხელნაწერებში მოთავსებული „შესავალი“ ერთი და იგივე არ არის. ამ უკანასკნელში შესავლად „ქრონოგრაფის“ დასაწყისია გამოყენებული. მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ პირველი აპოკრიფი მხოლოდ შინაარსობრივად უახლოვედა მაჩაბლისეული ნუსხის შესავალს. ამასთან, მარიამის შექვეითი აღწერილ „ქართლის ცხოვრებას“ წინ უძღვის მეორე, სრულიად განსხვავებული აპოკრიფი, რომლის სათაურია: „წმიდისა და ღვთივ გაბრძნობილისა, დიდისა ბასილისი, თნრობა ვესევოს მართლმოდღერისა თვისისა შიშველ-მართალთათჳს და ქვეყნისა საზომისათჳს აღმოსავლითგან ვიდრე დასავლეთამდე“¹³¹. ამ უკანასკნელის „ქართლის ცხოვრებასთან“ კავშირზე არ შეიძლება საკითხის დასმა.

¹³⁰ კ. გრიგოლია, ქართლის ცხოვრების მაჩაბლისეული ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, 1947, გვ. 492; „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ნუსხის აპოკრიფი ძველის ორგანულ ნაწილად მიიჩნდა ს. ყაუხჩიშვილს. იხ. მისი: „ქართლის ცხოვრება“ და მსოფლიო ისტორია. — ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VII, 1947, გვ. 4.

¹³¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1906, გვ. 846—849. იხ. აგრეთვე: ე. თაყაიშვილი. აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ნუსხას. — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII—E. 1963.

რაც შეეხება აპოკრიფული თხზულების არსებობას „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში, ამაზე ჯერ კიდევ დაბეჭივით არაფერი შეიძლება ითქვას.

„ქართლის ცხოვრების“ ბიბლიურ ამბებში გატანის ეს ცდები იმას კი არ ადასტურებს, თითქოს ქართველები ახლა დაინტერესდნენ მსოფლიო ისტორიის ამ უძველესი პერიოდით, არამედ აიხსნება „აღდგომის“ ხანის სპეციფიკურობით. არც „ქართლის ცხოვრების“ შექმნის უამს იყო იმის აუცილებლობა, რომ ლეონტი მროველის თხზულებისთვის აპოკრიფული თხზულება წამძღვარებინათ. ყოველ თხზულებას ეპოქისეული ბეჭედი ახის.

ნათარგმნი თხზულებებისადმი „ქრონოგრაფის“ შემატება მოსკოვის ქართული ახალშენის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო. ეს ძეგლი მალე პოპულარული გახდა საქართველოში, რაზედაც მეტყველებს ჩვენამდე სხვადასხვა რედაქციით მოღწეული მისი მრავალი ხელნაწერი, თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ამ წიგნისადმი ქართველების ინტერესი, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე „ქრონოგრაფისაგან“ დამჩნეული კვალი.

არჩილ მეფისა და ვახტანგ VI-ის თანამებრძოლები ენერგიულად იღწოდნენ საქართველოს ისტორიის დასამუშავებლად. ამ მხრივ ზოგი რამ გაკეთდა მოსკოვში არჩილ მეფის კარზე. შემდეგ ვახტანგ VI-ის სკოლიდან გამოვიდა სწორუპოვარი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, რომელმაც ისეთ საფუძველზე აიყვანა მშობლიური ქვეყნის წარსულის შესწავლა, რომ მას ელვარება ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე არ დაჰკლებია. ვახუშტის „აღწერა“ მარად ცოცხალი წიგნია ჩვენი სამშობლოს წარსულზე. მსოფლიო ისტორიის შეცნობის სურვილს კი საქართველოდან მოსკოვში მისულნი, ახალშენში დაბეჭიდრებულთა უმრავლესობა „ქრონოგრაფით“ იკმაყოფილებდა.

მოსკოვში ქართველთა ახალშენში აღზრდილებმა, ფართოდ განათლებულმა, მეცნიერების საფუძვლებს დაუფლებულმა, უცხო ენების ღრმად მცოდნე ახალგაზრდებმა ადრევე შეიცნეს „ქრონოგრაფის“ ნაკლი. ისინი არა მარტო ამადლდნენ ევროპული საისტორიო მეცნიერების დონეზე, არამედ შეეცადნენ მოწინავე ქვეყნებში მსოფლიო ისტორიაზე არსებული იმდროინდელი ცოდნის მწყობრად გადმოცემასაც მშობლიურ ენაზე.

ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი საისტორიო თხზულებიდან ჩანს, რომ ქართველთა ახალშენში აღზრდილი ახალგაზრდობიდან ეს ყველაზე უკეთ შესძლო ახალშენის ახალი თაობის თვალსაჩინო წარმომად-

გენელმა, ევროპულად ღრმად განსწავლულმა ლეონ ბაქარის ძე ბაგრატიონმა.

ამ მოღვაწემ ადრეულ ასაკშივე შეიცნო საისტორიო ცოდნის მშობელი ხალხისადმი მიწოდების მნიშვნელობა.

მეფე ბაქარის მიზანმიმართული მეცადინეობით ლეონი მხურვალედ „ეტრფილა სიბრძნეს“ და გახდა „რაოდენისამე ენისა, წიგნისა და წერის ზედმიწევნით მცოდნე“.

სახელოვანი ისტორიკოსი ბიძის ვახუშტისა თუ უცხოელ სწავლულთა გარემოცვაში მყოფმა ლეონ ბატონიშვილმა ხანგრძლივი ძიებით მოიპოვა, შეისწავლა და შეითვისა „ფრანგთა სწავლისა წიგნი სიბრძნითა აღსავსენი, ჯრონოლოგია, რომელი არს მეფეთ ცხოვრება, ისტორიანი და სხვანიცა მრავალნი წიგნი დასაბამითაგანი, ვიდრე მოდღეინდელად დღემდე აღწერილნი დიდის გამოძიებითა დიდთა ფილასოფოსთაგან“. სასიხარულო ის იყო, რომ ახალგაზრდა სწავლულმა: „დიდისა სასჯლით შეკრებულნი, ესე ძვირფასნი საუნჯენი განმისტრო და განიხილნა... ქართველთათვის ისურვნა“... წერდა ამ უდროოდ გარდაცვლილი მოღვაწის დამსახურებაზე ქართული მწერლობის ძეგლებზე განსაკუთრებულად მზრუნველი, მოსკოვის ქართული ახალშენის ნაყოფიერი მუშაკი, მეფეთა მდივანმწიგნობართუხუცესი, ჩინებული კალიგრაფი, პოეტი მელქისაძე კავკასიძე.

ლეონ ბატონიშვილს 26 წლის ასაკში დაუსახავს მიზნად თანამოძმეთათვის მშობლიურ ენაზე მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა. ის, 1754 წელს, ჯერ კიდევ ბიძის, სახელოვანი ისტორიკოსის, ვახუშტის სიცოცხლეში შესდგომია ევროპული საისტორიო თხზულებათა ქართულად თარგმნას: „არა სცა ცხრა წელ თვალთა თუისთა რული და თავთა თუისთა განსვენება, ვიდრემდის ლათინურისა, ფრანციცულისა და ნემეწკურისა დიალექტისაგან ქართულად გარდმოათავენითნა...“ — გვაცნობს იგივე მ. კავკასიძე.

როგორც ჩანს, დასახული მიზანი მას ბოლომდე ვერ მიუყვანია და მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ დარჩენია 65 რეეული.

ლეონ ბატონიშვილის ეს საისტორიო მემკვიდრეობა გადაუწერია და წიგნად აუკინძავს სწავლაში მის ზედამხედველს, ცნობილ კალიგრაფს მ. კავკასიძეს, რომელმაც ლაკონურად დაახასიათა თავისი აღზრდილის შრომისმოყვარეობა და მიზნები.

ლ. ბაგრატიონის „მსოფლიო ისტორიის“ დიდი წიგნი მოიცავს მახლობელ აღმოსავლეთის უძველეს სახელმწიფოებისა და ახალი ქვეყნების ისტორიას. მასში განხილულია ჩინეთისა და ინდოეთის წარ-

სული; აღწერილია ციმბირის სამეფო, რუსთა წარმომავლობა, ყირიმის ნახევარკუნძულისა და კუნძულ კვიპროსის ისტორია; აღნიშნულ ძეგლში ვრცელდება მიმოხილული სამხრეთ ევროპის ქვეყნები: იტალია, მაკედონია, პორტუგალია, საბერძნეთი, „შპანია“, დახასიათებულია ევროპის ცენტრსა თუ ჩრდილოეთში არსებული ისეთი სახელმწიფოები, როგორცაა: გერმანია, „ლიტოვი“, „პოლშა“, „შვეიცარია“, ნიდერლანდი, „სამეფო ფრანკუტა“, „უნგრეთი“, „ლალანდია“, „დიდი ბრიტანია“.

საინტერესოა, რომ უცხოურ ლიტერატურასთან ერთად სწავლული ბატონიშვილი რუსულ წყაროებსაც კარგად იყენებდა.

ძველი თუ ახალი დროის ავტორთა შრომებზე დაფუძნებული ეს წიგნი ასახავს იმდროინდელ საისტორიო მეცნიერების მიღწევებს და ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის შესანიშნავი ძეგლია.

ლეონ ბატონიშვილის ეს ნაშრომი კაცობრიობის ისტორიის შეცნობაში მოსკოველ ქართველთა თვალსაჩინო ამალგების დამადასტურებელია.

სამწუხაროდ, აღნიშნული კომპილაციური წიგნი პოპულარული არ გამხდარა და არც სხვა მსგავსი ნაშრომი შექმნილა მოსკოვის ქართული კულტურის კერაში.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს-ის 60-იან წლებსა და მომდევნო ეპოქებში მოსკოველი ქართველები არც ისე ცხოვლად დაინტერესებულან ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო თხზულებითაც.

თაობათა მემკვიდრეობის აუთვისებლობასთან ერთად ამას აპირობებდა ახალშენში მიმდინარე სხვა პროცესებიც.

მოგვიანებით ვახუშტი ბატონიშვილის მემკვიდრეობის დასაფასებლად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა პეტერბურგში.

ამა თუ იმ სამეფოს სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების დონის მაჩვენებელია ქვეყანაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი კულტურა.

ქართველ ხალხს ეროვნული კანონმდებლობის დიდი ტრადიცია აქვს. ეროვნულ საკანონმდებლო ძეგლებთან ერთად საქართველოში ადრევე იყო ცნობილი უცხოური სამართალი.

საგულისხმოა, რომ ვახტანგ VI-მ, რომელმაც დაავგირგვინა ქართული სამართლებრივი კულტურის განმტკიცებისათვის ჩატარებული ხანგრძლივი მუშაობა, აღორძინებული ქართული კანონმდებლობის თავის კრებულში შეიტანა: ებრაული, ბერძნული, სირიულ-რომაული და სომხური სამართლის ძეგლებიც.

სამშობლოს დაწინაურებისათვის მოღვაწე ქართველებს იდეურად მახლობელი რუსთა სამართალი ქართული სამართლებრივი ნორმების განმტკიცების ერთ-ერთ წყაროდ ესახებოდათ.

ამით იყო განპირობებული ის ხანგრძლივი, ფართო კულტურული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსულ სამღვდელთმსახურო წიგნებთან ქართულის შესაბამისობას.

1726 წელს დ. ჯანდიერიშვილმა დაასრულა „სადღესასწაულოს“ შედგენა „რუსეთის რიგითა და წესითა“.

ასევე „წესი და რიგი რუსისა“ გაითვალისწინა გ. ებიტაშვილმა 1728 წელს „მარხვანის“ გადაწერისას.

რუსულ ანალოგიურ ტექსტს შეუდარეს „ზატაიც“ და აღნიშნეს, რომ „მუნ განგება ავამხედველეთ“.

რუსული ტიპიკონის მიხედვით გამართა ქართული ტიპიკონი ჯვარის მამა იოანემ 1749 წელს. ამ მუშაობის შედეგად, როგორც სამართლიანად მიუთითებს კ. გეჯლიძე „Получился Устав, действительно представляющий точную по буквальнойности копию с славянского устава. Разница между ними только во второй-Месяцесловной части и касается Местных памятей“¹³².

თარგმნილ სამართლის ძეგლთა ისტორიისათვის საინტერესო ფაქტია ის, რომ არჩილ მეფემ სლავურს შეუდარა ძველთაგანვე ქართულად არსებული „მოსეს სჯული“.

ალექსანდრე ბატონიშვილს გადმოჟღერდა „მეფის კურთხევის წესი“. ეს არის გადმოკეთებული ძეგლი. მასში კურთხევის ქართული წესი სრულდება, ხოლო ცერემონიის თანამიმდევრობა რუსულ ძეგლში აღწერილს მიჰყვება.

მეფე არჩილი და სხვები იცნობდნენ რუსული კოდიფიკაციის გამორჩეულ ძეგლს „სამართალი ანუ ჰსჯული მეფის აღექის მიხეილიძისა“. ამ წიგნით სარგებლობდნენ მოსკოველი ქართველი მოახალშენნი. ჩანს, ძეგლიდან ადგილები შერჩევით იყო თარგმნილი, ხოლო შემდეგ ის ერთობლივ მთლიანად გადმოაქართულეს. 1721 წელს სამართლის ეს წიგნი გადაუწერია მოსკოვს მოღვაწე ლევან პეტრეს ძეს. „გავათავე, — ნათქვამია გასრულებული ძეგლის ანდერძში — მე ცოდვილი და გლახაკი, ჳელითა ჩემითა თბილისელი იოსებ ყოფილი ლევ პე-

¹³² К. Ке к е л и д з е. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1903, с. 513.

ტროვიჩმან წელსა ჩღკა, თვესა ოქტომბერსა, თბ., ქალაქსა შინა მოსკოვს, მეფობასა პეტრე ალექსიშვილისა“.

„გავათავე“ აქ ტექსტის გადაწერის დასრულებას უნდა გულისხმობდეს. სხვა ანდერძში ის ამბობს „... რომელი წიგნიდან გ ა რ დ მ ო ვ ი ლ ე ამრიგად იყო დაწერილი“. მხოლოდ ამ ძეგლის 1729 წლის ნუსხაზე დართულ მეფე ბაქარისადმი მიძღვნილ ლექსში გაუტყვეველი მისამართით ნათქვამია „მისი თარგმანითა“. ლევანი ძეგლის ერთ-ერთი მთარგმნელთაგანი შეიძლება ყოფილიყო. თვალსაჩინოა მისი წვლილი სამართლის ამ კრებულის ნუსხების გამრავლებაში.

ქართულ თარგმანს უძღვის სომხური ტექსტი ქართული ასოებით. კალიგრაფი თბილისელი იოსები, რომლისთვისაც მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის შემდეგ ლევანი უწოდებიათ, ჩანს, ადრე გრიგორიანული ან კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი ყოფილა. ის პეტრე I-ის ნებით განუწყესებიათ საგარეო საქმეთა კოლეგიაში მთარგმნელად.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ პიროვნებაზე ზეპირი გზით მიღებული მსგავსი ცნობა დაუტავს სამართლის ხსენებული ძეგლის ერთ-ერთ ვადამწერს ნ. მაღალაძეს. ამ უკანასკნელს დაყრდნობია თეიმურაზ ბატონიშვილი¹³³. დავიდასტურეთ, რომ ასეთ მოხელედ აღნიშნული პერიოდის საგარეო საქმეთა კოლეგიის დოკუმენტებში იხსენიება „ლევან ზალევი“, რომელსაც სომხურიდან და ქართული ენებიდან რუსულად ათარგმნიებდნენ წერილებსა და სხვა კორესპონდენციებს. რუსულ დოკუმენტებში ფიქსირებული „ზალევი“ მამის სახელს კი არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ გვარს. ლ. ზაალიშვილი ჩვენთვის კარგად ცნობილი მოღვაწეა.

მ. ბროსე ვარაუდობდა, რომ სამართლის ძეგლის ვადამწერი იოსები, თითქოს თბილელი, გვარად სააკაძე იყო. ეს მოსაზრება სამართლიანად უარყო ტრ. რუხსაძემ¹³⁴.

დოკუმენტურად არ დასტურდება თუ რა ამოძრავებდა რუსული ენის მცოდნესა და კალიგრაფ ლევანს, როცა ის ქართულ-რუსული კულტურულ ურთიერთობაში ასე აქტიურად ჩაება.

1721 წლისათვის მოსკოვში მეფე არჩილის ქალიშვილი, ბატონიშვილი დარეჯანი და მისი თანამებრძოლნი იმყოფებოდნენ.

¹³³ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი. თბ., 1948, გვ. 42.

¹³⁴ ტრ. რუხსაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1960, გვ. 249.

საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წინ კულტურული საქმიანობის გამოცოცხლება საგულისხმო ფაქტია.

რუსეთთან თანამშრომლობის გაფართოებას უკავშირებდნენ ქართველი მოღვაწეები სამშობლოს მტკიცე კულტურულ-პოლიტიკურ აღორძინებას.

სამწუხაროდ აღნიშნულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს შედეგად მოჰყვა ვახტანგ VI-ის დიდი ამალით ემიგრაცია და მოსკოვში დასახლება.

მრავალრიცხოვან ქართველთა ახალშენში გაწეული მოღვაწეობისათვის, რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისათვის, მოგზაურობის, მამულების მართვისა და სხვა, აუცილებელი გახდა რუსული კანონების გამოყენება. ამ მიზნით, ახალშენის მემკვიდრეობამიღებულ მეფე ბაქარს იმავე ლევანისათვის დაუვალებია ხსენებული სამართლის ძეგლს პარალელური ქართულ-რუსული ტექსტებით გადაწერა. ამის შესახებ ხელნაწერ ძეგლში ნათქვამია: „... პირშომან ძემან ყოვლად ქებულის საქართველოს მპყრობელის და ერანის სპასალარის, მეფის ვახტანგ ლეონის ძემან, მე თვით მეფემ ბაქარ და ძემან ჩემმან ლეონ ჳიღვაწეთ და სამართლის წიგნი ვნახეთ და განაჩენი წმიდათა მოციქულთა და წმიდათა მამათა და კრებით დანამტკიცო სამართლის წიგნი რუსეთისა და დიდად მსურდა, რომე რუსული ქართულის ენით ვადმოწერონ და ერთ წიგნად იყოს და უბრძანე ჩვენს დიდად ერთგულსა და ჩვენის მპყრობელობიდამ ამავე რუსეთში უწინვე წამოსულს ტფილისის ქალაქელს იოსებ ყოფილს და მართლმადიდებლად ლევ პეტროვ წოდებულს, რომ ჩვენი ბრძანება სრულყოს და ეს ორსავე ენით სრულყოს სამართლის წიგნი ერთ წიგნად დასწეროს თავისის ველით, სწორედ რომ ერთმანერთს შუა საცილებელი არა იყოს რა. და მან მონამა ჩვენმან ბრძანება ჩვენი აღასრულა და დასწერა ორივე სრულად ერთ წიგნად და მოგვართვა სამეფოსა ქალაქსა შინა მოსკოვს, ეამსა დიდად ამაღლებულის დიდებულისა და დიდისა იმპერატორის მეორე პეტრე ალექსევიჩისა...“.

პოეტური მიდრეკილების ლევანს ხოტბა უძღვნია მეფე ბაქარისათვის:

ქ. ბედი ჩემთვის სვიანი ეს თქვენი ნაბრძანებია
და ამაღლებულის ბრძანება მიღება მომინებია.

ქ. რაც სამართალი რუსთ მპყრობელთ დაუცად დაუნებია
და თქვენი სიმაღლე მას ეძებს და ეს მოგონებია.

ქ. მისი თარგმნითა ეს წიგნი ამგვარად გამოცხადებია

და ჩემის კელითა მივართმევ ჩემს სასჯელს რაც მოკლებია...

ვრცელ ლექსს მიღევს სამუშაოს შესრულების თარიღის აღნიშვნა: „დასრულდა ესე სამართლის წიგნი დასაბამითგან კსლზ, ქრისტეს აქეთა ჩლეთ თვესა ივნისსა იე, მოსკოს“.

მეფე ბაქარს, სჯულმდებელი მამის მსგავსად, აღნიშნული ძეგლი მოსკოვს თავის სასახლეში დაუდვია. იქ, ქართველთა სასახლეში, უნახავს ეს წიგნი დეკანოზ ნ. მაღალაძეს 1762 წელს. ხსენებული კალიგრაფი ხაზგასმით აღნიშნავს: „ეს სამართლის წიგნი კარათ იყო დაწერილი, ნახევარზე რუსულზე ეწერა და ნახევარზე-ქართულად“.

აქედან ცხადია, რომ 1729 წელს თარგმანი და დედანი პარალელურად გადაიწერა. იმ დროს მთარგმნელისა და კალიგრაფის ლევანის ახალ დამოკიდებულებას აღნიშნულ ძეგლთან მკვლევარი რ. ორბელი ვერ ამჩნევს¹³⁵, ხოლო ალ. ცაგარელი წიგნის გადმომღებლად შეცდომით მეფე ბაქარს აცხადებდა¹³⁶.

60-იანი წლების დასაწყისიდან, როცა მეფე თეიმურაზ II გაემგზავრა პეტერბურგს, გაიშალა მუშაობა სამართლის აღნიშნული ძეგლის გადაწერისა და ხელახლა თარგმნისათვის. ამ დროისათვის მოლონიერებულ აღმოსავლეთ საქართველოში გაჩნდა მოთხოვნილება უცხოურ, კერძოდ, რუსულ სამართლის ძეგლებზე.

ხუცეს მონაზონ დიმიტრის, ყოფილ იოანეს, ისაკ მცირის დახმარებით 1761 წელს შეუსრულებია ალექსი რომანოვის სახელით ცნობილი კანონთა კრებულის ახალი ქართული თარგმანი.

საქართველოში ასეთი საკანონმდებლო კრებულის არსებობა ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, ამას მოწმობს საეკლესიო პირების მოღვაწეობა უცხოური სამართლის ძეგლების მოსაპოვებლად. სვეტიცხოვლის დეკანოზს, მწიგნობარს, ქადაგს, კალიგრაფს ნ. მაღალაძეს აღძვრია ბერძნულ, რუსულ თუ რომელიმე სხვა ევროპულ ან აღმოსავლურ ენებიდან გადმოქართულებული სამართლის წიგნის შექმნის მხურვალე სურვილი. ამ მიზნით ის ვლადიმირს, ქართველ არქივის-კოპოსთან ანტონთან მისულა. ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, პატრიოტი მწიგნობრისათვის თავისი მიზნის შესასრულებლად მოსკოვში მეფე ბაქარის სასახლეში არსებული ბიბლიოთეკის შესწავლა მიუთითებია. ასეთი გონიერული ჩიხევის შემდეგ პატრიოტ მწიგნობარს ბაქარის მემკვიდრეობა მოუწახულებია: „მივიწიე რა სამეუფო ქალაქს

¹³⁵ Р. Р. Орбелн. Грузинские рукописи Института востоковедения. Вып. I, Л. 1956, с. 110—111.

¹³⁶ А. Цагарели. Сведения грузинской письменности, Вып. 3, СПб, 1886, с. 183.

მოსკოვს, — გადმოგვცემს ნ. მაღალაძე — ვპოვე პალატსა და სრასა შეფის ბაქარის ძის ალექსანდრესსა წიგნი სამართლისა რუსულისაგან ქართულად გადმოღებული. ოდესმე განმსტრობელმან დიდითა ტრფიალებითა განვიხილე, რომ ჩვენს ქვეყანაში არას ქვეყნიდამ არ იყო გადმოღებული და თვით ნეტარხსენებულ მეფეს ვახტანგს საქართველოს წესით სამართლის წიგნი გაეკეთებინა და გივს საქართველოში“...

ალექსანდრე ბატონიშვილის ნებართვით აღფრთოვანებულ მოღვაწეს რუსული სამართლის გადმოქართულებული ძეგლი ელადიმირს წაუღია და იქ ახალი ნუსხა შეუქმნია. „გასრულდა წიგნი სამართლისა, — წერდა ის, — თვესა ივნის(ს)ა იბ, ქრისტეს აქეთ ჩლმბ. კურთხეულ არს უფალი. ღ(მერ)თი, ჩემი, რომელმან ასწავა ჳელთა ჩემთა ღვაწლი და თით(თ)ა ჩემთა ბრძოლა“.

კალიგრაფთა სკოლის მქონე საგვარეულოს ეს შესანიშნავი წარმომადგენელი მკითხველს ბოდიშს უხდოდა, რომ მელანი და ქალაღდი არ უვარგოდა, მუხლებზე წერდა, ხელი სტკიოდა („უკუმდგარი“ ჰქონდა) და ნაწერი კარგი არ გამოსდიოდა.

სამშობლოს სამსახურისათვის ასე მხურვალედ შემართულ ამ ნიქიერ კალიგრაფს გამორჩეული ნუსხის შექმნა ეწადა. ზოგიერთი ადგილი (ხელრთვა და სხვა), ნ. მაღალაძის ქართული დამწერლობის საიდუმლოებაში ჩაწვდომისა და მისი სილაამაზის ღრმად შეცნობაში გვარწმუნებს. დასაანანია, რომ ამ უებრო ოსტატს ერთდროულად მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდა.

ქართულად გადმოღებული სამართლის ეს დიდი წიგნი მრავალმხრივ საინტერესოა. თარგმნილ ტექსტს უძღვის ზანდუჟი ანუ საძიებელი, რომელშიაც გადმოცემულია ძეგლის შემადგენელ თავთა დასათაურებანი.

ტექსტი ნაწერია შავი კალიგრაფიული მხედრულით, ხოლო დასაწყისები, საზენაო ასოები და ანდერძები სინგურით.

თარგმანი კარგადაა გამართული. ყურადღებას იქცევს ქართულ იურიდიულ ტერმინთა ჳეროვნად გამოყენება. რუსული სამოსამართლო ტერმინოლოგიის შეცნობა და მრავალი მათგანისათვის შესაბამისი ქართული ტერმინის მოხმობა სამართლის დარგში მთარგმნელთა განსწავლულობაზე მიუთითებს.

ქართულ თარგმანში თავიდანვე შეიმჩნევა რუსული ლექსიკის ჳარბად გამოყენება. დამახინჯებული რუსულითაა გადმოცემული ძეგლის სახელწოდება „ოლოჟენია“, რუსულია სოციალური ტერმინები:

„ბაიერი“, „დუმნა“, „კოროლი“, „ოკოლჩიჩი“, „სინბაიერსკოი“, „სტრიაფჩი“, „სტოლნიკი“, „ეილცი“.

უცვლელადაა გადმოცემული ქართულ ტექსტში მონასტერთა რუსული სახელწოდებანი: „ვოზდეიენის“, „იპატკის“, „სპასკის“. რუსულადაა მოცემული ტაძრის („სობორი“) აღმნიშვნელი სიტყვა.

საქმეს ვერ შეეღის რუსული ტერმინების ქართული გახმოვანებით გადმოცემის ცდა: „დიაქი“, „პროთოპოპი“.

ქართულ ტექსტში გვხვდება რუსული ადმინისტრაციული დაყოფის აღმნიშვნელი ლექსიკა: „ვოლოსტი“, რუსულ საწყაოს ერთეული „ჩეთვერთი“ და ა. შ.

ჩამოთვლილ რუსულ ტერმინთა ერთი ნაწილის თარგმნა არ იყო ძნელი, მაგრამ, ჩანს, მათი რუსულად ხმარება ჩვეულებრივი გამხდარა რუსეთში ხანგრძლივად მცხოვრებ ქართველთათვის.

ეს გამორჩეული ძეგლი პრაქტიკული საჭიროებისათვის, უპირველესად რუსეთში მცხოვრებ ქართველთა გამოსაყენებლად გადმოიღეს ქართულად.

ასეთი დანიშნულების მიუხედავად, პირველ ხანებში მისი ნუსხები ფართოდ მაინც არ გავრცელებულა.

მოსკოვშივე შეიქმნა ქართულად თარგმნილი ძეგლის რამდენიმე რედაქცია. ამ ძეგლის ერთ-ერთი უძველესი რედაქციაა 1721 წელს გადაწერილი ტექსტი (S—3614), რომლიდანაც მომდინარეობს H—2176-ე ხელნაწერი. ეს ნუსხა ცნობილი კალიგრაფების ეფრემ და ონისიმე გარსევანიშვილების გადაწერილი უნდა იყოს. აღნიშნულ კალიგრაფთა მოღვაწეობას ამ მიმართებით უთუოდ ამ ძეგლზე საზოგადოების მოთხოვნა განსაზღვრავდა.

1729 წელს შეიქმნა ქართულ-რუსული პარალელური ტექსტის შემცველი ალექსი მიხეილის ძის სამართლის წიგნი მოსკოველ ქართველთა საჭიროებისათვის და დაიდო მეფე ბაქარის სასახლეში.

არ ჩანს გავრცელდა თუ არა ამ რედაქციის ნუსხები.

აღნიშნული ძეგლის ხელახლა თარგმნის შედეგად ჩამოყალიბდა მესამე რედაქცია (H-1425 და H-1426), რომლის შექმნას ქართულ-რუსეთის საზოგადოების ინტერესები და სამეფო კარის მოთხოვნა ედო საფუძვლად.

ნ. მაღალაძის გადაწერილი ნუსხის თავისებურებანი საშუალებას იძლევა მივიჩნიოთ ის ამ ძეგლის ერთ-ერთ რედაქციად.

ამავე ეპოქაში დაიწყო რუსული სამართლის სხვა ძეგლების თარგმნაც.

წინსვლის გზით მიმავალი სახელმწიფოსათვის თავისი წრისა და დაწინაურებული ქვეყნების სამართალია საინტერესო.

ქართველი საზოგადოებისათვის რუსული სამართალი ადვილად გასაგები და მრავალი მისი ნაწილი მისაღები იყო. რუსულ სამართალში არსებობდა, მაგალითად, ქართველთათვის ცნობილი საგვარეულო მამულის უკანვე გამოსყიდვის თუ დაგირავების ინსტიტუტები. თარგმნილი რუსული ძეგლიდან შეიძლებოდა სასაერკვიტო სამართლის ნაწილობრივი გამოყენება, რუსული საოჯახო და მემკვიდრეობის უფლებათა ქართულთან შედარება და სხვ. მაგრამ რუსული კანონმდებლობის ბევრი მუხლი არ ესადაგებოდა ქართული ცხოვრების წესს.

ამის მიუხედავად, რუსული საკანონმდებლო ძეგლების თარგმნამ, როგორც მიუთითებს გ. ნადარეიშვილი, „ქართველთა მოწინავე საზოგადოება დაარწმუნა, რომ რუსეთის სახით მას საქმე აქვს ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც თავის საზოგადოებრივი წესწყობილებით, კლასობრივი სტრუქტურით, მიწათმფლობელობის ფორმით, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთდამოკიდებულებით, ქრისტიანული კულტურის და სამართლებრივი იდეებით მეტად ახლოს დგას საქართველოსთან“¹³⁷.

თარგმანი საერთოდ და კერძოდ, საკანონმდებლო ძეგლების თარგმანი ავითარებს და სიცოცხლისუნარიანობას მატებს ენას.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართულად ჩამოყალიბებული რუსული საკანონმდებლო ძეგლების სხვადასხვა რედაქცია კეთილ გავლენას ახდენდა აღორძინების გზაზე მტკიცედ დამდგარი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაზე, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობის განვითარებაზე. რუსული სამართლის ქართულად გადმოღებული ძეგლები ხელს უწყობდა უძველესი ქართული ენის გამდიდრებას. სხარტი მონოსებური იურიდიული ტერმინების დამკვიდრება კიდევ უფრო მოქნილს ხდიდა მშობლიურ ენას.

გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა დიდი სამსახური გაუწია აღნიშნულმა კრებულმა რუსეთში მცხოვრებ ქართველებს.

ყოველივე ამის უფრო ღრმად შესაცნობად აუცილებელია რუსული სამართლის ძეგლების თარგმანთა სპეციალური კვლევა.

¹³⁷ გ. ნადარეიშვილი. რუსული სამართლის წიგნების ქართული თარგმანები მეთვრამეტე საუკუნეში, „საბჭოთა სამართალი“, 1983, № 4. გვ. 69.

საუკუნეების მანძილზე ქართველები თანამშრომლობდნენ ხმელ-
თაშუა ზღვისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან და ძეგლებ-
საც დასახელებულ ხალხთა ლიტერატურიდან თარგმნიდნენ.

ახალ ხანაში ერთმორწმუნე რუსეთზე საქართველოს სამეფო-სამ-
თავროების პოლიტიკური ორიენტაციის გამო, გაცხოველებული კულ-
ტურული კავშირის პირობებში, ქართულად გადმოიღეს სასულიერო
და საერო მწერლობის ნიმუშები.

ქართული კულტურის მოღვაწეებს სათარგმნელად შეურჩევიათ
ისეთი თხზულებები, რომლებიც მათ მშობლიური კულტურის ფუძის
გასამაგრებლად ესახებოდათ.

საეკლესიო მწერლობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო
პროლოგ-სუნაქსარის რუსულიდან გადმოღება.

ამ პერიოდის ქართულ-რუსულ საეკლესიო-კულტურულ ურთი-
ერთობაში ნათლად ჩანს ქართული საღვთისმსახურო წიგნების რუ-
სულთან შესაბამისობაში მოყვანის ტენდენცია. ქართველი მთარგმნე-
ლების ამ მისწრაფებას განაპირობებდა დროისა და გარემოების მო-
თხოვნილებანი.


ძველ სამყაროსა და შუა საუკუნეების სახელმწიფოთა კულტუ-
რულ-პოლიტიკურ კავშირებზე ახალი დროის მოღვაწეთა თვალსაზრი-
სის შეცნობის, მსოფლიოში ახალი ძვრებისადმი ქართველთა ინტერე-
სის მოწმობაა „ქრონოგრაფის“ თარგმნა.

შემთხვევით არ გადმოუღიათ ქართველებს რუსული სამართლის
ძეგლები. ხელმწიფე ალექსი მიხეილისძის „ძეგლისდების“ მიხედვით
თანამოძმენი ეცნობოდნენ რუსეთში ბერძნული კანონების თარგმნა-
გამოყენებას, რუსულ საკოდიფიკაციო ისტორიას, ქვეყნის საეკლესიო
თუ საერო მმართველობის სისტემას და სხვა მისთანებს, რომელთა
ცოდნა აუცილებელი იყო რუსეთში მცხოვრებ მოწინავე ქართველები-
სათვის.

სამშობლო ქვეყნის განათლებისათვის აქტიურად მოღვაწე ქართვე-
ლი მოახალშენეები რუსულ ლიტერატურასა და სხვა ხალხთა შემოქმე-
დების ნიმუშებში ეძიებდნენ, პოულობდნენ და თარგმნიდნენ
დიდაქტიკური შინაარსის ძეგლებს. აღებულ პერიოდში აღსანიშნავია
„ტესტამენტის“ და „აპოფთეგმატის“ ქართულად გადმოღება.

რუსეთში მოღვაწე ქართველ მთარგმნელთა მხატვრულ გემოვნე-
ბასა და მისწრაფებებზე მეტყველებს რომან „ალექსანდრიანის“ გად-

მოქართულება და მისი მდიდრული შემკულობა. ძველი მსოფლიოს
ამ გამოჩენილი მოღვაწით ქართველთა განსაკუთრებულ დაინტერესე-
ბას მოწმობს კ. კურციოს თხზულების თარგმნა.



სურ. 29. პ. ბაგრატიონი

მართალია, ზოგი ძველი თარგმანის თარგმანია, მაგრამ ამას ხელი
არ შეუშლია მისი პოპულარობისათვის. თხზულებათა ქართულად გად-
მოღების დონე ყოველთვის მაღალი როდია, რადგან თარგმნილ ლიტე-
რატურაში მოქა' ბებულად გვხვდება უცხოური ლექსიკა და სხვა ხარ-



სურ. 30. ლიბერტი ციციშვილის „გეოდეზიის“ სახელმწიფოს თაფურცელი

ვეზები. ამის მიუხედავად, მოსკოვში შერჩეულმა და შესრულებულმა თარგმნილმა ძეგლებმა ფართოდ გაიკაფეს გზა ქართველ საზოგადოებაში. მკითხველებმა და გადამწერებმა ნაირ-ნაირ რედაქციად გაავრცელეს უმთავრესი თარგმნილი თხზულებები. რამდენიმე გადმოქართულიებული ძეგლი ქართველ პოეტთა შთაგონების წყაროდაც იქცა. მათ გააგრძელეს ქართულ მწერლობაში არსებული ტრადიცია და ლექსად გარდათქვეს თარგმნილი ლიტერატურის პოპულარული ნიმუშები. თარგმანები ამდინებდა ქართული ლიტერატურის ფონდს, ხოლო ქართულად აჩსებელი უცხოური თხზულებების გადაკეთება თუ ლექსად გარდათქმის პროცესი აღვივებდა ლიტერატურულ შემოქმედებას, ხელს უწყობდა ორიგინალური მხატვრული აზროვნების აღმავლობას.

XVIII საუკუნის I ნახევრის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობა ნათლად ავლენს ერთმორწმუნე რუსეთზე ქართველი ხალხის მტკიცე კულტურულ ორიენტაციას და რუსეთის საშუალებით დასავლეთ ევროპული კულტურის მიღწევათა გამოყენებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას.

ამას ადასტურებს რუსულიდან და სხვა ენებიდან თარგმნილ ძეგლთა სიმრავლე იმდროინდელ ქართულ მწერლობაში.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ხალხის მედგარ ბრძოლას მაჰმადიანური აღმოსავლეთის აგრესიულ სახელმწიფოთა კლანჭებისაგან სამშობლოს გამოსახსნელად და გადაჭრით რუსეთსა და ევროპას სხვა ქვეყნებზე ორიენტაციას შედეგად არ მოპყობია აღმოსავლურ კულტურულ მემკვიდრეობასთან კავშირის გაწყვეტა.

მოწინავე ქართველი მოღვაწეები კარგად ხედავდნენ, რომ ეროვნული მწერლობისა და მეცნიერების აღმავლობა, სიახლეთა მშობლიურ ნიადაგზე დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ მთელი საკაცობრიო კულტურის მიღწევათა გათვალისწინება-გადამუშავებით.

ეს ღრმა შეგნება განსაზღვრავდა მათ დაუღალავ მრავალმხრივ მოღვაწეობას სამშობლოში, რუსეთში, დასავლეთ ევროპასა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

თ ა ვ ი IV

სწავლა-განათლება

§ I. აღზრდა

სწავლა-აღზრდის მდგომარეობის აღდგენა ახალშენის პირველ პერიოდში ძნელდება საამისო მწირი დოკუმენტური მონაცემების გამო.

ირკვევა, რომ ახალშენში იმ დროს უმთავრესად შინაური აღზრდის სისტემას იცავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ბატონიშვილები იმყოფებოდნენ. მათი აღზრდა ევალებოდა როგორც საერო, ისე სასულიერო პირს.

ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილები მოსკოვს განაგრძობდნენ საქართველოში შექმნილ ზნეობათა სრულყოფას. ისინი იღრმავებდნენ ცოდნას სასულიერო და საერო მწერლობის ნიმუშების შესწავლით და ა. შ.

როგორც ირკვევა, ალექსანდრე ბატონიშვილი ადრევე მოხვდა რუსეთის სასახლის აღსაზრდელთა წრეში. გამომუშავებული სანიმუშო სამხედრო ზნეობით და სხვა კეთილ ქმედებათა მეოხებით ჩანს, რომ მან რუს წარჩინებულთა და კერძოდ, ჭაბუკ პეტრე პირველის ყურადღება მიიპყრო. ამის შედეგად ალ. ბაგრატიონს რუსი ხელმწიფის გვერდით მიუჩინეს რიგი. ყმაწვილ რუს ხელმწიფესთან ქართველი ბატონიშვილის მეგობრობა მომავალი მოღვაწეობისათვის ურთიერთხელსაყრელი იყო. ჩამოყალიბებული ქართული სარაინდო ჩვევებით, განსწავლულობით ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილები კეთილ გავლენას ახდენდნენ პეტრე პირველსა და მისი ასაკის ყმაწვილებზე, თავის მხრივ, ქართველ ბატონიშვილებზე ზემოქმედებდა რუსული ადათ-წესები სასახლის აღსაზრდელებთან თუ ცნობილ წარჩინებულ მოღვაწეებთან ურთიერთობით დანახული, განცდილი და შექმნილი. ალექსანდრე და მამუკა ბაგრატიონები ქართველ თანატოლებთან ერთად წარმატებით ეუფლებოდნენ რუსულ

ენას, რუსეთში დამკვიდრებულ ლაშქრობათა წესებს და სხვ. ამასთან, ჩანს, ალექსანდრე ბაგრატიონი ღრმად ეუფლებოდა რუსულ ლიტერატურას, სამხედრო-ტექნიკურ ცოდნას. ყოველივე ამან განსაზღვრა ქართველი ბატონიშვილის ავტორიტეტის ამაღლება ხელმწიფის გარემომცველი მოღვაწეების თვალში და გავლენა თვით პეტრე პირველზე. ეს უკანასკნელი საბოლოოდ დარწმუნდა რუსეთში შექმნილი ცოდნის დასავლეთ ევროპაში გაღრმავების აუცილებლობაში.

„დიდი ელჩობის“ გამგზავრება უცხოეთში, პოლიტიკურთან ერთად, მოწინავე განათლების და კულტურის ღრმად შეცნობის მიზანმა განაპირობა.

„დიდი ელჩობის“ შემადგენლობაში ალექსანდრე ბატონიშვილის ქართველ თანმხლებ პირებითურთ დასავლეთ ევროპაში გამგზავრება¹ არა მარტო მომავალი ქართველი მოღვაწეების ევროპაში განსწავლის საინტერესო ფაქტია, არამედ რუსეთის გამოჩენილ პიროვნებებზე მისი კეთილი გავლენის მოწმობაცაა.

ქართველი ბატონიშვილის აღზრდა-განათლების ასე წარმართვა სანიმუშო იყო ახალშენის იმდროინდელი და შემდეგდროინდელი თაობის მოზარდებისათვის.

მოსკოვის ქართველთა ახალშენში ჩამოყალიბებულ შინაური აღზრდის სისტემას საქართველოში არსებულისაგან განსხვავებით ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ ქართველ წარჩინებულებს თავიანთი შეიღების მიყვანა შეეძლოთ ქართველთა სასახლეში დანიშნულ რუს მდივნებთან რუსული ენის, კალიგრაფიის შესასწავლად, ხოლო ცოდნას ქართულში ეს ახალგაზრდები ქართველთა სალოცავებში მყოფ სასულიერო პირებთან იღრმავებდნენ.

ცნობილი სასულიერო პირები იღვწოდნენ რუსული კულტურის გასაცნობად, ეძებდნენ მშობლიური კულტურის გასამდიდრებლად გამოსადეგ ძეგლებს, სწავლობდნენ რუსული ღვთისმსახურების წესებს და სხვ. ამ მიზნით ისინი მოგზაურობდნენ ჩრდილო თუ სამხრეთ რუსეთში არსებულ კულტურის ცენტრებში (სერგი — სამების ლავრაში, კიევი-პეჩერსკში), დასავლეთ და ჩრდილო ევროპის სახელმწიფოებში.

ასეთი მიმოსვლის დროს მათ ახლდნენ ახალგაზრდებიც, რომლებიც რუსეთის და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კულტურის ცენტრთა მოხილვა-შესწავლით იფართოებდნენ გონებრივ ჰორიზონტს.

¹ ძსსა. ფ. 315, აღწ. I, საქ. 4. ფურც. 7.

ზოგიერთი ქართველი მოღვაწე ადრევე ჩაერთო რუსული იდეური კერების მუშაობაში.

XVII საუკუნის 80—90-იან წლებში ამ მხრივ აღსანიშნავია მიტროპოლიტი ნ. დავითაშვილი, ხოლო XVIII ს-ის დასაწყისში — წინამძღვარი ლ. გაბაშვილი.

რუსულ მონასტრებში ცნობილი ქართველი საეკლესიო პირების მოღვაწეობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ქართველ ასალგაზრდების განსასწავლად. ამ მხრივ განსაკუთრებულია ლ. გაბაშვილის ღვაწლი.

ღონის მონასტრის ამ სახელქებულმა წინამძღვარმა შექმნა პირობები, რომ ქართველ მოზარდებს უკეთ შეესწავლათ რუსული სასულიერო მწერლობა, კალიგრაფია, საქმის წარმოება, ლეთისმსახურების წესები; ირკვევა, რომ ერთი ქართველი მას თავის კანცელარიაში აუყვანია ღონის მონასტრის „სულთა მატიანის“² შესადგენად.

ლ. გაბაშვილმა ხელი შეუწყო ქართველ მბეჭდავთა მომზადებას, ქართული სასწავლო წიგნის პირველ გამოცემას.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან მოსკოველ ქართველთა სწავლა-აღზრდის საქმეს არჩილ მეფე ხელმძღვანელობდა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა წმინდა წერილთა სწავლას. ამ დაუღალავი შემოქმედის საგანმანათლებლო საქმიანობა სამშობლოს დიდად რგებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილმა სტოკჰოლმში დაბეჭდა ქართული ანბანი საკითხავი მასალით. ეს ანბანი არა მარტო მოსკოველ ქართველებს შორის, არამედ სამშობლოშიაც უნდა გავრცელებულიყო.

უეჭველია, 1704 წელს ქართული ანბანი მოსკოვშიაც დაიბეჭდა, მაგრამ რამდენიმე თაობის მოსწავლეთა ხმარებისაგან დაძველდა და დაიკარგა.

მოსკოვში მცხოვრები ქართველები განათლებას არა მარტო ქართველ მოძღვარ-ოსტატებთან იღებდნენ, არამედ ჩანს, რომ რუსულ სასწავლებლებსა და უცხოელ მასწავლებლებთანაც დადიოდნენ.

ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მ. დავითაშვილისა და გ. დადიანის განსწავლულობა.

ჩანს, მ. დავითაშვილი რუსულ ენასა და სხვა სასწავლო საგნებს საკმაოდ დაუფლებია. კარგი ქართული განათლება მიუღია გ. დადიანს,

² სსრ კავშირის სახ. საისტორიო მუზეუმი. სინოდის ფონდი, წიგნი 18, ფურც. 25.

რომელსაც შემდეგ საარტილერიო სასწავლებელი დაუმთავრებია და რუსულ ენაზე ღრმა სამხედრო-ტექნიკური ცოდნა შეუძენია³. გ. დიანი ალ. ბაგრატიონის საქმის პირველი ღირსეული განმგებლობია.

კარგი რუსული განათლება მიუღიათ: თ. და ი. დავითაშვილებს, ბ. თურქისტანიშვილს, გ. მეტრეველს, გ. ჩხეიძეს და მეფე არჩილას გარემოცვაში მყოფ სხვა ქართველ ახალგაზრდებს.

ვახტანგ VI-ს მოსკოვში ჩაპყვა განათლებული ქართველი საზოგადოების ნაღვა. მრავალმხრივ განათლებული მოღვაწე ადრიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდას. შეუმცდარი ალლოთი, ტაქტით, წახალისებით მან მრავალ მოზარდს სწორად განუსაზღვრა მომავალი მოღვაწეობის სფერო. ეპიტაფიაში კანონიერი სიამაყით ათქმევინებენ მეფეს: „ჩემთანა მყოფთა ქაბუკთა უხმია კარგა ზრდილობა“.

ვახტანგ VI-ის ამაღლის მოსკოვს დამკვიდრებით სწავლა-აღზრდის საქმე მაღალ საფეხურზე შედგა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბატონიშვილების აღზრდას, ვახტანგ VI-მ იმპერატორს მიმართა გიორგი ბატონიშვილის განსასწავლად. საგულისხმოა, რომ რუსეთს მისულ ქართველებს „მეორედ“ სწავლის პერიოდი დაუდგათ. უცხო ენის დაუფლებასა და მათემატიკურ-ტექნიკური ცოდნის გაღრმავებას შესდგომია მეფე ბაქარი: „... მეფისა ძემან მიიღო სწავლა მეორე, სრული და უნაკლულო და ციფირი ისწავლა... სრული აღსარიცხავი სრულად აღასრულა სიბრძნითა თვისითა...“.

ბაქარი მოწადინებული იყო განსაკუთრებით საერო სწავლა გაეღრმავებინათ მის ქვეშევრდომებსაც: „მეფის ძესა სწადდა, რომელსამე მათთან ქართველთაგან მიეღოთ სწავლა მის მიერ და ესწავლათ ენა და ანგარიში“... — წერია მოსკოვში შედგენილ ერთ-ერთ სახელმძღვანელოს ანდერძში.

ქართველმა მოღვაწეებმა კარგად გაითვალისწინეს ხელსაყრელი მდგომარეობა სასწავლო წიგნების მოსამზადებლად და მოზარდთა აღსაზრდელად.

რთული და მრავალმხრივი აღზრდა-განათლების საფუძვლების ათვისების შემდეგ თანდათან გახშირდა ქართველი ყმაწვილების რუსულ სასწავლებლებში შეყვანა, მოსკოვსა და პეტერბურგში მყოფ უცხოელებთან მიბარება. გამონაკლისი როლი იყო ქართველების სხვა ქვეყნების სასწავლებლებში შესვლა.

³ ჩსპა. ფონდი 110, 1726, საქმე 3, ფურც. 5.

სასწავლო წიგნებისა და სწავლა-აღზრდის საქმისათვის ვახტანგ VI-ს მოსკოვში ჩასვლისთანავე მიუქცევია ყურადღება. მისი რჩევით შესდგომიან სხვადასხვა სახელმძღვანელოს შექმნასა და გამრავლებას⁴.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. დავითაშვილის მიერ არითმეტიკის სახელმძღვანელოს რუსულიდან გადმოკეთება. არტილერიის კურსის შესასწავლი წიგნების გამრავლება, წელთაღრიცხვასა და ასტრონომიაში სასწავლო წიგნის მომზადება.

ვახტანგ VI ადრევე მოიწადინა მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვის საქმის გამოცოცხლება და განაგრძო გამოსაცემი სასწავლო წიგნების მომზადების საქმე.

ასე შეიქმნა სახელმძღვანელოები: „ხელთა“, „პირველ სასწავლო კრმათა“, სასწავლო წიგნი ასტრონომიაში და ა. შ.

ქართველთა სწავლა-აღზრდის საქმეს უნარიანად წარმართავდნენ ცნობილი სასულიერო მოღვაწეები, მიტროპოლიტები: ნიკოლოზ ორბელიანი, რომანოზ ერისთავი, არქიმანდრიტები: გერმანე, ნიკოლოზი (ჯაფარიძე); არქიეპისკოპოსი იოსებ სამებელი (ქობულაშვილი). ილუმენი ქრისტეფორე (გურამიშვილი); გარსევანიშვილთა საგვარეულოდან გამოსული მოღვაწენი და სხვები. ქართველმა მღვდელმთავრებმა მაღალ დონეზე დააყენეს მემკვიდრეთა მომზადების საქმე. ქართველი სასულიერო პირები არ კმაყოფილდებოდნენ რუსეთის კულტურის კერებით და თავიანთი მზერა მიაპყრეს სლავური კულტურის ცენტრებს. მაგ., კიევი-პეჩერის გასაცნობად დიდი ამალით გაემართა მიტროპოლიტი იაკობი (დუმბაძე), ქრისტეფორე. მოსკოვიდან ქართველები გაემგზავრნენ იერუსალიმს და კულტურის სხვა განთქმულ კერებში. ქართული განათლების საფუძვლების შესწავლის შემდეგ ჩვეულებრივი გამხდარა ქართველ ყმაწვილთა მოსკოვში მყოფ ფრანგ და სხვა მასწავლებლებთან მიბარება.

არითმეტიკის ერთ-ერთ სახელმძღვანელოზე 1727 წლის მინაწერი საინტერესო ცნობებს შეიცავს გერმანული და ფრანგული ენების, არქიტექტურისა და არტილერიის საფუძვლების შესასწავლად, ბაროკეტან, ლამბორთან მიბარებული ქართველი ყმაწვილის მეცადინეობისათვის გაწეულ ხარჯებზე, ფრანგული და სხვა წიგნების შესაძენად გადახდილ საფასურზე.

⁴ მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა გახყოფილება, იოანე ბატონიშვილის ფონდი, ხელნაწერი № 312, ფურც. 1.

იმავე წიგნში ჩაწერილია გერმანული და ფრანგული თვლა (არაბული ციფრების გასწვრივ ქართულად მიწერილია შესაბამისი გერმანული და ფრანგული გამოთქმა-მნიშვნელობანი).

თავისი შვილის დიმიტრის განსწავლაზე დიდად იღწვოდა და უცხოელ მასწავლებლებთან მეცადინეობაზე მიუთითებდა პ. ციციშვილი.

სასწავლებლებში შვილების ყოფნისას გაწეული ხარჯებით ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესუსტებაზე ჩიოდა ვახუშტი ბატონიშვილი.

30-იან წლებში ახალშენში მომრავლდნენ მოსწავლეები. ამასთან, შეინიშნება, რომ ტექნიკურ ცოდნასთან ერთად ისინი ესწრაფვიან ფართო განათლების მიღებას.

ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რუსეთის ახალ საშეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრს სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას.

აღსანიშნავია, რომ 1737 წელს იქ გაკეთდა ქართული სასტამბო მოწყობილობანი და ქართული სტამბისათვის მომზადდა ორი ოსტატი. (ასოთმოქანდაკე — ჩამომსხმელი და მბეჭდავი).

აკადემიასთან არსებულ გიმნაზიაში ქართველი ასალგაზრდები წარმატებით ეუფლებოდნენ მეცნიერებათა საფუძვლებს და უცხო ენებს.

გამოჩენილი მეცნიერის ე. დე-ლილის ყურადღება მიიქცია იოთამ ბაგრატიონმა, რომელსაც ბიძის, გიორგი ბატონიშვილის, ნება-მისწრაფებით სურდა ინჟინერი გამხდარიყო. როგორც ე. დე-ლილი 1735 წელს ლ. ეილერისადმი გაგზავნილ ფრანგულ ენაზე დაწერილ წერილში მიუთითებდა, ი. ბაგრატიონმა უკვე იცოდა ლათინური, გერმანული ენები და მათემატიკური ცოდნის საფუძვლების შესასწავლად მას რეკომენდაციას აძლევდა ლ. ეილერთან. ამასთან, ეს გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ქართველი ბატონიშვილი დიდად აფასებდა ცნობილ მათემატიკოსს ლ. ეილერს, გამოჩენილ ასტრონომს ე. დე-ლილსა და ჩანს, პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სხვა წევრებსაც.

1739—43 წლებში ძმების ივანე და იოთამ ბაგრატიონების სამეცნიერო აკადემიის გიმნაზიაში სწავლა ასახულია რამდენიმე დოკუმენტში. ერთ-ერთი საბუთი გვაცნობს, რომ ივ. ბაგრატიონს 1740 წლის 27 აგვისტოს მოუპოვებია პროფესორების ლექციების მოსმენის უფლება.

ჩანს, ადრე მოსკოვში მცხოვრებ ძმებს ოჯახში მიუღიათ განათლება, შემდეგ მათ ცოდნა პეტერბურგში გაულრმავებიათ და აკადემიის გიმნაზიაში შესულან.

ოთხი წელი უსწავლია დაქირავებულ მასწავლებლებთან დიმიტრი ციციშვილს. ამ ხნის მანძილზე მას აუთვისებია უცხო ენებუ. გერმანული ისე კარგად შეუსწავლია, რომ თხუთმეტი წლის ასაკში, 1736 წელს არითმეტიკის სახელმძღვანელო ქართულად გადმოუღია. საკმაოდ განათლებული და რამდენიმე ენის მცოდნე 18 წლის დ. ციციშვილი 1739 წ. ჩარიცხულა კადეტთა კორპუსში, სადაც იგი წარმატებით სწავლობდა ფიზიკას, „იუს ნატურას“, „ცივილას“, (სამოქალაქო სამართალს), კრიმინალისტიკას, მსოფლიო („უნივერსალურ“) ისტორიას, არითმეტიკას, გეომეტრიას. ამ საგნებთან ერთად მას ისე შეუთვისებია გერმანული, ლათინური, ფრანგული, რომ შეეძლო ამ ენებზე ლაპარაკი, წერა და თარგმნა რუსულად და რუსულიდან, — ნათქვამია სამეცნიერო აკადემიის არქივში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში⁵.

აღსანიშნავია, რომ დ. ციციშვილმა ამასთან ერთად საფუძვლიანად იცოდა ქართული, რასაც მოწმობს მისგან გერმანულიდან ქართულად გადმოღებული სახელმძღვანელო.

კადეტთა კორპუსში სწავლისას დ. ციციშვილი დადიოდა სამეცნიერო აკადემიაში და ლექციებს ისმენდა ექსპერიმენტულ ფიზიკაში, „იუს ნატურაში“, მორალში, გეოგრაფიაში, სამოქალაქო სამართალში, მათემატიკაში, გერმანულსა და რუსულ ენებში.

რუსული საკანცელარიო პრაქტიკა მას წარმატებით გაუვლია სახელმწიფო სამხედრო კოლეგიაში.

თავადაზნაურთა კადეტთა ქვეით კორპუსში დ. ციციშვილს უსწავლია ორ წელზე მეტი. სენატის დადგენილებით განსწავლული 20 წლის დ. ციციშვილი თავის ამხანაგებთან: ა. კოლოშინთან, ვ. ლიაპუნოვთან, ვ. პოპოვთან ერთად 1742 წლის 16 თებერვალს გამოცდების ჩასაბარებლად გაგზავნეს სამეცნიერო აკადემიაში.

კადეტთა კორპუსის მოწინავე კურსდამთავრებულთა ცოდნის შემოწმება დაევალათ: ქრ. ვისპეიმს, ვ. კრაფტს, ი. შტელინს, გ. ჰეინზუსს და ქრ. პოლდბახს⁶.

კომისიის წინაშე თავი გამოუჩინია დ. ციციშვილს, რასაც მო-

5 სსრკ საა, ფონდი 3. აღწ. 10, საქ. 3. ფ. 12.

6 სამეცნიერო აკადემიის არქივი, ფონდი 3, აღწ. 10, საქმე 3, ფურც. 154.

წმობს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად მისთვის აკადემიაში მიცემული დახასიათება.

აკადემიის გიმნაზიაშივე სწავლობდა გ. მაჩაბელი (იხსენიება 1742 წლის დოკუმენტში).

აღსანიშნავია, რომ განათლების მისაღებად სტეფანე სვიმონის ძე ბაგრატიონი ჰოლანდიაში გამგზავრებულა. რუსეთის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ქართველი ახალგაზრდა იქ დიპლომატიური კარიერისათვის ემზადებოდა, სწავლობდა „სამინისტრო საქმეებს“⁷.

ჩანს, სტ. ბაგრატიონი, ალექსანდრე ბატონიშვილის მსგავსად, წასულა ევროპაში სასწავლებლად. სამწუხაროდ, ბედმა სტ. ბაგრატიონსაც ადრე უმუხთლა.

გაკვირთ მაინც უნდა აღინიშნოს ქართველ მოზარდთა დაქინებული სწრაფვა სამხედრო ხელოვნების დასაუფლებლად. ამას ტრადიციული ეროვნული ზნეობის ჩინებულ სისტემასთან ერთად აპირობებდა ეპოქის თავისებურება, მშობლებისაგან შვილებისათვის ადრევე ჩაგონებული — უბრძოლველად სამშობლოს განთავისუფლების შეუძლებლობა, ბავშვობაშივე გამოვლენილი ინდივიდუალური სანიმუშო მხედრული ნიშან-თვისებები, ათლეტური აღნაგობა.

რუსეთში მყოფი სხვადასხვა თაობის ქართველი ახალგაზრდები-საგან ჩამოყალიბდა სამხედრო მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადა.

თუ ადრე ქართველთა მხედრული ოსტატობით, საზრიანობით, გამბედაობით, მამაცობა-სიქველით აღფრთოვანებულნი იყვნენ აღმოსავლეთში, ახლა გამოჩენილი ევროპელი მხედართუფროსები აქებდნენ ქართველ მებრძოლებსა და უებრო სარდლებს.

ვახტანგ VI-ს ამაღლის წვევებთან და მათ შთამომავლებთან მშობლებით დაახლოებული და დაკავშირებული იყო ა. სუფოროვი და რუსეთის სხვა გამოჩენილი მხედართმთავრები.

რუსეთში მყოფ ახალგაზრდების წარმატებული სწავლა ღირსეული მემკვიდრეების ჩინებულად აღზრდის იმედს უნერგავდა მოსკოვის ქართული ახალშენის მესვეურებს.

ახალშენში მყოფმა ახალგაზრდებმა თანდათან ცოდნა-განათლების სხვა ხალხში გავრცელებაც იწყეს. მათ სამოღვაწეო ასპარეზი გაიფართოეს და ენერგიულად ჩაებნენ კავკასიის ხალხთა განათლების

7 ვ. დონდუა. ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. „საისტორიო ძიებანი“, თბ., 1967, გვ. 187.

დონის ამალღებისათვის ფართოდ გაშლილ დიდი იმედების აღმძვრელ მოძრაობაში.

ასეთი საპატიო მისიით კავკასიაში წამოსასვლელად მოსკოვში მყოფი ქართველი მოღვაწენი გულმოდგინედ მოემზადნენ. კავკასიის მთიელებში გასაერცვლებლად შედგენილი სასწავლო წიგნები მათ მოსკოვის ქართულ სტამბაში დაბეჭდეს, იქვე შექმნეს საჭირო თვალსაჩინოებანი.

მოსკოვის ქართველთა ახალშენიდან გამოსულთა მრავალწლოვანი თავდადებული მოღვაწეობით სახსოვარი ფურცლები ჩაიწერა ქართველი და კავკასიის ხალხთა კულტურული თანამშრომლობის ისტორიაში.

სწავლა-განათლების მაღალ დონეზე დაყენება, ფართო კულტურული საქმიანობა ახალ პერსპექტივებს ქმნიდა ახალშენში აღზრდილთა წინაშე.

§ 2. სასწავლო წიგნები

ახალგაზრდობის განათლების ამოცანები შესაფერის სასწავლო წიგნებს მოითხოვდა. ამიტომ, ბუნებრივია, მასზე უნდა ეზრუნათ. ამ საქმის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ სასწავლო წიგნი თანამედროვე დონეზე უნდა მდგარიყო. ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა რუსული „რუკოვოდსტვობისა“ და უცხოური სასწავლო ლიტერატურის შეუსწავლელად.

ასეთი მუშაობით გაიმართა მშვენიერი ორიგინალური სასწავლო წიგნები, რომელთა გვერდით რუსულ „რუკოვოდსტვობსაც“ აქართულებდნენ.

ასეთ წიგნთა სათაურს ჩვეულებრივ პირდაპირ თარგმნიდნენ ლა ქართულშიაც თანდათან მკვიდრდება რუსულ „რუკოვოდსტვოს“ კალკი „სახელმძღვანელო“. ეს უკანასკნელი შემდეგ ყველა სასწავლო ლიტერატურის აღმნიშვნელად იქცა.

ახალშენში ერთ-ერთი პირველი სასწავლო წიგნის ავტორია ალექსანდრე ბატონიშვილი. მისი შედგენილი სახელმძღვანელო ს ა ა რ ტ ი ლ ე რ ი ო საქმის შესათვისებლად ახალი ტიპის პირველი სასწავლო და ტექნიკური წიგნია.

მოღწეულია დასახლებული ძეგლის რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაგან უძველესია H-1069. ეს საშუალო ზომის (31.6 X 20.5) წიგნი შეიცავს 89 ფურცელს. ჩასმულია ტყავადაკრულ ხის ყდაში.

წიგნი დაზიანებულია. აკლია დასაწყისი. ამის გამო ვერას ვიტყვით. თხზულების იმ სახელწოდებაზე, რომელიც მას ავტორმა მისცა. შინაარსის მიხედვით, დასახელებულ სახელმძღვანელოში მოცემულია საარტილერიო ჭურვების დამზადების ტექნოლოგია, ზარბაზან-მორტირების გაკეთების პირობები, დახასიათებულია მათი ბრძოლებში გამოყენება. აღმწერლებმა კი ხელნაწერს „საარტილერიო წიგნი“ უწოდეს. ეს ძეგლი გოგირდზე თხრობით იხსენება, მას მოსდევს მოსაკიდებლის (ფითილის), რაკეტის პროპორციის, მისი ყალიბისა და სხვა აღწერები. უეჭველია, წიგნის შემდგენელი თავდაპირველად ჭურვების (რაკეტა, ფინდიხი, ყუმბარა) დამზადების წესს განმარტავს, გვიხსნის ჭურვებში გასანაწილებელი მასალის რაობა-შედგენილობას, დოზას. მიგვითითებს რაკეტა-ფინდიხის ფორმაზე (პროპორცია), მის გატენაზე და სხვ.

იქვე აღწერილია, როგორც საარტილერიო ჭურვები, ისე ხელყუმბარები. აგრეთვე არტილერიისათვის საჭირო ხმალი.

წიგნის მეორე ნაწილში შეისწავლება თვით ზარბაზან-მორტირები, მათი კალიბრი, გამოყენება, გასწორება, სკალა-ცხრილი, ციხისთვის თუ სხვა საიერიშო პუნქტისათვის დამიზნება („განიშვნა“), გასანათებელი რაკეტა, ფინდიხის ცეცხლის წაკიდებით აფეთქება-გასროლა. მითითებულია სროლისაგან ქვემეხის გაცხელებაზე და ა. შ.

ხელნაწერში ჩართულია მშვენივრად შესრულებული მრავალი ნახატი, ნახაზი. ეს თვალსაჩინოება აადვილებდა სახელმძღვანელოს მოხმარებას.

ტექსტი გამართული ქართულითაა შედგენილი. გვხვდება რუსიციზმები: „ვედრა“, „საბლი“, „სოსტავი“, „ჩეთერი“. აქა-იქ უცხოური ტერმინებიცაა გამოყენებული. ტექსტში ჩართულია ანდერძი, რომელშიც მითითებულია ქართველთათვის მშობლიურ ენაზე ასეთი წიგნის პირველად შექმნის განსაკუთრებული მნიშვნელობა. სახელმძღვანელოს ფრანგულიდან ქართულად გადმომღებად დასახელებულია გარდაცვლილი „საქართველოს მეფის ძე ბატონიშვილი ალექსანდრე“.

ეს ანდერძი ჩართულია საარტილერიო წიგნის უძველეს ხელნაწერში (H-1069). მისი გადაწერის თარიღისა და სხვა ფაქტების გათვალისწინებით ანდერძში მოხსენიებული „საქართველოს მეფის ძე, ბატონიშვილი ალექსანდრე“ უეჭველად არჩილ II-ის ვაჟი, რუსეთის არმიის ფელდციხისმაისტერი ალექსანდრე ბაგრატიონია.

ამ მრავალმხრივმა მოღვაწემ რამდენიმე უცხო ენა იცოდა. მან უცხოურ ენებზე მიიღო სამხედრო განათლება, რომელიც გააღრმავა

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (პოლონეთი, გერმანია, პოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი, შვედეთი) ყოფნისას.

გალამწერისაგან მინიშნებულ „ფრანგულისაგან ქართულად“ გადმოღებაში წიგნის პირდაპირ ფრანგული ენიდან თარგმნა არ უნდა ვიგულისხმოთ, ჩანს, ანდერძში „ფრანგული“ ნახმარია „დასავლეთევროპულის“ მნიშვნელობით.

უცხოურ ენებზე არსებულ ასეთ წიგნებთან ქართულ სახელმძღვანელოს შედარებით ირკვევა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს კი არ უთარგმნია, არამედ თანამოძმეთათვის თვით შეუდგენია წიგნი არტილერიის საფუძვლების შესასწავლად უცხოური ლიტერატურის გამოყენებით. ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანა ხანგრძლივმა ძიებამ. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, ალ. ბაგრატიონის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს სენ-რემის წიგნთან სიახლოვის შესახებ⁶. თავისი ნაშრომისათვის ქართველ მოღვაწეს გამოუყენებია საარტილერიო ცოდნის საფუძვლების შესათვისებლად იმ დროს არსებული მდიდარი უცხოური ლიტერატურა, რომელთაგან სენ-რემის წიგნი ერთ-ერთი წყაროთაგანია. ქართული ძეგლი შექმნილი უნდა იყოს შვედეთში 1705—1708 წლებში.

ალ. ბაგრატიონის საარტილერიო სახელმძღვანელოს უძველესი ნუსხა H-1069 გადაწერილია XVIII საუკუნის 20-იანი წლების დაშლემდე.

ერთი მინაწერის ცნობით, ეს წიგნი 1722 წელს ქართველებს ნიჟინოვგოროდს ჰქონიათ „1722 წელსა, მაისს 26, — წერია 80r-ზე, ქვემოთ, არშიაზე, — შაფათს სალამოს, საათნახევარი დღე კიდევ იყო, რომ ზელმწიფე ნიჟს მობძანდა და შავიყარენით“.

ვახტანგ VI-ის ამალის მოსკოვს ჩასვლის შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა სახელმძღვანელოების შესადგენად.

ქართველები, უპირველესად, ენის შესწავლას შედგომიან. საამისო პირობად მეფე ბაქარს სახელმძღვანელო-ლექსიკონი მიუჩნევია და პეტერბურგში ყოფნისას დაუწყია მისი შედგენა „ვაკაფას“ მიხედვით: „მეფის ძე ბაქარ დიდათ სწავლის მდომელი ბრძანდებოდა... და ჯელ-ყო წერად ამისად, რომელსა ეწოდების ვაკაფა — ენის სასწავლო და თარგმნა რუსთ ენა ქართულათ“.

⁶ Н. Надбандзе. Александр Арчилович Батонишвили — переводчик произведений Симеона Полоцкого. „Литературные взаимосвязи“. Т. V. Тбилиси, 1974, с. 25.

საგულისხმოა, რომ დასახელებული სასწავლო წიგნის ერთ-ერთ ნუსხაში რუსული სიტყვების უმეტესობა ქართული ტრანსკრიფციით არის შესრულებული.

ვახტანგ VI-ის, ბატონიშვილების, მოსკოვში მცხოვრები განათლებული ქართველების თაოსნობითა და მონაწილეობით შეიქმნა ქართულად არსებულ სახელმძღვანელოების ახალი ნუსხები.

1729 წელს „საარტილერიო წიგნი“ მოსკოვს გადაუნუსხავს თბილისელ მოლა რადას, თუმცა ზოგიერთი ილუსტრაცია ვერ ჩაუნუსხავთ სახელმძღვანელოში. ამ ხელნაწერის ტექსტი განტვირთულია რუსიციზმებისაგან, მაგრამ რუსულ ენაზე ერთვის რაკეტების შედგენილობის აღწერა, რაც მისმა პრაქტიკულმა მნიშვნელობამ განსაზღვრა.

საარტილერიო წიგნის სახელმძღვანელოდ გამოყენების კარგი მაგალითია მისი არითმეტიკის სახელმძღვანელოსთან გაერთიანება კრებულში (S-167).

ლოგიურია დასახელებულ კრებულში ჯერ „არითმეტიკის“ სახელმძღვანელოს, ხოლო შემდეგ „საარტილერიო წიგნის“ მოთავსება.

ეს ხელნაწერი მიგვანიშნებს იმ მზრუნველობაზე, რასაც ქართველები იჩენდნენ სახელმძღვანელოებისადმი. „საარტილერიო წიგნის“ არსებული ტექსტი H-1069 ხელნაწერის ტექსტის მსგავსია. ზოგი ილუსტრაციები აქაც შეუსრულებელია.

კრებული შეუდგენია და გადაუწერია რამდენიმე პირს. კალიგრაფია ჰგავს გ. დ. მეტრეველის ხელს.

მრავალი ათეული წლის მანძილზე „საარტილერიო წიგნზე“ რუსეთში აღიზარდა ქართველ არტილერისტთა თაობები.

აღსანიშნავია, რომ გვიან დასახელებული კრებული რუსული ტიპის ქვემეხების შესაქმნელად გამოუყენებია ერეკლე II-ის თანამებრძოლს გიორგი თარხანს, რასაც ემოწმება ყდის ქვემო ფრთის შიგნითა მხარის მინაწერი.

ასე უწყობდა ხელს ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარებას გამოჩენილი მოღვაწის ალექსანდრე ბატონიშვილის შედგენილი სახელმძღვანელო.

მოსკოვში შექმნილ სხვა სასწავლო წიგნებს შორის მნიშვნელოვანია „არითმეტიკისა და გეომეტრიის წიგნი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ძეგლს გაკვრით ეხებიან: ტრ. რუხაძე⁹, და დ. ცხაკაია¹⁰. ორივე მკვლევარი სახელმძღვანელოს მთარგმნელად სხვადასხვა მოღვაწეს ასახელებს. ჯერ კიდევ გაურკვეველია აღნიშნული წიგნის რაობა, შეუსწავლელია მასზე ვახტანგ VI-ის გაწეული ღვაწლი და სხვ.

წიგნის დანიშნულება განსაზღვრულია მათემატიკური ცოდნის საფუძვლების შესწავლით. ძეგლის ერთ-ერთ ნუსხაში ნათქვამია: „ესე არს აღსავალი პირველისა სწავლისა არიხმატიკისა, თუნიერ ამისა ვერაინ მისწუთების...“ ამას გარდა, მასში შეტანილია გეომეტრიისა და სტერეომეტრიის ელემენტები. იგი შექმნილია რუსეთში მიღებულ იმავე შინაარსის სახელმძღვანელოებიდან გამოკრებით. მთარგმნელის ვინაობაზე, წიგნის შექმნის დროსა და სხვა მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ ქართულ ხელნაწერზე დართულ ანდერძში.

ჩანაწერში მთარგმნელი ორიგინალურადაა მოხსენიებული და მითითებულია მისი ღვაწლიც: „ქ. ეს წიგნი მე მიხაილ ელივიჩ ვთარგმნე რუსულისაგან ქართულად“.

ამ ცნობას, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებდა ტრ. რუხაძე, ის წერდა, რომ თითქოს ვახტანგ მეფეს დაევალებინოს მ. კავკასიისათვის რუსულიდან „მათემატიკის წიგნის“ თარგმნა. ამასთან, მკვლევარს ეს ძეგლი მხოლოდ ერთ, 1725 წლის ხელნაწერად მიაჩნია.

წარმოუდგენელია ვახტანგ VI-ს ასეთი გაუცნობიერებელი ბრძანება გაეცა. მრავალი დოკუმენტით დასტურდება, რომ ეს ღრმადგანათლებული მეფე ქვეშევრდომებს აძლევდა ხოლმე ისეთ დავალებებს, რომლის შესრულებაც მათ შეეძლო.

მათემატიკის ისტორიის კვლევისას დ. ცხაკაია გაკვრით ეხება განსახილველ ხელნაწერს და მასში დასახელებულ მთარგმნელს „ელივიჩს“ ის გვარად „ელიაშვილად“ მიიჩნევს.

ირკვევა, რომ ანდერძში მთარგმნელის ვინაობა მითითებულია სახელითა და მამის სახელით. საარქივო მასალებში მოსკოველ ქართველთა ასე მოხსენიება იშვიათი არ არის.

მათემატიკური სახელმძღვანელოს გადმომღები დოკუმენტში ჩაწერილია ქართველისაგან რუსულის ნიუანსური გამოთქმით: „მიხაილ ელივიჩ“. ეს იგივე მიხეილ ილიას ძეა, გვარად დავითაშვილი. მიხეილი

⁹ ტრ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1969, გვ. 259.

¹⁰ დ. ცხაკაია. მათემატიკის ისტორია. თბ., 1965, გვ. 202.

იმ დავითაშვილების შთამომავალია ელენე დედოფალს მოსკოვიდან წამოსვლისას რომ განუდგნენ¹¹.

მიხეილ ილიას ძე დავითაშვილი ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლისძმა იყო. რუსეთში განათლებამიღებულ მ. დავითაშვილს ალექსანდრე ბატონიშვილისა და არჩილ მეფის გარდაცვალების შემდეგ დარეჯან ბატონიშვილის კარის მოხელედ ვხედავთ. კასპიისპირეთში ლაშქრობის დროს ის სხვა ქართველ მოახალშენებთან ერთად რუსეთის ჯარში იმყოფებოდა¹² და დარუბანდამდე ჩავიდა¹³.

ეს ქართველი მოღვაწე უკან უნდა დაბრუნებულყო ქართველთა ემიგრაციამდე. თუ ადრე სხვაგან არა, ის ნამდვილად შეხვდა მოსკოვში მისულ ვახტანგ VI-ს.

მოსკოვში ყოფნისას დიდ ქართველ განმანათლებელს, როგორც ანდერძიდან ჩანს, მიხეილისათვის სახელმძღვანელოს თარგმნა უბრძანებია.

როგორც ირკვევა, მ. დავითაშვილს სახელმძღვანელო შემოკლებულად გადმოუღია. მათემატიკის კარგად მცოდნე ვახტანგ მეფე დაინტერესებულა შედეგით. თარგმნილი ძეგლი, როგორც ეს ჩანაწერშია მითითებული, თვით მას გაუსწორებია და გაუფრცია 1725 წელს.

იმავე წლის 10 სექტემბერს რედაქტირებული სასწავლო წიგნი გადაუწერია ქართლის მეფის მდივანმწიგნობარს, ცნობილ კალიგრაფს მელქისედეკ კავკასიძეს. მიმზიდველია ამ მესხი მოღვაწის ხელი. მას სხვადასხვა ფერის მელნის გამოყენებით მაღალ დონეზე გაუფორმებია სახელმძღვანელო. წიგნი უხვადაა შემკული თვალსაჩინოებით: იშვიათი ოსტატობით შესრულებული ნახაზებითა და ნახატებით. არითმეტიკული მოქმედება-სავარჯიშოები ამოცანათა შემდეგ ცალკეა ჩამოწერილი.

სასწავლო წიგნი ჩასმულია ლამაზ ყდაში. ის ადვილად მოსახმარია, (მოთავსდება უბეშიც). სახელმძღვანელოს ეს ნუსხა შექმნილია სამეფო სახლისათვის. გვიან ამ წიგნს იოანე ბატონიშვილი დაუფლებია, რაზედაც მიგვითითებს მინაწერი. ამიტომ ქართველთა სამეფო სახლის

11 მოსკოვს მისულმა არჩილ მეფემ სცადა დავითაშვილების შეერთება, მაგრამ ვერ მოახერხა. შემდეგ ალ. ბატონიშვილმა ცოლად შეირთო გლიკერია — ილია დავითაშვილის ასული.

12 ფ. რ. სიხარულიძე. მოსკოვის ქართული ახალშენის როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. წიგნი: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 182.

13 ასსა, ფონდი 130, აღწ. 2, საქმე 3. ფურც. 7.

კუთვნილი წიგნი დღეს სანქტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციაშია დაცული (№ 313).

ირკვევა, რომ შექმნილი იყო ძეგლის მოკლე რედაქციაც. ერთ-ერთი ასეთი ნუსხაა H-2280. ის პატარა ზომის (15×9.5) წითელტყავ-გადაკრული მუყაოს ყდით შემკული წიგნია. ძეგლის მმოსველიც ცნობილი ქართველი ოსტატი ჩანს. არითმეტიკის ეს სახელმძღვანელო გადაწერილია 1727 წლამდე, რადგან მასზე გვხვდება 1727 წელს შესრულებული მინაწერები.

სავარჯიშოების განლაგებით ნუსხა წააგავს მ. კავკასიძისეულ ხელნაწერს. შესაძლებელია უკანასკნელი მხოლოდ ერთ-ერთ წყაროდ გამოიყენეს, რადგან მასში შესული სავარჯიშოების ნაწილი განსხვავდება იოანე ბატონიშვილისეული კოლექციის № 313-ე ნუსხისაგან. ამასთან, H-2280 ნუსხაში მოთავსებულ მაგალითებს განმარტება — პირობები არ ახლავს.

წიგნზე შესრულებულია რამდენიმე წარწერა. მათგან ერთი ლექსითი მიძღვნა სახელმძღვანელოს მფლობელი მშობლისა შვილისადმი. ჩანს, მას სურს მემკვიდრეს უანდერძოს წიგნი, რომლითაც თვითონ სწავლობდა:

პატატასია¹⁴ დაწერო მისართმეველი მზისადა,
მმატა სიმწარე სიტკბოთი წუნარად არ რამე მქისადა,
მიმატა სიმკნე სიბრძნისა წამლები იქმნა მყისადა,
ეინც იგი ხატა სიამე ჩემი მიყო და მისადა.

აქ გამოსატულია მოსკოვში მცხოვრები პატრიოტი ქართველის ამაღლებული გრძნობები შვილისადმი, რომელიც ქართულადვე შეუდგება სწავლას, სამშობლოს საკეთილდღეოდ, დაეუფლება უცხო ენებს, კაცობრიობის იმდროინდელ მიღწევებს.

საინტერესოა ტექსტის ბოლოს შესრულებული ხელრთვა. ფართოდ მოხაზულ „ტ“-ანში ჩაწერილი სახელი (ტიმოთე) შეიძლება ამოვიკითხოთ, მაგრამ ძნელია თქმა იმისა, თავიდანვე ეს წიგნი მისი იყო თუ შემდეგ შეიძინა.

¹⁴ „პატატა“ ნორჩი მემკვიდრისადმი კნინობითი მიმართვა ჩანს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ შეიძლება მისი „პატატა“ გააზრება, მაგრამ ამას მრავალი დაბრკოლება ახლავს: წიგნზე მინაწერი მფლობელის ოჯახური მდგომარეობის მონაცემებით მოსკოვში სწავლის პროცესის აღწერა და სხვა, თორემ ეს ცნობები გაამდიდრებდა პ. ბაგრატიონის ბიოგრაფიას.

როგორც ირკვევა, აღნიშნული სახელმძღვანელოს ერთ-ერთი საინტერესო რედაქცია შეუქმნია თავად ლუარსაბს. მას თვით უსწავლია „ანგარიშის წიგნით“. თანამემამულეთა განათლებისათვის დაუხარელ ამ მოღვაწეს ენის სასწავლო წიგნი „ეკაფა“ მეფე ბაქართან ყოფნისას თითო-თითო რვეულად მოუპოვებია გადასანუსხავად და მისთვის დაუმატებია „არითმეტიკიდან“ ამოღებული სავარჯიშოები: „... ჩვენცა მივიღეთ სწავლა ანგარიშთა მათ ციფრისა — წერს ლუარსაბი, — სრულეყავით ძლიერებითა მათითა, სიბრძნე მათი შემწედ ჩვენდა იქმნა და ეს ციფრიც მისთვის დავსწერეთ წიგნსა ამას შინა“.

არითმეტიკისა და გეომეტრიის სახელმძღვანელოს ძველი რედაქცია, ჩანს, S-167 ხელნაწერია.

დასახელებულ ძეგლთან ერთად აღნიშნულ კრებულში „არტილერიის წიგნიც“ არის გაერთიანებული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ „არითმეტიკისა და გეომეტრიის წიგნის“ რედაქციული დამუშავების დროს „არტილერიის წიგნიც“ გამოიყენეს და მასში ენობრივი (სტილისტური) შესწორებანიც შეიტანეს, ხოლო შემდეგ ეს სახელმძღვანელოები ერთად აკინძეს.

კრებული იწყება „არითმეტიკისა და გეომეტრიის წიგნით“. ის ნაწერია შავი მხედრულით. ტექსტის ერთი ნაწილი კალიგრაფიულად (ლიგატურებით და სხვ.) წააგავს მ. კავკასიძის ხელს. ძეგლში შეინიშნება ვახტანგ VI-ის ხელით ჩასწორებული და დამატებული ტექსტი. მცირე ნაწილში ტექსტი გ. ჩხეიძის კალიგრაფიასაც ემსგავსება, ხოლო ნახაზი „მზის საათი“ და მისი წარწერა, აგრეთვე ზოგიერთი თვალსაჩინოება სხვების შესრულებულია.

მ. დავითაშვილის მიერ ქართულად თარგმნილი ეს ძეგლი გადაწერა-გაფორმების შემდეგ ჩანს, ვახტანგ VI-ს გაუსწორებია და გაუვრცია. ქართველი მეფის ასეთ დამოკიდებულებას ახლად თარგმნილ აღნიშნულ სახელმძღვანელოსადმი გვაცნობს ანდერძი. ვახტანგ VI-ის შრომის ოდენობა-რაობა ამ ნუსხით თვალსაჩინო ხდება. საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ მეცნიერებაში ღრმად ჩახედული მეფე აღნიშნული წიგნის რედაქტორი და ტექსტის გამგრცობია.

ამასთან, მთარგმნელ მ. დავითაშვილთან, გადამწერ მ. კავკასიძესთან და მხატვართან ერთად სახელმძღვანელოს ქართულად ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიუღია რუსული ენის მკოდნე მწიგნობარს გ. ჩხეიძესაც.

ამდენად, ეს ნუსხა საყურადღებოა მოსკოვში მიმდინარე თარგმნისწორების პროცესის შესაცნობად.

მითითებულ ხელნაწერში მრავლად გვხვდება რუსული და განსაკუთრებით უცხოური ლექსიკა. რუსულია: „ლინია“, „ლინეა“, „კრივია“, „პრემმაია“, „პრობა“ და სხვ.

აქვეა ის მათემატიკური ტერმინები, რომლებიც რუსულად გადმოღებულ სახელმძღვანელოშიც იყო: „ადიციო“, „დეოდანალი“, „დიომეტრი“, „დიფერენცია“, „დრანცპორტირი“, „კონუსი“, „ლოლარითმუს“, „მაშთაბი“, „ნორდი“, „პარალელოდრამი“, „პარალელოპირედრონი“, „პერიკლია ანუ პარკუმპერტენტია“, „პერპენდიკული“, „პრისმი“, „პრობლემა“, „პროპორციონალი“, „რადიქსი“, „რუთპალკენ“, „რუმბოიტეს“, „რუმბუსის“, „სუპერცია“, ტეტრაედრში“, „ტროპეციუმი“, „ფიგური“, „ქორდა“, „ქურუსი“, „ფრადუსი“ და ა. შ.

უცხოური ტერმინოლოგიის სიჭარბე მიუთითებს, რომ მთარგმნელი და რედაქტორი რუსულთან ერთად გერმანული, ლათინური, ფრანგული წიგნებითაც სარგებლობდნენ.

ძნელი იყო მაშინდელი მკითხველი გარკვეულიყო ტერმინებში. ამის გამო ძეგლში მოცემულია ხმარებულ უცხო სიტყვების განმარტებაც („მთარგმანება სახელთა“) იმდროინდელი ქართული მათემატიკური აზროვნების დონეზე:

„პარალელია წყვილადი ხაზი, გინა ჯუფთი. ორი ხაზი ისე გასწიო, რომ რაც სიშორე თავსა ჰქონდეს ის ბოლომდი სწორად ჰქონდეს იმას ჰქვიან“ — „ანგულკუთხე, როდესაც ორი ხაზის წვერები ერთმანეთს შეეყრებიან ერთს ცქიტზედ ანუ ერთიმეორეს გადევდებიან, იმას ჰქვიან“, „ქ. ღინკუს-სწორხაზკუთხე“, „ქ. ქ. კურვლინიკუს — მრუდხაზკუთხე“, „ქ. მიბსტილინიკუს — სწორმრუდი კუთხე“. „ქ. რევიანთგულ — სწორკუთხე“, „ოფთუს ბლაგვი კუთხე“, „ქ. აკუტუსანგულ, მწვეტი კუთხე“, „ქ. ადვერტიცე — მანგულ, ზომიერ კუთხე“, „ქ. ექსტერნუს—გარე კუთხე“, „ინტერნი — შინა კუთხე“. „კვადრანტი — ოთხკუთხი, იმას ჰქვიან, რომ ოთხივე კუთხე სწორე ჰქონდეს“, „პარალელა—ღრმა წყვილად, მოგრძო ოთხკუთხე“, „სუმბუს — ჯვარედინი ოთხკუთხე“, „რუმბოიტეს — მოგრძო ჯვარედინ ოთხკუთხე“, „ტრაფეციუმ — ხაზხური, გინა სახურავებრივ ხაზი“, „ფილილონუმ — მრავალგვერდი“, „ქ. ფორტიფიკაციო რეგულარუს ანუ ორღინატეფიგურ ჰქვიან, სწორგვერდი, ბურჯოვანი“, „ფიგური ტრიანღულატა ქმნილი სამკუთხედი, მრავალსამკუთხე რომ იყოს იმას ჰქვიან“, „პატიტულო — სიმაღლე მთადრის“, „ფიგურ ეკვილატურა — ორგვერდა სწორი, პორპორციონალი“ და ა. შ.

ზოგიერთი ტერმინი ტექსტში პირველ ხმარებასთანავე განმარტებული, მაგ. „ადიციო, რომელ არს შეკრება, მრავალი ჯუძალთა ერთჯუძალათ“, „ქ. მულტუპლუკაციო, რომელ არს გამრავლება გინა კარვა“, „ქ. დივიზიო — გაყოფა, გინა განწილვა“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოში ხმარებულ ტერმინოლოგიიდან შემდეგ ბევრი დაშკვიდრდა ქართულში. ტექსტის შესწავლით ჩანს თუ როგორ ენერგიულად ცდილობდნენ წინაპრების უცხო ტერმინთა გაქართულებას მათი მაშინდელი მათემატიკური აზროვნების შესაბამისად: პარალელოპიპედის აღსანიშნავად განსახილველ ნათარგმნ ძეგლში წერია: „წყვილელი — წახრილი ხაზი“, პერპენდიკულარი, თარგმნილია — „ბოძთადარი“. ზოგჯერ მითითებულია ტერმინის სადაერობა, მაგ. „ფრანგულად პლანომეტრია ჰქვიან, ქართულად — სივაციის ზომა“. პუნქტი ახსნილია: „წინწყალი. ეს არს ერთი რამ, რომ ჩნდეს და არ გაიყოფოდეს, რომელსაც ხედავ აქ წინამდებარეს“, სპარალი გაგებულია „ხვეულ ხაზად“, ცილინდრი ასე არის განმარტებული: „მრგვალი თავძირ, ბრტყელი ერთი რამ იყოს, თავი და ძირი ბრტყელი ჰქონდეს და ტანი მრგვალი, იმას ჰქვიან“.

ჩანს, რომ რამდენიმე გამოყენებული ტერმინი ქართველთათვის ცნობილია. ამას ითვალისწინებენ მთარგმნელი და რედაქტორი და აღნიშნავენ, რომ ქართულადაც იდენტურად გამოითქმის. მაგ., „პირამიდი ქართულადაც პირამიდი ჰქვიან“. „სფერო ანუ გლობუსი, ქართულადაც სფერო ჰქვიან“.

ასეთ მითითებებთან ერთად ეროვნული მათემატიკური აზროვნების დონე მოჩანს ევროპული ტერმინების განმარტებებში გამოყენებულ იმ სახელწოდებებითაც, რომლებიც ქართულში ადრევე ჩანს დამკვიდრებულნი. მაგ., „ბლაგვი კუთხე“, „ბოძთადარი“, „ბურჯი“, „გაერთება“, „გლობუსი“, „ერთ რიცხვათ გამოღება“, „განწილვა“, „კარვა“, „ხულა“, „სიმრავლე“, „ცქიტი“, „წინწყალი“, „ჯუძალი“, „ჯუფთი“ და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ამავე ნუსხაში განუმარტავად გვხვდება აღმოსავლური ტერმინი „გავზანდარ გაზი“, რაც გასაგები ჩანს ქართველთათვის. მას მოწმობს მრავალ დოკუმენტში მისი დასახელება.

წიგნში მითითებულია საქართველოში ხმარებულ ხელსაწყოებს — ასტროლაბის გამოყენება, მთარგმნელი და რედაქტორი სახელმძღვანელოს უხამებენ საქართველოში არსებულ მათემატიკური განათლების დონეს.

მოტანილი ფაქტების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ მაშინ ჩვენს წინაპრებს აღმოსავლურ მათემატიკურ ცოდნასთან ერთად შეთვისებული ჰქონიათ მათი თანამედროვე ევროპელების მათემატიკური აზროვნების ელემენტებიც.

შეინიშნება, რომ მთარგმნელი და რედაქტორი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ახალს. ევროპულ მათემატიკურ ტერმინებში ოსტატთა და შეგირდთა გარკვევა მათ მნიშვნელოვან ამოცანად ესახებათ. ამას მოწმობს ნუსხის 31-ე ფურცელზე ზომის უცხოურ-ქართული შესატყვისები, რაც ვახტანგ VI-ის ხელით უნდა იყოს ჩაწერილი: „ქ. რუფი, რომელ არს მხარი, ქ. შუხი — ფეჯის ტერფი, ქ. ღუმე (ღიუმი — ფ. ს.) ცერის სიგანე. ქ. შკრუბლ — ცერის მეთედი წილი“.

ამდენად განხილული ნუსხა შეიცავს რედაქტორ ვახტანგ VI-ის ავტოგრაფს. ეს ხელნაწერი საფუძველი გამხდარა კალიგრაფებისათვის.

„ართმეტიკისა და გეომეტრიის წიგნის“ პირველი ნაწილი ასეა დასათაურებული: „ქ. მცირე რამ გამოკრებული ანგარიშის ცოდნისა“. მთარგმნელს ართმეტიკის სახელმძღვანელოებიდან მართლაც გამოუკრებია და თანამიმდევრულად დაულაგებია შეკრება-გამოკლების, გაყოფისა და გამრავლების წესები, თვალსაჩინო მაგალითებითურთ.

შემდგენელი სამართლიანად იწყებს ართმეტიკას თვლითა და რიცხვების დაწერილობის განმარტებით: „პირველად დათვლის ცოდნა არის“ — ვკითხულობთ წიგნის შესავალში. იქვე განსაზღვრულია რიცხვითი რაოდენობა, მოცემულია რიცხვების გადიდების წესი: „...არს ცხრა ასო და იმ ცხრა ასოს ქვეითი მეთე (ს) ნულა (ს) დასმენი, რომ რასაც ამ ნულას მოუსმენ ათათ შეიქ. ამგვარად, ერთს რომ ერთი ნულა მიუსვა ათი შეიქმნება. აგრეთვე ორი რომ დაუსვა ასი შეიქმნება. სამი რომ დაუსვა ათ(ა)ს(ი) შეიქმნება. ასე მოყვება, მაგრამ ერთს, რომ ერთი დაუსვა თერთმეტი შეიქმნება, თუ სამს ერთს დაუსვამ ასთერათმეტი შეიქმნება, თუ ოთხს ერთს დაუსვამ ათ(ა)ს ას თერთმეტი შეიქმნება, თუმცა ორსა მოუსვამ თორმეტი შეიქმნება, და თუცა ორჯერ ორს მოუსვამ ასოცდაორი შეიქმნება, თუ სამჯერ ორს მოუსვამ ათ(ა)ს ოცდაორი იქნება და ყოვლისა ამრიგათ და წესით არს ევროპის ფილოსოფოსთ ასე დასმენ“.

როგორც ცნობილია, ევროპელებმა ეს წესი აღმოსავლეთის კულტურული ხალხებისაგან შეითვისეს და განავითარეს.

ჩვენი სამშობლო განვითარებული საშუალო საუკუნეების პერიოდში მოწინავე ქვეყნების გვერდით იდგა. შემდეგ შექმნილმა ვითარებამ დააქვეითა საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერება,

მისი კულტურული დონე. გვიან საშუალო საუკუნეებში საქართველოში ევროპული მეცნიერების მიღწევები ძირითადად რუსეთის გზით ვრცელდებოდა. ართიმეტისის სახელმძღვანელოს მთარგმნელი და რედაქტორი ამ საგნის წესების ჩამოყალიბებას ევროპელ მეცნიერთა დამსახურებად აცხადებენ და ამას ამბობენ ქართველი მკითხველის მისამართით, რომ მათ ევროპელთა მათემატიკური აზროვნების დონე მიუთითონ.

არაბული ციფრების კომბინაციით სიდიდეთა წარმოქმნის ახსნის შემდეგ სახელმძღვანელოში მოცემულია შეკრების წესი: „ადიციო, რომელ არს შეკრება მრავალთ ჟუმალითა ერთ ჟუმალთ“. ეს არის მრავალ შესაყრებათა შეკრება ანუ როგორც ძეგლშია ნათქვამი. „მრავალ რიცხვთ ერთ რიცხვთ გამოღება“. ეს მოქმედება მაგალითებით, სავარჯიშოებით არის გათვალსაზიანებული. იქვე შემოწმებულია შესრულებული მოქმედება ანუ, „პრობა, რომელ არს სიმართლის შეტყობა, რომ გინდოდეს შეტყობა ეს ჟუმალი მართლად გამოგვიღია თუ არა რაცა ს[ა]თვალ[ა]ვიდამ ჟუმალი გამოგვიღია იქიდამ ცხრა ცხრას დავთვლით. ცხრებს გავაგდებთ და რაც დავგრჩება შევიანახავთ. მერმე ჟუმალსაც ცხ(რ)ათ დავთვლით, რაც ცხრ[ა]-ს ნულეები მორჩება ის წინათი შენახული და ეს თუ ტოლი არის სწორი გამოგვიღია, თუ არა ტყ[უ]ილი არის“.

მოტანილი ციტატი საინტერესოა იმდროინდელი მსჯელობის წარმოსადგენად.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გამრავლების შესწავლას: „ქმულტპლუკაციო, რომელ არს გამრავლება, გინა კარვა“.

შემდეგ აღწერილია: „დიკოზიო — გაყოფა გინა განწილვა“. სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილებში შეისწავლება ელემენტარული მათემატიკა, დიომეტრია, პლანომეტრია, შტირიომეტრია.

იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 313 ხელნაწერის 32-V ფურცელზე მოცემულია ტერმინთა ასეთი განმარტება:

„თარგმანება ლინიათა, ხაზთა: პერპენდიკური-ბოძთადარი. პარალელი — წყვილელი. დეოლონალი — კუთხის კენტრი. ტანლეს — ძირს შეხებული“. ამას მნიშვნელობა აქვს ქართული სამეცნიერო, კერძოდ მათემატიკური ტერმინოლოგიის შემუშავების ისტორიისათვის.

სამწუხაროდ, მათემატიკურ ტერმინთა გაქართულების ასეთ ცდებს წარმატება არ მიჰყოლია. ამის მიზეზი ბევრია. მათ ახსნას აქვერ შევუდგებით. საბოლოოდ ქართულშიც ისევე დამკვიდრდა ზემოდასახელებული ტერმინები, როგორადაც ისინი წარმოიქმნენ.

ეს წიგნი საინტერესოა ხელოვნური, ახლად შემოღებული ქართული ტერმინებით: „ანგულკუთხე“, „გარეთი ხაზი“, — ოთხგვერდი“, „სწორგვერდი“, „ფარგლული“, „უსწორგვერდო“, „ცქიტი“, „ხაზსხური, გინა სახურავებრივ ხაზი“. მათგან: „გარეთი ხაზი“, „ფარგლული“ კალკი ჩანს¹⁵.

ძეგლის თარგმნის, რედაქტირების, გადაწერა-გაფორმების მალალი დონე მოწმობს თუ როგორ გულმოდგინედ ესწრაფოდნენ ქართველი მოღვაწეები მოსწავლეთათვის ახალი სახელმძღვანელოს შექმნას.

ამ შრომატევადი სამუშაოს შედეგი ევროპელთა მათემატიკურ აზროვნებასთან ქართველთა ზიარებისთვის წინადადებული ნაბიჯია.

რედაქტირება-გავრცობისათვის განმანათლებელ ვახტანგ VI-ის მიერ გაწეულმა შრომამ ხელი შეუწყო ტექსტის გამართვას, გააადვილა შესაბამისი მაგალითების (სავარჯიშოების) გაგება.

მეფის ოჯახისათვის მათემატიკის სახელმძღვანელოს გამორჩეული ხელნაწერის შექმნამ განამტკიცა ამ წიგნის დანიშნულება და კიდევ უფრო გაზარდა სახელმძღვანელოსადმი ინტერესი.

ასე კოლექტიურად შექმნილი, მეფისაგან შესწორებული და გზადლოცვილი სასწავლო წიგნის ფართოდ გავრცელება XV^{III} ს-ის მეორე მეოთხედში ნათელია, მაგრამ როგორც სხვა სახელმძღვანელოები, ისიც ხმარებაში გაცვეთილა. მოღწეულია ამ წიგნის მხოლოდ რამდენიმე ცალი, რომლითაც დაეადგინეთ ვრცელი და მოკლე რედაქცია. ხელნაწერთა დაკულობა, გაფორმება-შემკობა და მინაწერები ავლენს პრაქტიკული, აუცილებელი, მყარი ელემენტარული მათემატიკური ცოდნის მისაღებად ამ სასწავლო წიგნისადმი ქართველთა სათუთ დამოკიდებულებას, განსაკუთრებულ ინტერესსა და სიყვარულს.

¹⁵ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და შემდგომ პერიოდში, ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაზე მომუშავე მკვლევრებს, თავის დროზე, რომ გაეთვალისწინებინათ აღნიშნულ სახელმძღვანელოს მონაცემები, ახლა ოდნავ განსხვავებული ქართული მათემატიკური ტერმინოლოგია გვექნებოდა. სამწუხაროდ, ეს სასწავლო წიგნი დღემდე გამოუქვეყნებელია.

თითქმის სამი საუკუნის წინათ ჩამოყალიბებული ეს სახელმძღვანელო, მშვენიერად არის მოღწეული, აღნიშნული ხელნაწერი იმდროინდელი ურთიერთობის შესანიშნავი ძეგლია. ეროვნული მათემატიკური და პედაგოგიური აზროვნების განხილული სასწავლო წიგნის ფოტოტიპირი გამოცემა ფართო საზოგადოების საქაო წარმოდგენას შეუქმნის საქართველოს ხელისუფალთა განათლებულობის დონეზე, ქართველ მწიგნობართა განსწავლულობაზე, მხატვრულ გამოვლება-მისწრაფებაზე, მამინდელი ქართული ხელნაწერი წიგნის ტექნიკურ რაობასა და ა. შ.

განხილული სახელმძღვანელო ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი ძეგლია.

ევროპული მათემატიკური ცოდნის გაღრმავებისა და თანამოძმეებში განათლების გავრცელების მსურველად მისწრაფებამ გადაწყვეტინა ჭაბუკ დ. ციციშვილს არითმეტიკის სხვა სახელმძღვანელოს თარგმნა.

უცხოელ ოსტატთან ოთხი წლის განსწავლის შემდეგ დ. ციციშვილი ისე ღრმად დაუფლებია გერმანულ ენას, რომ განუზრახავს ქართულად გადმოელო ეიუტენბერგელი მათემატიკოსის გერმანული ნაბეჭდი სასწავლო წიგნი მათემატიკაში.

ასეთი გადაწყვეტილება უპირველესად მოწმობს მოსკოვში მყოფი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებასა და მოწინავე ევროპული განათლების დაუფლებისათვის შეუწელებელ სწრაფვას.

სამეფო სახლთან დაახლოებული, უცხო ენების დაუფლებაში წარმატებამოპოვებული დ. ციციშვილი, მსურველად ესწრაფოდა მიღებული განათლების გამოვლენას, მომავალ მოღვაწედ თავისი თავის აღიარებას. ამასთან, მას მოსწონდა მეფე ბაქარის და ვახტანგ VI-მ ანდერძით განსაზღვრა თავისი ქალიშვილის დიმიტრიზე გათხოვება.

განათლებულ ჭაბუკ თავადიშვილს სურდა რაიმე მნიშვნელოვანი, ღირსსახსოვარი ეძღვნა მეფე ბაქარისათვის, მომავალი ცოლის ძმისათვის.

თხუთმეტ წელს მიღწეულმა ჭაბუკმა ახალგაზრდობისათვის მისაბაძი გზა გამოანახა. გადაწყვიტა მოზარდთა განათლებისათვის საკურო არითმეტიკის უცხოური სახელმძღვანელოს თარგმნით მპყრობელისადმი ერთგულების დამტკიცება და თავის მოწონება.

გერმანული სახელმძღვანელოს თარგმნის ისტორია, დ. ციციშვილის საქვეყნო საქმისადმი შემართება გადმოცემულია მეფე ბაქარისადმი მის მიძღვნა-ხოტბაში, რომელიც ერთვის ქართულად გადმოღებულ არითმეტიკის ამ სასწავლო წიგნს.

„მის ბრწყინვალედ შობილისა, ნათლად გამოჩენილისა და კვალად დ(ვ)თისაგან გვირგვინოსანისა. მეფეთა რტო-დავითიანისა და თვით მეფისა, სიბრძნითა მგზავსი თვის ნათესავის სოლომონის, მხედრობითა გიორგისებრისა და შეენიერებით იოსებისა, სიმხნითა გმირთა უწინარესთა უგმირესისა, ენა ტყბილ კეთილ მეტყველებისა, უხვად მოწყალის, ძლიერთა მეფის ძისა და თვთ საქართველოს მეფის ბაქარისა — მე უმრწამესმან მათმა მონამან და ჯერედ ნაკლულევანმან მათის

სიმაღლის სამსახურისამან, სიტყვითა ვერ ძალმიდეს თქმა ქებისა მათისა და აღვწერე რიცხვებითა და საძირკვლებით არეხმეტიკისათა. უწყოდ, რამეთუ მათი მეფობის სიმაღლე არა მიიღებს დაუმწიფებელსა ნაყოფსა; მოიხსენოს, ვითარ მდიდრად მიიღებს მიუწოდომელი ღმერთი ჩვენ უნდოთა კაცთა მიერ მცირედსა შესწირავსა და ეგრეთ ვამს ქვეყნიერთა მეფეთაგან. ამისთვის ვითხოვ წყალობად, რათა ათუთხმეტის წლის აღ(ო)რძინებულის ხისა ნაყოფი მცირედითა შეწყნარებითა მიიღოს. თანამდებ ვიყავ შეწირვად მათის სიმაღლისა მიმართ უდიდესისა შესაწირავისა, ხოლო ვერ ძალმედვა ჴმეტესისა შეწირვა ამისთვის, რამეთუ წლისა ათუთხმეტისა ჯერედ სრული არ ვიყავ და სწავლასა შინა მყოფ ვიყავ წლისა ოთხისა, როდეს აღვწერე რიცხვი ესე რჩე(უ)ლი და საყოველთაო. ვთარგმნე ფრანგულის ენისაგან, რომელსაც რომაელნი სახელ ზღებენ ტევტონიკა — და ქალაქისა ვიტენბურგს დაბეჭდილისაგან. ესე მცირედი სამსახური შევბედე მათი მეფის სიმაღლეს და უფლისა ჩემისა მიერ ვითხოვ რათა მეფობამან მათმან კეთილად მიიღოს.

მათი სიმაღლის უკანასკნელი მონა დიმიტრი ციციშვილი¹⁶.

გადმოღებული სახელმძღვანელო გადაწერილი ჩანს თვით მთარგმნელისაგან. ეს ავტოგრაფი დატულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ყოფილ საისტორიო-საეთნოგრაფიო ფონდში (H-2115). ეს ერთადერთი მოღწეული ხელნაწერია. იგი ნაწერია წვრილი მხედრულით, ლამაზი კალიგრაფიით. საფიქრებელია, რომ აღნიშნული თარგმანი ხელნაწერებად არც გაუმრავლებიათ.

საინტერესოა იმის დადგენა, თუ როდისაა გადმოღებული სახელმძღვანელო. მთარგმნელის ანდერძში მითითებულია, რომ მან ეს წიგნი ქართულად გადმოიღო 15 წლისამ.

ირკვევა, რომ სახელმძღვანელო თარგმნილია ვასტანგ VI-ის გარდაცვალებამდე, 1736 წელს.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა არითმეტიკის ეტიმოლოგიას და საგნის შემადგენელი ნაწილების განსაზღვრას. სახელმძღვანელო დატვირთულია უცხო ტერმინებით (ლათინიზმებითა და გერმანიზმებით).

უცხო ტერმინთა სიჭარბე და რედაქციულად დაუმუშავებლობა მისი გაუვრცელებლობის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო. ამასთან, თარგმანი მიძღვნილი იყო მეფე ბაქარისადმი, რომელიც, ჩანს,

¹⁶ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი H. ხელნაწ. 2115, ფურც.

მამისგან რედაქტირებულ მსგავსი შინაარსის სახელმძღვანელოს, სამართლიანად, უპირატესობას ანიჭებდა და ახალშენში განათლების საქმეს უშუალოდ წარმართავდა.

წიგნა პატარაა. ნაწერი თეთრ ქაღალდზე და ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში. ტექსტი მოიცავს 64 ფურცელს (5r-დან 68r-ს ჩათვლით).

საფიქრებელია, მთარგმნელის მიძღვნის გავლენამ განსაზღვრა წიგნის ფრანგული ენიდან გადმოღებულად გამოცხადება აღწერაში. ძველ დროში თანამომენი „ფრანგულს“ ევროპულის, კერძოდ, ლათინურის, მნიშვნელობით ხმარობდნენ. მეფე ბაქარისადმი მიძღვნაში დ. ციციშვილიც აცხადებს: „ვთარგმნე ფრანგულის ენისაგანო“, მაგრამ იქვე აკონკრეტებს: „რომელსა რომაელნი სახელ ზღებენ ტევტონიკა“. აქედან, ჩანს, რომ სახელმძღვანელო გადმოღებულია გერმანულიდან. ამასვე მიუთითებს მთარგმნელისავე მოწოდებული ცნობა დასახელებული წიგნის ვიუტენბურგში გამოცემის შესახებ.

სახელმძღვანელო რუსეთის გზით გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის საინტერესო ძეგლია.

გვიან დ. ციციშვილმა თავი გამოიჩინა რუსულ ენაზე ორიგინალური პრაქტიკული გეოდეზიის სახელმძღვანელოს შექმნითაც.

ეს წიგნი 1757 წელს დაიბეჭდა. მისმა გამოცემამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთში პრაქტიკული გეოდეზიის განვითარებას.

მრავალი ენის მცოდნემ, მალაღგანათლებულმა მოღვაწემ დ. ციციშვილმა¹⁷ წვლილი შეიტანა ქართული წიგნების დასაბეჭდად მომზადებასა და გამოცემაში.

17 დიმიტრი პაპუნასძე ციციშვილი დაიბადა საქართველოში 1721 წლის 17 აგვისტოს. სამი წლის ბავშვი მამამ გაიყოლა რუსეთში ემიგრაციის დროს. მოსკოვში ყოფნისას პაპუნა დიდ ყურადღებას უთმობდა შვილის აღზრდას. დაქორავებული მასწავლებლების მეშვეობით აღრევე შეასწავლა მას ევროპული ენები. ქართულ პუსართა პოლკის მამაცი მებრძოლი პაპუნა 1741 წელს დაიღუპა. იმ დროს მისი ვაჟი თავდაზნაურ კადეტთა ფეხოსან კორპუსში სწავლობდა. სასწავლებლის ბრწყინვალედ დასრულების შემდეგ დ. ციციშვილმა 37 წელი იმსახურა სხვადასხვა სამოქალაქო თანამდებობაზე.

რუსეთში მეორე ქართული დამოუკიდებელი სტამბა-გამომცემლობის ორგანიზატორმა ათანასე თბილელმა ეს ცნობილი მოღვაწე თავისთან მიიწვია. დ. ციციშვილი, ძირითადად, მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა, გამოსაცემ ქართულ წიგნებს შესაბამის უცხოურ ძეგლებთან ადარებდა.

14 წლისაც არ იყო დიმიტრი, როცა ვახტანგ VI-მ ის სიძედ გამოარჩია. ყმა-წყვილის ბედი სხვაგვარად წარიმართა. 1746 წლის 15 თებერვალს მან ჭვარი დაიწერა მიხეილ ილიასძე დავითაშვილის 18 წლის ასულზე. ქორწინების შედეგად ცი-

ანტონ ბაგრატიონი მალაღმარდოვნად ახასიათებს რუსეთში მცხოვრებ მის თანამედროვე სახელოვან ქართველ მოღვაწეს:

... შენ ფილოსოფოს მალაღ გამობრწყინდი აწ,
მათემატიკოს, კმად ხოლო რიტორ კეთილ;
ჩემდა სასურველ არს პიიტიაკა შენი
ამან ჰქმნა წიგნი გეომეტრია რუსთაებრ,
ესე ენათა: ლათინ, ფრანცის, გერმანთა,
ხოლო რუსთაყა და ქართველთა მეცნიერ¹⁸.

დ. ციციშვილის ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების შესახებ, ჩანს, საქართველოშიც იცოდნენ.

რაც შეეხება ანტონის მიერ დასახელებულ „გეომეტრია რუსთა-ებრს“, ასეთ ნაშრომად ენციკლოპედისტი ქართველი მეცნიერი, უეჭვე-ლია, მიიჩნევს დ. ციციშვილის რუსულ ენაზე შექმნილ გეოდეზიის სახელმძღვანელოს. ამდენად, ბუნებრივი იყო „არითმეტიკის“ მთარ-გმნელისა და გეოდეზიის სახელმძღვანელოს შემდგენლის დ. ციცი-შვილის მოხსენიება მათემატიკოსად.

დ. ციციშვილის ანტონისეულ დახასიათებიდან საინტერესოა აგ-რეთვე მითითება, რომ მას ჰქონია ნაშრომი „პიიტიაკაც“. სახელოვან სწავლული მამის საფლავის ქვაზე ამიტომაც ამოაჭრევინეს შვილებმა წიგნი.

ვახტანგ VI-მ სამშობლოში სასწავლო წიგნების შექმნას ადრევე ჩაუყარა საფუძველი. მოძღვარი გერმანე მას „ყრმათათვისცა დიდად მოღვაწეს“ უწოდებს.

ციციშვილთა ეს საგვარეულო სახელი დაუკავშირდა მოსკოვის ახალშენში ძველი თაო-ბის ძლიერი საგვარეულოს წარმომადგენლებს. ბედნიერ მეუღლეებს ექვსი ძე და ერთი ასული შეეძინათ. პროგრესულად მოაზროვნე ამ განათლებულმა მოღვაწემ შვილები საკუთარ შეხედულებათა მიხედვით აღზარდა (იხ. დ. ციციშვილი. ანდერძი შვილებს. (რუსულ ენაზე, პ. ციციშვილის გამოცემა. სპბ. 1786, გვ. 5—10). ნიჭიერ-მა შვილებმა, განსაკუთრებით პაულემ, მამა ასახელეს.

იმ დროინდელ მოსკოვში დ. ციციშვილის ბიბლიოთეკა ცნობილი იყო. მისი ოჯახი განთქმული იყო რელიკვიებით, ხატებით.

ელისაბედი 46 წლის გარდაიცვალა 1774 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო დიმი-ტრი — 55 წლისა, 1777 წლის 22 სექტემბერს. ისინი სევესენწყას ყველაწმინდის სახელობის საყდარში დაკრძალეს. ტაძარში მარცხენა მხარეს, ფანჯარასთან, საფლა-ვიდან არშინის დაშორებით დღესაც შემორჩენილია მისი ეპიტაფია — მარმარილოს თეთრ დაფაზე ამოკვეთილი გაშლილი წიგნით. პ. ციციშვილმა მამის ანდერძთან ერ-თად შშობლების ეს ეპიტაფიაც დაბეჭდა ზემოხსენებულ გამოცემაში.

¹⁸ ანტონ I. იხ. წყობილისიტყვაობა, 1853, გვ. 293.

ქართლის შომაველი მეფე ღრმად დაუფლებია მათემატიკას. განსაკუთრებით დაინტერესებულა ის ასტრონომიით. ეს საგანი მას პატარებთან უნდა შეესწავლა. ამასთან, ჩანს რომ ვახტანგ VI სწავლასა და სიახლის ძიებას თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე განაგრძობდა.

ასტრონომიაში მეცადინეობისას შესრულებული ჩანაწერები მეფეს რუსეთში წაუღია. მასთან ერთად აკინძულია „შელოცვა-მისნობა“, „ტაბულა“, ქართველ მეფეთა გენეალოგია („ნათესაობის წიგნი“). ეს სასწავლო კრებული ინახებოდა ლისკოვოში, ქართველთა სასახლეში, რომელსაც ფლობდა სტოგოვი. 1909 წელს ძეგლი ლისკოვოში იპოვა გ. აბაშიძემ. გვიან ეს წიგნი საქართველოში ჩამოიტანეს მოსკოვიდან, სადაც საცხოვრებლად გადასულიყო კ. ნ. სტოგოვის ოჯახი.

მთელი კრებული სასწავლო დანიშნულებისაა. პირველი ნაწილი — „თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვეყანისა და ვარსკვლავისანი — მოსწავლეთათვის შევნიერი“, სამყაროს წარმოშობის ქრისტიანულ-პაპისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ნაშრომია.

განმანათლებელმა მეფემ ქართულად გადმოიღო ასტროლაბიის მოხმარების წესი, შეადგინა კვინკლოსი, რომელშიც შეიტანა საეკლესიო დღესასწაულები და სხვ.

საქართველოში ასტრონომიულ-მათემატიკური ცოდნის აღორძინების მიზნით, ვახტანგ VI-მ თარგმნა სამარყანდის სულთნის, გამოჩენილი მეცნიერის ულუყბეგის (1394—1449) განთქმული ნაშრომი — „ულუყბეგის ზიჯი“, რომლის ნაწილი თბილისში დაიბეჭდა 1721 წელს „ქმნულების ცოდნის წიგნის“ სახელწოდებით. დასახელებული ძეგლის რამდენიმე ნუსხა მოგვეპოვება, მათგან ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილების E-107, რომელიც შეიცავს 17 ფურცელს. მასში არ არის კატალოგი. ტექსტში ჭარბადაა არაბულ-სპარსული ტერმინები. ამასთან, ტაბულებამდე არსებული ტექსტიც აქ შემოკლებულადაა გადმოცემული, ამდენად, ეს არის ცხრილისადმი წამძღვარებული ნაწილის მოკლე რედაქცია. უცხოურ ტერმინთა სიჭარბე, იმას უნდა მოწმობდეს, რომ ეს ტექსტი ადრინდელი თარგმანია და არა შემდეგ რედაქტირებული ძეგლიდან (M-12) გადაწერილი, როგორც ამას ვარაუდობს რ. ორბელი¹⁷.

¹⁷ P. P. Орбелн. „Зндж“ Улугбека на грузинском языке. ДАН. УССР, 1971, № 12 с. 3—4.

იქვე დაცული M-12 ხელნაწერის ტექსტი განტვირთულია უცხოური ტერმინებისაგან. ამ ძეგლის გადამწერი უნდა იყოს გ. გარსევანი-შვილი (და არა მ. კავკასიძე, როგორც ჰგონია რ. ორბელს). ეს ხელნაწერი გადაუციტხავს ვახტანგ VI-ს, რასაც მოწმობს სხვადასხვა მინაწერი. ერთ მათგანში მეფე თავის დაბადების თარიღსაც მიუთითებს, თუმცა სექტემბერი შეცდომით „მერვე“ თვედ დაუწერია. დასახელებული ნუსხა ქართულად არსებული „ულუყბეგის ზიჯის“ ვრცელი რედაქციაა.

ასევე ვრცელია ხელნაწერთა ინსტიტუტის, ყოფილ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ფონდში დაცული „ზიჯი“ (S-161). ეს უკანასკნელი შედარებით გვიანაა გადაწერილი. M-12-თან შედარებით S-161 ნუსხა განსხვავებულია ტექსტის ზოგ ნაწილსა და შედგენილობაში.

ვახტანგ VI წერს, რომ მან ქართულ ტექსტში ქორონიკონი შეიტანა: „მე მეფე ვახტანგ ეს ზიჯი ქართულად ულუყბეგის ზიჯი დამ ვთარგმნე და ეს ქართული თვის დადები დაესწერე“. ჩანს, რომ მის მიერ შედგენილი კვინკლოსი მეფემ ასტრონომიულ ნათარგმნ წიგნში გააერთიანა ამ ძეგლში სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

ქართველთა სწავლა-განათლებისათვის დაულალავად მოღვაწე მეფე მიუთითებს სახელმძღვანელოში არსებულ უცხოური ცხრილით სარგებლობის წესს: „ქ. დასაწყისი ზიჯისა ამის სწავლისა... ეს ზიჯის სწავლის რიგები, როგორც იმათში იყო, ისე გარდმოვსწერე და სახელები იმათისვე ენით არის, რომ ქართულს ენაში არც მცოდნე ვინმე იყო და არც წიგნი და შესატყობრად მოსწავლეს გაუჭირდებოდა, და იმათი სახელების ერთი თარგმანი და მეორე, რომელი რასა ქვიან, იმას ქვეით დაგვიწერია. ჯერ ეს ისწავლეთ და მერმე ქვეითი, მაგრამ უოსტატოთ ცოტა ამ წიგნის საქმე ყველა რამ ძნელია. და თუ ვინმე ამას წალმართ ისწავლის გა(ა)დვილდება და ქართულის სახელებით დასწერეთ ესეცა“.

აქედან ჩანს, რომ ვახტანგ VI ჩივის ქართულ მათემატიკურ-ასტრონომიული სრულყოფილი ტერმინოლოგიის და ცხრილის მოხმარების წესის უქონლობაზე. მას შეუდგენია ტერმინთა სიტყვანი, ცხრილები და მიუთითებს, რომ მათ სასწავლად აუცილებელია მოძღვარი.

ამასთან, სწავლული მეფე შემდეგ გვაცნობს, რომ „ზიჯი“ შემოკლებით გადმოიღვია („მაგთონს არას გამოვეკიდენით“).

მოსკოვში მყოფი ქართველი მოღვაწეები ზრუნავდნენ „ზიჯის“ გამდიდრებაზე²⁰, მისი მოხმარება-სწავლის გამარტივებაზე. ამ მიზნით თარგმნილი „ვარსკვლავთ მრიცხველობის საქმეების სახელები“ ტექსტის წინ გადაუტანიათ, დაუმატებიათ არაბული („ჰიჯრის“), რომელი წელთაღრიცხვა და სხვ. ტექსტის გასავერცობად უსარგებლიათ ბერძნული, ფრანგული და რუსული წყაროებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ქალაქების სიები („რუსულიდან თარგმნილი ქალაქნი“), რომელშიც დასახელებულ ქალაქებს განსაზღვრება მიწერილი აქვთ რუსულადვე, ქართული ტრანსკრიფციით. მაგ.: „აქვილეია — იტალისკაია“, „ვარშავა — პოლსკაია“, „ვილნა — ილისტრისკაია“, „რილა-ილიპოლსკაია“, „როტენბურლი — სვისკი“, „ტრაპეზონთ — კაპადუკისკი“, „ფეოდოსია — ფრ[ა]კისკაია“, „ფესლონიკა — მაკ[ი]დონსკაია“ და ა. შ.

ზოგჯერ ქალაქებს ლოკალიზაციაზე მისათითებლად ქართულადვე მიწერილი აქვს რუსული წინადადება მაგ.: „კონსტანტინოპოლი — ზრი ვიზანტია“. „სილვანია — ზრი ტრანსილვანია“, „თობოლსკი — სიბირსკაია სტოლიცა“ და სხვ.

S-161 ნუსხას ერთვის ნაწყვეტი მათემატიკის სახელმძღვანელოდან.

ამ ასტრონომიულ ძეგლს მოსკოვში მცხოვრები მოღვაწენი მრავალმხრივ იყენებდნენ. მის შესასწავლად შედგენილი იყო უმოკლესი (გამოკრებილი) რედაქცია-სახელმძღვანელოც.

აღნიშნული ძეგლის მიხედვით შესრულებული პრაქტიკული გაანგარიშება-დაკვირვებანი მიწერილია არშიებზე, ცალკეულ ფურცლებზე. სახელმძღვანელოს შემორჩენილ ფრაგმენტებზე.

„ულუყბეგის ზიჯის“ ვახტანგისეული თარგმანით აღრევე დაინტერესდნენ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გერმანელი, ფრანგი და სხვა სწავლულები²¹.

²⁰ მოსკოვს მცხოვრები ქართველი მოღვაწეების დაინტერესებაზე მიუთითებს არითმეტიკის სახელმძღვანელოში (S-167) ჩართული ნახაზი. „მზის საათის გაკეთება“.

²¹ Н. И. Невская. Забытая статья Ж. Н. Деллиа по восточной астрономии. В сб. Вопросы истории астрономии. М., 1974, с. 94—123; Н. И. Невская. Предисловие к „Зиджи Улугбека“ (перевод XVIII в). В сб. Развитие методов астрономических исследований. М.—Л., 1979 ст. 100 — 117; Н. И. Невская. Петербургская астрономическая школа XVIII в. Л., 1984, ст. 168—182.

როგორც ვახტანგ VI „ზიჯზე“ დართულ ანდერძში მიუთითებდა აღნიშნული წიგნი მან თარგმნა აბდურჩა თავრიზელის დახმარებით: „ეს ულუყბეგის ზიჯი, მე, მეფე ვახტანგ გამოვიღე მირზა აბდურჩა თავრიზელის შეწევნით“.

უეჭველია, თარგმანის პირველი ვარიანტი ქართველმა მეფემ შესარულა სპარსეთს ყოფნისას, 1713—1718 წლებში. ჩანს, იქვე შეიძინა მან ამ ძეგლის სპარსული რედაქციის ხელნაწერი, რომელიც ახლა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსული ძეგლების კოლექციაშია დაცული (№ 621).

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ VI შემოკლებულად, შერჩევით გადმოიღო, „ულუყბეგის ზიჯის“ ტექსტი და ცხრილი. შემდეგ ის რუსეთში ყოფნისას ავრცობდა, ხეწდა ტექსტს და აყალიბებდა სასწავლო წიგნად.

ტექსტის გავრცობას აპირებდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სწავლულთა ამ ძეგლით დაინტერესებაც, ხოლო უცხოურ ტერმინთაგან გამარტივებულ სახელმძღვანელოდ „ულუყბეგის ზიჯის“ ჩამოყალიბება განსაზღვრული იყო მისი პრაქტიკული საჭიროებით, განსაკუთრებით რუსეთში მცხოვრები ქართველები სწავლობდნენ ამ ძეგლს ვრცელი და მოკლე რედაქციებით, იყენებდნენ მას ქალაქების მღებარეობის განსასაზღვრად, თარიღების დასადგენად, ასტრონომიულ დაკვირვებათა ჩასატარებლად და სხვ.

განხილულ მათემატიკურ და ასტრონომიულ წიგნებთან მჭიდრო კავშირშია ქართული ქორონიკონი, სასწავლო „ხელთაც“, რომლის შესასწავლად ტექსტი და ნახაზი მრავალ ხელნაწერში ჩაურთავთ. ვახტანგ VI-ს მოსკოვში ყოფნისას გაუგრძელებია ქორონიკონების დამუშავება და 1313 წლიდან მიუყვანია 1984 წლამდე.

ქვეყნის აღდგენისათვის მეზობლი განმანათლებელი მეფე გრძნობდა ასტრონომიის, კალენდრის პრაქტიკულად გამოყენების მნიშვნელობას და სხვებსაც ავალდებულებდა ამ მიმართულებით მუშაობას.

ხელნაწერებში არსებული სხვადასხვა „ხელთა“ მოწმობს, რომ მოსკოვში კალენდარული დღესასწაულების ამ წესით გამოანგარიშებაზე ზრუნავდა ნიკოლოზ თბილელი და სხვები, აღსანიშნავია, რომ „ხელთა“ დააბეჭდა კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის რედაქციით 1743 წელს გამოცემულ „დაბადებაში“.

მოსკოვში მცხოვრები ქართველი მოღვაწეები მიზანმიმართულად ცდილობდნენ მტერთაგან მრავალგზის აოხრებულ სამშობლოში და-

ქვეითებული მათემატიკური, ასტრონომიული და სხვა ცოდნის აღორძინებასა და განვითარებას.

სამშობლოს აღორძინებაზე ზრუნვა განაპირობებდა ქვეყნის მადნეულის მოხმარებას, შეიარაღების განვითარებას, საამისო წარმოების, ლაბორატორიების შექმნას, მედიცინის აღმავლობას და ა. შ.

ამ ფართო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ცოდნის საფუძვლების ერთი ნაწილის შექმნას ისახავდა მიზნად ვახტანგ VI-ის შედგენილი „ქ ი მ ი ი ს“ სახელმძღვანელო.

ჯერ კიდევ სამშობლოში ნაერთთა თუ ელემენტთა მიღების წესებით დაინტერესებულ ვახტანგ VI-ს სპარსეთში გაუგრძელებია ქიმიური რეაქციები: შეკრება-შემოსვება.

ასე შექმნილი მისი წიგნი დიდი ხანია იქცევა მკვლევართა ყურადღებას.

დ. ჩუბინაშვილმა თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა ვახტანგ VI-ის ხელნაწერზე „ქიმის შესახებ“²². ცნობები ამ ძეგლზე შემდეგ გადმოსცა ა. ცაგარელმა²³.

პირველი გამოკვლევა აღნიშნულ წიგნზე ეკუთვნის ა. ჩხენკელს²⁴. ქართული ოქრომკვდლობის საკითხებთან დაკავშირებით, ვახტანგ VI-ის „ქიმისას“ გაკვრით შეეხო მ. ჩართოლანი²⁵, ხოლო ქართული მედიცინის ისტორიაში ეს წიგნი განიხილა მ. შენგელიამ²⁶.

სპარსეთში ვახტანგ VI-ის ქიმიაში მუშაობის დრო განსაზღვრა დ. ბრეგაძემ²⁷.

22 დ. ჩუ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. სპბ., 1887, გვ. VI.

23 А. Ц и г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I. СПб. 1894, с. 102—148.

24 ა. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი. ქიმიური შინაარსის ერთი ძველი ქართული ხელნაწერის შესახებ. საქართველოს სსრ სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოების შრომები, ტ. I, 1961, გვ. 285—205.

25 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი. სენური სევადი (ლგველეე) და მისი ადგილი ქართულ ოქრომკვდლობაში. აკად. ს. ჭანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIII, 1962, გვ. 149—154.

26 მ. შე ნ გ ე ლ ი ა. ეტიუდები, ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბ., 1963, გვ. 104—143.

27 დ. ბ რ ე გ ა ძ ე. ვახტანგ VI ირანის ტყვეობაში. აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიკის შრომები, ტ. XXVI, 1964, გვ. 178; მისივე ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, თბ., 1974, გვ. 42—43.

1969 წლიდან ფართოდ გაიშალა აღნიშნული სახელმძღვანელოს ტექსტის დადგენის, გამოცემისა და კვლევის სამუშაოები²⁸.

ქართული მეტალურგიის დიდი ტრადიცია, სამშობლოში ოქრო-მკედლობისა და ფართოდ განვითარებულ სამედიცინო პრაქტიკაზე (ვარაყი, სევადი, ქედვა, გამოხდა, გამოწვა, გაწმენდა, დაწურვა, დახალასება, დნობა და ა. შ.) დაკვირვება, მეცხოველეობის, მცენარეულთა ნაერთების (დამჟავება, დაღვინება, დაძმარება, ღებვა, შებოლვა, შედედება, შეწამლა, შეზავება, ჩაცივება, ხარშვა, ზეთების, კარაქის, ნელსაცხებლის, მელნის მიღება-გამოყენება, სხვადასხვა შედგენილობის მარილთა დანაყვის, მინერალური (ქანების) დამუშავებისა და ა. შ.) ცოდნა ვახტანგ VI-მ გააღრმავა ირანში, მაგრამ მიღწეულით ის არ დაკმაყოფილებულა და მუშაობა ამ მიმართულებით განაგრძო რუსეთში. ასე რომ, ეს სახელმძღვანელო მდიდარი ეროვნული ტრადიციის გათვალისწინებით ხანგრძლივად იცებოდა და იხვეწებოდა სხვადასხვა ქვეყანაში ქართველი მეფის მიზანმიმართული გონიერი მოღვაწეობის მეოხებით.

სასწავლო წიგნის ჩამოყალიბების გახანგრძლივებას განაპირობებდა ისიც, რომ მეფეს მასში იშვიათად შეჰქონდა ცდით შეუმოწმებელი ან უშედეგო ქიმიური რეაქციის დასკვნა. სახელმძღვანელოდან ჩანს, რომ ვახტანგ VI-ს მრავალი ცდა ჩაუტარებია. მიზნის მიუღწევლობის გამო ავტორი სინანულით წერს: „ესები ვსცადე არ იქნა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ეს უარყოფითი შედეგები ეხება... ისეთ რეაქციებს“, რომლებიც არ უნდა გამოსულიყო²⁹, მაგრამ ამის დადასტურება ხომ დროს მოითხოვდა.

ქიმიურ პროცესებთან ერთად ძეგლში აღწერილია გამოსაყენებელი ხელსაწყოები, მითითებულია მათი მოხმარების მიღებული წესი, ზოგიერთი ჭურჭელი და რეაქციის ჩასატარებლად მათი გაწყობა.

²⁸ თ. ენუქიძე. ვ. კოკოჩაშვილი. ვახტანგ VI-ის ქიმია. „მეცნიერება და ტექნიკა“. 1969, № 8, გვ. 3; მ. შენგელია. ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970; ვახტანგ VI. წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, კომენტარი, ტერმინთა საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა. თბ., 1981.

P. B. Чагунава. Вахтанг Багратиони и его труд по химии. Тб., 1984.

²⁹ ვახტანგ VI. წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, კომენტარი, ტერმინთა საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა. თბ., 1981, გვ. 22.

ზოგიერთი მკვლევარი წიგნის პირველ ნაწილს მიაკუთვნებს ვახტანგ VI-ის ირანში ცხოვრების პერიოდს, ხოლო წიგნის მეორე და მესამე ნაწილს — მის მოღვაწეობას საქართველოსა და რუსეთში. ქართველ მეფეს პრაქტიკული, გამოყენებითი ქიმია და თანამედროვე ევროპელთა მიღწევები ამ დარგში სამშობლოშივე ჰქონდა ათვისებული. სპარსეთსა და რუსეთში მოღვაწეობის დროს ვახტანგ VI-მ გააქფართოვა და გააღრმავა თავისი ცოდნა ამ მიმართებით. ამის გამო საქართველოში თუ რუსეთში ის ერთნაირი გულისყურით ეკიდებოდა ქიმიაში თავის ჩანაწერებს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როგორც ჩანს, მან დახვეწა სახელმძღვანელო და მასში მოწინავე ევროპული მიღწევების ამსახველი ქიმიური პროცესების აღწერა გააერთიანა იმ ნაწილებში, სადაც ამას ნაშრომის სინაკლულე-ხარვეზი უკარნახებდა

შემდგენელს რუსული წყაროებიც გამოუყენებია.

რუსეთში არსებობდა ბალახეულთა („ტრავნიკი“) წამლებად დამზადების („ლეჩებნიკი“) ჩანაწერები, ხელოსნობა-ტექნიკის წერილობითი წესები³⁰.

ყველა წერილობით თუ ზეპირ ცნობას ვახტანგ VI კრიტიკულად განიხილავდა.

რუსული წყაროების გამოყენებაზე მიუთითებს აგრეთვე ზოგი რუსული ტერმინის შეტანა სახელმძღვანელოში: მაგ.: „ბოლოტიქი ქანგის წყალი“, „ვედრა“, „ვოდკა“, „სოსთავი“.

ვახტანგ VI-ის ეს სახელმძღვანელო შეიცავს პრაქტიკული გამოყენების ქიმიურ და სამკურნალო ტექსტებს, რომელშიც ასახულია ქიმიის, მედიცინის, ფიზიკის განვითარება საქართველოში, ირანსა და ევროპაში³¹.

ამ პრაქტიკული გამოყენებითი მეცნიერების დიდ ეროვნულ ტრადიციებზე მყარად მდგარმა ენციკლოპედისტმა, გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ, დიდმა განმანათლებელმა ვახტანგ VI-მ აითვისა, გადაამუშავა და სამშობლოს აჩუქა თანამედროვეობის შესაფერისად შედგენილი მოკლე სახელმძღვანელო ქიმია-მედიცინაში, ოპტიკაში. ამ

³⁰ М. А. Ф и г у р о в с к и й. Об одном старинном русском сборнике химических рецептов. Труды Института истории естествознания. Т—2. М.—Л. 1948, с. 238—268.

³¹ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI. წიგნი ზეთების შეზაეებისა და ქიმიისა ქმნის. ტექსტი გამოცემად მოამზადეს, შესავალი, კომენტარი, ტერმინთა სიძიებლები და ლექსიკონი დაურთეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა. თბ., 1981, გვ. 26.

წიგნის შემდგომი დახვეწა, გამოყენება და შესასწავლი საგნის განვითარება ღიადმა მოღვაწემ შთამომავლობას უნადერძა.

ამ საქმეში წვლილი შეიტანა ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელმაც გადანუსხა მამის ნაშრომი, შეამკობინა მაღალ დონეზე და ჩანს, განავრცო კიდევ.

გეოგრაფიაში სასწავლო წიგნად ქართველები იყენებდნენ გ. გელოვანის რუსულიდან თარგმნილ „ღეოლოგიას ან მოკლედ ქვეყნის სიმრავლეის აღწერას“.

ამ წიგნის მრავალი ხელნაწერია მოღწეული.

საბუნებისმეტყველო, მათემატიკურ, სამხედრო მეცნიერების („არტილერიის წიგნი“) დასაუფლებელ წიგნებთან ერთად, მშობლიური ენის სასწავლო წიგნიც შეიქმნა³².

მოსკოვში შედგენილ მრავალფეროვან „ქართულ საანბანო წიგნებს“ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ს. ს. ორბელიანის ლექსიკონზე დართულ „ანბანს, პირველ სასწავლო ყრმათათვის“. ჩანს, XVIII ს-ის 20—30-იან წლებში მოსკოველი ქართველები მითითებული დანართით ეუფლებოდნენ მშობლიური ენის ანბანს, ხოლო შესათვისებელ საკითხავ და სასწავლო მასალას—„ქართული ლექსიკონით“. ამის პარალელურად შემდეგ ისინი იყენებდნენ თ. პროკოპოვიჩის „პირველ სასწავლო ყრმათას“. ეს სახელმძღვანელო რუსულიდან თარგმნა გ. ჩხეიძემ. მოსკოვში მოღვაწე ქართველმა პედაგოგებმა დასახელებული წიგნი გადააკეთეს, გააქართულეს. სახელმძღვანელოს დასაწყისში მათ შეიტანეს ცალ-ცალკე მრგვლოვანი და ნუსხა-ხუცური ანბანი და სხვა დამატება. ქართულად ასე გამოცემული გამოჩენილი რუსი პედაგოგის თ. პროკოპოვიჩის ამ სახელმძღვანელოს წლების მანძილზე იყენებდნენ ჩვენი თანამოძმენი.

მოსკოველი ქართველებისათვის ისტორიის სასწავლო წიგნი იყო „ქართლის ცხოვრება“, „ქრონოგრაფი“, გ. მაჩაბელმა სცადა ამ ორი სახელმძღვანელოს ერთმანეთთან დაკავშირება. ხანგრძლივი ძიებით ვახუშტი ბატონიშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოს ძველი ისტორიის სასწავლო წიგნი, შექმნა თანამედროვე სამშობლოს ისტორიაც.

³² „ქართული ანბანი“ 1703 წ. გამოცემა სტოკჰოლმში. 1705 წ. „ქართული ანბანი“ ცალკე უნდა დაბეჭდილიყო მოსკოვში. 1737 წ. მოსკოვს გამოცემული „დავითის“ პირველ გვერდზე სამ ჭკუფად მოთავსებულია „ქართული ანბანი“. მშობლიური ენის ანბანი მოსკოვს მოღვაწე ქართველებმა გამოსცეს 40-იან წლებშიც.

ლიტერატურას მოსკოველი ქართველები სწავლობდნენ მრავალი ქართული ძეგლით („ვეფხისტყაოსანი“, თეიმურაზ I-ის თხზულებები, არჩილ II-ის, ვახტანგ VI-ის ლექსებით), აგრეთვე რუსულიდან თუ სხვა უცხო ენიდან თარგმნილი თხზულებებით. („ალექსანდრიანი“, ტესტამენტი, კლდე სარწმუნოებისა და ა. შ.).

აღსანიშნავია, რომ რუსული და უცხო ენის შესასწავლად შესანიშნავი სასწავლო წიგნი შექმნა ქრ. გურამიშვილმა. მან ეს წიგნი 1737 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდა.

არსებობდა რუსულ-ქართული მოზრდილი ლექსიკონიც.

ქართველთა იდეურ აღზრდას ემსახურებოდა მოსკოვში გამოცემული ქართული სასულიერო ლიტერატურის უმთავრესი ძეგლები: დავითნი, სახარება, სამოციქულო, დაბადება, ლოცვანი და ა. შ.

ამასთან თუ გავითვალისწინებთ უცხო ენებისადმი და მეცნიერების დაუფლებისადმი ქართველთა განსაკუთრებული სწრაფვის ზემოაღნიშნულ მაგალითებს, დავინახავთ, რომ ქართველთა სწავლა-აღზრდის საქმე რუსეთში მაშინ ევროპული ქვეყნების საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ დონეს უახლოვდებოდა.

მოწინავე ევროპული განათლებისათვის გულმოდგინედ იღვწოდა ვახტანგ VI. გამოჩენილი განმანათლებლის გზას აგრძელებდნენ მეფე ბაქარი, ვახუშტი და გიორგი ბატონიშვილები, არქიმანდრიტი გერმანე, ილუმენი ქრისტეფორე.

ამ პირთა ენერგიული მეცადინეობით მოსკოვის ქართული ახალშენიდან მრავალი მაღალგანათლებული მოღვაწე გამოვიდა, რომელთაც წვლილი შეიტანეს სამშობლოს აღორძინების დიდსა და ძნელ საქმეში.

ახალშენის განმეულობანი

§ 1. რელიკვიები


ჩვენი წინაპრები ძველი კულტურული მსოფლიოს შემოქმედთა შორის იყვნენ. ისინი თავიდანვე მონაწილეობდნენ „წმიდა მიწის“ მკვიდრთა იდეოლოგიურ ფერისცვალებაში. შემთხვევით როდი იქცა ქართველთა განმანათლებლად, მსოფლიო ცივილიზაციის აკვირიდან, ჩვენი კულტურის წყაროსთვალიდან მოვლენილი წმიდანი ნინო.

საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობა კარგად მიუთითებდა მის დიდ ადგილზე საქრისტიანო სამყაროში. საქართველოს სამეფო საგვარეულოს ბიბლიური მეფის დავითისაგან წარმომავლობა თვალსაჩინოსა და გასაგებს ხდიდა ჩვენს ძველთაძველ ტრადიციას.


ცხოველი კულტურულ-პოლიტიკური თანამშრომლობის შედეგად ქართველებმა ადრევე შეიძინეს წმიდა წიგნის „დაბადების“ მნიშვნელობა. დროულად თარგმნეს და გააქართულეს იდეურობისა და კულტურის ეს სვეტი. ჯერ მახლობელ აღმოსავლეთში, ხოლო შემდეგ ბალკანეთის ქვეყნებში ფართოდ გაშლილი ქართველთა სამონასტრო მოღვაწეობისა და სხვა ურთიერთობათა შედეგად ჩვენი წინაპრები დროულად ღრმად ერკვეოდნენ ეპოქათა წამყვან ტენდენციებში.

იერუსალიმში მყოფ ქართველ მხედრებს წილად სვდათ „კვართი უფლისა“. საქართველოში დატული იყო „ფერკთა ფიცარნი ქრისტესი“, „სამსკუალნი“.

ქართული ეკლესიის ავტორიტეტს ერთობ ამალვებდა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის მესვეურობა, ქართველ მწიგნობარ-ფილოსოფოსების პლეადა, საქრისტიანო სიწმიდეების დიდი ნაწილის საქართველოში არსებობა, სარწმუნოებისათვის თავდადებულ ეროვნულ მოწამეთა მთელი გალერეა, ძველ და ახალ ქართველ მოღვაწეთა ხმაგანთქმულობა, ტრადიცია განამტკიცებდა ახალი ათინისა და ახალი იერუსალიმის სახელმწიფოს იდეურ-კულტურულ საფუძვლებს.



სურ. 33. პანალოა—წმინდან ქეთევან დედოფლის ხატი



სურ. 34 წმ. ქეთევან დედოფლის შაჰის იარაღები. (მანალოს ზურგო).

შუა საუკუნეების ერმრავალ ცენტრებში, ცხოველი კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობისას თუ დიპლომატიურ მოლაპარაკებათა დროს, თავს იჩენდა კონტრაგენტთა იდეურობისა და კულტურის გამომხატველი ტრადიცია და შემდგომი წინსვლის ამოცანები.


ბუნებრივი იყო მართმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს მეცეურებისათვის შემსადებულ მოსკოვის სახელმწიფოში ქართული კულტურითა და მდიდარი ქრისტიანული სიწმინდეებით დაინტერესება. ქრისტიანულ მართმადიდებლურ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი საჩუმუნობრივი რელიკვიების, სასწაულმოქმედ წმიდანთა ნაწილების უქონლად მოსკოვის სახელმწიფო თავს ვერ მოიწონებდა. რუსი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეები ენერგიულად ზრუნავდნენ ეკლესიის ავტორიტეტის ასამაღლებლად, რაც განაპირობებდა მათ მისწრაფებას ქრისტიანული „წმინდა რელიკვიებისადმი“. რუსეთის პოლიტიკური და კულტურული მოღვაწენი მიისწრაფოდნენ დაპატრონებოდნენ ქრისტიანულ სამყაროში ასე თუ ისე ცნობილ საეკლესიო ნივთებს. ასეთი მოღვაწეობა მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შემადგენელ ნაწილად იქცა.

ქვეყნის იდეოლოგები რელიკვიების რუსეთში მოხვედრას „ღვთის ნება-სურვილით“ ასაბუთებდნენ. რუსი პატრიოტები აღტაცებული იყვნენ სახელმწიფო და საეკლესიო ერთობლივი პოლიტიკის შედეგად სწრაფად მოპოვებული წარმატებებით, ისინი სიამაყით წერდნენ, რომ მათ სამშობლოში დაგროვდა „Всякия божественная вещи и многочудесная мщи святих и всякая святиныя от конец земли от-всюду приношаемы“¹.


საქართველო-რუსეთის კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შედეგად რუსები გაეცნენ საქართველოს საეკლესიო მდგომარეობას, ქართულ კულტურას, ძველთაგანვე მომდინარე ქართველთა მაღალ იდეურობას, თანამედროვე ყოფას. რუსი დიპლომატები აკვირდებოდნენ და იწერდნენ ქართულ გადმოცემებს ღვთისმშობლის ხატზე, გულდასმით სწავლობდნენ „უფლის კვართის“ ადგილსამყოფელს² და ა. შ.

¹ ციტირ. მ. დიაკონოვის წიგნიდან—Власть Московских государей, სპ., 1889, 83. 72.

² М. Полневков. Посольство Стольника Толочанова и двяка Ивлева в Имеретию 1650—1651. Тб., 1926, с. 155, 159.



სურ. 35. პანალია შშინდა ნაწილუბისათვის



სურ. 36. პანაღის ზურგი

XIV—XVII საუკუნეებში რუსეთში ფრიად პოპულარული შეიქმნა ქართული ღვთისმშობლის ხატი. რუსი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი აბ დაკმაყოფილდნენ რუსეთში ძველთაგანვე გავრცელებული „ივერიის ღვთისმშობლის“ ხატის რამდენიმე სახესხვაობით (მათ შორის იყო „იმერეთის ღვთისმშობელიც“ და XVII ს-ის 40-იან წლებში გადმოაღებინეს ათონზე დაცული სასწაულმოქმედებით განთქმული ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი. შემდეგ კრემლის კედელთან ახლოს, მოედანზე, ააგებინეს „იბერიის ღვთისმშობლის კარიბჭე“, ხოლო ვალდაის წმინდა ტბასთან — დიდებული „იბერიის ღვთისმშობლის მონასტერი“.


რუსეთის იდეურ-პოლიტიკური მიზნები ცნობილი იყო სხვა სახელმწიფოებშიც. ეს კარგად იცოდა გაქნილმა დიპლომატმა შაჰ-აბასმა, რომელმაც 1625 წელს „ძობალ“ რუს ხელმწიფეს საჩუქრად გაუგზავნა თითქოსდა საქართველოდან განატაცები „უფლის კვართი“³.

შაჰ-აბასის საჩუქარმა დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვში. რუსმა დიპლომატებმა „უფლის კვართისადმი“ ქართველი წარმომადგენლის დამოკიდებულების გამორკვევის მიზნით, დაკითხეს თეიმურაზ I-ის ელჩი მთავარეპისკოპოსი თეოდოსი და გულდასმით მოსმენილი მისი მონათხრობი საგანგებოდ აღწუსეს. ქართველმა დიპლომატმა უარყო „უფლის კვართის“ საქართველოდან გატაცება და მიუთითა, რომ იგი მაშინაც თეიმურაზ I-ს ჰქონდა⁴. ამასთან, ქართველმა მთავარეპისკოპოსმა ხელმწიფის მოხელეთ აცნობა საქართველოში „ქრისტეს სამსჭუალის“ და სხვა საწმინდეთა არსებობა. „С этих пор, — წერდა ბ. მარი, — у грузин входит как бы в программу утверждать русских в том, что хитон находится в их руках...“⁵ ქართლის შეერთებას მოწოდებული კახეთის მეფე თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფესთან მიმწერაში მიუთითებდა „უფლის კვართს“ მცხეთის ტაძარში, დადიანის

³ С. Белокуров. Дело о присылке шахом Аббасом Ризы Господней Царю Михаилу Феодоровичу в 1625 году. М., 1891, გვ. 37.

⁴ თეიმურაზ I უფლის კვართს მცხეთაში მიუთითებდა კახეთში მყოფ რუსეთის სასულაერო მისიის წევრებთან კამათში ქართველები მტკიცედ იცავდნენ „უფლის კვართსა“ და რუს ხელმწიფისადმი შაჰ-აბასისეულ საჩუქარს რუსთავეს მონასტრიდან გატაცებულ „ღვთისმშობლის ქაბრის“ ნაწილად აცხადებდნენ. იხ. М. Полневков. Материалы по истории русско-грузинских взаимоотношений. с. 353.

⁵ Н. Марр. Хитон господни в книжных легендах армян, грузин, сирийцев. СПб, 1897, с. 3.



სურ. 37 ოქროთი მოქედილი წმინდანის ნაწილი ფილაში

დასამორჩილებლად რუსეთისაგან დახმარების მიღების მიზნით იმერეთში მისულ ელჩებს „უფლის კვართს“ ხობის მონასტერში უსახელებდნენ. ამ რელიკვიის გაგზავნის გადაწყვეტილებას აცნობდა 1669 წელს რუსეთის სამეფო კარს ლეჩხუმის ერისთავი დიმიტრი: „...ველმწიფე რომე ყოვლად წმინდის პერანგს ეძებს და უბრძანებია ლეთითა ისიცა და იესოს ქრისტეს მარტილოზის პერანგი აგარიანთა შიშისათჳს ჩვენ შევიხიზნეთ და ჩვენს ხელთ არის...“⁶.

საქართველოს „გამოხსნა-აღდგომისას“ ბრძოლაში „უფლის კვართი“ ფართოდ პოპულარული შეიქმნა. ეს თემა განვითარდა მხატვრობაში. XVII საუკუნეში „უფლის კვართი“ აღიბეჭდა ქართველ მეფეთა გერბზე, შემდეგ ის გამოისახა ვახტანგ VI ბექტურ გამოცემებში: განსაკუთრებით სათვალმჩენოდ „უფლის კვართის“ გამოყენება დაიწყო მოსკოვში გადახვეწილმა ვახტანგ VI ამალის წევრებმა (სახელისუფლო ნიშნებთან ერთად ქართლის ბაგრატიონთა სასახლის ჩვენამდე მოღწეული სერვიზი „უფლის კვართით“ არის მოხატული)⁷.

საქართველოდან რუსეთში დიპლომატიური მისიით და სხვა მიზნით წასულთ თან მიჰქონდათ რელიკვიები⁸, ოქროს ჰელურ ბუდეებში ჩასმული ქართველი და სხვა წმიდანთა სხეულის ესა თუ ის ნაწილი, თმა, თუ ჩასხმული სისხლი და ა. შ. მეფე არჩილს⁸ მოსკოვს ჰქონ-

⁶ М. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, СПб, 1861, с. 87.

⁷ კარგი იქნება ამ ემბლემის ფართოდ გამოყენება დამოუკიდებელ, ძველ ქრისტიანული სარწმუნოების მქონე საქართველოში.

⁸ არჩილ მეფის ელჩმა არქიმანდრიტმა გაბრიელმა რუსეთის სახელმწიფო კარს საჩუქრად გადასცა:

«...Мощи Иоанна Предтеча в серебряном ковчежце. Да мощи же святых по подписи на древней д(е)рвянной цке, в которой же мощи лежат порознь:

Евстафия Плакиды,
Амросия,
Андрея,
Артемия,
Симеона,
Лопина,
Саввы,
Дамяна,
Февронии,

Илариона,
Дионисия,
Клима,
Романа,
Василия,
Михаила,
Космы,
Дмитрия.

Да в той д(е)рвянной цке мощи же 15 святых, над которыми: подписи...“ სტკ, ფ. 110, წიგ. 9, ფ. 114—114 V.

და უფლის სამსკუალი, რომელიც მაღალი ქედური ხელოვნებით შესრულებული, ძვირფასი თვლებით შემკულ ოქროს ბუდეში იყო მოთავსებული.

ცნობილია მოსკოვის ქართული ახალშენის მოღვაწე საეკლესიო პირების (მონაწონ ქართველი დედოფლების, ეპისკოპოსებისა და სხვათა გულსაკიდი ხატები („პანალია“), ჯვრები, სხვადასხვა ძვირფასეულობანი.

უცხოეთში მყოფი ქართველების ნაწილი მუდამ ატარებდა ლოცვანს („სათანაოს“), რომლებიც გადაწერილი იყო წერილი კალიგრაფიით, (მრავალი ქარაგმით¹⁰). მინიატურებით შემკული ეს ძეგლი ჩასმული იყო მიმზიდველად გაფორმებულ ძვირადღირებულ ყდებში. ქართველები მუდამ ესწრაფოდნენ სულის მარგებელ წმიდა წიგნების ძვირფასად მორთვას, მდიდრულად გაფორმებას ოქროცურვილი ვერცხლის ყდით, ძვირფასი თვლებით, წარწერებით¹¹.

მოსკოვში მყოფი ქართველები იღვწოდნენ მშობლიური მწერლობის გასამდიდრებლად, ქართული კულტურის კერების ასაღორძინებლად. ამ მიზნით, ისინი ქართულად თარგმნიდნენ რუსულ და სხვა ევროპულ ენაზე არსებულ საქრისტიანო ლიტერატურას, დიდაქტიკურ თხზულებებს; ამზადებინებდნენ ხატებს, ზარებს, წმინდანთა ქედურ პორტრეტებს, საეკლესიო ინვენტარს და ა. შ.¹²


¹⁰ 1680 წელს მეფე არჩილმა რუს ხელმწიფეს „ფეშქაშად“ გაუგზავნა ძვირფასი ხატები. მოსკოვში შედგენილ სიაში აღწერილია ეს საჩუქრები:

«Образ пресвятыя богородицы... в нем мощи великого святыя Николая Чюдотворца, да образ святого Саввы Освещенного, а в нем мощи его святого, обложен золотом с камени и 3 жемчуги». იქვე, წიგ. 10, ფ. 87. V.

¹¹ ვახტანგ VI-ის ნაქონი ლოცვანი ინახება სსრ კავშირის საისტორიო მუზეუმის სინოდის ფონდში.

¹² საინტერესოა ძვირადღირებული ოქრო-ვერცხლის ყდით, მახარებელთა პორტრეტებით, ათორმეტი დღესასწაულის სცენებით და სხვა მხრივაც შემკობილი 1709 წელს თბილისში დაბეჭდილი ერთ-ერთი „სახარების“ ბედი. ეს წმინდა და პატიოსანი, ერთ-ერთი პირველნაბეჭდი ქართული წიგნი, შეუქმნა და პრესნიაზე ქართველთა საერთო სალოცავისათვის (მთავარმოწამე წმ. გიორგი) შეუწირავს პეტრე ახალციხელს. შემდეგ ეს განძი დაცული იყო მოსკოვის ქართველთა სათვისტომის კულტურის სახლში. ახლა ეს წიგნი-ძეგლი იშვიათი ლითონების განყოფილების (სსრ კავშირის საისტორიო მუზეუმში) სიფშია გამოკეტილი. იხ. ფრ. სიხარულიძე. ZAO წლის ძეგლი. დროშა. 1983, № 8, გვ. 14.

¹² აქ მხოლოდ ორი დოკუმენტის ცნობებს მოვიტანთ. ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებმა უშუამდგომლეს მიტროპოლიტ ნიკოლოზს სამშობლოში თავისი ქო-



სურ. 33. წმ. ნაწილი ბედათ

ეროვნული რელიკვიებით, განძეულობით გამოირჩეოდა მოსკოვში მცხოვრებ ვახტანგ VI-ის ოჯახი.

ოქონის ხატმა, წმ. ნინოს ლეგენდარულმა ჯვარმა, ქრისტიანობისათვის წამებულთა კედურმა პორტრეტებმა, ეროვნულ წმინდანთა ნაწილებმა და მდიდარმა განძეულობამ შორს გაუთქვეს სახელი რუსეთში მყოფ ქართველ მეფესა და ბატონიშვილებს.

ქვეყნის კულტურული აღორძინებისათვის დაუღალავად მოღვაწე ვახტანგ VI-მ თავისა შეუწელებელი მრავალმხრივი მოღვაწეობით გააღრმავა და გააფართოვა ქვეშევრდომთა ეროვნული თვითშეგნება.


ხალხის იდეურობის ამალღების მიზნით, ვახტანგ VI-ის მთელი მოღვაწეობა ჯერ არ გვაქვს შეცნობილი. ოდინდელი დიდი საქართველოს რესტავრაციისათვის გაბედულად მებრძოლი მეფე ვახტანგი აღადგენდა ძველ ეკლესია-მონასტრებს, იღვწოდა ხალხის განათლებისა და ეროვნული სულისკვეთების ასამაღლებლად. სარწმუნოების განმტკიცებისა და განათლების საქმის განვითარების მიზნით მან შეძლო შეექმნა პირველი სტამბა-გამომცემლობა მთელს კავკასიაში.

ვახტანგ VI დიდად ზრუნავდა ქართული სახელმწიფოებრიობის ასაღორძინებლად. მის ნაყოფიერ მოღვაწეობას სამართლის დარგში, ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველობის, სასახლის რიგის მოსაწყვსრიგებლად თან ახლდა ღრმად გააზრებული მოღვაწეობა მრავალფეროვანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დარგშიც. ახლახან წარმოჩნდა მისი ზრუნვა ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ძირძველი ტრადიციის გასათვალსაჩინებლად (საგვარეულო-სახელმწიფო გერბის აღდგენა). სახელოვანი წარსულის გათვალისწინებით იყო ნაქარნახევი ქართული სამეფო დროშის შექმნა¹³ და მრავალი სხვა.

ნების გამოსაგზავნად. არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს ბატონიშვილთა განცხადებაზე დართულმა ქართული წიგნებისა და საეკლესიო ინვენტარის სიაში. ახალჩამოყალიბებული მოსკოვის ქართული ახალშენიდან 1691 წელს საქმობლანო იგნავენა ოქროვერცხლით მოჭედილი მრავალფეროვანი ხატები (ათორმეტი დღესასწაულის, ღვთისმშობლის, მთავარმოწამე წმ. გიორგის), საეკლესიო ინვენტარი, ქართულად თარგმნილი მთელი წლის საკითხავი წიგნი პროლოგი, სხვადასხვა ზოზის ზარეხა და ა. შ.

იმავ პერიოდში თბილისის ეკლესიებისათვის ზარები მოსკოვში დაამზადებინეს პოლონეთში დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწე, ბულდანა და ფარსადან ყანდარაღაშვილებმაც.

13 ფრ. სიხარულიძე. ახალი გამოფენა. სახალხო განათლება, 1983 წლის 7 ნომბერი, გვ. 4.



სურ. 37. ჯვრის ფორმის პანაღია

ჭეროვნად არ არის შეცნობილი ვახტანგ VI-ის საეკლესიო პოლიტიკა, ის დიდი ამაგი, რაც ამ მრავალმხრივმა მოღვაწემ დასდო ქართველ წმინდანთა კანონიზაციის დიდ საქმეს და ა. შ.

ქართული ეკლესიის გასაძლიერებლად თანმიმდევრულად მოღვაწე ვახტანგ VI აშენებდა ტაძრებს, კრებდა გაფანტულ რელიკვიებს, ხატებს და ამკობდა მათ.

ბევრი რელიკვია ქართველმა მეფემ ემიგრაციის დროს გაიტანა რუსეთში, ზოგი ქართული ხატი და ჯვარი გვიან, დროებით სამშობლოში ჩამოსულმა ქართველებმა თან გაიყოლეს. ეს რელიკვიები მოსკოვში ჯერ ქართველ მეფეთა სასახლეში ესვენა. შემდეგ მათი ნაწილი ქართველთა მამულში ლისკოვოში გადაასვენეს, ხოლო ზოგი წმინდა ნაწილი, ხატი და სხვა, შემდეგ ქართველ თავადთა და უცხოელთა ხელში მოხვდა.

XIX საუკუნეში მოსკოვში მყოფ ვინმე რუსს აღმოაჩნდა მეფე ალექსანდრეს მიერ მოჭედილი წმიდა ნიკოლოზის ხატი, ხოლო მოსკოვშივე მცხოვრებ „ციციშვილს [დ] მიტრი ევსევიჩის ქალს კნიაენა ელისაბედს“ შეეგროვებინა მრავალი ქართული სიწმინდე და ხატი. მათ შორის ვახტანგ VI-ის განახლებული: ხადარის ხატის კუბო, ადრე საფარის მონასტერში დასვენებული, ხოლო იქედან გატაცების შემდეგ ვახტანგ მეფისაგან შეძენილი წმიდის პირველმოწამის სტეფანეს მკლავი და ხელი; წმიდის ანასტასიის თავი; წმ. ქეთევან დედოფლის ხატი.

საყურადღებო ფაქტია ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი ქალის — სამშობლოსათვის თავდადებული ქეთევანის ღვაწლის დასაფასებლად ვახტანგ VI-ისაგან გადადგმული ნაბიჯები, რომელთაგან დღეს თვალსაჩინო ხდება წმ. ქეთევან დედოფლის ნაწილებზე ზრუნვა, წამებული დედოფლის პორტრეტების აღდგენა რელიკვიებსა თუ ხელნაწერ წიგნებში და სხვ.

ვახტანგ VI დიდად ზრუნავდა ქეთევან დედოფლის სახელის უკვდავსაყოფად. ამას ადასტურებს წმ. ქეთევანის ხატის წარწერაც: „შევაშკევ ხატი ესე წმიდი(ს) ქეთევან დედოფლისა მე. ბატონიშვილმა ვახტანგ. იყო მოწამე ესე ტომთა ჩვენთაგან პაპის ჩემის პაპის ძმისწული დედოფალი კახეთისა. იწამა სპარსთა მეფის შაჰაბაზის ზე. აწ ვევედრები მეოხ მეყოს, მეუღლით, ძით და ასულით“.

გ. ბაგრატიონმა შეკრიბა ქეთევან დედოფლის სისხლის, თმის, ხელის და სხვა ნაწილი.

ძნელი არ არის ქართველი ბატონიშვილის ასეთი მოღვაწეობის

პერიოდის განსაზღვრა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ახალ წამებული წმინდანის კანონიზირება XVII საუკუნეში იღებს სათავეს;

1842 წელს მოსკოვში მცხოვრებ ციციშვილთა ცნობილ საგვარეულოს წარმომადგენელმა სხვადასხვა ქართული სიწმინდის მფლობელმა ელისაბედ დიმიტრის ასულმა მაკოვეცში მოსკოველ ქართველებისაგან ადრევე გამოჩინულ რუსული კულტურის ერთ-ერთ ცნობილ ცენტრს სერგი — სამების ლავრას შესწირა მის ხელთ არსებული რელიკვია, მორწმუნეთათვის სათაყვანებელი სათანაო ჯვრები¹⁴.

დიდი ხანია ეს ქართული განძეულობა ზაგორსკის მუზეუმ-ნაკრძალის გამოფენას ამშვენებს. მათგან ექსპოზიციის ვიტრინაში მოთავსებულია ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს გულსაკიდი (პანალია) წმინდა ნაწილთა შესანახი ბუდით (მისი საინვენტარო № 1853).

ეს პანალია (8×5,8 სმ.) მოგრძო ვარდულის ფორმისაა. იგი რვა-სეგმენტია. მოქედლია პატოსანი ქვებით (იხ. სურ. 33—34).

პანალიის ზედა მხარეზე მთელი ტანით გამოსახულია წმინდა ქეთევან დედოფალი (ბაგრატიონი). მინანქრის წესით შესრულებულ ამ ხატზე ქრისტიანობისათვის წამებულ ქართველ დედოფალს ვხედავთ ერთ ხელში ჯვრით, ხოლო მეორეში — ღვთისმშობლის ხატით (სურ. 33). ლალი, მინანქარი ცვარე ფერს აძლევს მის პორტრეტს.

წმინდა ქეთევან დედოფალი გამოსახულია ფრონტალურად ტრადიციულ ქართულ სამოსში გამოწყობილი. თავზე მას თავსაბურავი (ლეჩაქი) და გვირგვინი ხურავს. ლეჩაქი დედოფალს ყელზე აქვს მოხვეული და დაშვებულია მხრებზე. წმინდანის სახის მარჯვენა და მარ-

¹⁴ ადრე რელიკვია ვახტანგ VI-ის სასახლეში იყო დაცული; გვიან ის ციციშვილთა ხელში გადასულა.

ვახტანგ VI მოსკოვში ენერგიულად ზრუნავდა რუსეთში ადრე გატანილ ქართულ ქრისტიანულ სიწმინდეებზე, ქართული ეკლესიის ტრადიციულ რელიკვია წაქონებულზე.

როცა რუსეთის იმპერიის საიდუმლო საბჭომ რუსეთში ახლადმოსულ ვახტანგ VI-ს ირანში წასვლის დიპლომატიური მისის დაავალა (1726 წ.), ქართველმა მეფემ ისარგებლა ამით და რუსეთის იმპერატორს სამხრეთში გამგზავრების წინ რამდენიმე სასწრაფოდ მოსაგვარებელი მოთხოვნა წაუყენა. ირანში გამგზავრების ერთ-ერთ პირობად ვახტანგ VI მეფე არჩილის დროს რუსეთში ჩატანილი ძვირფასი რელიკვიის. — „უფლის სამსკუალის“ დაბრუნებას აყენებდა. რუსეთის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ქართველი მეფის მოთხოვნები, მაგრამ გააფრთხილა „უფლის სამსკუალი“ იმპერიიდან არ გაეტანა. ვახტანგ VI-ადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში კათალიკოს-პატრიარქი ბესარიონი (ორბელიანი) რუსეთში მყოფ ქართველ მეფეს მოუწოდებდა სამშობლოში დროულად დაბრუნებას, ევედრებოდა „უფლის სამსკუალის“ წამოღებას და მიუთითებდა, რომ საქართველოდან ამ სიწმინდის გატანის გამო განგებამ დასაჯა თქვენი საგვარეულო და მას შემდეგ არც ვაგიხარაათო.

ცხენა მხარეს ნაწილობრივ მოჩანს შავი კავები. წამებულ დედოფალს აცვია კაბა, წელზე აბრეშუმის სარტყლით. წმინდა ქეთევანის სამეფო მდიდრული მოსახსამი ფეხებამდეა დაშვებული.

ქეთევან დედოფალი გამოსახულია წმინდანის შარავანდდით. მასზე ოთხი ასოსაგან შემდგარი ქარაგმებიანი წარწერაა, რომელიც ასე უნდა წავიკითხოთ:

ქ [ე თ ე ვ ა] ნ დ [ე დ ო ფ ა ლ] ი

გამოსახულება გრაფიკულია, ოდნავ სქემატური. წმინდანის სხეული ფრონტალურადაა დაყენებული. ფეხები კი პროფილშია გადმოცემული. ქეთევან დედოფალს მკერდზე მიყრდნობილ მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს. მარცხენაში კი შესაძლოა ღვთისმშობლის ხატი, თუ წმ. საძვლე სვიკრი.

მაღალი ოსტატობით არის შესრულებული წმინდა ქეთევანის სახე. იდეურად შემართულ დედოფალს მორკალური წარბებით ვხედავთ. მოგრძო, ნუშის მოყვანალობის თვალები ლოცვისათვის ზეაპყრობალი აქვს. სწორი, ნესტოებთან ოდნავ ფართო, ცხვირი, მტკიცედ მოკუმული ბაგეები, შინაგან სიმხნევესა და მოწამეობრივ შეუღრეკლობა-შეუპოვრობაზე მეტყველებს, რასაც კიდევ უფრო ააშკარავებს დედოფლის ხელში წმინდა ატრიბუტთა გამოსახვა.

მხატვრულად საკმაოდ მაღალ დონეზეა დამუშავებული წმინდა ქეთევანის თავსაბურავი, სამეფო გვირგვინი და ორნამენტული სახეებით (მცენარეული მოტივით) დამშვენებული მოსახსამი, რასაც ერთგვარი დეკორატიულობა შეაქვს კომპოზიციაში. პორტრეტა ბრწყინავს მინანქრისა და ბადახშის ფერებით.

პანალიის მეორე (ჭურგის) მხარეს — ოქროს მთლიანი ფილა, ძვირფასი მწვანე ქვებითაა შემკული. (სურ. 34). ცენტრალურ ადგილას და მის პარალელურად მთელს სიგრძეზე მინანქრის წესით გამოსახულია ქეთევან დედოფლის წამების სტილიზებული ქურჭელი (ქვაბი). ხელსაწყოები: ქაფჩა, მარწუხი და სარწმუნოებისათვის შეუღრეკელი დედოფლის მკერდის დასაშანთავად და საჩხვლეტად გამოყენებული სხვა წვეტიანი (სამსკუალი) იარაღი.

თვლების განლაგება იმეორებს რვასეგმენტოანი ვარდულის ფორმას. ისინი ავსებენ მთლიანად ვარდულის ფონს, სახურავის შიგნით ვახტანგ ბატონაშვილის წარწერაა.

პანალიას აქვს საკეტი, რომელიც ამავე დროს ასრულებს საკიდის როლს.

წამებულ ქეთევან დედოფლის ეს რელიკვია, გამოსახულება ხე-



სურ. 40. ჭერისებური პანალოის ზურგი

ლოვნების ძვირფასი ნიმუშია. იგი შესრულებული უნდა იყოს იდეურობისა და ქვეყნისათვის თავდადებული დედოფლის წმინდანად შერაცხვის კანონზაღის პროცესის დასრულების დროს.

წმინდა ქეთევანის პორტრეტული სახის წარმოსაჩენად გამოყენებული უნდა იყოს საგვარეულო საყდარში შესრულებული ფრესკა, ან შემუშავებული ქეთევან დედოფლის იკონოგრაფიული ტრადიცია.

აქ გამოსახული წმინდა ქეთევან დედოფალი სიახლოვეს ამქალაქებს ქართულ ხელნაწერებში (მაგ. H-2077) არსებულ მის მინიატურასთან. ძნელია, ვთქვათ ვინ ვისი გავლენა განიცადა.

განხილულ სამკაულზე წმინდა ქეთევანის რეალური სახე მაღალმხატვრული ოსტატობით არის შესრულებული. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წმინდა ქეთევანის მხატვართ ჩვენი ძეგლი არ უნდა გამოყენებინათ.


გვიან, წმინდანთა პორტრეტების აღმდგენელთაც ხელთ არ უნდა ჰქონოდათ ჩვენ მერ განხილული ელსპონატი, ან მისგან გადმოღებული პირი.

ამდენად, აქ პირველად გამოქვეყნებული წმინდა ქეთევან დედოფლის ხატის საისტორიო მნიშვნელობა დიდია.

აღნიშნული კოლექციის მეორე ექსპონატია პანალია წმინდა ნაწილებისათვის (სურ. 35). ბუდის ზედა მხრივ მომრგვალებული კუთხეების მქონე მართკუთხედიანია. ზედაპირზე გრეხილით შესრულებული მაქმანისებური დეკორატიული ორნამენტებია. მასში ჩაწერილია ტოლმკლავა ჯვარი, რომლის მკლავებზე გამოსახულია გრეხილით შესრულებული ვარდულები. სიმეტრიულად არის განლაგებული ძვირფასი ქვები, პატიოსანი თვლები (შავი გიშერისა და სადაფის მონაცვლეობა სილამაზეს მატებს პანალიას).

პანალიის უკანა (ზურგის) მხარეც ასევე მაქმანისებური დეკორატიული ორნამენტებითაა დაფარული (სურ. 36). ზედა მხარე მისი კომპოზიციური განმეორებია. გამოყოფილია ტოლმკლავა ჯვარი, რომლის ცენტრში დიდ ორმაგ წრეში მინანქრისაგან თეთრი გვირილა არის გამოსახული. ჯვრის მკლავების ნაპირას აქეთ-იქით ვარდულებია მოთავსებული. ვარდულებითაა შევსებული მკლავებს შორის დატოვებული სივრცე ოთხივე მხარეს. ძვირფასი ქვებით მოჭედული ფონი მცენარეული მოტივის ორნამენტებით არის დაფარული.

მესამე ექსპონატია ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილი, რომელიც ოქროს ბუდეში დევს. (სურ. 37). ფილა მოგრძო სწორკუთხედიანია. ფილის წიგნით მთელ სიგრძეზე მარგალიტები მწყკრივებად არის გან-



სურ. 41. ქვარი

ლაგებულო. მის ერთ მხარეს ჩანს საკეტი. ბუდე პატროსანი თვლებით არის შემკული .ამ მოგოძო ბუდის (29×5; 5×4,5) განიერ ბოლოებში უფრო დიდი ზომის თვლებია.

თვით წმინდა ნაწილის ბუდე ერთმანეთს არის დაცილებული და კარგად ჩანს მკლავის ან ნეკნის ძელის ნაწილი⁵.

ელ. ციციშვილის კოლექციის შემდეგი ექსპონატია ვერცხლის ჯვრის („ენკოლპიონის“) ფორმის პანალია (სურ. 39) — მის ზედა მხარეს ჯვარცმის სცენაა. მოგვიანო ტრადიციისაგან განსხვავებით გადმოცემულია ჯვარცმის ერთ-ერთი აღრეული რედაქცია, რომლის მიხედვით იესო ქრისტე გამოსახულია მშვიდ პოზაში, აწეული, ოდნავ გვერდზე გადახრილი თავით აღიქმება „სიკვდილისა სიკვდილითა დამორგუნველი“, გამარჯვებული.

ქრისტეს სხეული გამოხატულია სქემატურად. ჯვრის მკლავებზე მიკრულ ქრისტეს ხელებს ზევით, მარჯვნივ და მარცხნივ, შარავანდედთან, მედალიონებში მთვარისა და მზის გამოსახულებაა, ხოლო შარავანდედის ზემოთ — ცის სეგმენტია, რომელშიც არაბული $\kappa\lambda$ და ებრაული קוון წარწერაა. ეს ფაქტი მრავლის მეტყველია.

დაბლა ადამის თავია. იესო ქრისტეს ფეხები და ხელები მილურსმნულია. მარჯვნივ ვედრების ფორმაში გამოსახულია კვიპროსული ტიპის ღვთისმშობელი, ხოლო მარცხნივ — იოანე. მათ გვერდით ავაზაკთა მცირე ფიგურებია.


სანაწილე ჯვრის ფონი დაფარულია შავი მკენარეული ორნამენტით. ქრისტეს ტანისამოსი და ფიგურის მოსახამი დამუშავებულია პირობითად. ნაოჭები სქემატურადაა გამოხატული.

სანაწილე ჯვრის ზურგის მხარეს გვიან შემუშავებული ტრადიციით გამოსახულია საყდარზე მჯდომი ღვთისმშობელი, რომელიც ეამბორება ყრმას (სურ. 40). მათი შარავანდედები მარგალიტების ერთიანი მწკრივით არის შემკული.


ღვთისმშობლისა და ყრმის ზემოთ და გვერდით ანგელოზებია. ანგელოზთა გაშლილი ფრთები, მათი სამოსი, ღვთისმშობლის მაფორიუმის ნაოჭები, საყდარი — დეკორატიულად არის დამუშავებული.

ფიგურები დაბალი რელიეფით არის შესრულებული. შედარებით მაღალია ქრისტეს ცენტრალური ფიგურა. გრაფიკულადაა დამუშავებული მისი კობორიუმი და სხვა გამოსახულებების სამოსელი. მაღალი


⁵ აღსანიშნავია, რომ წამებული ღედოფლის ფეხის დიდი თითი (ასევე მოოქრული ბუდით) რუსეთში ჩაიტანა თეიმურაზ I-მა და მილებისას გადასცა კელწიფი აღექსი მიხეილის ძეს.



სურ. 42. ჯვრის ზურგე



სურ. 43. ტოლმელაეა ჯვარი



სურ. 44. ტოლმელავა ჯერის ზურგა.

გამომსახველობა მიღწეულია მწირი მხატვრული საშუალებებით. აღწერილობაში ეს ძეგლი XIII საუკუნით არის დათარიღებული.

პანალია ჭვარს აქვს მასიური საკეტი. ზემოთ ასევე მასიური ბურთულისმაგვარი საკეტია; გარშემო უვლის თოთხმეტი (თითო მხარეს შვიდ-შვიდი პატარა საკეტი).

სილამაზითა და უხვი შემკულობით გამოირჩევა სანაწილე ჭვარი, რომელიც მოგვაგონებს თამარ მეფის ცნობილ ჭვარს.

სერგის — სამების ლავრისათვის ქართველისაგან შეწირული ეროვნული განძის შემადგენელი ეს სანაწილე ჭვარი ორივე მხარეს ქმხის თვლების ნაირ-ნაირ კომპოზიციურ განლაგებას. გაძოზატულია ცენტრი და მის აქეთ-იქით ჩასმულია დიდი და მცირე ზომის ქვები. განსხვავებას ქმნის ფერთა მონაცვლეობა.

აღუერილი განძის სხვა ჭვრებსაც ანალოგი მოეპოვება მხოლოდ ქართულ ოქრომჭედლობაში (მაგ. მარტვილის მონასტრის ჭვარი პანალია და სხვ.).

აღწერილ ოქროს ექსპონატებთან ერთად ამავე კოლექციაში ხის ჭვარი (სურ. 43—44). მისი ორივე მხარე კიდებზე წვრილი ქვებით მოჭედილი ფირფიტით არის დამშვენებული.

ხედა მკლავში ორი მსხვილი ქვაა ჩასმული. დანარჩენი თვლები თითქმის ერთი ზომისაა. შუაში ხეზე გაშლილ სამ მკლავში ფერწერული კომპოზიციაა. ნახატი გადასულია, თითქმის არ ჩანს, შესაძლებელია ეს იყოს ჭვარცმა ან ნათლისღება.

ჭვრის ზურგის ლითონის ფირფიტები ერთნაირი ზომის ორნამენტულ ზოლებს ქმნიან. სამ მკლავში კარგად იკითხება მირქმის კომპოზიცია.

16

«А К Т

на снятие оклада с ковчега инв. № 1853.

г. Загорск

5 апреля.

Составлен настоящий акт гл. хранителем музея Белобровой О. А., хранителями драгметаллов: Курбатовой А. М. и Кличиной К. Н., зав. историко-художественным отделом Николаевой Т. В., ст. реставратором ГЦХРМ по отделу прикладного искусства Рябовой М. П. и научно-техническим сотрудником музея Исаевой Н. С. в том, что 5 апреля с. г. названными лицами было произведено снятие скребрянного оклада для научной аннотации, с целью пополнения экспозиции, с ковчега инв. № 1853, КП 1812. Зв. 154 (опись церквей 1908 года, книга I, лл. 125—127 об.).

Снятый оклад состоит из трех частей:

1. Пластинка — свет; 32×19 см, с окошками по форме пяти вставок в кипарисовую доску.

ზაგორსკის მუზეუმ-ნაკრძალის ეს კოლექცია პატრიოტი ქართველი ხელოვანი ოქრომკედლების დიდებული შემოქმედებაა

1958 წლის 5 აპრილს ზაგორსკის მუზეუმის თანამშრომლებმა „მეცნიერული ანოტაციის შესადგენად“ გახსნეს ეს ქართული რელიკვიები. ამასთან დაკავშირებით შედგენილ აქტში¹⁶, რომელიც ჩვენ 1979 წელს გადმოვწერეთ, ფიქსირებულია ქართული ხელოვნების აღნიშნულ ნიმუშებთან დაკავშირებული დეტალები, რასაც მნიშვნელობა აქვს შემდგომი გაღრმავებული კვლევისათვის და სხვა მხრივაც. 1981 წ. თებერვალში უწმიდესისა და უნეტარესის კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ქართული ძეგლები აღვწერეთ იქვე არსებულ საპატრიარქოს მუზეუმშიც.

საქართველოში დიდად იყო დაფასებული ოქონის ხატი, რომელიც ქართველ-ბერძენთა ხანგრძლივი ტრადიციული ურთიერთობის გა-

Сохранность: следы от гвоздей, трещины, разрывы и небольшие утраты серебра.

2. Р а м к а, 27×2,8 см, с тремя загибами.

Сохранность: следы от гвоздей, помяты.

3. Р а м к а, 21×2 см и 6×1,7 см из цельной пластины, накрепленной на доску.

Сохранность: помята.

- После снятия оклада были вынуты из гнезд в доске два выгибающихся боковых ковчега, имеющих серебряную с позолотой оправу, в виде продолговатых ящичков, а также были вынуты вмонтированные в доску и не вынимающиеся ранее следующие шесть предметов:

1. Ковчег серебряный позолоченный, створчатый, русской работы.

2. Панагия серебряная с чернью, с грузинской надписью над распятием.

3. Панагия золотая сканная с комками и русской надписью на бумаге, вложенной внутрь.

4. Панагия золотая с эмалью, с изображением с одной стороны грузинской царевны с грузинской надписью и стилизованных сосудов и орудий страстей с другой стороны и с резаными грузинскими надписями и на внутренней стороне крышки и на золотой пластинке на мощах.

5. Крест наперсный, золотой сканый, с камнями, с грузинской надписью на бумаге, вложенной внутрь.

6. Крест четырехконечный деревянный, облаженный золотом с камнями, с резьбой на обеих сторонах.

Инвентаризованная обработка с точным описанием сохранности указанных произведений, впервые извлеченных из ковчега и не учтенных с оборотной стороны их комиссией ГОХРАН в 1948—1949 годах, должна быть произведена с привлечением специалистов...».

მომხატველ სიმბოლოდ არის აღიარებული. ვახტანგ VI კარის ამ განთქმულ სათაყვანოს მოსკოვში, ისევე როგორც ადრე საქართველოში, უძღვებოდნენ დეკანოზები გარსევანიშვილთა საგვარეულოდან.

მოსკოვში, ქართველ მეფეთა სასახლეში იყო ქართული დროშა, იქვე ესვენა განთქმული წმინდა ნინოს ჯვარი. ეს რელიკვია შემდეგ ლისკოვოში გადაიტანა ვახტანგ VI-ის შთამომავალმა გიორგი ალექსანდრეს ძემ

XIX საუკუნის დამდეგს გიორგიმ წმინდა ნინოს ჯვარი მიართვა ალექსანდრე I-ს.

ამ უკანასკნელმა ქართველთა რელიკვია სამშობლოს დაუბრუნა, როგორც ეს ადრე იყო ჩაფიქრებული.

ასევე უნდა დაბრუნდეს საქართველოში სხვადასხვა ადგილას არსებული ჩვენი რელიკვიები, სამშობლოდან გაზიდული ხატები, ექსპონატები, პორტრეტები, ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნები, ნუმიზმატიკური ნიმუშები, საჭურველი, სერვიზი, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების თუ ექსპედიციების შედეგად მოპოვებული ნივთები და სხვა ქართული ეროვნული განძი.

ბოლოთქმა

მოსკოვის ქართული ახალშენი მშობლიური კულტურის მძლავრი კერა იყო. ნაშრომის ამ ნაკვეთში გადმოცემულია მოსკოველი ქართველების მრავალმხრივი საქმიანობის ნაწილი.

ახალშენის მოღვაწეთა უმეტესობა, რომელთაც ამჯერად ვეხებით, საზოგადოებრივ სარბიელზე საქართველოში გამოვიდა ან უცხოეთში ემიგრირებულთა წრეში აღიზარდა. სხვა იყო მომდევნო თაობების აღზრდისა და ცხოვრების პირობები და ისინიც ამისდაგვარად იღვწოდნენ.

საკითხების შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მოსკოველი ქართველების დამოკიდებულებას სამშობლოსადმი და მათი დიდ კულტურულ-სამეცნიერო თუ პოლიტიკური მოღვაწეობის გავლენას საქართველოზე.

უცხოეთში ქართველთა ცხოვრების წარმოსაჩენად დღეისათვის საკმაოდ ხელშესახები მუშაობაა გაწეული, მაგრამ საძიებელი ჯერ კიდევ ბევრია.

დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლის ახლანდელ ეტაპზე ხელსაყრელი პირობები იქმნება არა მარტო ქართველთა ძველი ახალშენების, არამედ ახალთა შესასწავლადაც. ჩვენი ვალია მეტი ენერგიულობით, მეცნიერული საბუთიანობითა და ობიექტურობით წარვმართოთ კვლევა-ძიება ჩვენი ერის ისტორიის ამ შედარებით ნაკლებად შესწავლილ უბნებზე.

ფრიდონ სიხარულიძე

ПРИДОН СИХАРУЛИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПОСЕЛЕНИЯ В МОСКВЕ

Резюме

Грузия долго искала поддержки Московского государства: моральной, материальной, военной. И Россия все время стремилась к расширению своих южных границ и обеспечению их безопасности. На основании двухсторонних устремлений Россия успешно заключила покровительственные договоры с Грузией и другими государствами Кавказа.

Укрепившись на Кавказе, Россия постепенно ослабляла османско-персидские позиции в этом крае. В то же время такая могущественная северная христианская страна как Россия, фактически должна была явиться освободителем угнетенных агрессивными мусульманскими странами народов, способствовать объединению единой Грузии, борьбе за возвращение отнятых у нее территорий, развитию торгово-экономических, культурных и др. отношений.

В таких условиях происходит колонизация части грузин в России, (в Астрахани, Казани).

В 50-х годах XVII века государь Алексей Михайлович пригласил в Москву грузинского царевича Николая Давидовича, который почти два десятка лет находился в столице России вместе с матерью и со свитой.

В 70-х годах XVII века царь Имерети Арчил положил начало новому этапу отношений Грузии с Россией. В 1685 году он вместе с семьей и со свитой прибыл в Москву.

Царский двор России оказывал особое внимание проживавшим в Москве грузинам. После отъезда Арчила II на родину Петр I пожаловал дворцы и вотчины оставшейся в Москве царской семье, возглавляемой Александром и Мамукой Батолишвили.

Процесс формирования поселения в Москве завершился в 90-х годах XVII столетия с возникновением здесь у грузин частной собственности. Главой поселения был царевич Александр Арчилович.

Благодаря реформам Петра I и борьбе за расширение страны, Россия сделала гигантские шаги в продвижении вперед. В начале XVIII века царь Арчил вынужден был вернуться в столицу России.

По приезде в Москву грузинского царя и возвращению из Западной Европы Александра Батонишвили Петр I пожаловал находившимся в России грузинам новые вотчины в Нижегородской губернии, укрепив тем самым экономическое положение грузинского поселения.

После смерти Александра Батонишвили в Швеции у царя Арчила не осталось сына-наследника и он обратился к Петру I с просьбой передать право грузинского поселения и наследования имущества дочери царевне Дареджане Арчиловне.

Утвердив завещание царя Арчила, Петр I придал Грузинской колонии в Москве широкий юридический статус.

В 20-х годах XVIII века Московская Грузинская колония сыграла политическую роль, когда по совету проживавших в Москве грузин царь Картли Вахтанг VI стал союзником Петра I в период его Прикаспийской военной кампании.

По завершении этого похода Вахтанг VI был вынужден с большой свитой эмигрировать в Россию, что явилось большой потерей для его родины.

Для поселения грузинского царя и его свиты Петр II в конце 1729 года пожаловал им окрестности Пресни.

Таким образом, в 30-х годах XVIII столетия на Пресне возникло новое поселение, получившее название «Грузины».

Вахтанг VI позаботился также о закреплении наследия царя Арчила. Дочь последнего Дареджан Батонишвили в 1727 году утвердила наследником царя Бакара.

Указанный юридический акт объединил грузинские поселения.

После смерти Вахтанга VI (26 марта 1737 года) в России увеличилось число ответвлений от Московской Грузинской колонии.

Одно из ответвлений упомянутого поселения находилось в Астрахани. Еще Арчил для связи с Грузией назначил в Астрахани своего правителя... В 1735 году там поселился Вахтанг VI, возглавив указанную колонию.

В 30-х годах часть грузинского духовенства, возглавляемая архиепископом Иосифом Самебели (Кобулашвили), переехала для продолжения своей деятельности из Москвы в Новгород.

Еще раньше начался переезд грузин из Москвы в новопрестольный город Санкт-Петербург.

После смерти Вахтанга VI император России не пожелал считать представителей свиты грузинского царя в Москве политическими эмигрантами и потребовал, чтоб они стали его подданными.

Часть проживающей в Москве грузинской молодежи признала себя подданными Российской империи, они вошли в состав одного из первых национальных формирований в русской армии — роты грузинских гусар, преобразованной впоследствии в полк.

Грузинские гусары получили поместья с крепостными на Украине, где возникло таким образом, новое ответвление Московского Грузинского поселения.

В 50-х годах XVIII века Большая часть грузинских колонистов проживала в Москве, а остальные в других уголках России — в Поволжье, на Украине и т. д.

В то время между наследниками грузинского царя (Георгием и Александром Батонишвили и др.) были распределены принадлежавшие московским грузинским колонистам обширные вотчины.

Постепенно грузинские землевладельцы расселялись и в Нижегородских имениях.

Задачей, возникшей в конце XVII века в культурно-политическом центре России Грузинской колонии стало продолжение развития на новой основе здоровых традиций русско-грузинских отношений.

В результате государственной политики России грузины получили возможность создать прочные экономические основы проживания за границей, включиться в борьбу за государственные интересы России, продолжать и широко развернуть разностороннюю деятельность по развитию родной культуры.

На основе анализа имеющихся богатых архивных материалов на грузинском, русском и иностранных языках, памятников материальной культуры, данных топонимики и критического изучения отраженных в научной литературе воззрений, в исследовании рассмотрены и обоснованы условия и время формирования в Москве грузинского поселения и несколько этапов его исторического развития в результате расширения отношений Грузии с Россией и другими странами Европы.

PRIDON SIKHARULIDZE

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN SETTLEMENT
IN MOSCOW

S u m m a r y

As a result of the international situation and the development of political-cultural relations with a Georgian Russian settlement was established in Moscow 300 years ago. Its leader was Alexander Batonishvili, a future FieldTseikhmeister General.

In 1700 Peter I granted new vast patrimonies in the Nizhny-novgorod province (Belgerod, Lyskovo, Teriushevo and others) to the Georgians who lived in the capital of Russia.

The present study deals with the description of the interrelations of the Georgian settlers, the residence of the leaders of the new settlement in Moscow, the one part of scientific-cultural work that was conducted there.

In particular, historical and geographical manuscripts, translated from Greek, Russian, Polish and German, the novel "Alexandria" and others have been studied in this book on the basis of the data of archive documents.

The study thoroughly elucidates the process of the expansion of the new settlement, and the emigration of Vakhtang VI, the King of Kartli, to Moscow in 1725 after Peter I's campaign to the Caspian Sea territory.

Peter II granted the Georgians, who arrived in Moscow in 1729, the environs of Presnya. "Gruziny"—a newly arisen settlement of Georgians, was united with the old settlement of Georgians on the basis of Darejan Batonishvili's approval of king Bakar as her heir.

The branches of Georgian settlement of Moscow were in

Astrakhan, St. Petersburg, Great (Veliky) Novgorod. Khizlar, and in the Ukraine.

In 1738 a Georgian national military formation was established in Russia—a hussar regiment, which made a great contribution to the history of art of war.

The Moscow Georgian settlement was a centre of Georgian patriots who fought for the liberation of their fatherland. As a result of the diplomatic relations of Georgian scholars with Russian, German, French and other scientists the interest of Russian and other foreign public figures for the Near East was deepened. The study of the Caucasus was broadened as well.

The Moscow Georgians paid attention to the development of the missionary work in the Transcaucasia.

On the initiative of Georgian clergymen and public men "The Ossetic Ecclesiastical Commission" was set up, and it played a significant part in the relations of Georgians with the peoples of the Transcaucasia.

Georgians who lived in Russia created many original writings and translated into Georgian pedagogic, mathematical, philosophical and military works.

On King Archil's and Alexander Batonishvili's initiative a Georgian print was made. The specimen copies, "Georgian Alphabet" and prayers were published in 1687 in Amsterdam and then in 1703 in Stockholm. In 1705 in Moscow the first Georgian book was published—Psalms. With the assistance of the workers of the Academy of Sciences of St. Petersburg the Georgians made the printing-house equipment, the print and in 1737 published there a dictionary.

An independent Georgian printing- and publishing-house functioned in Moscow from 1738. In 1743 the Georgian Bible was published there.

From the second half of the 18th century the patrimonies of the Moscow Georgians were gradually divided among Amilakhvaris, Bagrationis, Dadianis, Tsitsishvilis and the representatives of other princely families.

The Georgian clergymen who lived in Russia contributed

much to the development of Georgian-Russian cultural relations. The Georgians served in Russian and Georgian churches of many Russian cities. The Georgian nunnery was established in Russia.

Through the Georgian centre of culture in Moscow Georgians established connections with almost all civilized world. The Moscow Georgians had an opportunity to be well informed about the cultural achievements of the world and use them for the future development of the native culture. The present book thoroughly describes the international contacts of the Moscow Georgians, their multilateral relations with their fatherland and with the development of the national-liberation movement in Georgia.

The signs of the life and activity of Georgians in Russia are found: viz: on the icons, on the metal covers of books, on a household articles, in the Don Monastery — on the graves of Georgian public figures in the Georgian churches (Vsekhsviatskoe, Gruziny, and others), in the toponyms (Bolshaya Gruzinskaya street, Gruzinsky pereulok (alley), Gruziny (village), Georgievskoe selo, Georgievskaya ploshchad (square) and others).

The book describes the part of Georgian treasures preserved in Russia, and the icon of St. Ketevan with precious stones which was endowed to Sergis-Trinity cathedral.

The study describes also the results of the expeditions carried out by the author in 1965-1982 and a part of the results of the joint expedition when archaeological-restorational work was conducted at the Don Monastery in 1983.

The book is compiled from rich original sources. Along with Georgian, Russian and foreign archives documents the work is based also on the Toponymic data of the material culture, legends, etc.

The time, conditions and the status of the Georgian settlement in Moscow have been determined on the basis of the abovementioned material, publications and scholarly literature. The stages of the development of the settlement have been specified, the church life of Georgians and a part of their scientific-scholarly work described. The book also shows the role Georgians living in Moscow played in the development of Georgian-Russian political and cultural relations, and national-liberation movement in Georgia.

საძიებლები

პ ი რ თ ა

- აბაშიძე გ. 253
აბდურეზა მ. 256
აბრამია კ. 19
აბრაძიშვილი ა. 10
ავალიშვილი გ. 48, 51
ალექსანდრე I 287
ალექსანდრე II 105
ალექსანდრე III 25, 30
ალექსი შიხელიძის ძე (რომ.წოვი) 24,
30—31, 97, 28
ამბროსიძე პ. 147
ამილახვარი ე. 100, 102
ამილახვარი ვ. 61, 83
ამილახვარი გ. 17
ანალუკი 105
ანდრონიკაშვილი ა. 102
ანდრონიკაშვილი ბ. 19
ანდრონიკაშვილი მ. 102, 106
ანდრონიკაშვილი წ. 106
ანნა გიორგის ასული (ერისთავი) 77, 84
ანნა იოანეს ასული 72, 97
ანნა წინასწარმეტყველი 72
ანტონი, ეპისკოპოსი 39
ანტონ I, კათალიკოსი 17, 110—111,
114, 218, 252
არეშიძე დ. 28
არჩვაძე ნ. 95
არჩილ II 6, 9, 15, 18, 32—43, 45, 47—
48, 50—51, 53—55, 57, 59, 66, 70—
77, 83, 90, 92, 105, 113, 115, 116—
118, 122, 125—126, 130, 145, 149,
153, 165, 167, 189, 191—194, 197—
198, 202—203, 206—215, 229, 241,
261, 270—271
ასათიანი ნ. 25, 32
აქსაკოვი პ. 64, 97, 101
ახალციხელი პ. 76, 271
ბაგრატ იმერთა მეფე 31
ბაგრატიონები 110
ბაგრატიონი ალექსანდრე 111
ბაგრატიონი თეიმურაზ 194, 196, 216
ბაგრატიონი იოათამ ვახუშტის ძე 84
ბაგრატიონი იოანე ვახუშტის ძე 84
ბაგრატიონი იოანე 111
ბაგრატიონი კირილე 111
ბაგრატიონი პეტრე 111, 223
ბაგრატიონი რომან 111
ბაგრატიონი სტ. 234
ბართაშვილები 77
ბართაშვილი თ. 126—128
ბართაშვილი მ. 59, 102, 119—124, 153
ბართაშვილი ნ. 102
ბარამიძე აღ. 8, 11, 18, 43, 117, 120,
122, 165, 167
ბარამიძე რ. 18, 123, 167
ბასილ დიდი 145
ბატონიშვილი ალექსანდრე არჩილას ძე
6—9, 12—13, 34, 38—39, 41, 43,
45—47, 51—53, 66, 70, 77, 90, 105,
113, 145—146, 148—149, 160, 192—
193, 197—198, 215, 219, 226—229,
232, 236—237, 241, 271
ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქრაის ძე
12, 77, 84, 219
ბატონიშვილი ათანასე 70
ბატონიშვილი გიორგი დავითას ძე 6, 18,
24

ბატონიშვილი გიორგი ვახტანგის ძე 6, 18, 67, 70—71, 73, 75—76, 83—84, 94, 103, 124, 229, 231, 261
ბატონიშვილი დავით არჩილის ძე 38, 53
ბატონიშვილი დარეჯანი (მარიამი) არჩილის ასული 53—54, 59—60, 66—67, 70, 72—73, 77, 83, 153, 170, 216, 241
ბატონიშვილი ვახტანგ ლეონის ძე 194, 275
ბატონიშვილი ვახუშტი ვახტანგის ძე 6, 8, 12, 15, 17—18, 42, 60—61, 63, 66—67, 70, 73, 80, 84, 92, 101, 103, 109, 118, 124, 129, 138—139, 212, 231, 256, 260—261
ბატონიშვილი თეიმურაზ 7—8, 194—207
ბატონიშვილი იოანე 7, 139, 172, 177—178, 200, 241—242
ბატონიშვილი ლეონ ბაქარის ძე 77, 213—214, 217
ბატონიშვილი ლუარსაბ დავითის ძე 24—25, 28—29
ბატონიშვილი მამუკა არჩილის ძე 35, 39, 45, 47, 53, 226, 271
ბატონიშვილი ნიკოლოზ (ერეკლე) 25—27, 29—31, 38, 92, 97
ბატონიშვილი პაატა ვახტანგის ძე 12, 67, 103, 242
ბატონიშვილი სვიმონ 61, 65—66, 83—84, 103
ბატონიშვილი ტარიელ 194
ბაქარ მეფე 6—7, 15, 18, 57, 61, 63, 65—67, 70, 73, 77, 79, 83—84, 94, 101—103, 108—109, 122, 124, 136—137, 213, 216—218, 228—229, 237, 238, 242, 248, 251, 261
ბაქრაძე დ. 8
ბაყიშვილები 61
ბაყიშვილი ყ. 105
ბერძენიშვილი ნ. 8—9, 14, 20—21, 72, 79, 117, 197
ბესარიონი, პატრიარქი 276
ბიბილური ა. 89
ბიორკბომი კ. 10

ბლიევი შ. 108
ბოსტოვიტინოვი ე. 7
ბოსტოლანაშვილი 32, 38
ბოცუაძე თ. 25
ბრეგაძე დ. 18, 257
ბროსე შ. 8, 10, 80, 194—195, 207, 216
ბუდნი დ. 161
ბუტკოვი პ. 8, 16, 59
ბუტურლინი ი. 39
გაბაშვილები 77
გაბაშვილი ლავრენტი (იხ. ლავრენტი)
გაბიძაშვილი ე. 156
გაბრიელი, არქიმანდრიტი 34—35, 270
გაბრიელი, დიაკონი 111
გაგოშიძე პ. 170, 178
გაეცკი სტ. 165
გაიოზი, ეპისკოპოსი, რექტორი 94—95
გაშრეკელი ვ. 17, 40
გარაყახიძე ზ. 90
გარსევანიშვილები 286
გარსევანიშვილი ე. 194, 207—208, 220
გარსევანიშვილი ნ. 207—208
გარსევანიშვილი ო. 194, 207—208, 220
გელოვანი გ. 160
გერშანე, შიტროპოლიტი 25
გერშანე, მოძღვარი 252, 261
გიორგი თარხანი 50
გიორგი III 117
გიორგი XI 39, 41
გიორგობიანი შ. 19
გოგებაშვილი ი. 9, 43
გოლიცინი ვ. 35, 41
გოლოვინი ნ. 8, 16
გონიკიშვილი შ. 18
გრამოტინი ი. 30
გრიგოლი, ეპისკოპოსი, ხარკაშენელი 143
გრიგოლია კ. 211
გრუზინსკი გ. 287
გურაშიშვილი დ. 8—9, 18, 96, 100—103, 117, 119, 124—126, 139
გურაშიშვილი შ. 162
გურგები 187—188
გურიელი ქ. 98, 102

დადიანები 77
დადიანი 268
დადიანი გ. 59, 77, 228—229
დადიანი მ. 68
დავით აღმაშენებელი 117
დავით ბეგი 57
დავითი, მეფე 130
დავითაშვილები 38, 80, 241
დავითაშვილი ბ. 28, 36
დავითაშვილი გ. 53
დავითაშვილი ი. 198
დავითაშვილი მ. 53, 228, 230, 239, 241, 243
დავითაშვილი ნ. (იხ. ხიკოლოზი)
დავითაშვილი ხ. 38
დავით გარეჯელი 152
დავით დეკანოზი 154
დანელია ფ. 19
დანიელი, წინამძღვარი 107
დარეჯან დედოფალი (თეიმურაზ I ასუ-
ლი) 31
დარიოზი 184—185
დარჩია ბ. 18
დე-ლილი ი. 7, 128, 231
დიმიტრი, დეკანოზი 149
დიმიტრი, მღვდელი 110
დიმიტრი, ხუცეს-მონაზონი 219
დოღგორუკოვი ე. 66
დომენტი კათალიკოსი 135, 151, 152
დონდუა ე. 61, 85, 91, 234
დრობლენკოვა ნ. 200

ებიტაშვილი გ. 155, 215
ებიტაშვილი დ. 206
ევდემონ, მიტროპოლიტი (ინასარიძე) 31
ეილერი ლ. 231
ეკატერინე I 153
ეკატერინე II 85
ელენე დედოფალი (დიასამიძე) 30, 32, 241
ელისაბედ პეტრეს ასული 99
ენუქიძე თ. 18—19, 258—259
ერეკლე I, 92, 97
ერეკლე II 85, 110

ერისთავი გ. 206
ერისთავი დ. 102
ერისთავი კ. 187
ერისთავი ო. 102
ერისთავი რ. (იხ. რომანოზი)
ესაქე ბ. 8, 16, 79
ეფთვიძი, არქიმანდრიტი 89
ეფრემი 206

ვათეიშვილი ქ. 13, 17
ვარლამი, მიტროპოლიტი (ერისთავი) 7
ვასტანე V 30, 149
ვახტანგ VI 6, 8, 12—13, 18—19, 56—
57, 59—61, 66—68, 72, 77, 83, 97,
99, 105—106, 114, 119—121, 131—
132, 137, 150—151, 161, 163, 187—
188, 191, 192—193, 207, 212, 214,
217, 229, 230, 237, 239, 241, 246,
248, 250, 252—254, 256—259, 261,
270—271, 273, 275—276, 286
ვისსეიმი ქრ. 232
ვიტსენი ნ. 6, 15
ვოლინსკი ა. 57, 59, 92
ვოლკონსკი თ. 25

ზაალიშვილი ლ. 215—217
ზაალიშვილი მ. 109
ზაბელინი ი. მ. 16, 80
ზაქარია გიორგის ძე 89

ზათარიშვილი კ. 8, 79
ზამარაშვილი მ. 4
ზამარ მეფე 73, 117, 284
ზაყაიშვილი ე. მ
თეიმურაზ I 22, 24—31, 34, 92, 105,
115, 261, 263, 281
თეიმურაზ II 67, 92—95, 137, 218
თეოდოსი 194, 202
თეოდოსი, მთავარეპისკოპოსი 268
თომა ნოვიკოვი 145
თუშანაშვილი კ. 137—188
თურქან-ძე 120
თურქისტანაშვილი ბ. 59, 229
თურქისტანიშვილი ლ. 118
თურქისტანიშვილი ე. 161

იაკობი, მიტროპოლიტი, შემოქმედელი
(ღუშბაძე) 230
იაშვილი პ. 79
იბრაჰიმი, სულთანი 210
იევლევი ა. 25
იერუსალიმელი კ. 189
იესო ქრისტე 31, 270
ილია II, კათალიკოს-პატრიარქი (შო-
ლაშვილი) 286

იოაკიმი 148
იოანე ზედაზნელი 152
იოანე (იოსებ) მანგლელი, დაჩუბანდუ-
ლი, ასტრახანელი, ყიზლარელი, ეპის-
კოპოსი (სააკაძე) 106—107
იოანე ოქროპირი 145
იოახე, ჭვარის მამა 215
იოთამი 105
იოსებ II ლეონ პეტრეს ძე 215, 217
იოსებ სამეხელი, ნოეგოდელი შოს-
კოველი, არქიეპისკოპოსი (ქობულ-
აშვილი), 8, 65, 67, 74, 83, 86, 88—
89, 90, 108, 110, 230
იოსელიანი ბ. 86
ისააკი, მცირე 218
ისრაელ ორი 55, 191

კავკასიძე დ. 206
კავკასიძე მ. 109, 129, 213, 239
კაზარინოვი ი. 37
კაკაბაძე ს. 8, 79
კალანდაძე ც. 13
კაჭარავა ი. 25, 30, 32
კეკელიძე კ. 20, 83, 90, 120, 122, 128,
131, 135, 137, 207
კეკელიძე მ. 19, 43
კერი გ. 7
კესარიელი ე. 189
კენტოს კურციო 111, 187, 223
კეიბრელი ე. 189
კირილე ბერი 91
კოკოჩაშვილი ე. 19
კოლოშინი ა. 232
კონსტანტინე I 210

ლაერენტი, არქიმანდრიტი (ვაბაშვილი)
39, 52—53, 85, 228
ლებედევა ი. 201, 210
ლეონი 160, 161
ლეონიძე გ. 20, 79, 120
ლეონტი მროველი 190, 210
ლიაპუნოვი ე. 232
ლოშიძე დ. 17
ლომონოსოვი მ. 84, 118
ლოუხინი ა. 63—64
ლუარსაბი 243
ლუკა 148
ლუკაძე გ. 159

მაგარაქელიძე დ. 153
მათე 148
მაისურაძე გ. 37, 57
შაკარი, არქიმანდრიტი 34
შაკედონელი ა. 100—111, 163, 167, 165
შაკედონელი ბ. 166—161
შაკედონელი ლ. 161
შაშალაძე თ. 19
შანელიშვილი ნ. 102
შარი ნ. 268
შარიამ დედოფალი 211
შარკიანე 194
შარუაშვილი ლ. 17
შატერევი ა. 31
შაქსიძე აღმსარებელი 145
შაქსიძეოვიჩი ლ. 8, 16, 79—80
შალაძე ნ. 154, 216, 218—220
შალრაძე ე. 19
შაჩაბელი გ. 210—211, 234, 260
შაკვათიანი დ. 19
შაკვარაძე ე. 12, 16, 25, 29
შახათაძე ნ. 18, 85
შახათელაშვილი ნ. 110
შახათელაშვილი ქ. 110
შენახლე ლ. 11, 119, 167, 196
შერაკილიშვილი გ. 19
შესერშშიდტი გ. 7
შეტრეველი გ. 59, 170, 179, 229, 238
შეტრეველი ე. 11, 151

შილოსლაესკაია ფ. 52—53, 148
შილოსლაესკი ა. 39
შინიხი ქ. 98
შირიანაშვილი რ. 144—145, 167, 196—
198, 210

შიქაძე გ. 120—121

შიშეცი ე. 25

შოგილა პ. 190

შორაშვილი ბ. 42

შროველი ლ. 190

შუსხელიშვილი რ. 111, 187

შუხრან-ბატონი მ. 98, 102

ნადარეიშვილი გ. 221

ნადიბაიძე ნ. 18

ნადირშაჰი 67, 93

ნაკაშიძე ნ. 18, 24—25

ნაკაშიძე რ. 18

ნარიშკინა ნ. 36

ნევესკაია ნ. 18

ნეკტანაფი 184

ნეჭაძე პ. 119

ნიკიფორე, მიტროპოლიტი (ჩოლოყა-
შვილი) 22, 24, 92

ნიკოლაევი დ. 36

ნიკოლოზი, არქიმანდრიტი (ჯაფარიძე)
65, 108, 109, 230

ნიკოლოზი, მიტროპოლიტი (დავითა-
შვილი) 145, 149, 220, 271

ნიკოლოზ მროველი, ტფილელი (ორ-
ბელიანი) 65, 133, 135—136, 230,
256

ნოვიკოვი ნ. 8, 15

ნოე 90

ორბელი რ. 218, 254

ორბელიანი ა. 102

ორბელიანი ბ. 151

ორბელიანი დ. 102

ორბელიანი ვ. 83, 102

ორბელიანი ს.-ს. 54, 61, 79, 105, 121,
135, 260

ოსტერმანი ა. 97

პაატა („ნინიასტე“) 32

პაეღე, ტფილელი 64

პაიქაძე გ. 11—12, 16, 25, 57, 59, 65,
93, 95, 147

პაპაევა გ. 9, 43

პაპუაშვილი გ. 19

პახუში, არქიმანდრიტი (წერეთელი)
108—110

პეტრე მოძღვარი 149

პეტრე I 34, 36—37, 40—41, 43, 47—
48, 50, 51, 55, 57, 61, 106, 112, 114,
117, 143, 149, 217, 226

პლოხინსკი მ. 8

პოლოცკი ს. 148—149, 160

პოპოვი ა. 209

პორი 184

პორფირი, არქიმანდრიტი 111

პოპოვი ვ. 232

პოტიომკინი გრ. 104

პროკოპოვიჩი თ. 86, 88, 260

პროტოსიევა ტ. 200

ჟორდანია თ. 8, 86, 156

როდოსკი ა. 156

როშაელი ი. 189

რომანოვა ს. 36, 39

რომანოვი ა. 24, 220

რომანოვი თ. 24, 34, 38

რომანოვი მ. 22, 24, 209

რომანოზი, მიტროპოლიტი (ერისთავი)
62, 67, 75, 86, 93, 109, 136—138,
206—207, 230

რუსუდან დედოფალი (ცილნიეოს ასუ-
ლი, ბაყიშვილი) 61, 63, 65, 67, 103
რუხაძე ტრ. 10, 143—144, 149, 151,
165, 195—196, 216, 239

სააკაძე ი. 25

საგინაშვილი გ. 151—152

სალტიკოვ-შჩედრინი მ. 20, 168

საყვარელიძე ა. 65

სეჩენი ი. 20

სილოგავა ვ. 17

სიმონ მიმრქმელი 72

სიხარულიძე ფრ. 7, 10, 15, 29, 34, 38, 41, 51, 53—54, 59, 63, 76, 133, 137, 139, 167, 196, 197—198, 241, 271, 273

სოლოვიოვი ს. 8, 59

სოლოლაშვილი ბ. 192—194, 196—200, 202

სტოგოვი კ. 253

სუევიროვი ა. 180, 234

სურგულაძე აბ. 13

ტარსაიძე ნ. 17

ტატიშვილი ვ. 9, 19

ტატიშვილი ი. 79

ტივაძე თ. 13, 25, 30

ტიშოთი, მიტროპოლიტი (გაბაშვილი) 242

ტოქმაკოვი ი. 8, 16

ტოლოჩანოვი ნ. 25

ტოლოჩანოვი ს. 38

ტოლსტოი ი. 60

ტუპტალო დ. 157

უკრაინცივი ე. 37

ულუყბეგი 253, 255—256

უშიაკაშვილი პ. 8

უსტრიალოვი ნ. 8, 43

ფაელენიშვილი ო. 127—128

ფილაშვილი („პილიაევი“) დ. 32

ფილიპე — 183

ფილაძე, ეპისკოპოსი (სიმონგულაშვილი) 109

ფრუნეი 184

ფოტი, პატრიარქი 161

ფსევდო-დოროთე მონებასიელი მიტროპოლიტი 210

ჭავჭავაძე მ. 18, 151

ჩუთუევი დედოფალი (დაეოთის ასული) 35, 53

ჭიჭიკაძე თ. 19

ჭიჭიკაძე მ. 13

ჭრისტეფორე, სამთავრელი ეპისკოპოსი 64, 83

ჭრისტეფორე, ილუმენი (გურამიშვილი) 89—90, 109—110, 230, 260—261

ჭობულაშვილი ავთ. 90

ჭობულაშვილი ათ. 102

ღამბაშიძე გ. 81

უანდარალაშვილი ბ. 32

უანდარალაშვილი ფ. 32, 273

უაუხნიშვილი ს. 190, 211

უეიცარიძე პ. 8, 164

უორდანაშვილი ა. 52

უუბანიშვილი ს. 18, 61, 100, 127

უუხელიშვილი ა. 18

უალაკაშვილი დ. 102

უარაშიძე ჯრ. 10

უარაძე გ. 18, 197

უახოუსკი თ. 37

უაუბაზი 28, 260, 275

უუხეელია პ. 19, 257—258

უუხეელია ნ. 19

უუქელიოვა ლ. 10, 165, 200

უუარეხეფელდა ი.—გ. 7

უუტელანი რ. 232

უაუუნავა რ. 18

უართოლანი მ. 257

უერკასოვი ა. 97

უილაძე უ. 99, 118

უილოუ-უშკელი ვ. 24

უილოუ-უშკელი ს. 102

უიუნიანიშვილი დ. 257

უიხატარაშვილი კ. 13, 98

უიხატარაშვილი ჭ. 13, 98

უიხეიძე ვ. 132—134, 155—157, 159, 170, 179, 187—188, 229, 243, 260

უავარელი ა. 8, 195, 257

უაიშვილი ს. 18

უინტაძე ი. 21, 25, 59

უიციშვილი დ. 67, 84, 224, 231—232, 249—252, 275—276

უიციშვილი ე. 162

უიციშვილი პავლე 252

ციციშვილი პაპუნა 67, 100, 231—232,
275

ცხაკაია დ. 239

ძოწენიძე ლ. 17—18, 147, 161

წერეთელი გ. 177

წერეთელი ე. 19

წერეთელი ზ. 171, 279

წერეთელი ქ. 143, 170—171

წმიდა ანასტასია 275

წმიდა ნიკოლოზი 275

წმიდა ნინო 73, 262, 273

წმიდა სტეფანე 275

წმიდა ქეთევანი (მუხრანსპატონი) 263—
264, 275—277

ჭიჭინაძე ი. 31

ჭიჭინაძე ს. 148

ხანთაძე რ. 19

ხანთაძე შ. 109

ხარაძე კ. 17

ხახანაძევილი ა. 8, 79, 164—165, 178, 182,
195

ხინთიბიძე ა. 122—123

ჯალღვიშვილი ნ. 13

ჯავახიშვილი ალ. 79

ჯავახიშვილი გ. 102

ჯავახიშვილი ი. 9, 29, 79

ჯავახიშვილი შ. 102

ჯანაშვილი მ. 8

ჯანაშია ს. 9, 109

ჯანდიერიშვილი დ. 215

ჯაფარიძე ე. 95

ჯობია მ. 90, 187, 206

ჯორჯაძე ნ. 35, 38

მაღუში გ. 16

ქეინზუსი გ. 232

მოლდბაზი ქრ. 232

ბ ე მ ბ რ ა ვ ი უ ლ ი

ავსტრია 47

ათონი 5, 262

ათონის მთა 82, 199 —200

ალანეთი 25

ამსტერდამი 10, 25

არაგვი 206

არარატის მთა 190

ასტრახანი 6, 12, 15, 20, 22, 24, 30, 31,

34, 35, 47, 57, 58, 59, 61—63, 67,

91—95, 98, 102, 109, 111, 115, 118,

119, 130, 135, 136

ასტრახანის სახანო 91

აღმოსავლეთ ევროპა 95

ბალკანეთი 262

ბაგრატიონი 103

ბანტრიონი 29

ბელგოროდი 42

ბელიცი 102

ბესარაბია 104

ბიზანტია 3, 95, 209

ბოლშაია გრუზინსკაია 76

ბრიტანია 214

ბულგარეთი 3

განჯა 60, 107

გეორგიევსკოე 76

გერმანია 63, 64, 65, 214, 237

გლუხოვო 103

გრიბინოვკა 103

გრუზინი 62—66, 70, 75, 78

გრუზინსკი პეტრეულოვი 76

გურია 110

ღაღათ გარეჯი 136, 137, 151, 206

დარუბანდი 93, 106, 211

დასავლეთ ევროპა 5, 42, 82, 120, 225

დაღესტანი 106

დერევიანიცის ოლდგომის სახელობის მონასტერი 89
დვალეთი 34, 40
დიდი ბრიტანეთი 214
დიდი ლუკი 86
დიდი ნოვგოროდი 85, 86
დიმიტრიევის ქუჩა 41, 72
დონი მდ. 95
დონის მონასტერი 16, 17, 19, 51—54, 67—69, 73, 77—81, 153, 253
დუნაი 25

მგვიბტე 174, 184
ედილი მდ. 91
ევროპა 104, 105

ვალდაი 85, 268
ვალდაის იბერიის ღეთისშობლის მონასტერი 85
ვარშავა 255
ვილნა 255
ვიუტენბერგი (ვიტენბერგი) 250, 251
ვლადიმერი 6, 20, 111, 219
ვლახეთი 4
ვოლგა 91
ვოლოკოლამსკი 90
ვორსკლა 102
ვსესსვიატსკოე 41, 79

ზაგორსკი 284
ზაპოროჟიე 95
ზემო ქართლი 61, 83
ზრამავა 40

თბილასი 59, 60, 65, 121, 217, 271, 273
თელავი 9, 43
თერგი 24, 28, 29, 34, 35
თერგის ხეობა 107
თურქეთი 47, 114
თუშეთი 28

იბერია 100
იერუსალიმი 65, 82, 189, 202, 233
ივაშკი 103
ივერია 268
302

ივერიის მონასტერი 199—200
იმერეთი 34, 39, 110, 268, 270
იმერეთის სამეფო 25, 39, 41
იმერკავკასია 28, 40, 41, 60, 61, 104—106, 107, 110, 111
ინგლისი 237
ირანი 4, 22, 107, 258, 259, 276
იტალია 4, 214
იურიევი 88

კავკასია 18, 28, 55, 57, 59, 61, 83, 85, 92, 104, 105, 110—112, 234
კალუგა 15
კაპადოკია 255
კასპისპირეთი 59, 106, 114
კახეთი 4, 21, 22, 24, 25, 28, 31, 32, 34, 91, 110, 164
კახეთის სამეფო 21, 31, 32, 34, 91, 96, 110, 275

კელეზბერი 102
კვიპროსი 214
კიევი 104
კირილო-ბელოზერსკის მონასტერი 182
კლასკის სამების მონასტერი 89
კობელიაკი 102
კრემლხუგი 104
კონსტანტინოპოლი 4, 189, 192, 210
კრემლი (ასტრახანის) 93
კრემლი (მოსკოვის) 36, 37
კუტუმი 93

ლიტვა 22, 214
ლისკოვო 42, 94, 253, 287
ლოხვიცა 103
ლუბენი II ლუბენსკი 70, 102

მაკედონია 216
მაკოვეცი 276
მალაია გრუზინსკაია 76
მარცხენა ნაპირის უკრაინა 103
მეფე ბაქარის სასახლე 219
მთავარმოწამე წმიდა გიორგის ტაძარი 58, 63, 75—76
მზიური 19
შირგოროლი 15, 70, 102—106

მოლდავეთი (მოლდოვა) 4, 23, 25
მოზლოქი 111
მოსკოვი 4—12, 14—16, 19—26, 28, 30—38, 40—43, 50—63, 67, 70, 72, 74, 77—78, 85, 89, 94, 95—97, 103, 113, 115, 117, 119, 124—125, 127, 136, 144, 146, 149, 153—154, 156—157, 159, 161, 170, 179—190, 193, 200, 204, 207, 210, 215, 217, 220, 225, 228—229, 232, 239, 237—238, 241—242, 252, 255—256, 260—261, 270, 273, 275—276, 286
მოსკოვის გარეუბანი 64
მოსკოვის მარა 41, 45
მოსკოვის საპატრიარქო 286
მოსკოვის სახელმწიფო 4, 21, 77, 97, 265
მცირე სომხეთი 4
მცხეთის ტაძარი 268
ნიდერლანდი 214
ნიკოლსკის ქუჩა 51
ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნია 20, 42—43, 45, 70, 73
ნოვგოროდი 6, 20, 65, 82—86, 88, 91
ნოვოდეიჩინს მონასტერი 51, 53
ორენბურგი 70
ოსეთი 34, 40, 104—105, 108, 110, 115
ოსმალეთი 4, 39, 112
ოზობნი რიადი 64
პირიატინი 102
პოკროვკა 36
პოლონეთი 82, 95, 237
პოლტავა 70, 102, 118
პორტუგალია 214
პრესნია 15, 63—66, 75—76, 81, 119, 124
პრისულსკი 70, 102
პრუსია 126
რაქა 61
როევანსკის მონასტერი 90
რომი 4, 174, 192

როტენბურგი 255
რუმინეთი 82, 104
რუსეთი 4, 5—9, 12, 15, 18—25, 28—29, 31—34, 41, 43, 47—48, 50, 54—58, 59—62, 64, 67, 75, 82—83, 86, 88—89, 91—92, 95, 101—102, 104, 110—112, 115, 119, 121, 125, 120, 150, 154, 159, 169, 177, 193, 198, 220, 223, 241, 256, 259, 265, 268, 270, 273, 276, 281
რუსეთის იმპერია 0, 83, 85, 88
რუსეთის სახელმწიფო 25, 32, 54—55, 57, 66, 70
საბერძნეთი 82, 192, 214
სამარყანდი 253
სამეგრელო 110
სანქტ-პეტერბურგი 6, 8, 14, 20, 61, 65, 82—85, 88—89, 106, 111—112, 127, 135, 156, 161, 169, 172, 178, 182, 194, 200, 207, 218, 229, 231—232, 242, 256
სანჯარი 102
სარანსკი 15
საფარის მონასტერი 275
საფრანგეთი 120, 237
საქართველო 4, 7, 12—13, 20—25, 28, 30, 32—34, 41, 50, 55—53, 59—61, 65—66, 76, 83, 85, 88, 95, 101, 104, 111, 112—114, 119, 123, 126, 206, 268, 270, 276, 286—287
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 248
საქართველოს სამხედრო გზა 95
სერგის-სამების ლავრა 276, 284
სვესენწკა 15, 41, 51—54, 64, 70, 72—73, 76, 81
სოფიის ტაძარი (ნოვგოროდში) 89
სპარსეთი 29, 59, 112, 146, 256—257
სტოკჰოლმი (სტოკოლონი) 10, 193, 197, 200, 228
სულა მდ. 102
ტერიუშევი 42
ტერის ქუჩა 41, 72

ტრაპიზონი 255
ტრაპიზონის საეპისკოპოსო 4
ტულა 15
ტფილისი 4

უკრაინა 9, 43, 70, 82, 95, 90, 103—104,
111—126, 130
უნგრეთი 20, 25, 214
ურალი 70
უსტეიტა 103
უფლის მირაჰის სახელობის საყდარი
(ღონის მონასტერში) 53—54, 68—69,
74—77, 79—81

ფეოდოსია 255

ქართლი 28, 39, 64, 67, 85, 91, 103, 110
122, 124, 136, 268
ქისტევი 28
კუთაისი 20, 143, 177, 207, 209

ღეთისმშობლის მიძინების ტაძარი (ას-
ტრაზანის კრემლში) 67, 92—95, 136

ყაზან 105
ყაზანა 15, 22
ყიზლარი 6, 15, 98, 102, 107—111, 187
ყირიმში 39, 98, 104, 126
ყირიმის ნახევარკუნძული 214

შემაზა 59, 106
შეღვითი 47, 57, 126, 197—198, 202,
237
შეიღვითი 214
შიდა რუსეთი 82, 111

შანია (ესპანეთი) 214
შუა აზია 82

ჩაჩნეთი 105, 110
ჩეხოვსკი 15
ჩერნიგოვის ოლქი 102
ჩერნიუხი 100
ჩერქეზეთი 61, 105, 110
ჩორნი იარი 61
ჩრდილო კავკასია 12, 85, 95, 105—106,
109

ცარიცინი 61
ციმბირი 82, 214

ძალისა 19
ძეგამი 22

წმიდა კირილეს სახელობის ბელოო-
ზერსკის მონასტერი 31, 90
წმიდა მიწა 82, 262
წმიდა ნიკოლოზის სახელობის ბერძენ-
თა მონასტერი (მოსკოვში), 51, 136
წმიდა ქრისტე ღმერთის გამოცხადების
სახელობის საყდარი 72
წმიდა ჯერის ცისე 61, 106

ხევესურეთი 28
ხობი 25
ხოთინი 100
ხოროლი 102

ჯერის ამაღლების სახელობის მონასტე-
რი (ყიზლარში) 106—107

ჟოლანდია 82, 214, 237

УКАЗАТЕЛИ

ИМЕННОЕ

Абрамишвили А. З. 10
Алборов Б. 108—109
Александр Арчилович Батошвили

210, 288—290
Александр Бакарович Батошвили
290

- Алексей Михайлович 288
 Амросий 270
 Андрей 270
 Анна Пророчица 73
 Артемий 270
 Арутюнян П. Г. 57
 Арчил II 16, 198, 288
- Бакар, царь 286
 Белоброва О. А. 284
 Белокуров С. А. 21, 92, 266
 Бенгами, епископ Кашмирский и Коломенский 73
 Бердзенишвили Н. А. 9, 214
 Блиев М. 108
 Болховитинов Е. 7
 Бутков П. Г. 16, 48
- Вансеева Е. И. 163
 Ватсйшвили Дж. Л. 13, 17
 Вахтаг VI, 18, 289, 290
 Вахушти царевич 15, 17, 18
 Веселовский А. 163
 Владимир, архимандрит 199
 Восканин В. К. 55
- Галлем Г. 16
 Гайдуков Г. 88
 Гамрекели В. 17
 Георгий царевич 290
 Головин Н. 16
 Головин Ф. 16
- Дамян 270
 Дареджан (Мария) Арчиловна 73, 289
 Дарий 184
 Джанашия С. Н. 59
 Дионисий 270
 Дмитрий 270
- Евстафий Плакиды 270
- Забелли И. Д. 16, 42, 53, 78, 153
 Здравомыслов К. Я. 88
- Зелакин Е. 57
 Зимин А. А. 199, 209
- Исхлев А. 25
 Илларион 270
 Илуридзе М. 108
 Исаева Н. С. 284
 Иосиф Самебели, Новгородский, Московский архиепископ (Кобулашвили) 289
- Калападзе Ц. П. 13
 Кекелидзе К. С. 215
 Клим 270
 Клитина К. Н. 284
 Косма 270
 Курбатова А. М. 284
- Лебедева И. Н. 194, 196, 199, 201
 Лысцов В. П. 57
 Лопина 270
 Лурье С. 182
- Макарий, архимандрит 88 (швили) 289
 Маркова О. П. 57
 Мартиросян В. М. 57
 Мачарадзе В. Г. 108—109
 Мирзианшвили Р. Д. 189—196, 196—198
- Надибандзе Н. Г. 40, 148, 237
 Накашидзе Н. Т. 18, 22, 28
 Наумко В. П. 103
 Невская Н. И. 18, 255
 Николаева Т. В. 284
 Николай Давидович (Эрекле I) 288
 Николай-Чудотворец 27
- Орбели Р. Р. 194—195, 207, 218, 253
- Пайчадзе Г. Г. 11—12, 17, 29, 32, 39, 57, 65
 Папашвили М. 59

Петр I 16, 43, 57, 288, 289
Плохинский М. М. 98
Полневков М. А. 22, 24—25, 57, 92,
265—266

Полов А. 199, 209
Пор 184
Прокопович Ф. 88

Роман 270
Россоха Л. 103

Савва 270
Савва, архимандрит 199, 201
Савва, освященный 270
Савинский И. 107
Симеон 270
Симеон Богосрimeц 73
Сихарулидзе Пр. М. 53, 90

Такайшвили Е. С. 177
Тарсандзе Н. Г. 17
Тер-Авакимова С. А. 57
Токмаков И. Ф. 16, 51

Толочанов Н. 25
Тромнинн К. 201

Устрялов Н. 43

Фадеев А. В. 57
Феврония 270
Фигуровский М. А. 259
Филипп 183
Фруней 184

Хаханов А. С. 195

Цагарели А. 195, 218

Чагуцава Р. В. 18, 258
Чистович И. 88
Чхендзе Г. 170

Шавхелишвили А. 18, 28
Шевченко Ф. П. 95
Шепелева Л. С. 10, 166

Эсадзе Б. С. 33



Brosset M. 195
De Lisle I. N. 7
Witzen N. 7, 15
Jacobowski G. W. 7

Krubacher K. 188
Sparwenfeld I.—G. 7
Lebau H. 194

ГЕОГРАФИЧЕСКИЙ

(

Амстердам 17
Астрахань 288—289
Астраханская епархия 107

Восточная Грузия 28
Всехсвятское 51

Греческий Николаевский монастырь
51

Грузия 17, 288
Грузины 10, 288—289
Донской монастырь 16

Европа 290
Египет 184
Ереван 55, 57

Загорск 284
Закавказье 57
Запорожье 95

Кавказ 57, 288
Казань 288
Кашир 73
Кахети 7
Коломна 73

Малороссия 98
Москва 289—290
Московская губерния 51
Московское государство 288

Новгородский край 15
Новгород 15, 88, 289

Georgia 8
Leipzig 7

Новгородская епархия 88
Нижний Новгород 289

Поволжье 296
Пресня 289
Прикаспие 289

Россия 57, 92, 288—290, 291

Санкт-Петербург 291
Северный Кавказ 17

Троицкий Клопский монастырь 88

Украина 290

Швеция 289

Юрьев монастырь 288



Stokholm 7

შემოკლებათა განმარტება

ასსცა — ასტრახანის საოლქო სახელმწიფო ცენტრალური არქივი.

მსცა — ქ. მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალური არქივი.

ნსსცა — ნოვგოროდის საოლქო სახელმწიფო ცენტრალური არქივი.

რსპა — რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი.

სპსცსა — სსრ კავშირის სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი.

სპბ — სანქტ-პეტერბურგი.

სპშაპ — სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის არქივი.

სსა — ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო საისტორიო არქივი.

სსსცა — საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური არქივი.

ძსცა — ძველ საბუთთა ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

ხელნაწერთა ინსტიტუტი — ქ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ЖМНП — Журнал Министерства Народного Просвещения.

ПСЗРИ — Полное собрание законов Российской империи.

СОНИИ — Северо-Осетинский Научно-исследовательский институт.

СПБ — Санкт-Петербург.

ЦГАДА — Центральный Государственный архив Древних актов.

ЦГВИА — Центральный Государственный Военно-Исторический архив.

შ ი ნ ა პ რ ს ი

წესავალი		3
თავი I.		21
საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნეში და მოსკოვში ქართული ახალშენის ჩამოყალიბება		21
§ 1. საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა XVII ს-ის 30—70-იან წლებში		21
§ 2. მოსკოვის ქართული ახალშენის ჩამოყალიბება		33
§ 3. ახალშენის განმტკიცება		41
§ 4. ახალშენის სტატუსი		47
§ 5. ქართველ მოახალშენეთა სალოცაეები და აკლდამა		51
თავი II.		55
ქართველებით დასახლებული ახალი უბანი		55
§ 1. საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი		55
§ 2. ქართველთა 1724 წლის ემიგრაცია და მისი შედეგები		60
§ 3. ქართველი მეფის სასახლის რიგი		64
§ 4. ახალშენის გაერთიანება და მისი მემკვიდრენი		66
თავი III.		82
ახალშენის განშტოებანი		82
§ 1. ქართველები სანქტ-პეტერბურგში		82
§ 2. ქართველი მოღვაწეები ნოვგოროდში		85
§ 3. ქართველთა დასახლება ასტრახანში		91
§ 4. პირველი ქართული პოლკის ჩამოყალიბება რუსეთის არმიაში და ქართველთა დასახლება უკრაინაში		95
§ 5. ქართული ახალშენების შექმნა იმიერკავკასიაში და „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობა		104
თავი IV.		115
ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა		115
§ 1. საერო მწერლობა		115
§ 2. სასულიერო მწერლობა		133
თავი V.		140
ნათარგმნი ლიტერატურა		140
§ 1. საქრისტიანო-თეოლოგიური ლიტერატურა		140
§ 2. საერო ლიტერატურა		160
თავი VI.		226
სწავლა-განათლება		226
§ ალზრდა		226
V 2. სასწავლო წიგნები		235

თავი VII. ახალშენის განძეულობანი	262
§ 1. რელიქვიები	262
ბოლოთქმა	287
Из истории грузинского поселения в Москве (резюме)	289
From the history of the Georgian Settlement in Moscow (Summary)	292
საძიებლები	295
შეშოკლებათა განმარტება	308
შინაარსი	309

დაბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4602

გამომცემლობის რედაქტორები ნ. ბერძენიშვილი, გ. ლუგლაძე
მხატვარი გ. ლომიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბოცია
კორექტორი ზ. ომარაშვილი
გამომწვები ლ. შაისურაძე

ვადეცა წარმოებას 21.6.91; ხელოწერილია დასაბეჭდად 12.2.92;
ქალაღის ზომა 60×84¹/₁₆; ქალაღი № 2; ბეჭღვა მალაღი;
გარნიტურა ვენური; პაროზით საბეჭღდი თაბანი 18,14;
საარღცხვო-საგამომცემლო თაბანი 17;

ტარაღი 700;

შეკვეთა № 1524;

ღასი 7 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბღლისი, ზეცცცც, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Медицина», Тбღლისი, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბღლისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбღლისი, 380060, ул. Кутузова, 19